PRIME Time

N5 (306) ორშაბათი 9 თებერვალი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

Coca-Cola PROUD PARTNER

ექსკლუზიურად პრაიმტაიმისთვის

ოთხ ტერაქტში ბრალდებული „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს

„ტყეში შემიყვანეს. იქ დამხვდნენ დათა ახალაია, „მასტერა“, მეგის ქარდავა. იმათაც იგივე მითხრეს. სასტიკად მცემეს“

„ფინანსურ დაზვერვას“ კვლავაც ადეიშვილი აკონტროლებს?!

EXCLUSIVE

ექსკლუზიური ინტერვიუ სოზარ სუბართან

„გრძნობს თუ არა პასუხისმგებლობას ნიკა მელია. რომ არა მისი პოლიტიკური წარმოდგენა, ის ბავშვი ცოცხალი იქნებოდა“

ოლიკო ბაბლუანი – მოპედით, თავისუფლებითა და პირადით

„პატარები ვიყავით და შვიდ თვეში დავშორდით. მაშინ სახლიდან წასვლის და მეგობარი ბიჭის ყოლის საშუალება არ გვქონდა. მამაკაცთან ურთიერთობას ტრადიციული სახე უნდა ჰქონოდა“

EXCLUSIVE

სისტემური ცვლილებები პედაგოგთა განვითარებისა და მოტივაციის ამაღლებისთვის

ბავშვის დასჯის სკანდალური SCANDAL მეთოდები სკოლებში

რისთვის მოიხადა ბოდიში ირაკლი კობახიძემ

„...კონტექსტიდან იყო ჩემი პასუხი ამოვარდნილი... დიახ, ცვლილებები იქნება და მალე...“ EXCLUSIVE

ბაქრაძე-ალასანია-რურუა - ახალი პოლიტიკური ალიანსი

„მეუბნებიან, ეს საინტერესო კონფიგურაცია და კარგი იდეაა“

აფრასიძეების ჩაცხრილვის საქმეზე მთავარი მოწმე 11 წლის შემდეგ ალაპარაკდა

SCANDAL

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ბარამიძე დაპატიმრებას ელოდება

მარიამ ნადირაძე

უკანასკნელ ხანს გავრცელებულ ინფორმაციებს ბარამიძის შესაძლო დაკავებასთან დაკავშირებით, დეპუტატი „პრაიმტაიმთან“ საუბარში ეხმაურება. როგორც ირკვევა, ის სულაც არ გამორიცხავს ამ ფაქტს, მაგრამ ამის მიუხედავად, არსად მიმალვას არ აპირებს.

უახლოეს მომავალში კი ბარამიძეს ორი ვიზიტი აქვს დაგეგმილი – ბრიუსელსა და უკრაინაში. დაბრუნდება თუ არა ის საქართველოში, ამას ჩვენ ერთად ვნახავთ. მანამდე კი მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ:

– ბოლო ხანს ინტენსიურად საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, რომ პროკურატურა პარლამენტისგან თქვენთვის იმუნიტეტის მოხსნას მოითხოვს. თქვენ თუ გაქვთ ამის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია?

– მხოლოდ ჭორები მესმის ამ ფაქტზე, თუმცა ტყუილად ჰგონიათ, რომ ამით რამე მიზანს მიაღწევენ...

– თქვენი კოლეგები პარლამენტში მიიჩნევენ, რომ თქვენ მართლაც უნდა გასცეთ ყველა კითხვას პასუხი გამოძიების წინაშე.

– იგივეს ვაცხადებ მეც ორი წელია, რომ მზად ვარ, ვითანამშრომლო გამოძიებასთან და ვითხოვ დაკითხვას, მაგრამ ამას, როგორც ჩანს, არავინ აპირებს. ვინაიდან რეალურ თანამშრომლობასა და სიმართლის დადგენას მათ შოუების მოწყობა ურჩევნიათ. რაში სჭირდებათ ჩემთვის იმუნიტეტის მოხსნა? მე სულაც არ ვაპირებ მის გამოყენებას იმისთვის, რომ გამოძიებას გავექცე. მაგრამ მათ ჩემი დაკითხვა არაფერში სჭირდებათ. საკუთარი უნიათობის გადასაფარად ხელისუფლება მხოლოდ უსაფუძვლო დაჭერებით კავდება და ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, ამ შოუს ნაწილია. იმიტომაც ვიწროვდება ჩემს გარშემო ამ ბოლო დროს აგორებული ათასი ტყუილის ტალღა.

– გამოდის, რომ დაჭერას ელოდებით...

– ცუდი სათქმელია, რომ ველოდები. ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებისგან არაფერს გამოვრიცხავ. ბოლო დროს ატეხილი აურზაურით ჩემს გარშემო, ალბათ, ფიქრობენ, რომ მე შევეცდები, გავექცე გამოძიებას, ან მივიმალო. ვერ მივანიჭებ მათ ამ სიამოვნებას. ორი ვიზიტი მაქვს დაგეგმილი – ჯერ ბრიუსელში, მერე კი უკრაინაში. ამის მერე, რაც უნდათ, ის უქნიათ...

რისთვის მოიხადა პოდიუმი ირაკლი კობახიძემ

ქეთი ხატიაშვილი

ჯერ ოფისში შესულიც არ იყო, რომ სერიოზულ სკანდალში გაეხვია. თუმცა, როგორც კი ხმაურის გადაფარვა სცადა, აქაც არასწორი ნაბიჯი გადადგა და ხელი ჟურნალისტებს შეაწმინდა. ერთი შეცდომის „წასაშლელად“ მეორე შეცდომას რომ უშვებ, არ ვიცი, საბოლოოდ, საით მიდიხარ.

ყველაფერი ჟურნალისტის მარტივი შეკითხვით დაიწყო. შეკითხვაზე, რატომ დაიმსახურეს ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავებმა ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა, კობახიძემ უპასუხა: „იმიტომ, რომ არსებობდა ეს პრობლემა, თუმცა პრობლემა გადაიჭრა“.

მოგვიანებით იგივე ირაკლი კობახიძემ, ფაქტობრივად, ყველაფერი მედიას გადააბრალა, კონტექსტიდან იყო ჩემი კომენტარი ამოვარდნილიო. თუმცა, რომელი კონტექსტიდან, ეს უკვე ველარ დააკონკრეტა.

ასე რომ, ერთადერთი, რითაც მან თავი დაგვამახსოვრა, ეს საკუთარ კარში გატანილი გოლია. ავტოგოლი!!! ვერაფერს იტყვი. როცა აღმასრულებელი მდივანი საკუთარი პარტიის თავმჯდომარეს ურტყამს, ეს რას ნიშნავს? პასუხში ყველამ თავისი „დიაგნოზი“ ჩადო. ზოგისთვის ეს იყო კალაძე-ღარიბაშვილს შორის დაპირისპირების კლასიკური მაგალითი, ზოგისთვისაც მდივანი არამხოლოდ ახალი ახალგაზრდა კადრია და ჯერ არ იცის, რომ დუმილი ოქროა. თუმცა, ეს, ალბათ, ის შემთხვევა სულაც არ არის, როცა დუმილი ოქროა, როცა პოლიტიკისთვის ემზადები და აცხადებ, რომ გეგმებიც ამბიციური გაქვს, აქ ჭკუა და გონება უნდა გიჭრიდეს...

როგორც ითქვა, ამ სკადნალის გამო, კობახიძეს ღარიბაშვილისთვის ბოდიშიც კი მოუხდია. როგორც ჩანს, პრემიერთანაც ყველაფერი ჟურნალისტებს გადააბრალა.

ასეთი სკანდალებით, როგორც წესი, შორს ვერსად მიდიან ხოლმე.

მედიასთან საუბარი არ სურს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ის ზოგადი და მოკლე ფრაზებით შემოიფარგლა. ძირითადად თქვა, რომ მედიასთან ახლა ურთიერთობა არ სურს, რომ ჯერ პარტია აქვს ასაშენებელი და რომ ცვლილებებიც იქნება და მალე:

„დიახ, ცვლილებები იქნება და მალე, მერე უფრო იქნება საუბრის საშუალება...“ – განმარტა ირაკლიმ.

ვერც სხვა ინტერვიუებში მოახდინა მან შთაბეჭდილება. ძირითადად პირველ არხზე ჩნდება ხოლმე და ზოგადი ფრაზებით იფარგლება.

„დიახ, ცვლილებები იქნება და მალე“

„რატომ გამოდიოდა ხმები, რომ პარტიას ირაკლი იბარებს, არ ვიცი“

მაგალითად:

პარტიას აქვს რეიტინგის ზრდის რესურსი და ეს არის საქმიანობის ერთ-ერთი მიზანი...

პარტიამ უნდა იტვირთოს ანალიტიკური ცენტრის ფუნქცია... აუცილებელია კომუნიკაციის გაუმჯობესება...

პარტიის მკაფიო ხედვა და სტრატეგია უნდა ჩამოყალიბდეს...

ჩვენ ამბიციური გეგმა დავსახეთ და განვახორციელებთ...

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტი არის ძალიან სუსტი, არ შესწევს უნარი, სათანადოდ აკონტროლოს მთავრობა; ბუნდოვნად არის გამიჯნული კომპეტენციები პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. არსებითი ხარვეზები აუცილებლად საჭიროებს გასწორებას...

დაველოდოთ მოვლენებს, გეგმა გვაქვს და განხორციელდება...

მოკლედ, კონკრეტული ჯერ არაფერი. პარტია „ქართულ ოცნებაში“ მის მიმართ განსაკუთრებული მოლოდინები არ აქვთ. ჯერ მას შიდაკომუნიკაციაც არ ჰქონია ყველასთან.

საერთოდაც, გარეგნული ნიშნებით თუ ვიმსჯელებთ, ირაკლი პოდიუმს უფრო მოუხდებოდა, ვიდრე პოლიტიკას. პოლიტიკისთვის თითქოს მას მთავარი აკლია – ენერგია და შინაგანი ძალა, პრინციპულობა და ლავირების უნარი.

დავით საგანელიძის განმარტებით, ხმები ან მოლოდინები იმის შესახებ, რომ პარტიას კობახიძე ჩაიბარებს არასწორია:

„რატომ გამოდიოდა ხმები, რომ პარტიას ირაკლი იბარებს, არ ვიცი. არა, ბატონო ჩემო. პარტიას ჰყავს თავმჯდომარე, გენერალური მდივანი და პოლიტსაბჭო, რომლებსაც ირჩევს ყრილობა და რომლებიც იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. დანარჩენი, „სტაფში“ არსებობს რამდენიმე მდივანი – პოლიტიკური, საერთაშორისო, აღმასრულებელი და ა.შ. რატომ ატეხეთ ამაზე ამხელა ამბავი?“

როგორც ჩანს, პოზიციების დაფიქსირება უჭირს. არ არის საქმის კურსში, რა ხდება ლართან დაკავშირებით, ან რას ნიშნავს ვადამდელი არჩევნების ჩატარება. ყოველ შემთხვევაში, მისი პოზიციებიდან ასე გამოიკვეთა.

საერთოდაც, პარტიაში ახალგაზრდა ყმაწვილის გამოჩენისთვის, ეტყობა, ჯერ მზად არ იყვნენ. ერთადერთი, ვინც ეს ღიად „გააპროტესტა“, არმაზ ახვლედიანი იყო. თუმცა, შესაძლოა, ამას პროტესტიც არ დავარქვათ...

არმაზის განმარტებით, გაუგებარია, რა საჭიროა მდივანი, როცა პარტია „ქართულ ოცნებას“ გენერალური მდივანი ჰყავს – კახი კალაძე. აღმასრულებელი მდივნის თანამდებობა რამდენიმე თვის წინ შემოვიღეთ, ამ პოსტის დაბრუნების აუცილებლობას ნამდვილად ვერ ვხედავო.

პოსტი მაინც შემოიღეს და ახალგაზრდა ირაკლი კობახიძე ახლა ამბობს, რომ აქვს ამბიციური გეგმები, თუმცა, ჟურნალისტებთან ამ თემაზე სხვას ვერაფერს აკონკრეტებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მკვლელობაში ბრალდებულის სკანდალური მიმოწერა

გია სოსანაშვილი: „მითხარი, რატომ დაწერე ჩემზე და ჩემს მეგობრებზე აუგი. არ მოგასვენებ... შენ არ მიცნობ, ვინ ვარ, მე კი გიცნობ“..

ვინ არის გია სოსანაშვილი, მეტსახელად „ბოღმა“, და რა კავშირი აქვს მას ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე დაკავებულ ყოფილ მაღალჩინოსნებთან?

EXCLUSIVE

გიორგი სოსანაშვილი

მირიან ბოქოლიშვილი

სკანდალური საქმის კიდევ უფრო სკანდალური გაგრძელება... პროკურატურამ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე გახსნილად გამოაცხადა და ყარაფილაში მომხდარ აფეთქებაში ბრალი მოქმედ პოლიციელს, გია სოსანაშვილს წაუყენა.

ვინ არის სოსანაშვილი? რას ყვებიან მის შესახებ მშობლიურ სოფელში? რა კავშირი აქვს ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე დაკავებულ პოლიციის ყოფილ მაღალჩინოსნებთან? ვისთან განახორციელა აფეთქების შემდეგ სატელეფონო ზარი?

სანამ ამ კითხვებზე პასუხს გავცემთ, გეტყვით, რომ „პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა გია სოსანაშვილისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლის, გიორგი ყუფარაძის მიმოწერა. სოსანაშვილი ყუფარაძეს სოციალური ქსელით მას შემდეგ დაუკავშირდა, რაც „თავისუფალმა თაობამ“ საბოტაჟში მხილებული პოლიციელების სია გამოაქვეყნა, სწორედ ამ სიაში ფიგურირებდა გია სოსანაშვილიც.

გია სოსანაშვილი ყუფარაძეს „ფეისბუკის“ მეშვეობით ჯერ კიდევ 2014 წლის 19 ნოემბერს დაუკავშირდა. აი, რას წერდა ის:

„გამარჯობა. მე მგონი, ბოდიში უნდა მოგვიხადო მე და ჩემს მეგობრებს, ყველაზე არ მაქვს ლაპარაკი. რა დაგიშავე შენ, ან ნებისმიერს, ესეთი სტატია, რომ დაწერე. მიცნობ საერთოდ, ვინ ვარ, რა გამიკეთებია ამ ქვეყნისთვის. რატო ქენი ეგ საქმე, შენ კი არა, საერთოდ რა დავაშავე, მე ან ჩემმა მეგობრებმა, რომლებსაც საერთოდ არ იცნობ. მე რომ შენზე გლახა ვთქვა, მართალი ვიქნები და საერთოდ, ბოდიშის მოხდა ცუდი არ არის. შენ ჩემს ადგილას სასამართლოში მიჩივლებდი. უბრალოდ ჯობია გამიცნო, დათო მელაპარაკა შენზე“.

ამის შემდეგ სოსანაშვილი ყუფარაძეს 21 ნოემბერს ეხმიანება და დაჟინებით მოითხოვს პასუხს, რატომ ფიგურირებს მისი სახელი ზემოხსენებულ სტატიაში.

21 ნოემბერი, 2014 წელი, გია სოსანაშვილი:

„პასუხი გამეცი, როგორც ბრალდებულს და მე თვითონ მოვიხდი ბოდიშს მედიით. რა დავაშავეთ, ვინ შთაგაგონა. შენ ხომ იცნობ პოლიციელებს, გიო“.

„შენ პარტიელებთან შეგხვდები, ბევრი მეგობარი მყავს. უბრალოდ მითხარი, რატომ დაწერე ჩემზე და ჩემს მეგობრებზე აუგი. შენ თუ გგონია, ვერ გიჩივლებ, შემცდარხარ. არ მოგასვენებ კანონიერად. შენ არ მიცნობ, ვინ ვარ, მე კი გიცნობ, დანაშაული გამოიკვეთა. იცოდე, გიჩივლებ“.

21 ნოემბერი, 2014 წელი, გიორგი ყუფარაძე:

„რა, მემუქრები? სადაც გინდა, იქ მიჩივლე. მე მეგონა, მართლა შევცდით თქვენს მიმართ, მაგრამ შენი ქმედებებით მიდასტურებ, რომ პირიქითაა საქმე. სადაც გინდა იქ მნახე და იქ იჩივლე. სტატიას რაც შეეხება, რედაქციის გაბუქებულია“.

რატომ ააფორიაქა პოლიციის მოქმედი თანამშრომელი „თავისუფალი თაობის“ ინფორმაციამ? ორგანიზაციაში დარწმუნებულნი არიან, რომ მას კიდევ სხვა უამრავი უკანონო დავალება აქვს შესრულებული. ამასმ ალბათ, გამძიეება დაადგენს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას **გიორგი ყუფარაძე ამბობს:**

„პოლიციაში დარჩენილი კადრები, მათ შორის სოსანაშვილი, აქტიურ კავშირზე იყვნენ ორგანიზაცია „სამართალდამცავთა დაცვის ლიგასთან“, რომელსაც ახალახან დაკავებული ირაკლი ფირცხალავა ხელმძღვანელობს. გვაქვს ინფორმაცია, რომ სოსანაშვილი უწყებაში სწორედ ფირცხალავასა და კრიმპოლის ყოფილი ხელმძღვანელის, ირაკლი ქადაგიძის რეკომენდაციით მოხვდა. როდესაც ჩვენ მათ შესახებ ინფორმაცია გავაჟღერეთ, სოსანაშვილი თავად დამიკავშირდა სოციალურ ქსელში და დამემუქრა, – სასამართლოში გიჩივლებო“.

„პრაიმტაიმმა“ ინფორმაციის გადამოწმება ირაკლი ქადაგიძესთან სცადა. ჩვენ გვაინტერესებდა, მართლაც დაინიშნა თუ არა პოლიციაში მისი რეკომენდაციით გია სოსანაშვილი?

„არ ვიცი, ასეც, რომ იყოს, ეგ არაფერს ნიშნავს“, – ამ მცირე კომენტარით შემოიფარგლა ირაკლი ქადაგიძე, რომელიც ვრცელი განმარტების გაკეთებას მომავალში დაგვპირდა.

სოსანაშვილი სამართალდამცავ უწყებაში ხელმეორედ 2005 წელს მოხვდა. თუმცა, მანამდე, შევარდნაძის დროს, პანკისის ხეობაში მსახურობდა. 2005 წლიდან კი შსს–ს ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს კასპის განყოფილებაში მუშაობდა. მონაწილეობა აქვს მიღებული, როგორც აფხაზეთის, ისე სამაჩაბლოს ომში, მათ შორის 2008 წელს. შესაბამისად, საბრძოლო მასალის გამოყენება მისთვის დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. სოსანაშვილის ოჯახი ქვემო ქალის თემის სოფელ საკორინთლოში ცხოვრობს. სოფლის რწმუნებული მარეხ ყამბეგაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ სოსანაშვილს რაიონში „ბოღმას“ მეტსახელით იცნობენ.

მარეხ ყამბეგაშვილი, სოფლის რწმუნებული:

– ცხრა წელია, რაც აქ ვცხოვრობ. ამ წლების განმავლობაში ის მუდმივად მუშაობდა პოლიციაში, ძალოვან სტრუქტურაში. 2008-ში იგოეთის განყოფილებაში მუშაობდა, 2009-2010 წლებში, მგონი, რომელიღაც რეგიონის პოლიციაში გადაიყვანეს. აქ ბევრი იცნობს, მეტსახელად „ბოღმას“ ეძახიან. ცოტა ისეთი ტიპია, უკონტაქტო, მე ვიცი, რომ მას ნაბრძოლი აქვს აფხაზეთში, სამაჩაბლოში და

Giorgi SosanaSvili 19.11.2014 20:42

გამარჯობა მე მგონი ბოდიში უნდა მოგვიხადო,მე და ჩემს მეგობრებს,ყველაზე არ მაქვს ლაპარაკი,რა დაგიშავე შენ ან ნებისმიერს,ესეთი სტატია რო დაწერე.მიცნობ საერთოდ,ვინ ვარ,რა გამიკეთებია ამ ქვეყნისთვის,რატო ქენი ეგ საქმე უბრალოდ შენ კი არა საერთოდ რა დავაშავე.მე ან ჩემმა მეგობრებმა რომლებსაც საერთოდ არ იცნობ,მე რო შენზე გლახა ვთქვა მართალი ვიქნები და საერღთო ბოდიშის მოხდა ცუდი არაა,შე ნ ჩემს ადგილას სასამართლოში მიჩივლებდი უბრალოდ ჯობია გამიცნო დათო მელაპარაკა შენზე

2014 წლის 21 ნოემბერი

Giorgi SosanaSvili 21.11.2014 3:13

pasuxi gameci rogorc braldebuls da mew tviton movixdi bodihs mediit ra davahavet vin chagagona hen xom icnob polcielebs gio

Giorgi SosanaSvili 21.11.2014 3:37

hen partielebtan hegxvdebi,bevrimegobari myavs ubralod mitxari rato dawere chemzeda chems megobrebze augi hen tu ggonia ver gichivleb hemcdarxar ar mogsveneb kanonierarad hen ar micnob vinvar me ki gicnob danahauli gamokvete icode gichivleb

2014 წლის 21 ნოემბერი

გიორგი ყუფარაძე 21.11.2014 13:45

რას მემუქრები?

სადაც გინდა ქ მიჩივლე.

მე მეგონა რო მართლა შევცდით თქვენს მიმართ. მაგრამ შენი ქმედებებით მიდასტურებ რო პირიქითაა საქმე. სადაც გინდა იქ მნახე და იქ იჩივლე. სტატიას რაც შეეხება რედაქციის გაბუქებულია.

გიორგი ყუფარაძე 21.11.2014 14:32

ძაან ბევი იფორმაცია მომდის და და შენ იქ არ ფიგურებ! და ჯობია შენს საქმეს მიხედო და შენ შეეშვა ვიღაცეების მიერ ჩაგონებულის გახმაურებას.
სტატიაში ვიზეც გავაკეთე კონკრეტული აქცენტები შედეგი გამოიღო. თუ მართლა არაფერ შუაში ხარ არ გირჩევ ამ საქმეში ჩარევას. პოლიციელი ხარ და კი იცი, რომ ვინც ძალიან იმართლებს თავს სწირედ ის არ არის სუფთა.

პ.ს. ჩემთან მუქარით არასდროს არავის არაფერი გასვლია.

მუშაობდა ძალოვან სტრუქტურაში. სხვა მე მაგაზე უარყოფითი ან დადებითი არ გამიგია.

– იური ვაზაგაშვილის აფეთქების შემდეგ თუ შეხვედრიხართ?

– ეგ, ფაქტობრივად, წასული იყო სოფლიდან და სოფელში ძალიან იშვიათად მოდიოდა, მშობლები ცხოვრობენ აქ, ძალიან კარგი მშობლები ჰყავს, მაგრამ ამ ბიჭთან დაკავშირებით ვერც კარგს გეტყვით და ვერც ცუდს, ჩვეულებრივი ადამიანია, ნაკლებად კომუნიკაბელური.

– ხომ არ გსმენიათ, რაიმე პირადი შურისძიება ხომ არ ჰქონდა ვაზაგაშვილთან?

– არ ვიცი. ხომ გეუბნებით, იშვიათად მოდიოდა სოფელში და ჩვენთან ვაუჩერებთან, ან რაღაცასთან შეიძლებოდა ჰქონოდა შეხება, მეტი სხვა არაფერი. მეგობრული ურთიერთობა არ გვქონია. გამარჯობით გვქონდა ურთიერთობა.

– რაიმე ინციდენტში თუ ყოფილა შემჩნეული?

– არაფერი მსგავსი არ გამიგია.

– წინასაარჩევნოდ, რას საქმიანობდა?

– 2010 წლის არჩევნების დროს იყო დამკვირვებელი ჩვენს უბანზე. ასრულებდა თავის მოვალეობას, არაფერი ზედმეტი მას არ გაუკეთებია.

– ვინ განაწესა დამკვირვებლად?

– პოლიციიდან ხომ გვყავს ხოლმე უბანზე წარმომადგენელი, ოღონდ შიგნით არ იყო, ეს იყო გარე პერიმეტრზე ჩვეულებრივად იდგა და წესებს იცავდა. არანაირი ზედმეტი მოქმედება მას არ ჰქონია.

– ოსებთან რაიმე კავშირი აქვს?

– ზოგადად, საკორინთლო იმდენად ახლოს არის, თუნდაც იქით, მონასტერთან, რომ მარტო მაგას კი არა, ნებისმიერ ოჯახს აქვს კავშირი. ყველა ყველას იცნობს. განსაკუთრებული არაფერი გამიგია, ვიცი, რომ იბრძოდა ჩვენს მხარეს და ყველა საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობდა. დანარჩენი არაფერი ვიცი.

– რატომ ეძახიან „ბოღმას“?

– ზედმეტად სერიოზული და დაბღვერილი ტიპია.

ცნობილია, რომ თავად სოსანაშვილი დანაშაულს არ აღიარებს. რა მტკიცებულებებს ეყრდნობა გამოძიება? ამის გარკვევა ჩვენ ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატთან, ირმა ჭკადუასთან ვცადეთ:

– ეს ადამიანი მხოლოდ ეჭვის საფუძველზე არ არის დაკავებული, საქმეში არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, არსებობს დნმ-ის ანალიზი. ასევე, ნიშანდობლივია, რომ ამ პიროვნებას შემთხვევიდან რამდენიმე წუთში ზარი აქვს განხორციელებული შემთხვევის ადგილიდან და არსებობს სხვა მტკიცებულებებიც. რაც შეეხება ჩემს პირად ინფორმაციას, ეს ადამიანი არის ახლო კავშირში იმ ჯგუფთან, რომელიც ორი დღით ადრე დააკავეს ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე. თავად ეს ადამიანი წლების განმავლობაში მონაწილეობდა ყველა საბრძოლო მოქმედებაში და ძალიან კარგად ფლობს იარაღის გამოყენების ტექნიკას. რაც შეეხება მოტივს, ჯერ აკავებენ მკვლელს და შემდეგ ასახელებენ მოტივს. მაქვს პირადი ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი ახლო კავშირშია ფირცხალავას გუნდთან.

– სატელეფონო ზარი ვისთან არის განხორციელებული?

– ამას, ბუნებრივია, ვერ გეტყვით, მაგრამ გეტყვით იმას, რომ ამ ადამიანს შემთხვევიდან რამდენიმე წუთში ზარი აქვს განხორციელებული.

მოდით ვნახოთ, რას ყვებიან მთავარ პროკურატურაში. მთავარი პროკურორის მოადგილის, ირაკლი შოთაძის ინფორმაციით, მკვლელის კვალზე გამოძიება დნმ-ის ანალიზისა და სატელეფონო ანძებიდან ამოღებული მონაცემებით გავიდა.

„გამოძიებით გადამოწმდა მობილური სატელეფონო ოპერატორების მომსახურე ანძებზე დაფიქსირებული აბონენტების ვინაობა, დაიკითხა ათეულობით მოწმე, განისაზღვრა დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთა წრე, რომელთა მიმართ საქართველოს შსს-ს გენერალური ინსპექციისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილი და დაკავებული იქნა პოლიციის თანამშრომელი გია სოსანაშვილი, რომელიც, როგორც გამოძიებით დადგინდა, 2015 წლის 19-20 იანვარს იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილის ტერიტორიაზე და რომლის დნმ-ი, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან (ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავი) ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიის სახელურზე აღმოჩენილ დნმ-ს. ამდენად, უტყუარად შეიძლება ითქვას, რომ იური ვაზაგაშვილი მოკლული იქნა გია სოსანაშვილის მიერ საფლავზე დამონტაჟებული ხელყუმბარის აფეთქების შედეგად. საქმეზე გრძელდება გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 14 წლამდე ვადით“, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

მთავარი პროკურატურა, ასევე, განმარტავს, რა შეცდომა დაუშვა იური ვაზაგაშვილის აფეთქებაში ბრალდებულმა გია სოსანაშვილმა. ირაკლი შოთაძის განცხადებით, საფლავზე აფეთქებული ხელყუმბარის ნანილზე, ე.წ. ფალიის სახელურზე გადაკრულმა საიზოლაციო ლენტმა უზრუნველყო ის, რომ დნმ-ის კვალი დარჩა.

P.S. გია სოსანაშვილის ადვოკატის, სოსო ჯოგლიძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს იური ვაზაგაშვილი არ მოუკლავს. “მის მიერ აღნიშნული დანაშაული არ არის ჩადენილი. ეს არის ყველაფერი თითიდან გამოწოვილი. არსებობს მტკიცებულებები, რომელიც მის უდანაშაულობას დამტკიცებს. როდესაც განხორციელებული იყო ზარები, რა დროს სად იმყოფებოდა ამის მოწმეები არსებობენ”, - აღნიშნა ადვოკატმა „რუსთავი2“-თან საუბარში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ფინანსურ დაზვერვას“ კვლავაც ადეიშვილი აკონტროლებს?!

ვინ არიან ძმები როინიშვილები და რა კავშირი აქვთ მათ იუსტიციის ყოფილ მინისტრთან?

მირიან ბოქოლიშვილი

ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელსაც დასავლეთში „ფინანსურ დაზვერვასაც“ უწოდებენ, საქართველოში 2003 წელს ჩამოყალიბდა და ის ეროვნული ბანკთან ფუნქციონირებდა. დებულების თანახმად, ამ სამსახურის ფუნქციაა საეჭვო და ზღვარს ზემოთ (30 000 ლარი) გარიგებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მისი დამუშავება და ანალიზი. ეს ორგანო ვალდებულია ფულის გათეთრების, ან ტერორიზმის დაფინანსების თაობაზე საეჭვო სქემების ან გარიგებების გამოვლენის შემთხვევაში სათანადო ინფორმაცია გადააგზავნოს სამართალდამცავ ორგანოებში, თუმცა ჩვენი რესპონდენტი, ადვოკატი გიორგი ფოფხაძე ყვება, რომ დამუშავებული ინფორმაცია არათუ საგამოძიებო ორგანოებში, არამედ კიევსა და ბუდაპეშტში, ზურაბ ადეიშვილთან მიდის, ვინაიდან დღესაც სწორედ ადეიშვილის ერთგული კადრი ხელმძღვანელობს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

სანამ ფოფხაძესთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ხშირად პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლაში ადანაშაულებდნენ. ამ სამსახურის ანგარიშზეა 2012 წლის ივლისში კახი კალაძის ანგარიშების დაყადაღება, ასევე, „გლობალ ტვ“-ს ანტენების დაყადაღებასთან დაკავშირებული სკანდალი და სხვ. 2014 წლის გაზაფხულზე, ცხარე დებატების ფონზე პარლამენტმა შეცვალა ამ სამსახურის დაქვემდებარება და ის ეროვნული ბანკის ნაცვლად, მთავრობის ქოლგის ქვეშ მოექცა, თუმცა უცვლელი დარჩა უწყების ხელმძღვანელი, მიხეილ როინიშვილი.

გიორგი ფოფხაძე, ადვოკატი:

– დღეს არსებული მდგომარეობით ეროვნულ ბანკსაც და აღნიშნულ სამსახურსაც კვლავაც ის ძველი კადრები ხელმძღვანელობენ, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიაში, კერძოდ, საუბარი მაქვს ბატონებზე გიორგი ქადაგიძესა და მიხეილ როინიშვილზე. ქადაგიძეზე აღარ შევაჩერებ თქვენი მკითხველის ყურადღებას, მის შესახებ საზოგადოება ინფორმირებულია, ერთი მხრივ, „ქართუ ბანკის“ გაკოტრების სქემაში მონაწილეობით, რომელიც რატომღაც დღემდე გამოუძიებელია, და მეორე მხრივ, დღევანდელი

EXCLUSIVE

ლარის კურსის რყევების ფონზე მისი როლითა და განცხადებებით, რომელიც ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

– რამდენი ხანია, რაც ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიხეილ როინიშვილი ხელმძღვანელობს?

– 2008 წლიდან. მაქვს ინფორმაცია, რომ ეს ხალხი დღესაც აგრძელებს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, შესაბამისი დასკვნებისა და გეგმების დასახვისთვის ბუდაპეშტსა თუ კიევში მათ გადაგზავნასა და, სავარაუდოდ, პატრონების მხრიდან კონკრეტული შეკვეთების განხორციელებასა და ახალი დავალებების მიღებას.

– რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეს უწყება მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა?

– საპარლამენტო განხილვებისას ხელისუფლების მთავარი პოლიტიკური არგუმენტი სწორედ ის მოსაზრება იყო, რომ სამსახური დაკომპლექტებული იყო ადეიშვილისდროინდელი კადრებით და საჭირო იყო სამსახურის რეფორმირება საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ცვლილებები პარლამენტმა 2014 წლის 29 მაისს მიიღო 1-ლი ივლისიდან ამოქმედების პირობით, თუმცა მთავრობას დღემდე ამ სამსახურში არათუ რაიმე საკადრო გადაწყვეტილება (გარდა დებულებისა და საშტატო ნუსხის ფორმალური გადამტკიცება-გადაკატავებისა) არ მიუღია, არამედ უფრო მეტიც, 2014 წლის შემოდგომაზე პარლამენტში შევიდა ინიციატივით, რომლითაც უარი განაცხადა ამ სამსახურის სახელმწიფო კონტროლზე. სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობისგან უარის თქმა, ცალსახად ნიშნავს სამსახურის უფროსისთვის ერთპიროვნული ძალაუფლების გადაცემას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის, როგორც შემაკავებლის, არარსებობის პირობებში.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ მოხდა ამ სამსახურის ხელმძღვანელობის გამოცვლა?

– ეს ჩემთვისაც გაუგებარია. მეც მაქვს კითხვა, როდის დაიწყება სამსახურის ხელმძღვანელობის განვლილი საქმიანობის შესწავლა და შეფასება, როდესაც არსებობს ყოველნაირი საფუძველი, კერძოდ კი, საზოგადოებისთვის ცნობილია მისი როლი იმ რეპრესიულ კამპანიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვეყანაში 2012 წლის არჩევნებამდე. დამოუკიდებლობის ეგიდით ასეთი უკონტროლობის მირთმევა, ერთიორად ზრდის სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების, სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის შესაძლებლობას და საფრთხეს უქმნის ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებებს, რომ არაფერი ვთქვათ საფინანსო სისტემის რეპუტაციასა და ხელისუფლების იმიჯზე.

„ეს ხალხი დღესაც აგრძელებს საჭირო ინფორმაციის მოპოვებას, შესაბამისი დასკვნებისა და გეგმების დასახვისთვის ბუდაპეშტსა თუ კიევში მათ გადაგზავნას“

– როგორც ცნობილია, საკანონმდებლო ცვლილებებით, ამ სამსახურს მიენიჭა უფლება, ადვოკატებისგანაც კი გამოითხოვოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია... რა პრობლემებს შეუქმნის ეს ადვოკატთა კორპუსს?

– დიახ, სულ რამდენიმე თვეა საქართველოში მოქმედ ყველა ადვოკატს კანონმდებლობით გაუჩნდა ვალდებულება, საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. მეტიც, სამსახურს უფლება აქვს ნებისმიერი ადვოკატისაგან გამოითხოვოს და მიიღოს მის ხელთ არსებული დოკუმენტები, მათ შორის, კონფიდენციალური, ნებისმიერი გარიგების, გარიგების დადების ან შესრულების მცდელობის და მისი მონაწილე პირების შესახებ, ასევე, ნებისმიერი სხვა ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, ადვოკატებს გვიჩნდება სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობის რისკი, ერთი მხრივ, კანონისა და სახელმწიფოს წინაშე, მეორე მხრივ, ჩვენი კლიენტების წინაშე, – ვის უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, როდესაც არსებობს მაღალი საფრთხე იმისა, რომ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია მოხვდეს იმ პირების ხელში, რომლებიც თავად იყვნენ ჩართულნი უკანონო და კორუფციულ საქმიანობაში? გამოიყენებენ კი ისინი ამ ინფორმაციას დანიშნულებისამებრ? ხომ არ „გადაიგზავნება“ ის ბუდაპეშტსა თუ კიევში? მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მოვუწოდო, როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებას, მათ შორის, საგამოძიებო ორგანოებს, აგრეთვე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საბჭოს, რომლის შემადგენლობაში ჩვენც, ადვოკატებიც, ვართ წარმოდგენილნი ადვოკატთა ასოციაციის სახით, დროულად განხორციელდეს დასმული საკითხების შესწავლა, გამოძიება და საზოგადოების ინტერესებისადმი თანმხვედრი, საკადრო თუ სტრუქტურული გადაწყვეტილებების მიღება.

რა კავშირი აქვს მიხეილ როინიშვილს ზურაბ ადეიშვილთან და მართლაც ჟონავს თუ არა ინფორმაცია ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან ბუდაპეშტში, ან კიევში? სამწუხაროდ, თავად როინიშვილთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. დაბოლოს, მკითხველს აქვე მოვუყვებით ერთ საინტერესო ფაქტს: მიხეილ როინიშვილის ძმა, ვასილ როინიშვილის ასევე ზურაბ ადეიშვილის კადრად მოიაზრებოდა. მას ამჟამად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი უკავია, რომელიც ამავდროულად სამოქალაქო საქმეთა პალატას ხელმძღვანელობს. ვასილ როინიშვილი სასამართლო სისტემაში პროკურატურიდან მოხვდა. 2004 წელს ის უშიშროების სამინისტროში მუშაობდა, 2004-2006 წლებში კი გენერალურ პროკურატურაში საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2006-2008 წლებში აჭარის პროკურორის თანამდებობა ეკავა, ხოლო 2009 წელს მთავარი პროკურორის მოადგილეც კი გახლდათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აფრასიძეების მონად შერაცხილი ვლადიმერ მურავიოვი აღაპარაკდა

მარიამ ნადირაძე

EXCLUSIVE

„ამ დანაშაულის გამო გია ბარამიძემ და მიხეილ სააკაშვილმა უნდა აგონ პასუხი“

ელექტრონულ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის შემდეგ, სამართლიანობის აღდგენის ფარგლებში, მორიგი გახსნილი საქმე სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაცია იქნება. მეტიც, გამოითქმება დამაჯერებელი ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ ფაქტზე სულ მალე გამოძიება პარლამენტს მიმართავს გია ბარამიძისთვის იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით, ვინაიდან პერსპექტიული ბრალდებულების სიაში ნომერი პირველი სწორედ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ამჟამად კი დეპუტატი უმცირესობიდან შეიძლება გახდეს.

ამ ფონზე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს პირთან, რომელიც ე.წ. „აფრასიძეების საქმის“ ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო ბრალდებისთვის. ეს გახლავთ ვლადიმერ მურავიოვი, რომლის ჩვენებაზე დაყრდნობითაც ნაციონალების ხელისუფლება ადასტურებდა, რომ ეს ოჯახი მონათმფლობელური წესით ცხოვრობდა და ამ ადამიანს მონასავით ექცეოდნენ – ამუშავებდნენ ისე, რომ საჭმელსაც არ აჭმევდნენ.

ამ ლეგენდის შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვენს გაოცებას გამოიწვევდა ის ფაქტი, რომ ვლადიმერ მურავიოვი ისევ აფრასიძეების ოჯახში აღმოვაჩინეთ.

რა თქმა უნდა, გთავაზობთ სკანდალურ ინტერვიუს ვლადიმერ მურავიოვთან, რომელიც მრავალწლიანი პაუზის შემდეგ სწორედ „პრაიმტაიმთან“ ალაპარაკდა:

– ამბობდნენ, რომ აფრასიძეების ოჯახში თქვენ მონასავით გექცეოდნენ. ამის შესახებ თქვენც კი გაქვთ მიცემული ჩვენება...

– მონად რომ მეგრძნო თავი, პატიმრობის შემდეგ ისევ ამ ოჯახში არ დავბრუნდებოდი. მე ამ ოჯახში სოხუმის ომის შემდეგ მოვხვდი. იქ აფხაზებმა დამჭრეს. ამ ომამდე გულრიფშის სატყეო მეურნეობაში ვმუშაობდი, სადაც ჩემი უფროსი იყო აფრასიძეების ნათესავი. ასე რომ, მე ამ ხალხს დიდი ხნის წინ ვიცნობდი. ომის დასრულების შემდეგ, დევნილებთან ერთად წამოვედი. თვითონ მივედი ამ ხალხთან. ოჯახის ნევრივით მექცეოდნენ...

– მაშინ, რატომ მიეცით გამოძიებას სულ სხვა ჩვენება?

– იძულებული გამხადეს. ღმერთმა დაიფაროს ყველა, რაც მე გადავიტანე. 8 საათი დენზე ვყავდი შეერთებული. სავარძელზე „სკოჩით“ ვიყავი მიბმული და მთელი ღამე მაწამებდნენ. თავსაც იწონებდნენ, – შენნაირები გაგვიტეხიაო?

– ე.ი. წინააღმდეგობას უწევდით?

– ვეუბნებოდი, რაც თქვენ გინდათ, იმას ვერ ვიტყვი, მორწმუნე კაცი ვარ და ვიცი, ადამიანის ტყუილად დადანაშაულება ცოდვაა-მეთქი.

– თქვენ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაგიჭირეს, არა?

– დიახ, 2004 წლის 24 მარტს... როდესაც საჰაერო დარტყმები დაიწყეს, ზუსტად იმ დროს აბაზანას ვამზადებდი. ის-ის იყო, მის გასუფთავებას მოვრჩი და დიასახლისთან მივედი, რომ შტურმიც დაიწყო. ვერსად გაქცევა ვერ მოვასწარი და სახლში დავრჩი. ზუსტად იმ დროს მოკლეს ევგენი აფრასიძე.

– ეს თქვენ დაინახეთ?

– სახლში მე შემოვიყვანე გარდაცვლილი. ისეთი სროლები იყო, გარეთ ცხვირის გაყოფაც შეუძლებელი იყო. როდესაც ჩემამდე მოვიდნენ და დამაკავეს, მაშინვე დამინყეს სასტიკად ცემა. ვეუბნებოდი, არაფერი ვიცი-მეთქი. დამცინოდნენ, – ყველაფერს გაიგებ, ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის „სპეცნაზი“ ვართო. ცხვირი გამიტეხეს. როდესაც ხელები ამომიტრიალეს და ძირს დამაწვინეს, დავინახე, რომ გოჩას ზურგში დაარტყეს „შტიკნოჟი“...

– ამ სპეცოპერაციის დროს მთავრობის წარმომადგენელი ვინმე ნახეთ?

– გიორგი ბარამიძე ვნახე მხოლოდ. როდესაც ხელბორკილდადებულები ვერტმფრენისკენ მივყავდით, სწორედ მაშინ ჩამოვიდა ბარამიძე ვერტმფრენიდან და სახლისკენ გაემართა. გაბადრული სახე ჰქონდა. ისე დასეირნობდა, თითქოს იქაურობის ბატონ-პატრონი იყო. მერე ჩვენ ჯერ ქუთაისში წაგვიყვანეს, იქიდან – ზუგდიდში. გზადაგზა სიკვდილამდე გვცემდნენ. თბილისში რომ მოვყავდით მანქანით, გაჩერდნენ და გადასვლა მიბრძანეს. რომ გადავიდე, ვიცი, მესვრით-მეთქი. მათ კი მიპასუხეს, მადლობა თქვი, რომ აქამდე ცოცხალი ხარ. ბრძანება გვქონდა, ყველა დაგვეხოცაო. მაშინ გავიგე, რა სახის ბრძანება ჰქონდა „სპეცნაზს“ მიღებული.

– უკვე პატიმარი იყავით, როდესაც სოფელ ეცერში საფლავები გათხრევინეს, თითქოს იქ კახი კალაძის გატაცებული ძმა იყო დამარხული?

– დიახ, ციხიდან წამიყვანეს. ირაკლი ქადაგიძე იყო იქ და ბერდია ხვისტანი. მესამეს გვარი არ მახსოვს. იმათ შემაერთეს დენზე 8 საათის განმავლობაში. მკარნახობდნენ, ჩვენებაში რა უნდა მეთქვა. მეუბნებოდნენ, შენთვის ჩვენი გენერალი ღმერთია. თუ იმას იტყვი, რაც მას უნდა, ხვალ თავისუფლებაზე იქნებიო. არ მინდოდა ასეთი თავისუფლება.

– გენერალში ვის გულისხმობდნენ?

– ირაკლი ქადაგიძეს. თუ ის იტყოდა, გამიშვებდნენ. ისეთ რამეს აკეთებდნენ, ღმერთმა უწყის. არ ჰქონდათ ჩემი ციხიდან გაყვანის უფლება, მაგრამ მაინც წამიყვანეს ეცერში. იმ საფლავების გათხრას მინისტრის მოადგილე, ლევან გვაზავა ხელმძღვანელობდა.

– ვისი საფლავები გათხრევინეს რეალურად?

– არ ვიცი, მიტოვებული სასაფლაო იყო. მაიძულეს, მეთქვა, რომ აქ დამარხეს აფრასიძეებმა ლევან კალაძე.

– გინდათ თქვათ, რომ თქვენი აღიარებითი ჩვენება მხოლოდ და მხოლოდ წამების შედეგი იყო?

– რა თქმა უნდა. ასეთი წამების დროს მეუბნებოდნენ, ვინც არ გვიჯერებს, შემთხვევით ვარდება ფანჯრიდანო. იმ დროს კი მეშვიდე სართულზე ვიყავით, ირაკლი ქადაგიძის კაბინეტის წინ. ზუსტად მახსოვს განლაგება, შემიძლია დაზუსტებით აღვწერო, სად რას აკეთებდნენ.

– პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ არ გიფიქრიათ, საჩივარი შეგეტანათ პროკურატურაში?

– არ შემიტანია საჩივარი. დიდი ხანია, ამ ყველაფრის მოყოლა მინდოდა. პირველად თქვენთან ვყვები ამის შესახებ. მახსოვს, როდესაც მეშვიდე საპყრობილეში ვიყავი, იქ ზურაბ ადეიშვილი მოვიდა. ვუთხარი, ბატონო პროკურორო, შეგიძლიათ, მითხრათ, რატომ გყავართ დაპატიმრებული-მეთქი... შენ როგორ ფიქრობ? ალბათ, იმიტომ, რომ რუსი ვარ-მეთქი. ასეთი მუხლი არ არსებობსო. მაშინ რატომ ვარ ციხეში-მეთქი. ე.ი. დაიმსახურეო, – ზუსტად ასე მითხრა. საბოლოოდ, 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს. იყო კიდევ ერთი ასეთი ფაქტი – პატიმრობის დროს ციხიდან წამიყვანა თამაზ გოგინაშვილმა, გეხსომებათ გატაცებული გოგონა, მარიამ გოგინაშვილი. მისი მამა იყო. 4 დღე ვყავდი სახლში გამოკეტილი. ისიც ცდილობდა, გაეგო ჩემგან, აფრასიძეებთან მიიყვანეს თუ არა მისი ქალიშვილი. მასთან ხშირად მოდიოდა ლევან გვაზავა. ორჯერ მერაბიშვილიც იყო. როდესაც ეს ხალხი მოდიოდა, მე ცალკე ოთახში მკეტავდნენ გასაღებით. თვითონ მეორე სართულზე ადიოდნენ. 4 დღის შემდეგ ისევ ციხეში დამაბრუნეს.

– მეუბნებით, რომ აფრასიძეების ოჯახის განადგურებაზე ბრძანება იყო გაცემული. რატომ უნდოდათ მათი განადგურება?

– ჩემი აზრით, სააკაშვილი ვერ იტანდა ავტორიტეტებს. რა დასკვნების გამოტანის საშუალებასაც მე საქართველოში ყოფნის გამოცდილება მაძლევს, ის ასეთი ხალხის გზიდან ჩამოცილებას ცდილობდა მუდმივად. ამ ოჯახს კი სვანეთში მართლაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

– ამბობენ, რომ ბოლო დროს ეცერის სპეცოპერაციის შესახებ გამოძიება ინტენსიურად მიდის. თქვენგან ჩვენება არ აუღიათ გამომძიებლებს?

– არა.

– არც ოჯახის წევრებისგან?

– მე როგორც ვიცი, არც მათგან. თუ ძიება მიდის, კარგია. ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც ამაში ხელი გაისვარა.

– ვინ არის ეს ხალხი?

– უამრავი ადამიანი იყო... მაგრამ ყველაზე მეტად ამ დანაშაულის გამო გია ბარამიძემ და მიხეილ სააკაშვილმა უნდა აგონ პასუხი. სააკაშვილი თვითონ აცხადებდა, რომ ამ ვანდალური ბრძანების ავტორი თავად იყო.



რას იხსენებს ეცერის სპეცოპერაციის მთავარი მოწმე 11 წლის შემდეგ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟვანიას საქმეზე გამოძიება ახალ ვერსიას ამოწმებს

„ყოფილ ხელისუფლებას საქმის გაყალბებისა და მტკიცებულებების განადგურების ბევრი მცდელობა ჰქონდა“

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

თუ სოსო რობაქიძეს დავუჯერებთ, პროკურატურა უახლოეს მომავალში ზურაბ ჟვანიას საქმეს გახსნილად გამოაცხადებს, თუმცა არსებობს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გამოძიება ჯერაც ვერ აზუსტებს მკვლელობის ფაქტს. ერთადერთ იმედად ექსჰუმაცია რჩება. თუმცა, თუ ამ საპროცესო მოქმედებამაც სერიოზული მტკიცებულება ვერ მისცა გამოძიებას, ამ შემთხვევაში ის საქმეს გახსნილად, რა თქმა უნდა, მაინც გამოაცხადებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პასუხისგებაში მიეცემიან პირები, ვინც დანაშაულის გაყალბებაში მიიღო მონაწილეობა, რა თქმა უნდა, ისიც, ვინც ამ გაყალბებებს „დირიჟორობდა“. რაც შეეხება თავად მკვლელობის მოტივებისა და უშუალო მონაწილეების დაუდგენლობას, გამოძიება ამას შემთხვევიდან დიდი დროის გასვლითა და ჩადენილი ფალსიფიკაციებით ახსნის.

ამ მოსაზრებას ის ფაქტიც ამყარებს, რომ ყველა, ვინც აქამდე მიეცა პასუხისგებაში ჟვანიას საქმის ფარგლებში, მხოლოდ სამსახურებრივი დანაშაულის ჩადენაში იმხილება. მათ შორის გასულ კვირას ბრალდებული ყოფილი მთავარი პროკურორი და საექსპერტო ბიუროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირიც, რომლებმაც პროკურატურის ოფიციალური განცხადების მიხედვით, გაყალბეს ერთ-ერთი მთავარი ნივთმტკიცება – შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სუფრის შემადგენელი პროდუქტები. რა თქმა უნდა, გამყალბებელთა ჯაჭვი დიდი წარმატებით შეიძლება მივიდეს, სააკაშვილამდეც, რომელიც, სავარაუდოდ, მთავარ გამყალბებლად მოინათლება. თუმცა, როდესაც საკითხი მიდგება მოტივზე, რის გამო გასცემდა ყოფილი პრეზიდენტი საქმის ფალსიფიკაციაზე ბრძანებას, გამოძიება, სავარაუდოდ, სნორედ აქ შევა ჩიხში.

რა თქმა უნდა, ეს მონახაზი „პრაიმტაიმმა“ გარდაცვლილი პრემიერის ძმასთან, გოგლა ჟვანიასთან საუბრის დროსაც განიხილა. თუმცა მხოლოდ ეს არ გამხდარა ჩვენი დიალოგის ერთადერთი თემა...

მოგეხსენებათ, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანები ჟვანიას მკვლელობის სხვადასხვა ადგილს ასახელებდნენ. იყო წყნეთი, ოქროყანა, შავნაბადას რეზიდენცია. ბოლო ხანს კი „ადამიანის უფლებათა ცენტრმა საზოგადოებას სააკაშვილის ყოფილი სნაიპერის, თეიმურაზ გვარაძის წერილი წარუდგინა, რომელიც სრულიად ახალ ვითარებას აღწერს და პროკურატურას მის დაკითხვას სთხოვს. ის ირწმუნება, რომ სერიოზულ ინფორმაციებს ფლობს ლაფანყურისა და ჟვანიას მკვლელობის საქმეებზე. მის წერილში ვკითხულობთ: „ზურაბ ჟვანიასა და უსუპოვის მკვლელობა მოხდა კახეთში, ფაქტს 11 პირი ესწრებოდა და 3 მათგანი ამჟამად მინისტრია“. ვერაფერს იტყვი, დამაინტრიგებელი განცხადებაა. რა თქმა უნდა, თემის დაკონკრეტების მიზნით „პრაიმტაიმი“ გვარაძის ადვოკატს, **ნესტან ლონდარიძეს** დაუკავშირდა:

– მსჯავრდადებული ითხოვს დაკითხვას, რაც მისი სამართლიანი უფლებაა. ამის გარდა, ის ირწმუნება, რომ მას შეუძლია ეს ყველაფერი დაამტკიცოს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა პროკურატურას მისი დაკითხვა. ეს ადამიანი 2 წელია ითხოვს ამას.

– არსებობს მოსაზრება, რომ მას შეიძლება ფსიქიკური პრობლემები ჰქონდეს...

– ის ორჯერ არის ნასამართლევი და არც ერთხელ არ დამდგარა ეს საკითხი. თუმცა გვარაძე მზად არის, ჩაიტაროს გამოკვლევა და ამ გამოკვლევის პასუხიც გამოქვეყნდეს.

– ის ჯერ აცხადებდა, რომ გამოძიებისთვის შეიძლებოდა მნიშვნელოვანი მოწმე გამხდარიყო ლაფანყურის საქმეზე. ორი წლის შემდეგ რატომღაც ახსენდება, რომ ჟვანიას საქმეზეც მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს...

– როდესაც ჩვენ ლაფანყურთან დაკავშირებით გავაკეთეთ განცხადება, იქვე ვთქვით, რომ მას ჰქონდა ინფორმაციები ჟვანიას საქმეზეც. უბრალოდ, მაშინ ჩავთვალეთ, რომ ამ ინფორმაციის ასეთი სახით გავრცელება უხიფათო არ იქნებოდა და სჯობდა, დაკითხულიყო. რაკი ეს ასე არ მოხდა, ამიტომ მიიჩნია საჭიროდ, რომ ეს ინფორმაცია ასეთი სახით გაეჟღერებინა.

– სამ ადამიანზე საუბრობს მკვლელობის მოწმედ, რომლებიც დღესაც მინისტრები არიან. მათი ვინაობა თქვენთანაც არ დაუკონკრეტებია?

– არა, მსჯავრდადებული მიიჩნევს, რომ იმ სამი მინისტრის ვინაობის ცოდნა ჩემთვის სახიფათო იქნება.

გვარაძის ამ ინფორმაციას არასერიოზულად მიიჩნევს გოგლა ჟვანია, თუმცა, მან მაინც სთხოვა პროკურატურას ამის გადამოწმება...

გოგლა ჟვანია:

– ასეთი სახის განცხადება არადამაჯერებელია. ასეთი არაერთი განცხადება შემოსულა პროკურატურაში, ზოგი შეგნებულად ვრცელდება. ამის მიუხედავად, ყველა მათგანი მოწმდება.

– ეს ინფორმაციაც გადამოწმდა?

– როგორც ვიცი, ამ ინფორმაციასაც გადაამოწმებენ. უკვე ვესაუბრე პროკურატურას ამის შესახებ.

– გამორიცხავთ, რომ შესაძლებელია ხელისუფლებაში იყვნენ პირები, რომლებიც თქვენი ძმის საქმეზე მინიმუმ ინფორმირებულნი შეიძლება იყვნენ?

– გამოვრიცხავ, ვინაიდან ხელისუფლებაში ასეთი პირების არსებობის შემთხვევაში ეს საქმე ბევრად წინ წავიდოდა.

– კონკრეტული ადამიანები აცხადებენ, რომ ვაზაგაშვილის შემდეგ პროკურატურა ამ საქმეს გახსნის...

– რიგითობის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა, დანამდვილებით ვიცი, რომ საქმე აუცილებლად გაიხსნება.

– თქვენ მოსალოდნელი ბრალდებულების შთამბეჭდავი სია დაანონსეთ. ხომ ვერ დაგვიკონკრეტებთ ჩამონათვალს?

– საქმე გაიხსნება და ყველა ყველაფერს ნახავს.

– არსებობს მოსაზრება, რომ გამოძიება მხოლოდ გამყალბებლებით შემოიფარგლება, მაგრამ მკვლელობას ვერ დაადგენს, ვინაიდან დიდი დროა გასული და საქმის გაყალბების არაერთგზის მცდელობამაც თავისი შედეგი გამოიღო...

– თქვენ მართალს ბრძანებთ. დიდი დრო გავიდა მართლაც. ყოფილ ხელისუფლებას საქმის გაყალბებისა და მტკიცებულებების განადგურების ბევრი მცდელობა ჰქონდა. მაგრამ რაღაც მაინც გამორჩა და ყველაფერი ისე არ გამოუვიდა, როგორც წარმოედგინა. ასე რომ, ეს საქმე აუცილებლად გაიხსნება.

რა გამორჩა ყოფილ ხელისუფლებას?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამხედრო ნაწილებში დებოში მზადდება?!

რა მოხდა ლოჯისტიკის ბაზაზე?

„ოფიცერი გამოვიდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, დაიწყო პირდაპირი მოწოდება, რომ წავიდეთ უკრაინაში“

მირიან ბოქოლიშვილი

ინციდენტი, რომლის შესახებაც ახლა გიამბობთ, თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის ბაზაზე მოხდა. ყოველ შემთხვევაში ასე ყვება ჩვენი რესპონდენტი. „პრაიმტაიმი“ ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ნამდვილად ვერ დადებს, მაგრამ შესაბამისი უწყებები ამ ფაქტის გადამოწმებას, ალბათ, ადვილად მოახერხებენ, რამეთუ შეიარაღებულ ძალებში შესაძლო პროვოკაციაზეა საუბარი.

ბატალიონ „ავაზას“ ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი ტრისტან წითელაშვილი, რომელიც ყოფილ ხელისუფლებას აქტიურად უპირისპირდება, ამბობს, რომ უკრაინაში მებრძოლი ქართველები პირდაპირ კონტაქტზე არიან თავდაცვის სამინისტროს რიგი მაღალი თანამდებობის პირებთან. წითელაშვილი კონკრეტულ გვარებსაც ასახელებს და შესაბამის უწყებებს რეაგირებისკენ მოუწოდებს. წითელაშვილი ირწმუნება, რომ კიევში მოქმედი ქართული შტაბი საქართველოში უკრაინული სცენარის განვითარებაზე მუშაობს, მათთან კონტაქტზე მყოფი თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები კი ჯარში საბოტაჟს აღვივებენ.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია, რეალურად რა მოხდა ლოჯისტიკის ბაზაზე? ვინ გეგმავს შეიარაღებულ ძალებში პროვოკაციას და რამდენად შეესაბამება სიმართლეს წითელაშვილის ნაამბობი, რომელიც ამტკიცებს:

– ამ ადამიანებს დღეს კავშირი აქვთ ძალოვანი უწყების მოქმედ თანამშრომლებთან. მაგალითად, თავდაცვის სამინისტროში პირდაპირ კონტაქტზე არიან ლოჯისტიკის სარდალ გიორგი კერესელიძესთან.

გიორგი კერესელიძე: „აბსურდი და სისულელეა, რასაც ამბობს. არანაირი საუბარი დავით მაგიშვილთან არ მქონია“

„უკრაინაში მებრძოლ დავით მაგიშვილს სატელეფონო საუბარი ჰქონდა კერესელიძესთან. პირდაპირ მითითება მისცეს კერესელიძეს, რომ პირად შემადგენლობაში შეექმნა არაჯანსაღი სიტუაცია“

კერესელიძე იქიდან იღებს დირექტივებს, როგორ უნდა შექმნას არაჯანსაღი სიტუაცია თავდაცვის სამინისტროში.

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– მაქვს ინფორმაცია. უკრაინაში მებრძოლ დავით მარგიშვილს სატელეფონო საუბარი ჰქონდა კერესელიძესთან. პირდაპირ მითითება მისცეს კერესელიძეს, რომ პირად შემადგენლობაში შეექმნა არაჯანსაღი სიტუაცია. უნდა განევითარებინა აზრი, რომ უკრაინაში ჩვენი ძმები იღუპებიან და ამ დროს ჩვენ აქ რას ვაკეთებთ? გულხელდაკრეფილები ვსხედვართო... ასეთი შეფარული უკმაყოფილება ღვივდება ჯარში. დაახლოებით ორი კვირის წინ, ოფიცერი გამოვიდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, დაიწყო პირდაპირი მოწოდება, რომ წავიდეთ უკრაინაში. ეს იყო ოფიცერი გიორგი გოგიძე. ბუნებრივია, ჩაერთო სამხედრო პოლიცია, კონტრდაზვერვაც, ამის იქით საქმე არ წასულა.

– ანუ ეს ინციდენტი უშუალოდ სამხედრო ბაზაზე მოხდა?

– დიახ. გოგიძეს, უბრალოდ, დაავალეს და თქვა ის, რაც უთხრეს. მერე გაავრცელეს ჭორები, რომ თითქოს ეს ოფიცერი ნასვამი იყო და მას წამოსცდა რაღაცები. როგორ ხვდება სამხედრო ნაწილში ნასვამი ჯარისკაცი? რა თქმა უნდა, ეს გამორიცხულია. ხაზგასმით მინდა გითხრათ, რომ დღეს თავდაცვის სამინისტროში 70 პროცენტი ისევ ბაჩო ახალაია კადრია. იქ თუ ქვედა რგოლი არ შეიცვალა, ნებისმიერ დროს შეიძლება სიტუაციის აფეთქება.

„პრაიმტაიმი“ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ლოჯისტიკის სარდალს, გიორგი კერესელიძეს ესაუბრა, რომელიც წითელაშვილის განცხადებას ცილისწამებას უწოდებს.

გიორგი კერესელიძე, ლოჯისტიკის სარდალი:

– აბსურდი და სისულელეა, რასაც ამბობს. არანაირი საუბარი დავით მაგიშვილთან არ მქონია. ეს კაცი არ მინახავს და მასთან არ მისაუბრია ბოლო ორი წელია ლამის. საზღვარი აქვს უკვე ამ სიცრუეებსა და ცილისწამებებს.

– ოფიცერ გიორგი გოგიძესთან დაკავშირებით თუ ყოფილა რაიმე ინციდენტი?

– პირველად მესმის თქვენგან. ასეთ ოფიცერს ვერ ვიხსენებ. უამრავ ოფიცერთან მქონია შეხება, ყველას სახელი და გვარი ზეპირად არ ვიცი, მაგრამ ასეთი ინციდენტი ნამდვილად არ ყოფილა.

გიორგი კერესელიძე, ასევე, უარყოფს ბრალდებას, რომელიც მას ოფიციალურადაც კი ჰქონდა წარდგენილი. თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სარდალი სამხედრო პოლიციამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში დააპატიმრა. მას ბრალი ედებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სამხედროების მიმართ ძალადობრივი ქმედებების გამოყენებაში. საქმე ეხება 2012 წლის არჩევნებამდე გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების ცემისა და არაადამიანური მიპყრობის ფაქტს. ითქვა, რომ სარდალი კერესელიძე ავტობატალიონში მძღოლების მიერ საწვავის გადახარჯვამ გააღიზიანა, რის გამოც მან ჯარისკაცები გააშიშვლა, ფიზიკურად გაუსწორდა, ორმოში ჩაყარა და თავზე საწვავი გადაასხა.

მოკლედ, კერესელიძეს ბრალი წაუყენეს, პროკურატურა მისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, თუმცა 2013 წლის 13 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ მას თავდებში ჩაუდგნენ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები, მათ შორის მინისტრის მოადგილე. სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და კერესელიძე თავდების ქვეშ გაათავისუფლა. მეტიც, მალევე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ბრალდებული სარდალი საკუთარ პოსტზე აღადგინეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის ვაჟის მკვლელი სასამართლომ გაუშვა...



მოწმე, რომელსაც ჩვენება არ მიუცია, „პრაიმტაიმთან“ საუბრობს

მარიამ ნადირაძე

სკანდალური მკვლელობა, სადაც მსხვერპლი უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის ვაჟია, შემსრულებლები სასაზღვრო დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელობასთან კავშირში იმხილებიან, მოტივი კი რუსი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკის საქართველოში საიდუმლო ვიზიტს უკავშირდება, ერთხელ უკვე იყო „პრაიმტაიმის“ ერთი სტატიის თემა.

ამ ისტორიას ერთი მიზეზით ვუბრუნდებით: პირველად მედიასივრცეში ამ სკანდალური მკვლელობის შესახებ საუბრობს მოწმე, რომლის დაკითხვა გამოძიებას აზრადაც არ მოსვლია. ის კი, არც მეტი, არც ნაკლები, უშიშროების საგამოძიებო სამსახურის ყოფილი უფროსი, მალხაზ სალაყაიაა.

თუმცა, სანამ ჩვენი რესპონდენტი თხრობას შეუდგება, მოკლედ გიამბობთ ისტორიის ფაბულას:

ვარდების რევოლუციიდან ერთ კვირაში საქართველოს პლატონ ელენინის სახელით ბორის ბერეზოვსკი ეწვია. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბერეზოვსკის ეს პარტიზანული ვიზიტი 2 მილიონი დაუჯდა, საიდანაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტს თავისი დამსახურებული წილი ერგო.

ოლიგარქის ვიზიტიდან მეორე დღეს, ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ე.წ. უშიშროების კორპუსში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, დავით ჩხეიძე დააყაჩაღეს. მას ჯიბეში 25 ათასი დოლარი ჰქონდა და დეპარტამენტის უფროსის, ვალერი ჩხეიძის სახლისკენ მიემართებოდა. ყაჩაღობას შემთხვევით შეესწრო უშიშროების თანამშრომელი, ირაკლი ბასილაშვილი, რომელიც იმავე სახლში ცხოვრობდა და სამსახურიდან შესვენებაზე გამოსულს სამი წლის ქალიშვილისთვის ტკბილეული მიჰქონდა. თავდამსხმელებმა დავით ჩხეიძეს თავში ჩაარტყეს ბლაგვი საგანი. ირაკლი ბასილაშვილს კი ზურგში ესროლეს.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, მოგვიანებით დავით ჩხეიძესთან ოპერატიულ მუშაობას ქალაქის სამძებროს მაშინდელი უფროსი, ან უკვე გარდაცვლილი დავით კეკუა ანარმოებდა. ამდენად, არავის გაუკვირდება, თუ აღმოჩნდება, რომ ვერსია დეპარტამენტის შეფისთვის ბერეზოვსკის მიერ გადახდილი თანხიდან წილის წაღების შესახებ უკვე დაარქივებულ ოპერატიულ მასალებში აისახა... თავდამსხმელების გეგმით, ფულის წარმომავლობის გამო დავით ჩხეიძე ყაჩაღობის ფაქტს ვერ გაამხელდა. თუმცა გეგმა შემთხვევითმა მოწმემ ჩაშალა, რის გამოც საჭირო გახდა მისი ლიკვიდაცია...

საქმე 11 წლის შემდეგ გაიხსნა, როდესაც 2014 წლის თებერვალში დააკავეს საზღვრის დაცვის ყოფილი მაღალჩინოსანი, მინდია არაბული, რომელიც ამ საქმეში სავარაუდო ორგანიზატორად გვევლინება, ასევე სამი შემსრულებლიდან ორი – გოჩა მახარობლიძე და მამუკა ჩიკვილაძე. დანაშაულის კვალიფიკაცია ასე განისაზღვრა – ყაჩაღური თავდასხმა, დასრულებული მსხვერპლით.

რამდენიმე თვის წინ სამივე ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაუშვეს, გაამართლეს. ჯერი ახლა აპელაციაზეა.

აი, ამ მოკლე ფაბულის შემდეგ გთავაზობთ ინტერვიუს მოწმესთან, რომელიც არავის დაუკითხავს...

მალხაზ სალაყაია:

– იმ დღეს, 2003 წლის 3 დეკემბერს შესვენებაზე დერეფანში შემხვდა ირაკლი. მას ბავშვობიდან ვიცნობდი, მინისტრის ყოფილი მოადგილის, კონსტანტინე ბასილაშვილის შვილი გახლდათ. ის ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, სახლში ასვლა მინდა მოვასწროო. ხელში პარკი ეჭირა ბანანით და მაწვნით. როდესაც შესვენებიდან უკან დავბრუნდი (უშიშროების სამინისტრო მაშინ დღევანდელი მოდულის შენობაში იყო განთავსებული. – მ.ნ.), გამომძიებელი შემოვიდა ჩემთან და მითხრა, ირაკლი ლიფტთან ნახეს გარდაცვლილიო. როდესაც მე მათ ოჯახში მივედი, ირაკლი უკვე მოსვენებული ჰყავდათ. მალევე შემოვიდა ჩვენი თანამშრომელი, რომელმაც როიალზე შემოდო ირაკლის ტანსაცმელი, რაც გარდაცვალებამდე ეცვა – ტყავის მოკლე ქურთუკი, ნაქსოვი მაისური და შიგნით ჩასაცმელი მაისური. ჩემი ყურადღება მიიპყრო ქურთუკმა, რომელსაც ემჩნეოდა ნახოხიალების კვალი. მოვკიდე ხელი, დავათვალიერე და აღმოვაჩინე, რომ მკლავის ქვემოთ, იღლიის ადგილზე ლოკალიზებული იყო ცეცხლის შედეგად გამოწვეული ნამწვის კვალი. შევყავი თითი და ვნახე, რომ პირდაპირპროპორციულად გახვრეტილი იყო სარჩულიც. იგივე ადგილზე იყო ნახვრეტი თბილ მაისურზეც. ბუნებრივია, ვნახე მიცვალებულის იღლიაც და აღმოვაჩინე ხალის ფორმის შავი წერტილი. მაშინვე ვუთხარი მამამისს, რომ ირაკლის ჰქონდა ნატყვიარი. გაოგნდა...

მალხაზ სალაყაია

– მანამდე არ იცოდნენ, რომ ცეცხლნასროლი ჭრილობა ჰქონდა?

– არა. როდესაც ფერწასული, გონებადაკარგული ირაკლი ნახეს, „ლეჩკომბინატში“ გადაიყვანეს. იქ რატომღაც ჩათვალეს, რომ ის ნარკოტიკული ზემოქმედებით იყო ფერმიხდილი. ნარკანიც გაუკეთებიათ და რაკი არ უშველა, ჩათვალეს, რომ ეს პროცედურა დაგვიანდა. არავის მოსვლია აზრად, რომ დაეთვალიერებინათ. ექსპერტიზის დასკვნით აღმოჩნდა, რომ ის მწვავე სისხლნაკლებობით გარდაიცვალა. დაზიანება ქურთუკზე მიბჯენითი სროლით იყო გამოწვეული. „პესეემის“ ტყვია ორგანიზმში იყო ჩარჩენილი.

– ეს ჭრილობა თქვენ რომ არ აღმოგეჩინათ, მასთან ერთად წავიდოდა იმ დღის საიდუმლო?

– გეთანხმებით... ფაქტია, რომ ვინც ირაკლის იარაღი მიაბჯინა, მას მკვლელობის განზრახვა ჰქონდა. ირაკლი ხომ იქ შემთხვევით მოხვდა? ის მოიშორეს, როგორც მოწმე. მას დეტალებში შეეძლო აღეწერა ადამიანები, რომლებიც მასთან ერთად მგზავრობდნენ ლიფტში. თავდამსხმელებმა, ბუნებრივია, საფრთხე შენიშნეს, ვინაიდან ოპერაცია ეშლებოდათ.

– ეს ყველაფერი გამოძიებისთვის მოყოლილი გაქვთ?

– ამ თხოვნით ჩემთვის არავის მოუმართავს. შესაბამისად, ირაკლი არის მსხვერპლი, რომლის მკვლელობაც გაუხსნელი დარჩა. ვინაიდან იმ პირების მიმართ, როგორც მე გავიგე, გამამართლებელი განაჩენი დამდგარა. გამოძიების მტკიცებით, ეს იყო გაუფრთხილებლობით მკვლელობა, რომლის ხანდაზმულობის ვადა გავიდა...

ეს არ იყო გაუფრთხილებლობა. არავის უსვრია ჰაერში, ან ანასხლეტი ტყვია არ მოხვედრია ამ ბიჭს. მას იარაღი მიაბჯინეს და ისე ესროლეს. ეს განზრახ მკვლელობა იყო. და თქვენ წარმოიდგინეთ, ვინც იარაღი მიაბჯინა, ის დაკავებული ჰყავდათ და სასამართლომ გაუშვა.

ვალერი ჩხეიძე

ირაკლი ბასილაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან ბერძენიშვილი: „ვინც დღეს პარლამენტშია წარმოდგენილი, არავის ინტერესში არ შედის ვადამდელი არჩევნები“



„საუბარი, სანამ რესპუბლიკელები არიან კოალიციაში, მანამ არის ის პროდასავლური და როგორც კი რესპუბლიკელები კოალიციას დატოვებენ, ის მაშინვე გაექანება ევრაზიული კავშირისკენ... ეს არ არის სერიოზული საუბარი“

exclusive

ქეთი ხატიაშვილი

„რესპუბლიკური პარტია“ ერთ-ერთი ძლიერი სუბიექტია კოალიცია ქართულ ოცნებაში. ხშირ შემთხვევაში სწორედ ის ხდება ხოლმე ბოლო დროს დარტყმის ობიექტი. საინტერესოა, რომ მას არა მხოლოდ პრორუსული, არამედ პროდასავლური ფლანგიდანაც ურტყამენ.

ადრე რესპუბლიკელები ამბობდნენ, რომ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს „რესპუბლიკური პარტიის“ სივრცის დაკავება სურთ და მათი მისამართით დარტყმებსაც სწორედ ისინი ახორციელებენ. ალასანიას კოალიციიდან გასვლის შემდეგ, მათ რიცხვს პროდასავლელებიც შეუერთდნენ. როგორია ახლა „რესპუბლიკური პარტიის“ პოზიცია? **„პრაიმტაიმი“ ლევან ბერძენიშვილს ესაუბრა:**

– მართალი გითხრათ, მთელი ეს კამპანია უკვე ძალიან უინტერესო გახდა, რადგან ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. „რესპუბლიკური პარტია“, როგორც ჩანს, კარგი სამიზნეა, სხვები ნაკლებად საინტერესონი არიან. ჩვენთვის ამ პროცესს არ აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ჩვენ ვართ კოალიციაში და ვიქნებით მანამ, სანამ ამის საშუალება არსებობს. ამიტომ ყველა მცდელობა, რომ ნახაზი შეიცვალოს, ვიღაცები მოვიდნენ, ვიღაცები წავიდნენ, ეს მათი გადასაწყვეტია. ჩატარდება არჩევნები და თავის დროზე გადაწყდება, ვინ ვინ არის. არანაირი პრობლემა არ არსებობს.

– „რესპუბლიკურ პარტიაზე“ თითქოს გარკვეული ზეწოლა ხდება პროდასავლური ძალების მხრიდანაც, ოპოზიციას ვგულისხმობ. თითქოს ელოდებიან, როდის დატოვებენ რესპუბლიკელები კოალიციას?

– არ ვიცი, მათ რა გეგმები აქვთ, კოალიცია არის პროდასავლური, „რესპუბლიკური პარტიაც“ არის კოალიციაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კოლეგებიდან ოპოზიციაში ხანდახან სხვა რამეს ამბობენ, ჩვენ ვერ შევატყვეთ კოალიციას ვერაფერი სამაგისო. როგორც ვიყავით პროდასავლურები, ისევე ვართ პროდასავლურები. კოალიცია მუშაობს ნატოსა და ევროკავშირის მიმართულებით. ვიღაცა შეიძლება გულში რამეს მღეროდეს, მაგრამ ფაქტია, რომ კოალიციის ერთადერთი გამოქვეყნებული დოკუმენტი არის ევროპისა და ევროატლანტიკური სივრცის აღიარება. ეს არის ის, რაზეც ჩვენ შევთანხმდით, კოალიციაში არიან ის ძალები, რომლებიც ევროპისკენ მიისწრაფვიან. ამიტომ საუბარი, სანამ რესპუბლიკელები არიან კოალიციაში, მანამ არის ის პროდასავლური, და როგორც კი რესპუბლიკელები კოალიციას დატოვებენ, ის მაშინვე გაექანება ევრაზიული კავშირისკენ... ეს არ არის სერიოზული საუბარი.

– თუმცა ასეთი მოსაზრება ნამდვილად არსებობს...

– მეც გამიგია, მაგრამ წარმოუდგენელია რესპუბლიკელების ცხრა წევრმა შეაჩეროს პარლამენტის 150 წევრი. თუ მათ რუსეთში უნდათ, ჩვენ რას ვუზამთ? მინდა გითხრათ, რომ მე ვერ ვატყობ ჩემს კოლეგებს რაიმე მსგავსს, პირიქით, განწყობა ყველას პროდასავლური აქვს. ამ მხრივ, დღევანდელი პარლამენტი უნიკალურია, რადგან მასში ევროპული ინტერესების გამტარებელი 150 დეპუტატი ზის. ასეთი რამ არასოდეს ყოფილა.

– წინა პარლამენტში ვინ იყო პრორუსული ინტერესების გამტარებელი?

– არ მინდა ყოფილ პარლამენტარებზე საუბარი, თუმცა იყვნენ ასეთები, თანაც საკმარისი რაოდენობით...

– რამდენად კმაყოფილი ხართ იმ სტრატეგიით, რომელიც „რესპუბლიკურ პარტიას“ აქვს არჩეული?

– ჩვენ გვინდა, რომ გავაუმჯობესოთ ვითარება კოალიციაში. ჩვენ გვინდა, რომ კოალიციაში ყველაფერი იყოს უფრო გამჭვირვალე. გარკვეული გაგებით, ამ მხრივ, უკვე მივაღწიეთ წარმატებას. ყოველ შემთხვევაში კოალიციის პოლიტიკური საბჭო ამჟამად ისე ინტენსიურად მუშაობს, როგორც დიდი ხნის განმავლობაში არ უმუშავია. ძალიან ხშირად ვიკრიბებით და გადაწყვეტილების მიღებაც ხდება. იყო ცალკეული პრობლემები, მაგრამ ცენტრალურ დონეზე ჩვენ შორის განსხვავებები არ არის და გვაქვს საშუალება, ერთმანეთს დაველაპარაკოთ. მიუხედავად ამისა, ვაპირებთ, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მდგომარეობა, გავხადოთ კიდევ უფრო გამჭვირვალე, გასაგები, ნათელი და ეს გავაკეთოთ ამომრჩევლისთვის, კოალიციის მხარდამჭერებისთვის. რასაც „რესპუბლიკური პარტია“ აკეთებს, ეს სასარგებლოა ძირითადი წარმატების დასაფიქსირებლად კოალიციაში. კოალიციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი არის ის, რომ ერთპარტიული ქვეყანა აქცია მრავალპარტიულად. ეს არ ჰქონია არავის, არც შევარდნაძეს, არც სააკაშვილს, არც ერთის ინტერესში არ შედიოდა მრავალპარტიულობა.

– ანუ „რესპუბლიკური პარტია“ არის წარმმართველი ძალა კოალიციაში?

– არა, ასე ნამდვილად არ ვფიქრობ. „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში ხელწამოსაკრავი ძალა ნამდვილად არ არის, იქ არის მთავარი, დიდი პარტია, რომელსაც მეტი წარმომადგენლებიც ჰყავს და აქვს კონტროლი მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. თუმცა „რესპუბლიკური პარტია“, ისევე როგორც სხვა პარტიები, მნიშვნელოვან როლს ვასრულებთ. მართალია, რესპუბლიკელები პარლამენტში წარმოდგენილები ვართ ერთი მეათედი, მაგრამ მნიშვნელობის თვალსაზრისით უფრო მეტი ვართ, ვიდრე ერთი მეათედი. თუმცა ჩვენ არ გვინდა, საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა გვქონდეს და არც საზოგადოებას მოვუწოდებთ, რომ მაინცდამაინც დაიჯერონ, რომ, რესპუბლიკელების გარდა, არაფერი არ არსებობს. ჩვენ ასე არ ვუყურებთ სიტუაციას, თუმცა, როცა ამბობენ, რომ არაფერს არ წარმოვადგენთ, არ არის ეს სწორი.

– როგორ უყურებთ ვადამდელი არჩევნების შესაძლებლობას?

– ვადამდელი არჩევნების არც აუცილებლობა არსებობს და არც ჩანს, როგორ უნდა განხორციელდეს ის ტექნიკურად. თქვენ იცით, რომ ვადამდელი არჩევნები შეიძლება პოლიტიკურმა კრიზისმა გამოიწვიოს. ეს კი შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ პარლამენტი არ დაამტკიცებს ბიუჯეტს, ან პარლამენტი არ ენდობა მთავრობას. ამ წუთას ასეთი მდგომარეობა არ არის. არც ნდობის პრობლემაა და რაც შეეხება ბიუჯეტს, მომავალი წლის დეკემბრამდე ამის საფრთხე არ გვემუქრება. 2015 წლის დეკემბრამდე თუ მივედით, მაშინ რაღა დარჩება არჩევნებამდე... თუ წლევანდელი წელი გავიარეთ, არჩევნები გაისად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ოქტომბერში, ეს ჩვეულებრივი ამბავია. რაც შეეხება პოლიტიკურ განმარტებას, ვინც დღეს პარლამენტშია წარმოდგენილი, არავის ინტერესში არ შედის ვადამდელი არჩევნები. ანუ პარლამენტის მხრიდან ეს ინიციატივა არ იქნება. აღმასრულებელ ხელისუფლებას ვერ ვატყობ, რომ ხელოვნური კრიზისის შექმნას აპირებდეს. ამიტომ ვადამდელ არჩევნებზე საუბარი ხელოვნურია. თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, 2016 წელს ჩვეულებრივად ჩატარდება არჩევნები. სხვათა შორის, დროული არჩევნები დემოკრატიის ერთ-ერთი ნიშანია, ვადამდელი არჩევნები არ არის დემოკრატია და ნამდვილად არ არის განვითარებისთვის სასარგებლო.

„რაც უნდათ, ის თქვან. როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ სხვისი ადგილი გვიჭირავს. მე, ალბათ, ჯონდი ბაღათურიას ადგილი მიჭირავს პარლამენტში. მე ასე არ მგონია“

– როგორ ფიქრობთ, 2016 წლის არჩევნებისთვის კოალიცია შენარჩუნდება?

– საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ყველაზე ნორმალური პოლიტიკა არის ის, რომ პარტიები არჩევნებში დამოუკიდებლად გადიან და შემდეგ ქმნიან კოალიციას. ეს არის ევროპული გზა. საბოლოოდ აქამდე რომ მივალთ ჩვენ, ქართველები, ფაქტია, მაგრამ 2016 წელს მივალთ თუ კიდევ უფრო მერე, ამაზე საუბარი გამიჭირდება. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ამ გზაზე სწრაფად ვიაროთ. არ გამოვრიცხავ, რომ პარტიებმა გადაწყვიტონ, დამოუკიდებლად ვიაროთ, ვნახოთ, ვინ ვინ არის... ცოტა მოსაწყენი გახდა ლაპარაკი იმაზე, რომ რესპუბლიკელებს არა გვაქვს რეიტინგი... ხომ შეიძლება, რომელიმე რესპუბლიკელს გაუჩნდეს სურვილი, რომ შეამოწმოს ჩვენი რეიტინგი. როგორც ამბობენ, 2%-ია თუ 1,7%? ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ არც ერთი პარტია არ გავიდეს კოალიციურად. ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში მაღალი ბარიერი აღარ არის, შექმნილია პირობები დემოკრატიული არჩევნებისთვის. არ გამოვრიცხავ, რომ პარტიები დამოუკიდებლად გავიდნენ და შემდეგ შექმნან კოალიცია. შესაძლოა, ასეთი რამე 2016 წელს მოხდეს. თუმცა, თუ არა 2016 წელს, 2020 წელს რომ მსგავსი რამ მოხდება, ეს ნათელია. არჩევნებამდე ჯერ დიდი დროა, ამაზე რომ ახლა ვისაუბროთ. ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ კოალიციურად გავიდეთ და არც იმას, რომ დამოუკიდებლად გავიდეთ არჩევნებზე. სხვათა შორის, არც იმას გამოვრიცხავთ, რომ სასურველი შედეგი ვერ მივიღოთ 2016 წლის არჩევნებზე, თუ დამოუკიდებლად გავალთ. თუმცა, როცა ამბობენ, 2% აქვთ რესპუბლიკელებსო, მიკვირს, რადგან ერთხელ, როდესაც დამოუკიდებლად გავედით არჩევნებზე 3,77% ავიღეთ. ამიტომ 2%, მგონი, მეტისმეტია. უნდა ითქვას 4%, რადგან დამრგვალება ასე ხდება. რაც უნდათ, ის თქვან. როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ სხვისი ადგილი გვიჭირავს. მე, ალბათ, ჯონდი ბაღათურიას ადგილი მიჭირავს პარლამენტში. მე ასე არ მგონია. არ მგონია, რომ დღევანდელი პარლამენტი ცუდია, იმიტომ რომ იქ არიან რესპუბლიკელები. შეიძლება ასე ეჩვენება ვინმეს, მაგრამ ვფიქრობ, რესპუბლიკელებს კიდევ ჰყავთ ისეთი წევრები, რომლებიც პარლამენტს არ აწყენდა. ჩვენ გვყავს კარგი კადრები.

– რაზე იქნება დამოკიდებული, კოალიციაში დარჩებით თუ დამოუკიდებლად მიიღებთ მონაწილეობას არჩევნებში?

– ეს გადაწყვეტილება პარტიული იქნება და ეს შეიძლება მიიღოს „რესპუბლიკური პარტიის“ ყრილობამ. ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, თუმცა ვიმეორებ, გამორიცხული არაფერი არ არის. ისე კი, სასურველია, რომ 2016 წლამდე ვიყოთ და დავრჩეთ კოალიციაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მესამე ცენტრი ირაკლი ალასანიასთვის

„მეუბნებიან, ეს საინტერესო კონფიგურაცია და კარგი იდეაა“

ქეთი ხატიაშვილი

ასეა ყოველთვის. ყოველთვის, როცა მედიაში ახალი ძალის შექმნაზე იწყება საუბარი, როცა ახალ ლიდერს ქუჩასა თუ პარლამენტში ეძებენ. სწორედ მაშინ იწყება დაუსრულებელი ვარიაციები თემაზე, ვინ იქნება ახალი და პერსპექტიული? რომელ პოლიტიკურ ძალას აქვს შანსი, საარჩევნო რინგზე გამარჯვება მოიპოვოს. სხვადასხვა სახის კონფიგურაციები თითქოს ლეგოს პრინციპით იწყობა და იშლება. თითქოს ეს მტკივნეული პროცესი არ უნდა იყოს, თუმცა, პოლიტიკოსებს მაინც ჰყოფნით „გამჭრიახობა“, პოლიტიკური ლეგოების უკან შავი ხელები დაინახონ. საერთოდ, ეს შავი ხელი ქართულ პოლიტიკაში აქტუალურია...

ბევრი სხვადასხვა კონფიგურაცია იყო განხილული. არჩევნების წინ ეს თემა ყოველთვის უფრო აქტუალური ხდება. მომავალ წელს უკვე არჩევნებია და საუბრებიც დაიწყო.

„სარწმუნო წყაროები“ ორი ახალი პოლიტიკური ძალის შექმნას წინასწარმეტყველებენ. საინტერესოა, რომ ირაკლი ალასანია ორივე მათგანში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს.

გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ალასანია, დავით ბაქრაძესა და ნიკა რურუასთან ერთად, ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას შექმნის. რატომ მაინცდამაინც ისინი? არგუმენტი მარტივია – წარსულშიც მეგობრობდნენ. და რაც მარტივია, ხშირად ლოგიკურიც ჩანს.

ნიკა რურუა და ირაკლი ალასანია თუ ერთმანეთს 90-იანი წლების ქუჩიდან იცნობენ – „მხედრიონი“, „კულინარიელები“ და ასე შემდეგ, როგორც ამას მედია ხშირად იხსენებს ხოლმე, ირაკლი ალასანიასა და დავით ბაქრაძეს ერთმანეთთან უკვე შევარდნაძის დრო აკავშირებთ. ანუ ეს ქუჩისა და პოლიტიკის ნაზავია.

ხელცარიელი პოლიტიკაში არც ნიკა რურუაა. საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ივერიის“ შექმნა, მამუკა გამყრელიძესა და გრიგოლ ვაშაძესთან ერთად, მის სახელსაც უკავშირდება. აქ ძირითადად დიპლომატები არიან.

ეს ახალი, პროდასავლური ორიენტაციის პარტია იქნება და მის მისიად, ნაციონალების კი არა, მმართველი კოალიციის ჩანაცვლება სახელდება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დავით ბაქრაძესაც უკვე დიდი ხანია, უნდა „ნაციონალური მოძრაობიდან“ წასვლა. ასეთი ინფორმაციები უკვე წელზე მეტია, ვრცელდება.

და უკვე ორი წელია, საუბარია თავად „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლაზეც. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინფორმაციები ვრცელდებოდა. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, პარტიაზე „შეფობა“ ჯერ ვანო მერაბიშვილს ჰქონდა აღებული, შემდეგ – გიგი უგულავას, ახლა კი გიგა ბოკერია წარმართავს. პარტია რთულ პროცესებს გადის. აქ ძველი თაობის ახლით ჩანაცვლების პროცესი მიმდინარეობს. ასეთი პროცესებს კი თავისი წილი ჭორი ყოველთვის ახლავს.

დავით ბაქრაძეზე ადრე პარტიიდან წასვლა და ახალი პარტიის დაარსება თითქოს გიორგი ვაშაძესაც სურდა. ვაშაძე საკმაოდ ამბიციურია, მას კარგად შეუძლია აუდიტორიაზე ზემოქმედება. სურვილი ჰქონდა, მერობის სარჩევნო რინგზეც ასულიყო, მაგრამ პარტიამ არჩევანი მელიას სასარგებლოდ გააკეთა. ხმებიც ამის შემდეგ გაჩნდა. პარტია არ დაუტოვებია, მაგრამ კიევში გადავიდა. საქართველოში იშვიათად ჩნდება, თუმცა ჯერ ისევ „ნაციონალურ მოძრაობაშია“...

გარკვეული დისტანცირება პროცესებისგან დავით ბაქრაძემაც მოახდინა. „კომედიმოუში“, ალბათ, შემთხვევით არ იხუმრეს, ეგ დავით ბაქრაძე კი არა, დავით გაქრაძეაო... ანუ გაქრა, აღარ ჩანსო. თუმცა, კრიზისულ ვითარებაში ის მაინც ჩნდება ხოლმე.

ხმებს იმის შესახებ, რომ ახალი პროდასავლური პოლიტიკური ძალა იქმნება, ალასანიას, ბაქრაძისა და რურუას მონაწილეობით, არც ერთი მათგანი არ ადასტურებს.

არ არის გამორიცხული, ნაციონალებისგან ვინმეს წასვლა უნდოდეს კიდეც, არც ის არის გამორიცხული, რომ რამე ახალი მართლაც შეიქმნას, თუმცა, ჯერჯერობით არ ჩანს ის ძალა და ენერგია, რომელიც ნაციონალების მიღმა რაიმე ახლის ჩამოყალიბებას შეძლებდა.

რა ახალი პოლიტიკური ჯგუფები შეიძლება შეიქმნას

„ჩხენკელები, როგორც გვეუბნებიან, აქცენტს ალასანიას დაჯგუფებაზე აკეთებენ. თუ ძმების წარსულს გავითვალისწინებთ, არც მათი ნაციონალებთან ალიანსია გამორიცხული. აქვე საინტერესოა ერთი მომენტიც: ჩხენკელებსა და დღეს მოქმედ ერთ-ერთ მინისტრს ბიზნესინტერესები აერთიანებთ. მათი ინტერესი ამჯერად გაჩერებულ, მაგრამ სამომავლოდ ასამოქმედებელ ტელევიზიასაც ეხება. როგორც გვეუბნებიან, სატელევიზიო სივრცეში მალე ახალი გადანაწილებები დაიწყება და ისეთი სახის „მკვდართაგან აღდგომაზე“ „წინასწარმეტყველებენ“, რომ, თუ ეს მართლა გამართლდება, საზოგადოების დიდი ნაწილი მართლა იოცნებებს ციდან მოვლენილ მეტეორზე“.

არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ახალი კოალიციების შექმნა ირაკლი ალასანიას ინტერესებში უფრო შედიოდეს, ვიდრე იგივე ნაციონალების. ექსპერტ თორნიკე შარაშენიძის განმარტებით, ირაკლი ალასანიას პარტია ჯერ არ არის შემდგარი, მას რეგიონებში სტრუქტურებიც კი არ აქვს. შესაბამისად, ალასანიას უფრო სჭირდება დღეს ნაციონალები, ვიდრე ნაციონალებს ალასანია.

ირაკლი ალასანიას, ბუნებრივია, ექნება ამბიცია, მესამე ძალად ჩამოყალიბდეს. ეს ოცნება მანამდე ბევრ სხვასაც ჰქონდა. ჩამოთვლას აღარ დავიწყებ. პოლიტიკაში თითქმის ყველა მათგანი გარდაიცვალა. იმისთვის, რომ მესამე შეიქმნას, ჯერ პირველი ორი უნდა დაიშალოს. ეს კი საეჭვოა, მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ „პრაიმტაიმთან“ პირად საუბარში ამ კონფიგურაციის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა განაცხადა: „მეუბნებიან, ეს საინტერესო კონფიგურაცია და კარგი იდეაა, თუმცა, არ ვიცი, ჯერ არაფერი ხდება“...

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი კონფიგურაციები, ლეგოს მსგავსი პრინციპით, უფრო არჩევნების წინ აიწყობიან და ერთიან პროდასავლურ ფრონტში გაერთიანდებიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოლიკო ბაბლუანი – მოპედით,

my View
თამარ გონგაძე

ოლიკო ბაბლუანი ჩაგეწერა, საშენო რესპონდენტიაო, მირჩიეს. „საჩემოში“ იმ ტიპის რესპონდენტს გულისხმობენ, რომელსაც ასეთი საინტერესო ინტერვიუს მოცემა შეუძლია. რჩევა ნამდვილად სწორი იყო, ოლიკო სასურველი რესპონდენტების სიას შეუერთდა. ინდივიდუალობით მამას ვგავარ, სამყაროსადმი კეთილგანწყობით დედასო, ამბობს. ცნობილი ოჯახის შვილს იმის კომპლექსი, რომ თემურ ბაბლუანის ჩრდილიდან გამოსულიყო, არასდროს ჰქონია. ეს სწორი აღზრდის შედეგია. „თავისუფლებისადმი ლტოლვა მამამ მომიტანა. შვილებს მან გვასწავლა ვყოფილიყავით ის, ვინც რეალურად ვიყავით. არასდროს უთქვამს, ასე არ მოიქცეთ, მეზობელი რას იტყვისო. რა ჩრდილი? პირიქით, მამით ამაყი ვარ“, – ამბობს ოლიკო.



„ყველა ქალში რამდენიმე ქალია, ათი მაინც. მთავარია, რომელია მათი ხელმძღვანელი. ახლა ყველაზე რაციონალურმა გაიღვიძა. სხვა არჩევანი არ ჰქონდა“

ტელევიზიის ინტერესით მედიაკვლევის ფორმაცია გაიარა (მანამდე სწავლობდა: სორბონის უნივერსიტეტში, შემდეგ ისტორიულ ფაკულტეტზე 1 წელი დაჰყო და პარიზის ცნობილ-ფლორანის თეატრალურ ინსტიტუტს შეუერთდა და დაამთავრა) და ბოლო ოთხი წელია მსახიობობას მედია-ბაზრის ინტეგრირებას უთანხმებს. როლებზე ვერ ამბობს უარს. თუ ქართულ კინოზე ვისაუბრებთ, მამის და ძმის ფილმების გარდა ის რუსუდან ჭყონიას ფილმში „გაიღიმეთ“ და რეზო გიგინეიშვილის „სიყვარული აქცენტით“ ვიხილეთ. ასევე ცნობილი ფრანგული სერიალის „ბრაკოს“ (რომელსაც ინტერნაციონალური ამერიკული ჯილდო - „ემი“ აქვს მოპოვებული) მესამე სეზონის ერთ-ერთი გმირია. მონაწილეობს ფრანგი რეჟისორის და მეგობრის რობერტ გედიანის ფილმში „კრიმინალური ჯვარი“. ძალიან პოპულარული რეჟისორის ფილმში ახალი როლი ელოდება, რომელსაც ჯერ არ ამხელს... ქეთი დევდარიანის შემოთავაზებაზე სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ დროის უკმარისობის გამო მნიშვნელოვან პერსონაჟზე უარის თქმა მოუხდა... ოჯახიდან ერთადერთია, რომელიც ტელევიზიის განხრით დაინტერესდა. ცნობილი რეჟისორის შვილები კინემატოგრაფიას ემსახურებიან. გელა რეჟისორია, გიორგი მსახიობი, სოფომ რეჟისურაში ახლა სცადა ბედი. „ვფიქრობ, მედიას დიდი პოტენციალი აქვს. ტელევიზია ყველაზე დიდი იარაღია ადამიანებს მიაწოდო ის, რისი მიწოდებაც გინდა. კინო ლუქსია, ტელევიზია მუშა სისტემაა. განვითარებადია და მომწონს“.

„მშვიდობით იარაღოს“ კონცეფცია მაისში შეიმუშავა და საზოგადოებრივ არხს შესთავაზა. ეთერში უკვე ექვსი გადაცემა გავიდა და ტელეპროექტი უკვე პოპულარულია. პროექტი სოციალური მედია კვლევის საფუძველზე შექმნა. სახლის გარემოში სხვადასხვა სფეროს ცნობილ (არამხოლოდ), წარმატებულ ადამიანებს იწვევს და პრობლემატურ თემებზე საინტერესო დიალოგი იმართება. „მშვიდობით იარაღოს“ მალე სხვადასხვა ქვეყნების სატელევიზიო არხებიც შეიძენენ. „ამ გადაცემას იხილავენ რამდენიმე ქვეყანაში. ქვეყნებს ჯერ კონკრეტულად ვერ დავასახელებ. მალე მოსალაპარაკებლად მივემგზავრები“.

ამ პროექტების პარალელურად, უკვე ორი წელიწადია, სატელევიზიო კინოს განვითარებაზე ფიქრობს, რაც მაღალი ხარისხის სატელევიზიო სერიალების შექმნას გულისხმობს. ასე გადაწყვიტა პარიზში მცხოვრებმა „ტელევიზიონშიკმა“ სამშობლოში საქმიანად დაბრუნება და ქართველებისთვის თავის „შეხსენება“. 17 სექტემბრიდან თბილისშია, პარიზში წასვლა-წამოსვლითა და შვილებისა და ოჯახის დანარჩენი წევრების მონახულებით.

„გადაცემაში ისეთი რესპონდენტები გვყავს, ვინც საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენას ახდენს. პატრიარქი ყველა კითხვას კეთილგანწყობით პასუხობდა. ძალიან ჭკვიანი, კეთილი და მშვიდობიანი ადამიანია. მანამდე ჯვარს არასდროს ვატარებდი. ახლა პატრიარქის ნაჩუქარ ჯვარს ვატარებ“

გახსნილობა, იუმორი, ინტელექტი, ცხოვრების სწორად აღქმა, თბილისურ-პარიზული დამოკიდებულება – ეს ოლიკოა.

რაციონალური

– ოლიკო, თქვენი გადაცემით დავიწყოთ. ერთ-ერთ სტუმრად პატრიარქი გყავდათ. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მან თქვენზე?

– მე ჩემი ოჯახიდან ვიცოდი, ვინ იყო პატრიარქი. ბებიას მამა, ლეონიდე ჟვანია ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი გახლდათ. ჩვენი პატრიარქი ძალიან ახალგაზრდა იყო, როდესაც ჩემს წინაპართან ჰქონდა ურთიერთობა. ილია მეორის და სასულიერო პირების სახელები ყოველთვის ისმოდა ჩვენს ოჯახში. უწმინდესს მამა იცნობს, მე არ ვიცნობდი. ამ გადაცემის შემდეგ დავმეგობრდით. სხვათა შორის, მას შემდეგ საპატრიარქოსთან ურთიერთობა ხშირად მაქვს, დიდი პატივს ვცემ მათ.

პატრიარქი ყველა კითხვას კეთილგანწყობით პასუხობდა. ძალიან ჭკვიანი, კეთილი და მშვიდობიანი ადამიანია. დიდი გზა გამოიარა იმისთვის, რომ იყოს იქ, სადაც არის. როდესაც ადამიანი მშვიდობიანია, მასთან თავს ყოველთვის კარგად გრძნობ. მანამდე ჯვარს არასდროს ვატარებდი. ახლა პატრიარქის ნაჩუქარ ჯვარს ვატარებ. თქვენ ეს გაცემაში ნახეთ და ამიტომ ვსაუბრობ ამ თემაზე.

– არ უსაყვედურია ჯვარი რომ არ გეკეთათ?

– არა. მასთან ყოფნისას არც თავზე მეხურა და მარვალი მეცვა. მე ვფიქრობ, რწმენას ვიზუალური მხარე არ განსაზღვრავს. შენ უფლება გაქვს ჩაიცვა როგორც გინდა, მაგრამ შინაგანად და ინტელექტუალურად ის გრძნობა ატარო, რაც ინტიმურად რწმენასთან არის დაკავშირებული. მთავარია, წრფელი იყო იმის მიმართ, რაც გწამს. საპატრიარქოში რამდენიმეჯერ ვიყავი და ჩემთვის არავის უთქვამს, შარვლით არ მოხვიდეო. ლოცვის დროს თავზე უნდა დაიხურო.

– არ გაგაკრიტიკეს მაყურებლებმა, პატრიარქთან შარვლით როგორ მივიდაო?

– ალბათ, იყო ასეთი კომენტარები, მე არ გამიგია. გადაცემა ძალიან მოეწონათ, არა ჩემ გამო, პატრიარქის გამო.

– გადაცემაში მეორე რეიტინგული ადამიანი – ბიძინა ივანიშვილი გყავდათ. ეს ახალი გადაცემის რეიტინგის მოსაპოვებლად მარკეტინგული გათვლა იყო?

– ასე გამოვიდა, სპეციალური გათვლა არ მქონია. მე თვითონ ვინც მაინტერესებს, იმ ადამიანებს ვიწვევ. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილს გადაცემის მიმართ ბუნებრივი ინტერესი გაუჩნდა. ჩვენც ერთი ისეთი რესპონდენტი გვყავს, ვინც საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენას ახდენს. ამ გადაცემამ დიდი მონონება დაიმსახურა. კვირაში სამ გადაცემას ვწერდით. 17 სექტემბერს მოვანერეთ კონტრაქტს ხელი, 17 დეკემბერს გავედით ეთერში და 17 გადაცემა გვაქვს ჩაწერილი. მოკლე ვადაში უდიდესი შრომა მოგვიხდა. მაყურებელმა დაინახა, რომ ეს ყველაფერი მათთვის მზადდება და არა ჩვენი რეიტინგისთვის. მე მგონი ჩვენსა და მაყურებელს შორის ნრფელი გაცვლა ხდება. ყველაზე კარგად პორნოგრაფია იყიდება, ინდუსტრიის გმირია :) მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ის საუკეთესო საყურებელია? მთავარია ხარისხი და მაყურებელი არ მოვატყუოთ. ასევე მთავარია, რომ გადაცემას არა ჩვენთვის, არამედ ხალხისთვის ვაკეთებდეთ.

ბინა, სადაც პირველი სეზონის გადაცემები ჩაიწერა უკვე შეიცვალეს. მეორე სეზონისთვის უკვე კერძო სახლში ორ სართულს აითვისებენ. ეს არის სახლი ურბანული ხედით საბურთალოზე.

„საზოგადოების საერთო ინტერესების შემცველი თემებით გადაცემას გავამწვავებთ. დაგვემატება რეპორტაჟები“.

– თვითონ რა იარაღს გინდათ დაემშვიდობოთ?

– კარგი კითხვაა. მე მოტოციკლეტზე ჯდომისას და დაშვებისას ვიღებ გადაწყვეტილებას, ამიტომ კატასტროფულ მაქსიმალიზმს დავემშვიდობებოდი. მინდა ჩემი თავისგან არდადეგებზე წავიდე. ყველა ქალში რამდენიმე ქალია, ათი მაინც. მთავარია, რომელია მათი ხელმძღვანელი. ერთი დანარჩენს აწონასწორებს, ანაწილებს – რა დროს რომელმა გაიღვიძოს.

– ახლა რომელმა ქალმა გაიღვიძა თქვენში?

– ახლა ყველაზე რაციონალურმა გაიღვიძა. სხვა არჩევანი არ ჰქონდა.

– რთულად სამართავი ქალი ხართ?

– ისეთ ადამიანებს, ვისაც ჩემი მართვის სურვილი გასჩენიათ, დავმშვიდობებივარ. იმართება კორპორაციები სახელმწიფოები :) პირად ურთიერთობებს თუ ვიგულისხმებთ, ადამიანების მართვა დიქტატურის ნიშანია. სამართავი ქალი ნამდვილად არ ვარ. ადამიანებს შორის თავისუფალი ურთიერთგაცვლა ქმნის ბედნიერებას.

დედა

– თავის დამკვიდრებისთვის გქონიათ პერიოდი მამის ჩრდილიდან გამოსვლა გინდოდათ?

– პარიზში რომ გადავსახლდით, ოჯახის წევრები ერთად ვმუშაობდით და საერთო ფილმებს ვქმნიდით. რაც გაგვიკეთებია, ოჯახთან ურთიერთობით ყოფილა. თავის დამკვიდრება, ყველას ერთად, პარიზში მოგვიხდა. ვინმეს ჩრდილში ყოფნის დრო არ გვქონდა. ნეტა დიდი ყოფილიყო ეს ჩრდილი, რატომ უნდა მქონოდა მისგან გასვლის სურვილი?

– ინტერვიუებში ამბობთ, 90-იანი წლების საქართველოდან რომ წავედით, პარიზში ჩასულებს თითქოს სისხლის სუნი აგვდიოდაო. როგორ გათავისუფლდით ამ ფსიქოლოგიური სტრესისგან?

– ვერასდროს იმ ადამიანებს ვერ დავივიწყებთ, ვინც ჩვენთან ერთად გაიზარდნენ და ომის დროს დაიღუპნენ. თითქოს ვალში ვიყავი იმ მეგობრებთან და ადამიანებთან, ვინც აღარაა. წახვედი, ყველაფერი დატოვე და თავს იმართლებ, შენ თუ იცხოვრე, ეს ვიღაცამ ვერ მოახერხა. რაღაც უნდა გადაგვეწყვიტა. 19 წლის ვიქნებოდი საფრანგეთში რომ წავედი და მე გადავწყვიტე, რომ უნდა მეცხოვრა. ამის გაანალიზების მერე დავიწყეთ იქ ცხოვრება. იქაურ კულტურას შევერიეთ. დიდი სოციუმია საფრანგეთი. არ არის ადვილი სხვა ქვეყნაში დამკვიდრება და თან არა სხვაზე ნაკლებად, ბევრზე მეტადაც კი. ამას კეთილგონიერება და ბევრი შრომა სჭირდება. სხვაგვარად შეუძლებელია.

– სადღაც მოყევით, სამოქალაქო ომის პერიოდის თბილისში მამამ მეგობრებთან ერთად მჯდომი გიპოვათ და იარაღის ტრიალით წამოგიყვანათ სახლში. ასეთი ძარღვი და ქართული ხასიათი კიდევ როდის გამოუვლენია მამას?

– 90-იანი წლები იყო, უდიდესი საბჭოთა წყობის სისტემა დაგვენგრა და ქუჩაში რომ გადიოდი, უკან დაბრუნდებოდი თუ არა, არ იცოდი. მამა სულ გვეძებდა. დღემდე სულ გვეძებს. რაც ხშირად გველაპარაკება და მის ცნობიერში ერთად მოგვიყრის თავს, ბედნიერია. სხვა დროს როდის გამოამჟღავნა ქართული ხასიათი და სახლიდან რომ გავიპარე და გავთხოვდი მაშინ, 17 წლის ასაკში. ტრადიცია არ დავურღვიე მეგობრებს და მეც ბედნიერი გავიპარე. ჩემი უფროსი ქალიშვილის ლიკუნას მამა კარგი ადამიანია. პატარები ვიყავით და შვიდ თვეში დავშორდით. მაშინ სახლიდან წასვლის და მეგობარი ბიჭის ყოლის საშუალება არ გვქონდა. მამაკაცთან ურთიერთობას ტრადიციული სახე უნდა ჰქონოდა. ტრადიციულად გავთხოვდი და ტრადიციულად გავშორდი.

– მამა გაბრაზდა?

– მამა ლიკუნას დაბადებით ძალიან ბედნიერი იყო. ჩემი მშობლებისთვის არ იყო ადვილი ჯერ კიდევ თინეიჯერი შვილის გათხოვება. მაგრამ მათ უდიდესი წვლილი აქვთ ლიკუნას გაჩენაში, მის არსებობასა და გაზრდაში.

– იდგა არ გაჩენის საკითხი?

– როდესაც პატარა ხარ, კითხვის ნიშანს სვამ, რა ხდება ჩვენს თავს? მე ძალიან მინდოდა შვილის გაჩენა, ასევე ჩემს მშობლებსაც.

– დედობამ რითი შეგცვალათ?

– ლიკუნა ჩემი უმცროსი და მეგონა. ერთად გავიზარდეთ. მნიშვნელოვანი როლი აქვს ჩემს ცხოვრებაში. ნასტასიაზე პასუხისმგებლობის გრძნობა მოვიდა. დედობის შემდეგ საკუთარი თავი პირველ ადგილას აღარ დგას. ნაბიჯის გადადგმამდე ჯერ შვილებზე ვფიქრობ, მათთვის რა მაგალითი ვიქნები, როგორ ქალად შეიძლება ჩამოყალიბდნენ. ლიკუნა 19 წლისაა და იურიდიულის შემდეგ მარკეტინგის განვითარების რესურსებს გადის. ნასტასია 10 წლისაა. ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს შვილებთან. ჰასკი ვიყიდე და ნასტასიას უნდა ჩავუყვანო.

თბილისი

– თბილისში დაბრუნებულს რა მოგხვდათ თვალში?

– აქ ადამიანებს იმის რწმენა აკლიათ, რომ მართლა ნიჭიერები არიან. ყველაზე მეტად საკუთარ თავს ერჩიან და თვითგვემაში არიან. შეეშვით რა ამას. დროის შეგრძნების პრობლემა აქვთ. დროის სწორად გამოყენება არ იცის ქართველმა. დრო კი არ გადის, ჩვენ გავდივართ ცხოვრებას. აი, ამის შეგრძნება აქ ვერ დავინახე. ქვეყანაა თვითონ დროში დაკარგული. ბევრი ისტორიული პერიოდია ერთმანეთში არეული. ეს სისტემის ნგრევის შედეგია. ადამიანები ნარსულში ცხოვრობენ და ვფიქრობ, ეს დიდი ტრაგედიაა. იმის გამბედაობა უნდა გქონდეს, რომ იყო ის, ვინც ხარ. საზოგადოების თვალის არ უნდა გეშინოდეს. მე ქართველები მიყვარს, კაი ტიპები არიან. ჩემი ხალხია და ამას ბოლომდე ვგრძნობ. დრო ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს, ამაში დარწმუნებული ვარ.

ფეხით ბევრს დავდივარ. რამდენიმე წლის წინ ზაფხულში ტაბიძეზე ბინა მქონდა დაქირავებული, სულ დავდიოდი და ვათვალიერებდი ქალაქს. ახლა მოპედით დავდივარ, ჩემი გადაცემის ქუდში რომ მოპედია, იმით. პარიზშიც ასე ვმოძრაობ. როდესაც მოპედით დადიხარ, თავისუფლების საშინელი შეგრძნება გაქვს. ქალაქსაც კიდევ უფრო თავისუფლად და მშვიდად ათვალიერებ. მარტო ხარ. თანამედროვე ცხენია. ჩვენი ქვეყანა

„ტრადიცია არ დავურღვიე მეგობრებს და მეც 17 წლის ასაკში ბედნიერი გავიპარე. პატარები ვიყავით და შვიდ თვეში დავშორდით. მაშინ სახლიდან წასვლის და მეგობარი ბიჭის ყოლის საშუალება არ გვქონდა. მამაკაცთან ურთიერთობას ტრადიციული სახე უნდა ჰქონოდა. ტრადიციულად გავთხოვდი და ტრადიციულად გავშორდი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თავისუფლებითა და პირადით



„მეშვიდე წელს გავიყარეთ. ეს დასასრულის პერიოდია და უნდა გადანვიტო, დაასრულო თუ გააგრძელო. სიყვარულიც, რაღაც მომენტში, არჩევანია“

„სიყვარული დიდი ძალაა. როდესაც ადამიანი გიყვარს, ლამაზდები, ბედნიერდები, ძალა გემატება. ცხოვრების ბედნიერი პერიოდია. სიყვარულის დიდი ფესტივალი ჩემს სამომავლო გეგმაშია“

EXCLUSIVE



ლიკუნა

ნასტასია

თანამედროვეობასა და ცხენებს შორის არის გაჭედილი, ჩემი გადაცემის ქუდშიც ამიტომ შევაჯახე ერთმანეთს ცხენი და მოპედი.

– ქუდში გორგასლის ძეგლიც გაქვთ. მოგწონთ ეს ძეგლი?

– რა გითხრათ, არა უშავს, ვფიქრობ სტანდარტია ჩვენი მეფეებისა, ბავშვობიდან მიჩვეული ვარ.

პარიზი

18 წელია პარიზში ცხოვრობს. უყვარს ღამის პარიზში მოტოციკლეტით სიარული. პარიზი თავისუფლების ქალაქიაო, ამბობს. ცხოვრობს მონმარტრზე. მოტოციკლეტი მეორე ქმარმა შეაყვარა:

„პარიზი? თავისუფლებასთან, მეგობრობასთან, სიყვარულთან და სიცოცხლესთან ასოცირდება. ადამიანის უფლებების ქალაქია.

ჩემს უბანში მოტოციკლეტით რომ დავეშვები, ყველაზე კარგად მაშინ ვფიქრობ. გადაწყვეტილებებს – პირადი იქნება თუ პროფესიონალური, დაშვების დროს ვიღებ. ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ამ პროცესში მიმიღია“.

– ბატონი თემურის სატელევიზიო ინტერვიუ ვნახე, სადაც ყვება, პარიზში, მინაზე მწოლიარე ქუჩის მაწანწალას როგორ სთხოვს პოლიციელი ადგეს და მეორე მხარეს გადავიდეს. ის ამ თხოვნას არ ასრულებს. მასთან მეორე პოლიციელი მიდის და ბოლოს ორივე ერთად ეხმარებიან მაწანწალას ლეიბის და ბოთლების ქუჩის მეორე მხარეს გადატანაში. მამა ამბობს, პირჯვარი გადავიწერე, ღმერთო ასეთი რამ მანახა ჩემს ქვეყანაშიო.

– აი, ასეთი ურთიერთობებია პარიზში, პატივისცემის, მაგრამ ხალხმა ამ პატივისცემას არ უნდა გადააჭარბოს.

– პარიზზე ცოტა ხნის წინ მომხდარი ტერორისტული აქტი გამახსენდა. თქვენ ხართ შარლი?

– ისეთი ემოციური ისტერიკა მოჰყვა ამ ყველაფერს, ამ სლოგანის სწორი, რაციონალური შეფასება ვეღარ მოხდა. ნებისმიერ ქვეყანაში ხალხმა ვერ გაიგო, რა არის შარლი. ახალი კარიკატურაც გაჩნდა: თითქოს გარდაცვლილი ადამიანების სულები ღმერთთან არიან და ზევიდან სინანულით იყურებიან – რა საშინელებაა ამდენ კრეტინს რომ უყვარხარო. მე ვარ შარლი – ნიშნავს, მე ვემხრობი სიტყვის თავისუფლებას, ამ ტერორისტული აქტის წინააღმდეგი ვარ. ეს გაზეთი დიდი ხანია ბეჭდავს კარიკატურებს და დედამიწის ზურგზე არავის აინტერესებდა. იუმორის და კარიკატურის გარეშე შეუძლებელია.

– რელიგიურ თემაზე?

– რატომაც არა, მაგრამ ზომას გააჩნია. იუმორს ყველაზე დიდი სიმართლე გამოაქვს პრობლემიდან. აუცილებელი იარაღია. კარიკატურა სხვა რელიგიას შეურაცხყოფას არ უნდა აყენებდეს. შეურაცხყოფა საიდან იწყება, ესეც ინდივიდუალური და გასარკვევია.

ყოფილი

ოლიკოს მეორე ქმარი ფრანგი პოლიტიკოსი და მსახიობი ოგიუსტენ ლეგრანი გახლდათ, მიშელ ლეგრანის ძმის შვილიშვილი.

„ქართველს ჰგავს, მართალი ხართ, რომ დავინახე – სად იყავი აქამდე-მეთქი, ვუთხარი :) ერთად ვსწავლობდით. როგორც პოლიტიკოსმა, საფრანგეთისთვის ბევრი კარგი რამ გააკეთა. ქუჩიდან ორი კანონი მიაღებინა სახელმწიფოს. დააარსეს ასოციაცია „დონ კიხოტის ძმები“. თუ შენ ბინა არ გაქვს, შეგიძლია სახელმწიფოს უჩივლო და ის ბინით დაგაკმაყოფილებს. მაგარი ბიჭია. მისით ამაყი ვარ. ჩვენ მეშვიდე წელს გავიყარეთ. ეს დასასრულის პერიოდია და უნდა გადაწყვიტო, დაასრულო თუ გააგრძელო. სიყვარულიც, რაღაც მომენტში, არჩევანია. დრო რომ გადის, სიყვარული ძველებური აღარ არის. შენარჩუნებაც არჩევანია.

ჭორები

– ახლა შეყვარებული ხართ?

– კითხვას ავირიდებ, თუ შეიძლება.

– თბილისში ჭორაობა უყვართ, თქვენსა და ცნობილ ქართველ მამაკაცზე ერთი პერიოდი აქტიურად ჭორაობდნენ.

– მე პირად ცხოვრებაზე არ ვსაუბრობ... რახან ორი კაცით მეტი მცნობს, პირად ცხოვრებაზე ამიტომ უნდა ვისაუბრო? ვის აინტერესებს? მე მსგავსი რამ არ მაინტერესებს. მთავარია რას საქმიანობ, ვინ ხარ. ეს ადამიანების შინაგანი მდგომარეობაა და ამაზე ლაპარაკი ვერ წარმომიდგენია.

– შეყვარებული როგორი ხდებით?

– სიყვარული დიდი ძალაა. როდესაც ადამიანი გიყვარს, ლამაზდები, ბედნიერდები, ძალა გემატება. თავისებური და ინდივიდუალური მომენტია. ცხოვრების ბედნიერი პერიოდია. სიყვარულის დიდი ფესტივალი ჩემს სამომავლო გეგმაშია.

– ბედნიერება რა არის?

– საკუთარ თავთან თანასწორობაში ყოფნა. ამ დროს რასაც გინდა და ვისაც გინდა, იმას აირჩევ. სიცოცხლის სიყვარულია ყველაზე მნიშვნელოვანი. საიდანღაც დიდი და ამავე დროს ძალიან პატარა ცხოვრება გვაქვს მოცემული. მაქსიმალურად უნდა აითვისო მოცემული პერიოდი. გააჩნია შენ როგორ ჩაატევ და დროს რამხელაზე გაზრდი. ყველაფერი ისე უნდა ჩატიო ამ ქვეყნიდან წასვლა აღარ დაგენანოს. რა დროს საზოგადოების აზრი და თვალია? დრო არ არსებობს, ჩვენი მოგონილია. დრო რჩება, ჩვენ მივდივართ. დროის გარეშე უნდა ცხოვრობდე, მაგრამ დრო უნდა იყოს ინსტრუმენტი, რომ სწორად დაგეგმო შენი აქაური ცხოვრება. ღუზის ჩაშვება არსად შემიძლია, არც საქმეში, არ პირადში. გემი სულ მიდის. თუმცა ღუზა სულ გვერდზე უნდა გქონდეს, რა იცი, რა დროს უნდა ჩაუშვა. საკუთარი თავისუფლების გარდა ჩარჩო არ არსებობს. ყველაზე დიდი ჩარჩო ყველაზე დიდი თავისუფლებაა.

– ასაკის მატება გაშინებთ?

– აბსოლუტურად არა. არც ვიცი, რა ასაკის ვარ. ღუზას აქაც არ ვუშვებ. ასაკი რომ დავაფიქსირო, ნიშნავს, რომ ღუზა ჩავუშვი. რა დროს ეგ არის?

– თბილისური ჭორაობის ობიექტი გახდით.

– გავხდი და ბუნებრივიც იყო. პარიზშიც ვიყავი ჭორაობის ობიექტი. როცა ცნობილი ოჯახის შვილი ხარ, უბრუნდები მშობლიურ ქალაქს, აკეთებ გადაცემას, კარგად ნაცნობი რესპონდენტები გყავს გადაცემაში და ყველა მათგანთან მეგობრული ურთიერთობა გაქვს, შენთან მოდიან სახლში – ბუნებრივია, ამაზე ხალხი ილაპარაკებს. ათი ვერსია გაჩნდა, საიდან მიჰყავს გადაცემა, ვინ უქირავა ის ბინაო?

– ქართველების აზრი, რა წარმოდგენა შეექმნებათ თქვენზე – გაინტერესებთ?

– არა. ვფიქრობ, თავიდან გამომდინარე, რაც ვარ, მაქსიმუმი უნდა მივაწოდო ადამიანს. თუ ჩემს ფასეულობებს მივყვები, ვფიქრობ, ადამიანებიც სწორად შემაფასებენ. ამიტომ მე სხვასაც არ შევაცდენ. მთავარია პატივისცემა ადამიანების მიმართ. ყველაფერი გადაბმულია.

– ჩარჩოში რა გაქცევთ?

– ჩარჩოში მხოლოდ ფასეულობებიდან გადახვევის შიში მაქცევს. ვცდილობ ოჯახის წევრებთან და საქმეში არ შემეშალოს და ყოველთვის მართალი ვიყო.

– რას არ ღალატობთ?

– მაქსიმალურად ვცდილობ საკუთარ თავს არ ვუღალატო. თუ საკუთარი თავის რაიმე არ მომწონს, იქ თვითონაც არ გამეჩერება.

მშობლები – კლდე და ყვავილი

– მშობლებს რითი ჰგავხართ?

– მამას ბრძოლისუნარიანობით და ინდივიდუალობით ვგავარ. ძალიან ძლიერია, კლდეა. ვგავარ. დედას სამყაროს მიმართ კეთილგანწყობით ვგავარ. დედა ძალიან კეთილია. ის თემურის თვალებია, სამყაროს მიმართ კეთილგანწყობილი თვალები. თემური იბრძოდა და დედა ლამაზად უნათებდა გზას. დედა სულ ამზადებს სადილებს. კაცმა არ იცის, რომლის შვილი მივა სტუმრად. დახუნძლულები ვიკრიბებით ოჯახურ სადილზე.

– დედა და მამა – კლდე და ყვავილი?!

– აი, ეგ პოეტური შედარება, ზუსტად ვიცი, თემურს ძალიან მოეწონება. დედა და მამა პარიზში ხშირად დასეირნობენ. ჩემი შვილი ლიკუნა ხშირად არის მათთან.

– დაბოლოს, თქვენ და კინო?

– მომავალში, გადაღებებზე პარიზში გელოდები თამუნა :)

„არც ვიცი, რა ასაკის ვარ. ღუზას არ ვუშვებ. ასაკი რომ დავაფიქსირო, ნიშნავს, რომ ღუზა ჩავუშვი. რა დროს ეგ არის?“

„როდესაც მოპედით დადიხარ, თავისუფლების საშინელი შეგრძნება გაქვს. მონმარტრზე მოტოციკლეტით რომ დავეშვები, ყველაზე კარგად მაშინ ვფიქრობ. გადაწყვეტილებებს – პირადი იქნება თუ პროფესიული, დაშვების დროს ვიღებ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერ

„მაინტერესებს, გრძნობს თუ არა ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას ნიკა მელია. რომ არა მისი პოლიტიკური წარმოდგენა, დღეს ის ბავშვი ცოცხალი იქნებოდა“

„ყოველი ქართველის სიცოცხლე ჩემთვის ძვირფასია“

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

რატომ უწევთ თბილისში მცხოვრებ დევნილებს სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ცხოვრება? როგორ აპირებს მთავრობა ამ პრობლემის მოგვარებას და გამოასახლებს თუ არა სოზარ სუბარის უწყება სხვადასხვა ობიექტებში შეჭრილ დევნილებს პოლიციის ძალით? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს ესაუბრა. სოზარ სუბართან ინტერვიუში თქვენ, ასევე, შეიტყობთ, ემუქრება თუ არა ქვეყანას ტერორიზმის საფრთხე? რატომ დატოვა მან თავის დროზე სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტი? ვინ გეგმავდა ციხეებში სპეცრაზმის შეყვანას და პროვოკაციის მოწყობას?

– ბატონო სოზარ, დევნილებისთვის დახმარებების გაცემის, ან ბინების გადაცემის საკითხი ყოველთვის განსჯის საგანი იყო... წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, რომ პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა დევნილების დახმარება, თუმცა თქვენს შემთხვევაშიც სულ ისმის პრეტენზია, რომ იგივე ბინების გადანაწილება არასამართლიანად ხდება... რატომ?

– რამდენიმე დღეში შედგება კომისიის მორიგი სხდომა დასავლეთ საქართველოში ბინების განაწილებასთან დაკავშირებით. გთავაზობთ, დაესწროთ ამ პროცესს და შეგიძლიათ, საკუთარი თვალით ნახოთ და შეაფასოთ. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, რაც არ უნდა სამართლიანად გადაენაწილებინათ ეს ბინები, მაინც დარჩებოდა კითხვები, რადგან ეს ყველაფერი ხდებოდა ერთი კაცის – მინისტრის კაბინეტში. დღეს, ამ მხრივ, არის აბსოლუტური გამჭვირვალობა, გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია, როგორც სამინისტროს, ისე არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებით. რა თქმა უნდა, შეცდომებისგან არც ეს კომისიაა დაზღვეული, მაგრამ რისკები მაქსიმალურად შევამცირეთ. მაგალითად, ერთი კვირის წინ ზუგდიდში შემოვიდა განაცხადი ადამიანის, რომელიც უთითებდა, რომ ოჯახის წევრი ჰყავდა ომში გარდაცვლილი. ამ ფაქტორს კომისია მხედველობაში იღებს და ომში გარდაცვლილის ოჯახს მნიშვნელოვანი უპირატესობა ენიჭება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ადამიანი ომის დაწყებამდე გარდაიცვალა სრულიად სხვა მიზეზით და ადგილი ჰქონდა საბუთების გაყალბებას. ამ გაყალბებული საბუთებით ეს ოჯახი არათუ ბინის მოპოვებას ცდილობდა, არამედ ბოლო ერთი წლის განმავლობაში იღებდა ფულად დახმარებას, რომელიც პირველი იანვრიდან უკვე 1000 ლარს შეადგენდა. რა თქმა უნდა, საქმე პროკურატურას გადავეცით. ზუგდიდში ახლა ვანაწილებთ 320 ბინას. რა თქმა უნდა, ყველა ვერ დაკმაყოფილდება, ამიტომ ძირითადი კრიტერიუმები მაინც სოციალურ სტატუსზეა მიბმული. ის, ვინც უფრო დაუცველია, პირველ რიგში, მას ვაკმაყოფილებთ, შემდეგ უკვე სხვებს. სამწუხაროდ, თბილისში გვაქვს ისეთი შენობები, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოინგრეს და ყოველ დღე ვლოცულობ, რომ ეს დღეც გადაგვატანინა... ამიტომ პირველ რიგში მოხდება ამ ადამიანების დაკმაყოფილება, რომ თავიდან ავიცილოთ სერიოზული ტრაგედია.

– თუკი ყოველდღიურად ასეთი

„ციხეებში ხმაური და შიმშილი ხშირად დეპარტამენტის ხელმძღვანელების მხრიდან იყო ინსპირირებული, მათ ჰქონდათ სხვადასხვა მიზანი, მათ შორის ის, რომ ციხეში სპეცრაზმი შეგვეყვანა და ამ საქმეს ვიღაც გადაჰყოლოდა“

საგანგაშო ვითარებაა, რატომ არ მოხდა აქამდე ამ შენობებიდან დევნილების გაყვანა?

– თბილისში ამდენი წლის განმავლობაში არც ერთი ბინა არ აშენებულა. ჩვენ დავიწყეთ მშენებლობა და პირველი, ვისაც ამ ახალ შენობაში გადავიყვათ, სწორედ ის ხალხი იქნება, ვინც ამჟამად ნგრევად ობიექტებში ცხოვრობს. ამ წუთში იმის შესაძლებლობა, რომ ყველა ეს ადამიანი ქირით გავიყვანოთ, არ გვაქვს.

– ყოველთვის დიდი ხმაურით მიმდინარეობდა ხოლმე სხვადასხვა ობიექტებიდან დევნილების გამოსახლების პროცესი... თუ შეიცვალა სამინისტროს ასეთი ხისტი მიდგომა?

– რაც მე ვარ მინისტრი, არც ერთი ძალადობრივი გამოსახლება არ მომხდარა. დიახ, ხმაური იყო, რადგან მომივარდებოდა ხოლმე ნიკა მელია, იყვირებდა და წავიდოდა. ყველა იმ ადამიანმა, ვინც გამოსახლდა, საკუთარი ნებით დატოვა საცხოვრებელი, რადგან მოვახდინეთ კონკრეტული ობიექტის გარემონტება. ამ პროცესს ხელს უშლის ის, რომ კონკრეტულ ობიექტებში, დევნილებთან ერთად, არიან სოციალურად დაუცველებიც. ისინიც გაჰყავდა თბილისის მერიას, მაგრამ, ისევ და ისევ, ხელის შეშლის გამო, ეს ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ, ამას მოჰყვა ტრაგედია, შენობაში ცეცხლი გაჩნდა და ერთი არასრულწლოვანი გარდაიცვალა, მეორე მძიმედ დაშავდა, ასევე სერიოზული დამწვრობა მიიღო ოჯახის უფროსმა. ძალიან მაინტერესებს, გრძნობს თუ არა ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას ნიკა მელია, რომ არა მისი პოლიტიკური წარმოდგენა, დღეს ის ბავშვი ცოცხალი იქნებოდა და მისი ოჯახი მერიის მიერ უსაფრთხო ადგილას იქნებოდა გაყვანილი. მაინტერესებს, ერთხელ მაინც მივიდა ამ ოჯახთან? მიუსამძიმრა მაინც? სინდისის ქენჯნას არ განიცდის ამ ტრაგედიაზე? რა თქმა უნდა, გამოსახლების პროცესი ყველგან ხავერდოვნად ვერ მოხდება. არის კატეგორია, რომელსაც, პირველ რიგში, ეკუთვნის ბინა, მაგრამ იმის გამო, რომ სხვამ უფრო „იშუსტრა“: და დროზე ადრე შეიჭრა ობიექტში, იქმნება პრობლემა. სწორედ ეს შეჭრილი ხალხი ითხოვს სასწრაფოდ დაკანონებას და აქციებსაც მართავს, მაგრამ არ დავუკანონებ! მე ვიქნები მტყუანი იმ ათეულობით ადამიანის წინაშე, რომელიც ყოველდღე სიკვდილს შეჰყურებს, რადგან ნგრევად ობიექტებში ცხოვრობს. ვერ დავუკანონებ და იყვირონ, რამდენიც უნდათ. თუ საჭირო გახდება რადიკალური ზომების მიღება, ჩვენ ამას გავაკეთებთ. სახელმწიფო იმიტომ არის სახელმწიფო, რომ ასეთი ტიპის გამოწვევებს ადეკვატურად უპასუხოს. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, მოლაპარაკების გზით მივაღწიოთ შედეგს, მაგრამ, თუ ადამიანი სასამართლოს გადაწყვეტილებას ნებით არ ასრულებს, შესაძლოა, ძალის გამოყენებით მოხდეს მათი გაყვანა.

– როგორც ცნობილია, უკრაინიდან საქართველოში რამდენიმე ასეული ლტოლვილი ჩამოვიდა... რა შეღავათებით ისარგებლებს ეს ხალხი?

– 500-მდე ადამიანია შემოსული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა გარკვეულწილად ადრეც დაკავშირებული იყო საქართველოსთან. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ ადამიანებს მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ ის პროცედურები, რომელიც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის არის საჭირო, თუმცა ისინი მანამდეც ისარგებლებენ სახელმწიფო შეღავათებით, იქნება ეს დაზღვევა, საცხოვრებელი ბინის დაქირავება, განათლების უფლების უზრუნველყოფა თუ სხვა.

– რაკიღა უკრაინის თემას შევეხეთ, აქვე გკითხავთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება იქ წასული ქართველი მებრძოლების მიმართ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვიუ სოზარ სუბართან

„არ დავუკანონებ, რადგან მე ვიქნები მტყუანი იმ ათეულობით ადამიანის წინაშე, რომელიც ყოველდღე სიკვდილს შეჰყურებს. თუ რადიკალური ზომების მიღება საჭირო გახდება, ჩვენ ამას გავაკეთებთ“

– ყოველი ქართველის სიცოცხლე ჩემთვის ძვირფასია. მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკია ახალგაზრდა ბიჭებზე, რომლებიც ქვეყნის მომავალს წარმოადგენენ. ამ თემაზე სულ ილია ჭავჭავაძის სიტყვები მახსენდება, რომელსაც რჩევისთვის მიმართეს სტუდენტებმა, როდესაც ისინი საბერძნეთის ავჯანყებულების მხარდასაჭერად წასვლას გეგმავდნენ. ილიამ მათ მოუწონა თავდადება, შემართება, მაგრამ იქვე უთხრა, რომ არ წასულიყვნენ, რადგან თითოეული მათგანის სიცოცხლე სამშობლოს სჭირდებოდა. მე არც ილია ვარ და ვერც ასეთი მოწოდებას გავაკეთებ, მაგრამ ეს თითოეული ადამიანის პირადი გადაწყვეტილებაა. ზოგადად, იმას, რაც უკრაინაში ხდება, ძალიან მტკივნეულად განვიცდი. ჩემი ძმა ცხოვრობდა უკრაინაში, იქაური მოქალაქე იყო და იქ გარდაიცვალა. ჩემი რძალი და ძმისშვილი ამჟამადაც უკრაინის მოქალაქეები არიან. ასე რომ, ჩემთვის ნამდვილად არ არის სულერთი, რაც იქ ხდება.

– ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესზეც გკითხავთ... რჩება შთაბეჭდილება, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობამ გახმაურებული საქმეების გამოძიება დააჩქარა...

– რახან სამართლიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, მოდით, დავსვათ კითხვა – ვინ იდგა იმ უსამართლობის სათავეში? ეს იყო ქვეყნის პირველი პირი – მიხეილ სააკაშვილი, რომლის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. გამოცხადებულია ოფიციალური ძებნა. ქვეყანაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღები პირები, იქნება ეს ვანო მერაბიშვილი თუ სხვა, სხედან ციხეში, ზოგი მათგანი კი იძებნება.

– თუმცა იგივე კეზერაშვილის შემთხვევაში, საფრანგეთის სახელმწიფომ უარი თქვა საქართველოსთვის მის გადმოცემაზე...

– ეს არ ნიშნავს, რომ მისი საქმე პოლიტიკურად იყო მოტივირებული. მახსოვს, სააკაშვილის ხელისუფლების დროს საბერძნეთმა უარი თქვა გახმაურებული ნარკოტრაფიკის საქმეში ბრალდებული ნუგზარ ბოჭორიშვილის გადმოცემაზე. რა, ეს საქმეც პოლიტიკურად იყო მოტივირებული? ზოგჯერ ხდება ისე, რომ კონკრეტულ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული ეჭვები სასამართლო სისტემის მიმართ, ან ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. რაც არ უნდა წარმატებული რეფორმები გაატარო, ეს ეჭვები ერთ დღეში არ ქარწყლდება. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ამას დრო სჭირდება... საქმეები, რომელიც წლების განმავლობაში ყალბდებოდა, ორ-სამ დღეში ვერ გაიხსნება.



„რახან სამართლიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, მოდით, დავსვათ კითხვა – ვინ იდგა იმ უსამართლობის სათავეში? ეს იყო ქვეყნის პირველი პირი – მიხეილ სააკაშვილი“

– ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში თქვით, რომ იური ვაზაგაშვილის საქმე იქნება მთავარი ინდიკატორი... თუ ეს საქმე არ გაიხსნა, შესაძლოა „ქართული ოცნება“ დატოვოთ?

– მაშინ ჟურნალისტებმა არასწორად დასვეს კითხვა. მილიონი საქმეა, რომელიც შეიძლება ვერ გაიხსნას. დიდი განსხვავებაა „ვერგახსნასა“ და „არგახსნას“ შორის. თუ შეგნებულად არ გაიხსნა ეს საქმე, რა თქმა უნდა, ვიგრძნობ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა საქმეს აქვს გახსნის პერსპექტივა. იურის მკვლელობა უმძიმესი საქმეა, ცხადია, მისი გამოძიება ადვილი არ იქნება, მაგრამ ვიცი, რომ გამოძიება ძალისხმევას არ იშურებს.

– ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად საუბრობენ დესტაბილიზაციაზე... ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ თემებზე აპელირება გადაჭარბებულია?

– აქ საუბარია გარკვეულ მცდელობებზე. ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ის ძალა, რომელსაც სურს არეულობა და დესტაბილიზაცია. ისინი ფიქრობენ, რომ ამღვრეულ წყალში თევზს ადვილად დაიჭერენ.

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? რამე ინფორმაცია გაქვთ?

– თითოეული მათი განცხადება სწორედ აქეთკენ არის მიმართული. გარდა ამისა, ვიცით შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის განცხადება. მან გააკეთა რამდენიმე მკაფიო მინიშნება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. ამ განცხადებებს ჰქონდა ერთგვარი პრევენციის ხასიათი. როცა საფრთხეებზე ვლაპარაკობთ, მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ვერ ვისაუბრებთ. რამდენიმე დღის წინ პრესა შეძრა ჩვენი თანამოქალაქის განცხადებამ, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს იბრძვის. პრაქტიკულად ის იმუქრება ტერაქტებით, როგორც ხელისუფლების, ისე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ. ასეთი ინფორმაციების „გატარება“ და ყურადღების მიღმა დატოვება არ შეიძლება. სწორედ ასეთი მუქარებით იწყებოდა „შარლი ებდოს“ წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმა, 11 სექტემბრის ტერაქტი და სხვ.

„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლი იმუქრება ტერაქტებით, როგორც ხელისუფლების, ისე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ... ასეთი მუქარებით იწყებოდა „შარლი ებდოს“ წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმა და 11 სექტემბრის ტერაქტი“

– რუსეთიდან და პრორუსული ძალებიდან მომდინარე საფრთხეზე რას იტყვით?

– ქართველ საზოგადოებაში პრორუსული ძალების გავლენა იმდენად დაბალია, რომ მათი მხრიდან რაიმე სერიოზულ საფრთხეზე საუბარი უსაფუძვლოა. რა თქმა უნდა, რუსეთს ყოველთვის ექნება სურვილი, აქ რაიმე სახის დაძაბულობა და არეულობა გამოიწვიოს. ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა გონივრული პოლიტიკა. შეგახსენებთ უკრაინის მაგალითს... პოროშენკო შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ პუტინს დაელაპარაკოს. ჩვენც სწორედ მოლაპარაკების, მშვიდობიანი გზით უნდა ვიაროთ და არ უნდა წამოვეგოთ მორიგ პროვოკაციას.

– არსებობს თუ არა მთავრობის შიგნით დაპირისპირება? ხშირად საუბრობენ კალაძისა და ღარიბაშვილის გუნდებზე... პირადად თქვენ ვის გუნდში ხართ?

– ჭორებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. პრემიერ-მინისტრი არის ირაკლი ღარიბაშვილი და, რა თქმა უნდა, მეც და მთავრობის ყველა წევრიც, ვართ მისი გუნდის წევრები. რა თქმა უნდა, კამათი ხშირად არის. მაგალითად, მთავრობის ბოლო სხდომაზე ძალიან ვიკამათეთ ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხზე. ხანგრძლივი კამათის შედეგად მივდივართ კონსენსუსამდე და იმ გადაწყვეტილებამდე, რომელიც ქვეყნისთვის არის საჭირო. დამთავრდა ის დრო, როცა ერთი კაცის გადაწყვეტილებებით იმართებოდა ქვეყანა.

– რატომ წახვედით სასჯელაღსრულების მინისტრის თანამდებობიდან? როგორც ვიცი, ეს პირადად თქვენი სურვილი იყო...

– დიახ, სამჯერ ვიყავი ამ საკითხით მისული პრემიერ-მინისტრთან. ვითხოვდი, ან სხვა უწყებაში გადამიყვანეთ, ან გამათავისუფლეთ-თქო. როდესაც არსებობს განსხვავებული ხედვები სისტემის მართვასთან დაკავშირებით, ძნელია მუშაობა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გახლდათ აბსოლუტურად დამოუკიდებელი სტრუქტურა, თავისი ბიუჯეტით, საკადრო პოლიტიკით. მინისტრს არ ჰქონდა უფლება, საკადრო პოლიტიკაში ჩარეულიყო, რომელიც ხშირ შემთხვევაში ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო. მე ვამბობდი – სისტემა ან მე უნდა ვმართო, ან იმ ადამიანმა, რომელიც დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. როგორც ჩანს, მაინც იყო განცდა და კითხვები, რამდენად ეფექტურად შევძლებდი მე, როგორც უფლებადამცველი, სასჯელაღსრულების სისტემის მართვას. მიმაჩნია, რომ ჩემი პოლიტიკა ეფექტური იქნებოდა. დღესაც ვამაყობ იმ რეფორმებით, რომელიც გავატარე, თუმცა ხშირად ეს რეფორმები ხდებოდა დინების საწინააღმდეგოდ და ამ დინებას ქმნიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. რეფორმა, რომელიც გიორგი მღებრიშვილმა დაიწყო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ავტონომიურობის გაუქმების კუთხით, მისასალმებელია. ეს მონახაზი, კონცეფციის დონეზე ჩემი მინისტრობის დროს შეიქმნა.

– არსებული ინფორმაციით, თავად დეპარტამენტი და ციხის ადმინისტრაციის ხელმძღვანელები ამ რეფორმის კატეგორიული წინააღმდეგი არიან... ამბობენ იმასაც, რომ შესაძლოა, ავტონომიურობის შენარჩუნების მიზნით პატიმრების გამოყენებაც კი მოხდეს...

– ზოგადად, ციხე ძალიან მგრძნობიარე ორგანიზმია. ჩემი მინისტრობის დროს არ დამინიშნავს არც ერთი ციხის დირექტორი ისე, რომ ხმაური არ მოჰყოლოდა, ისევე როგორც განთავისუფლებას. იყო ხელებისა და ფეხების დაჭედვები იმის გამო, რატომ მოვხსენით კონკრეტული ციხის დირექტორი. ცხადია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ავტონომიურობის შეზღუდვას მოჰყვება პროტესტი. უამრავი ხმაური, არეულობა და შიმშილი, ძალიან ხშირად ინსპირირებული იყო სისტემის ხელმძღვანელების მხრიდან, მათ ჰქონდათ სხვადასხვა მიზანი, მათ შორის ის, რომ ციხეში სპეცრაზმი შეგვეყვანა და ვიღაც გადაჰყოლოდა ამ საქმეს. საბედნიეროდ, არც ერთხელ ასეთ პროვოკაციას არ წამოვეგეთ.

„მილიონი საქმეა, რომელიც შეიძლება ვერ გაიხსნას. დიდი განსხვავებაა „ვერგახსნასა“ და „არგახსნას“ შორის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გელა ჩარკვიანის ცხოვრ

my View

ნინო მჭედლიშვილი

გამოცდილება არის ცხოვრების პროცესი. არა მგონია, რომ ადამიანი საიდანმე ჭკუას სწავლობდეს. ცხოვრება მცდელობისა და შეცდომის სერიაა", - მითხრა ინტერვიუს წინ გელა ჩარკვიანმა. რა გამოცდა მოუწყო ცხოვრებამ, რა ფრაგმენტი ახსენდება ირაკლი ჩარკვიანის ცხოვრებიდან და როგორი უნდა იყოს ქალი, რომ ის მუდმივად სასურველი იყოს მამაკაცისთვის, ჩემი რესპონდენტი გიამბობთ. დღეს, ბატონ გელას ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ვესაუბრეთ

ცეკას პირველი მდივნის შვილობა თუ ჯეკპოტი

- 1939 წელს დავიბადე. მამაჩემი პირველი პირი იყო საბჭოთა საქართველოსი. მაშინ პოლიტიკური სისტემა ასეთი იყო, ცეკას პირველი მდივანი იყო რეალურად პირველი პირი. ცეკას პირველი მდივნის შვილად დაბადების ალბათობა, დაახლოებით სამჯერ ნაკლებია, ვიდრე საქართველოში ჯეკპოტის მოგების ალბათობა. მგონი ჯოობდა ჯეკპოტი მომეგო (იცინის).

- რატომ?

- მეტი ფული მექნებოდა. ცეკას პირველი მდივნის შვილობამ ფული არ მომცა, მაგრამ მომცა პრივილეგირებული ბავშვობა. ეს კარგიც არის და ცუდიც. მძიმე დრო იყო. ის პერიოდი, მატერიალური თვალსაზრისით, ძალიან მსუბუქად გამოვიარე. გაჭირვება არ მინახავს, იღბლიანი ვიყავი. ხალხის უმრავლესობა ძალიან გაჭირვებული იყო.

- რა იყო ცუდი?

- ცუდი არაფერი ყოფილა, თუმცა შეიძლებოდა ყოფილიყო. როცა ყველა გეუბნება, რა კარგი ხარ, გელოლიავება, თვალებში შემოგციცინებს ყალბად, მართლა კარგი კი არ ხარ, ამით ოჯახის კეთილგანწყობას იმსახურებს. შენ კი შეიძლება გეგონოს, რომ მართლა კარგი ხარ და თავში აგივარდეს. ფაქტორი, რომელიც ამ საშიშროებას აბალანსებდა, აბათილებდა, იყო დედაჩემი. დედა ძალიან მკაცრი ქალი იყო. ობლობაში გაიზარდა, დედ-მამა დაელუპა როცა 6 წლის იყო. დეიდამ გაზარდა, რომელიც ქართველი კათოლიკე იყო. ისიც ძალიან მკაცრი, ღვთისმოსავი ქალი გახლდათ და მკაცრად გაზარდა. ამიტომ დისციპლინა მძაფრად ჰქონდა დედას, თავაშვებულობა, ქეიფი არ უყვარდა, გვეუბნებოდა, ყველაფერი შემთხვევითობაა, არ გეგონოთ, რომ ასეთ ცხოვრებას იმსახურებთ, შემთხვევით ხართ კარგადო.

- დედას სიმკაცრე კიდევ რაში გამოიხატებოდა, რის უფლებას არ გაძლევდათ?

- როცა სტუდენტი ვიყავი, მამაჩემი ცეკას მდივანი აღარ იყო, მაგრამ მატერიალურად არც მაშინ გვიჭირდა, ინსტიტუტის დირექტორი იყო და პატარა ხელფასი არ ჰქონდა. ყოველდღე დედა 3 მანეთზე მეტს არ მაძლევდა. ეს მყოფნიდა იმაში, რომ მივსულიყავი „გეპეიში", უკან დავბრუნებულიყავი და მეყიდა სიგარეტი „პრიმა". ფული ბავშვს რყვნისო, ამბობდა დედა. არ მიხდიდნენ დაბადების დღეებს. კომუნისტებისთვის ბურჟუაზიული გადმონაშთები არ იყო მიღებული. მათ მიაჩნდათ, რომ ისინი ახალ ადამიანებს ქმნიდნენ, რომლებიც არ უნდა ყოფილიყვნენ „მეშჩანები" ანუ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მქონე ადამიანები. ამიტომ დაბადების დღეები, საჩუქრები არ ითვლებოდა კარგ ტონად.

- მშობლები საჩუქრებს არ გჩუქნიდნენ?

- არა. მხოლოდ პატარა ასაკში, სათამაშოს სახით. ერთხელ, მახსოვს, მატარებელი გვიყიდეს შვილებს, თავისი ლიანდაგებით, მთელი სისტემა იყო, ძალიან მოგვწონდა. ალბათ, სამხედროების ჩამოტანილი იყო, ნადავლი გერმანიიდან.

- ფული ბავშვს მართლაც რყვნის?

- ბევრი ფული, რა თქმა უნდა, ბავშვს გარყვნის, ზომიერება ყველაფერში საჭიროა.

- განსაკუთრებული დარიგება გახსენდებათ მშობლებისგან?

- მამაჩემს მიაჩნდა, რომ პოლიტიკაში არ უნდა ვყოფილიყავით გარეული. იცოდა, რომ პოლიტიკა, განსაკუთრებით იმ პერიოდის, იყო ბეწვის ხიდზე სიარული, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ამიტომ არ გვირჩევდა შვილებს ამ სფეროში ჩართვას. მე არქიტექტორობას მირჩევდა. თავად უნდოდა არქიტექტორობა, მაგრამ ვერ მოახერხა. მან კარგად იცოდა რუსული და ამიტომ გაზეთის რედაქტორად წაიყვანეს. ასე რომ, თქვენი კოლეგა იყო მამაჩემი. დედაჩემს დირიჟორი უნდოდა გამოვსულიყავი. დედას შესანიშნავი სმენა ჰქონდა, მისგან გამომყვა მეც ეს ნიჭი. მოსკოვში რომ გადავედი, მუსიკას თავი დავანებე, გამებისა და ეტიუდების დაკვრა მეზარებოდა.

- მაშინ მუსიკაზე სიარული მოდური იყო, მხოლოდ ამიტომ დაჰყავდით დედას მუსიკაზე, თუ ეს თქვენი სურვილიც იყო?

- სწავლების ის მეთოდიკა, აკადემიური სწავლება დიდად არ მხიბლავდა. თუმცა ჩემი აქაური მასწავლებელი, კარგი ადამიანი იყო, მუსიკალური, ფაქიზი სულის. ბალანჩივაძის საბავშვო კონცერტის პირველი შემსრულებელი ვიყავი. პირველ ნაწილს, ბალანჩივაძის ვაჟი უკრავდა, მეორეს მიშა კილასონიძე და მესამეს - მე. 10-11 წლის ბიჭისთვის არ იყო ეს უბრალო ამბავი, მაგრამ მერე, მოსკოვში, მასწავლებელი არ მომეწონა. უხეში ქალი იყო, სიფაქიზე, რომელიც ჩემს აქაურ მასწავლებელში იყო, მასში ვერ აღმოვაჩინე. ერთხელ, როცა მე მოცარტის „რე მინორის ფანტაზიას" ვუკრავდი, ძეხვის სუნი მომივიდა. უკან მივიხედე და დავინახე, ბუტერბროდს ჭამდა. მოვედი სახლში და ვთქვი, რომ იქ აღარ წავიდოდი.

- მშობლები გაქებდნენ?

- არა. დედაჩემი არასდროს მაქებდა. ეს არ იყო სწორი. როცა არ გაქებენ, სწორად თვითშეფასების უნარს კარგავ. მთელი ცხოვრების განმავლობაში გაცილებით მეტი პოტენციალი მქონდა, ვიდრე თვითონ მჯეროდა ამის. ამიტომ ჩვენ, მე და ნანა ირაკლისთან მიმართებაში ასე არ ვიქცეოდით. ნანა სულ არ ჰგავდა დედაჩემს, საერთოდ არ იყო მკაცრი.

პირველი ხელფასი, პირველი სამსახური

- როცა მე და ნანა ცალკე გადავედით და მარტო დავიწყეთ ცხოვრება, ეს საკითხიც დადგა დღის წესრიგში. მართალია ჩემი მშობლები გვაძლევდნენ ფულს, თვეში 80 მანეთს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ირაკლი უკვე გვყავდა. მაშინ გავიხსენე მუსიკა. მაგ დროისთვის უკვე ვუკრავდი ჯაზს. მოგეხსენებათ, ნანა კონსერვატორიაში სწავლობდა და მასთან ერთად თეორიის კურსებიც გავიარე. გამომადგა. მაშინ ყველა დაწესებულებას ჰყავდა თვითმოქმედი ორკესტრი. მივედი „მაუდკამვოლის" კომბინატში და გავხდი ორკესტრის ხელმძღვანელი. 50 მანეთს მიხდიდნენ.

- გახსოვთ, პირველი ხელფასი როგორ გამოიყენეთ?

- ოჯახს მოვახმარე... საოცარი შეგრძნებაა, როცა შენ შენი გამომუშავებული ხელფასი მიგაქვს ოჯახში, ეს არის იმის დასტური, რომ შენ კაცი ხარ. თუ თავის და ოჯახის შენახვა არ შეგიძლია, კაცი აღარ ხარ. ცუდი სათქმელია, მაგრამ ასეა.

- ფინანსურად ყველაზე მძიმე პერიოდი რომელი იყო თქვენს ცხოვრებაში?

- 90-იანი წლების დასაწყისი, როცა დაინგრა საბჭოთა ხელისუფლება. მაშინ უკვე ვმუშაობდი, შევარდნაძის მრჩევლად, რომელიც ჯერ პრეზიდენტი არ იყო, საქართველოს მეთაური ერქვა, მაგრამ ხელფასი მქონდა 165 ლარი. ამას ერთვოდა უშუქობა, უყველაფრობა. სხვა დროს ნამდვილი გაჭირვება არ გვინახავს. ყოველთვის მყავდა მოწაფეები, ნანაც ცდილობდა დამხმარებოდა. მახსოვს, ერთხელ, სახის „კრემების" კეთება და გაყიდვაც დაიწყო. ეს ხელობა მან დედამისისგან იცოდა. ასე რომ, ამ სხვადასხვა წყაროებიდან მეტნაკლებად შემოსავალი გვქონდა. ფულის გადანახვაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მაგრამ ვცხოვრობდით. 90-იანი წლების შემდეგ უკვე ლექციები შემომთავაზეს საზღვარგარეთ. მსოფლიოს აღიარებულ კვლევათა ცენტრებში ვკითხულობდი ლექციებს, სადაც ერთ ლექციაში ათას დოლარს მიხდიდნენ. ეს იყო წელიწადში ოთხჯერ, ხუთჯერ.

„ნამდვილი სიყვარული ქრონიკული დაავადებაა და არ იკურნება"

- რამდენჯერმე ახსენეთ თქვენი მეუღლე, ქალბატონი ნანა, რით გამოარჩიეთ დანარჩენ ქალებში?

- ეს არავინ იცის, დავინახე თუ არა მომეწონა. ზემელზე შევხვდით პირველად. მეგობართან ერთად მოდიოდა, რომელსაც მეც ვიცნობდი. რაღაც ძალამ მიბიძგა, რომ მათ წავყოლოდი. ეს მისტიკაა, არ იცი რატომ გიზიდავს. 19 წლის ვიყავი მაშინ.

- სიყვარულში როგორ გამოუტყდით?

„როდესაც ირაკლი გარდაიცვალა, მე შემეცოდა ის ბავშვი, დიდი ირაკლი იმდენად არა. იმიტომ, რომ თვითონ მიდიოდა იქით, სულ ამბობდა, რომ არ უნდოდა სიბერე, არ მინდა ბებერი ირაკლი ჩარკვიანი არსებობდესო"

„ერთხელ მითხრა, რომ მოვკვდები, შენ კიდევ ითხოვ ცოლსო. ძალიან გავბრაზდი. ამიტომ უნდა მეთქვა, სულ ვაპირებდი, რომ მეთქვა, მაგრამ..."

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მამაჩემს მიაჩნდა, რომ პოლიტიკაში არ უნდა ვყოფილიყავით გარეული. იცოდა, რომ პოლიტიკა, განსაკუთრებით იმ პერიოდის, იყო ბეწვის ხიდზე სიარული, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ამიტომ არ გვირჩევდა შვილებს ამ სფეროში ჩართვას. მე არქიტექტ-ორობას მირჩევდა. თავად უნდოდა არქიტექტორობა, მაგრამ ვერ მოახერხა“

„თუ თავის და ოჯახის შენახვა არ შეგიძლია, კაცი აღარ ხარ. ცუდი სათქმელია, მაგრამ ასეა“

EXCLUSIVE

- 6 თვის შემდეგ მისსავე სახლში გამოვუტყდი. ციოდა, ოქტომბერი იყო... ლექსიც დავწერე...

„გუშინ ქროდა ქარი, ციოდა, ფოთლები ცვიოდა, მმატებდა კაეშანს.

სუსხი საოცრად ცისფერი ციდან ჭვარტლიან ქალაქს დაეშვა.

კვამლი ამოვარდა ქარხნის მილიდან, სწრაფად მიაშურა მახათას,

ქარმა აზანზარა ფანჯრის მინა და გამვლელ მოხუცს ქუდი ახადა.

შორეულ ზაფხულზე სტიროდნენ ხეები, მე კი ყველას და გასაკვირველად

მცხელოდა ოქტომრის სუსხიან დღეებში, გახსოვს, ოქტომრის სუსხიან დღეებში გაკოცე პირველად“.

ამ შემთხვევიდან 2-3 თვის შემდეგ დავწერე ეს ლექსი, მაგრამ ზუსტად აღწერს, იმ დღეს, როცა ნანას სიყვარულში გამოვუტყდი. ეს იყო პირველი კოცნა და პირველი აღიარება. თუმცა, „მე შენ მიყვარხარ“, ნანასთვის არ მითქვამს და ვნანობ ამას. ეს უნდა თქვა, ბოლოს მაინც. მახსოვს, ერთხელ მითხრა, რომ მოვკვდები, შენ კიდევ ითხოვ ცოლსო. ძალიან გავბრაზდი. ამიტომ უნდა მეთქვა, სულ ვაპირებდი, რომ მეთქვა, მაგრამ...

- არსებობს რეცეპტი, რომელიც სიყვარულს არ გაახუნებს?

- რეცეპტი არა, პირობები არსებობს. მოქმედებით ამას ვერ გააკეთებ, ეს ადამიანების ხასიათზეა დამოკიდებული. სიყვარული ყოველთვის თხოულობას გამოცანას, საიდუმლოებას. თუ საიდუმლოება არ არის ადამიანებში, სიყვარული ხუნდება. ნანა სფინქსი იყო, არ ლაპარაკობდა, სიტყვაძუნწი იყო. შეიძლება სამი საათი მჯდარიყო მეგობრებში და არაფერი ეთქვა. როცა ადამიანი ცოტას ლაპარაკობს, ყოველთვის გგონია, რომ საიდუმლოება აქვს. ის მუდმივად საინტერესო იყო ჩემთვის, გამოცანა იყო ნანა, არ უყვარდა ნანას ინტელექტუალური საუბრები, ინტუიცია იყო მთლიანად. ვერბალური ქალები, რომლებიც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, ააშკარავებენ თავიანთ თავს. ნანა, ერთი მხრივ, ლამაზი იყო და მეორე მხრივ, გამოცანა. ნამდვილი სიყვარული ქრონიკული დაავადებაა და არ იკურნება.

- რით იზომება სიყვარული?

- მსხვერპლით. სხვა საზომი არ აქვს. როცა ნანასთან სიარული დავიწყე, შეხვედრები, ყველა მსხვერპლისთვის მზად ვიყავი: აღარ დავდიოდი გეპეიში, გამოცდებს ვეღარ ვაბარებდი, ამის გამო სახლში მქონდა სკანდალები, არაფერი მახსოვდა, მხოლოდ ნანაზე ვფიქრობდი. ეს არის მსხვერპლი, მთლიანად ცვლი შენს ცხოვრებას.

თუ დაზოგავ ჯოხს, გააფუჭებ ბავშვს

- თავად რა გამოცდილება გაუზიარეთ შვილებს?

- ჭკუას ვარიგებდი-მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ ბევრ რამეს ვასწავლიდი. ვიცოდი, რომ ორივე, თეონაც და ირაკლიც შემოქმედებითი ადამიანები იყვნენ. ამიტომ თავიდანვე შემოქმედებით თამაშებს ვეთამაშებოდი. ეს იყო რითმობანა (ვიტყოდი სიტყვას და რითმა უნდა მოეცა), პარადოქსობანა (უნდა მოეფიქრებინა პარადოქსი. მაგალითად, ერთხელ მითხრა, მე ისეთი მშიერი ვარ, მწვადსაც კი არ შევჭამო. აი, ეს არის პარადოქსი), ოქსიმორობანა (შავი თოვლი, ტკბილი ტკივილი) აფსურდობანა და ა.შ. აი, ასეთ რაღაცებს ვასწავლიდი შვილებს. მამაჩემს ეს არ გაუკეთებია, თუმცა მიკითხავდა, სწავლისკენ მიმითითებდა ყოველთვის. შვილთან ურთიერთობაში აუცილებელია შენი გემოვნების დაფიქსირებაც. არ არის აუცილებელი ის დაგეთანხმოს. მთავარია უთხრა რა არის კარგი და რა ცუდი, ნახატი იქნება ეს, მუსიკა, თუ ფილმი. ოღონდ ამისთვის ჯერ შენი გემოვნება უნდა დახვეწო.

„ისეთი არაფერი დამიშავებია, სანანებლად რომ გამხდომოდა. ბედისწერას კი შევცვლიდი, სადაც კონტროლი არ მაქვს. ვერ ავიცილე ტრაგედიები“

- დასჯის მეთოდი გქონდათ?

- შვილები არ მიცემია, მაგრამ საბწუხაროდ, მიყვირია მათთვის. მაგრამ მთლად დაუსჯელობაც არ ვარგა. დედაჩემი ზოგჯერ გამარტყამდა კიდეც, მაგრამ ეს მაშინ უფრო მიღებული იყო, მარტო ჩვენთან კი არა, ყველგან. ინგლისში რაღაც დრომდე როზგავდნენ ბავშვებს, რუსულ გიმნაზიებშიც როზგავდნენ ბავშვებს. არის ასეთი გამოთქმა, „თუ დაზოგავ ჯოხს, გააფუჭებ ბავშვს“. დღევანდელ მსოფლიოში დასჯა ამოღებულია, მხოლოდ საუბრებით უნდა დაარწმუნო ბავშვი შენს სიმართლეში. მე არ ვარ ამის მომხრე, მგონი დასჯა მაინც საჭიროა.

„ირაკლის არ უნდოდა ბებერი ირაკლი ჩარკვიანი ყოფილიყო“

- დღეს, როცა ირაკლის იხსენებთ, ყველაზე ხშირად ცხოვრების რა ფრაგმენტი წარმოგიდგებათ ხოლმე თვალწინ?

- ჩემთვის დღესაც, ირაკლი არის პატარა ბავშვი, ბავშვი, რომელიც ხელში მეჭირა. როდესაც ირაკლი გარდაიცვალა, მე შემეცოდა ის ბავშვი, დიდი ირაკლი იმდენად არა. იმიტომ, რომ თვითონ მიდიოდა იქით, სულ ამბობდა, რომ არ უნდოდა სიბერე, არ მინდა ბებერი ირაკლი ჩარკვიანი არსებობდესო. ამიტომ შეცოდებით არ შემცოდებია, ნანა უფრო მეცოდებოდა, უყვარდა სიცოხლე და ამიტომ. ირაკლის მეგობრებიც აღარ ჰყავდა გარშემო, ყველა დაიღუპა, წერდა კიდეც თავის წიგნში, ალბათ, იმიტომ გადამარჩინა ღმერთმა, რომ ეს „მართალი წიგნი“ დამეწერაო. რახან დავწერე, კარი უნდა მოვიჯახუნო და წავიდეო, რაც სათქმელი გაქვს, თქვი და მერე წადიო, წერს.

- როგორ გგონიათ, თქვა ირაკლიმ ყველაფერი, რისი თქმაც უნდოდა?

- ბევრად მეტი შეეძლო ეთქვა. წარმოუდგენლად ნიჭიერი ადამიანი იყო. ამბობდა, დაახლოვებით 150 მელოდია მაქვს თავშიო. წარმოიდგინეთ, 150 სიმღერა შეეძლო კიდევ დაეწერა. ეს მაწუხებს ზუსტად. ყველაფერს ადამიანი ვერასდროს ამბობს. მე რომ ხვალ წავიდე ამ ქვეყნიდან, რაღაც მაინც დამრჩება სათქმელი.

- დადასრულ, შეცდომებზეც გკითხავთ... რას შეცვლიდით რომ შეგძლებოდათ?

- ჩემს ქცევაში არაფერს, ისეთი არაფერი დამიშავებია, სანანებლად რომ გამხდომოდა. ბედისწერას კი შევცვლიდი, სადაც კონტროლი არ მაქვს. ვერ ავიცილე ტრაგედიები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვალერი გელბახიანი: „სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების ერთადერთი შანსი არსებობს და ეს არის რევოლუცია“

ხათუნა მგალობლიშვილი

ნატოს ღია გაფრთხილება თბილისს. დასავლეთში არ გამორიცხავენ, რომ საქართველო რუსული აგრესიის ობიექტი გახდეს. ნატოს წარმომადგენლის განმარტებით, რუსეთი საქართველოში „ჰიბრიდული ომის“ ტაქტიკას გამოიყენებს.

პარალელურად, კიევიდან მიხეილ სააკაშვილი სულ უფრო მეტად შეგვახსენებს, რომ ის საქართველოში ჩამოვა.

რა პროცესები შეიძლება განვითარდეს საქართველოში და როგორია ომის პერსპექტივა. „პრაიმტაიმს“ ვალერი გელბახიანი ესაუბრა:

– სააკაშვილის საქართველოში დაბრუნების ერთადერთი შანსი არსებობს და ეს არის რევოლუცია, სხვა შანსი არ არის.

– რადგან უკვე ასეთ განცხადებებს აკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ გრძნობს რევოლუციურ განწყობებს საქართველოში?

– რევოლუციას უნდა მომწიფება. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ რომ ხელისუფლება ნდობას კარგავს, სიტუაცია რევოლუციისთვის მომწიფებული მაინც არ არის. თუმცა არსებობს ხელოვნური რევოლუციები. მაგალითად, შარშანდელი მაიდანის სცენარი უკრაინაში იყო ხელოვნური რევოლუცია. არავითარი საბაბი არ არსებობდა მაშინ რევოლუციისთვის და განხორციელდა სისხლიანი რევოლუცია.

– შეიძლება ჩვენთანაც მოხდეს მსგავსი ხელოვნური რევოლუცია?

– რა თქმა უნდა, შეიძლება, მით უფრო, რომ ნატოს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ რუსეთი საქართველოში ომს გეგმავს. ომის პროვოცირების შემთხვევაში ნაციონალურ ძალებს შეუძლიათ ხელისუფლების გადაყენება? ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სიმართლე გითხრათ, მიკვირს, ნატოს ხელმძღვანელობა რატომ აცხადებს ასეთ რამეს, მაგრამ ომს პირდაპირი სცენარით კი არ დაიწყებს, არამედ შერეული სისტემით. ეს კი მიმანიშნებს იმაზე, რომ ვიღაცას პირდაპირ ამზადებენ თუ აქეზებენ იმისთვის, რომ რუსეთი პროვოკაციას იწყებს და ანტირუსული ძალები უნდა განეწყონ ამ ომისთვის. მეტი საბაბი რაღა უნდა იყოს რევოლუციისთვის?

– და ეს რუსული პროვოკაცია ვის წისქვილზე ასხამს წყალს?

– ვფიქრობ, ამერიკელების ინტერესებშია,

– რატომ?

– იმიტომ რომ კავკასიური ნაწილი რუსეთის ზურგია და მათ შორის საქართველო არის ერთ-ერთი საკვანძო ადგილი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით. თუ საქართველო მყარი ზურგი იქნება რუსეთისთვის, მას შეუძლია, თავისუფლად დაიწყოს ევროპული ომი, მაგრამ ამას არ გააკეთებს, თუ მისი ზურგი მორღვეული იქნება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, საქართველო ვისი კონტროლის ქვეშ იქნება ომის სიტუაციაში – რუსეთის თუ დასავლეთის. თუ საქართველო დასავლეთის კონტროლქვეშ მოექცა, რუსეთი ომს ვერ გაბედავს, რადგან საქართველო შეიძლება გამტარის ფუნქცია იტვირთოს და რუსეთის კავკასიურ ნაწილში ყოველდღიური ტერორისტული აქტები მოეწყოს, სეპარატიზმი განვითარდეს. შესაბამისად, რუსეთის ერთმა ნაწილმა შეიძლება ჩამოშლა დაიწყოს. ვისაც რუსეთის ცენტრალური ნაწილის გათიშვა უნდა, ამ სქემას მიჰყვება პირველ რიგში. რუსეთი კი არ დაუშვებს, რომ ვინმემ მოარღვიოს კავკასიური ზურგი და ისე დაიწყოს ომი დასავლეთთან. აქედან გამომდინარე საქართველოს ეძლევა აბსოლუტურად გადამწყვეტი მნიშვნელობა.

„სიმართლე გითხრათ, მიკვირს, ნატოს ხელმძღვანელობა რატომ აცხადებს ასეთ რამეს“

– ასე თუ განვითარდა მოვლენები, სააკაშვილს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი გაუჩნდება?

– ამას თავად ამბობს სააკაშვილი.

– ახალი ძალის გამოჩენას თუ ელოდებით პოლიტიკურ ასპარეზზე?

– სტაბილურ პერიოდში ველოდები, მაგრამ ომის პირობებში, რა თქმა უნდა, არა.

– ანუ ომი რამდენად რეალურია?

– მგონი, ყველაზე რეალურია. ასეთი განცხადება ამერიკამ გააკეთა. მათი მხრიდან აღნიშნული განცხადება იყო პრევენცია იმისთვის, რომ ომი იწყება.

– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ემზადება ან მზად არის ამ გამოწვევისთვის?

– ჩვენთან ექსპერტები ფიქრობენ, რომ ეს არ არის რეალური, შესაბამისად, როგორც ჩანს, ხელისუფლებაც გამორიცხავს ასეთ სცენარს. ამერიკა რომ არ გამორიცხავს, ეს ხომ ფაქტია?

„ჩვენ ვუყურებთ ოპოზ
და რომლებიც სრულ

„ის, რასაც ჩვენი პოლიტიკური ელიტები პოლიტიკას უწოდებენ, პოლიტიკა არ არის. ეს არის პოლიტიკის სამარცხვინო კარიკატურა“

ქეთი ხატიაშვილი

პოლიტიკური იდეების ისტორიკოსი, ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტის დოქტორანტი გრიგოლ გეგელია „პრაიმტაიმს“ თანამედროვე ქართულ პოლიტიკასა და ქართველი პოლიტიკოსების წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევებზე ესაუბრა:

– შეგიძლიათ, ისაუბროთ იმ თავისებურებებზე, რომელიც ქართულ პოლიტიკას დასავლურისგან განასხვავებს? მაგალითად, იმაზე, როგორ ესმით საქართველოში კოალიციის მნიშვნელობა. დასავლეთში კოალიციები არჩევნების შემდეგ იქმნება, საქართველოში კი არჩევნების შემდეგ იშლება...

– ქართულ პოლიტიკას დასავლურისგან ბევრი რამ განასხვავებს. პირველ რიგში, საქართველოში დღემდე არ ჩამოყალიბებულა ნათელი პოლიტიკური მხარეები. საქართველოს მოქალაქეები პოლიტიკურ პარტიებს ვირჩევთ არა იმიტომ, რომ მათი იდეოლოგია მოგვწონს, არამედ იმიტომ, რომ სხვა არჩევანი არ გვაქვს. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება არ მოსულა ქვეყნის სათავეში კონკრეტული იდეების გამო. პირველი პრეზიდენტი მოვიდა ეროვნული განთავისუფლების ტალღით, მეორე – საქართველოს პირველისგან განთავისუფლების მიზნით, მესამე – საქართველოს მეორეს მიერ შექმნილი ჭაობისგან განთავისუფლების მიზნით, მეოთხენი კი – საქართველოს მესამეს ავტორიტარული ტენდენციებისგან განთავისუფლების მიზნით. საერთოდ, შესაძლებელია ამას პოლიტიკა ეწოდოს? არა მგონია.

რა თქმა უნდა, კოალიცია არჩევნების შემდეგ უნდა იქმნებოდეს, ანუ მას შემდეგ, როცა პარტიებს ცალ-ცალკე უკვე აღებული აქვთ ხმები. როცა ასე ხდება, პარტიებს შორის აუცილებელია დიალოგი საქმეზე. იმის მიხედვით, რომელს რამდენი ხმა მიანიჭა ამომრჩეველმა, ისინი ერთმანეთში ინაწილებენ თანამდებობებს მნიშვნელობისა და წონის მიხედვით, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათ უწევთ მოლაპარაკება კონკრეტულ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე, ანუ საერთო კომპრომისული გზის გამონახვა. ამ შემთხვევაში არსებობს ნამდვილი პოლიტიკა, რადგან ასეთ კოალიციას კრავს არა ერთი ადამიანის ზიზღი ან სხვა ერთი ადამიანის მონად ყოფნა, არამედ იდეები და საქმე. საქართველოს კი, ერთხელ და სამუდამოდ, სჭირდება ისეთი მმართველი ძალა, რომელიც იდეებისა და საქმის სამსახურში დგას.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოში ოპოზიციის პრობლემა უფროა, ვიდრე ხელისუფლების? ანუ ჯერ არ ყოფილა ოპოზიცია, რომელიც ვადაზე ადრე ხელისუფლებაში მოსვლას არ ცდილობს. რით ხსნით ამ ფაქტს?

– საქართველოში ოპოზიციის პრობლემაც არის და ხელისუფლების პრობლემაც. ის, რასაც ჩვენი პოლიტიკური ელიტები პოლიტიკას უწოდებენ, პოლიტიკა არ არის. ეს არის პოლიტიკის სამარცხვინო კარიკატურა, ძიძგილაობა სკამებისა და ძალაუფლებისთვის, რომელსაც შემდეგ ყველა ზუსტად ერთნაირად იყენებს. ეს არის სრულიად ქართველი ხალხის შეურაცხყოფა.

პოლიტიკა, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, იმაზე ფიქრის პროცესი უნდა იყოს, როგორ ვაქციოთ საქართველო ღირსეულ, ეკონომიკურად სტაბილურ და დაცულ სახელმწიფოდ. ეს უამრავ გარდაქმნას მოითხოვს, ქვეყნის კონსტიტუციური წყობითა და ტერიტორიული და ინსტიტუციური მოწყობით დაწყებული, ეკონომიკისა და განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმით დასრულებული. თანამედროვე საქართველოში პოლიტიკა, ასევე, აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკური ჩართულობის ახალი გზების მოძიებისა და განვითარების პროცესიც. პოლიტიკა უნდა იყოს ახალი იდეებით სავსე ცოცხალი პროცესი და არა ის სამარცხვინო და უაზრო აქტები, რადაც ჩვენ პოლიტიკად წარმოგვიდგენენ.

ამის სანაცვლოდ კი ჩვენ უკვე ოცდამესამე წელია, შევყურებთ საკუთარ თავში აბსოლუტურად დარწმუნებულ მთავრობებს, რომლებიც ტიპურად არავის არ უსმენენ და ქვეყნით სათამაშოსავით ერთობიან, ჩვენ ვუყურებთ ოპოზიციებს, რომლებიც უაზროდ გაჰკივიან ქუჩასა თუ პარლამენტში და რომლებიც სრულიად უპასუხისმგებლოდ აკრიტიკებენ ხელისუფლებებს. იყო ოპოზიცია, არ ნიშნავს, უბრალოდ აკრიტიკებდე ხელისუფლებას ნებისმიერი მუხლით. პირიქით, იყო ოპოზიცია, ეს ნიშნავს გარკვეული პასუხისმგებლობის აღებას და კონკრეტული ცოდნის ფლობას იმაზე, თვითონ რას გააკეთებდი ხელისუფლებაში მოსვლისას. ეს კი ძალიან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ICIEBS, ROMLEBIC UAZROD GAJKIVIAN, ZUCHASA TU PARLAMENTSHI IAD UPASUKISMGEBLOD AKRITIKEBEN KELISUFLEBEBS“

გრიგოლ გეგელია: „ქუჩის აქციები, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა და მსგავსი ქმედებები არასერიოზული და სასაცილოა“

EXCLUSIVE

იშვიათად გვხვდება.

– საერთოდ, რატომ არის ასეთი რადიკალური დაპირისპირება ყოველთვის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რა იწვევს კონფლიქტს, ამბიციები თუ მსოფლმხედველობითი განსხვავება?

– პრიმიტიული ზიზღი. სამწუხაროდ, მსოფლმხედველობითი განსხვავება ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. თუნდაც იმიტომ, რომ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა ძალიან ცოტა ძალას აქვს, რაც ასევე შეურაცხყოფას აყენებს ქართველ ელექტორატს, რომელსაც ასეთი პოლიტიკური სუბიექტები შემდეგ ხმის მიცემას სთხოვენ.

ამბიცია, ამ სიტყვის ყველაზე უშნო გაგებით, ნამდვილად გვხვდება. იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკოსების დიდ ნაწილს, სკამის მოპოვების გარდა, არც არაფერი ადარდებს და ამოძრავებს, ყოველ მათგანს აქვს პრეტენზია საქართველოს მმართველობაზე. თავისთავად, ჯანსაღი ამბიცია კარგი რამ არის. ჯანსაღი ამბიცია, ეს არის სურვილი, განავითარო საკუთარი თავი და იღვაწო სხვებისთვის ისეთი ქვეყნის შესაქმნელად, სადაც მათაც აქვთ განვითარების, წინსვლისა და საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობა. მაგრამ, საქართველოში ეს ამბიცია პოლიტიკაში თითქმის არ გვხვდება. სამაგიეროდ, დიდი დოზით გვხვდება სკამის მოყვარული, პრიმიტიული პიროვნებების არაჯანსაღი და უშნო ამბიცია.

ასეთი პოლიტიკისა და ასეთი პოლიტიკოსების დრო უნდა დავასრულოთ. ამისთვის კი უახლოეს მომავალში სრულიად ახლებური პოლიტიკის დაწყებაა საჭირო, რომელიც იქნება ადამიანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, კონცენტრირებული ისეთი სახელმწიფოს შექმნაზე, სადაც ადამიანი არის არა ვიღაცის მონა და ქვეშევრდომი, არამედ თავისუფალი, თანასწორი და დაცული მოქალაქე ნამდვილი რესპუბლიკისა.

– ქუჩის პოლიტიკა და ქუჩის პოლიტიკოსები, რატომ მოსწონთ საქართველოში რადიკალიზმი და აგრესია... ის, რომ კომპრომატების ომი უფრო მიმზიდველია, ვიდრე პროგრამებით კონკურენცია, საზოგადოების ბრალიც არის? ელექტორატს სკანდალი და სანახაობა უფრო ართობს და აინტერესებს, ვიდრე დაპირებების რეალობაში გარკვევა. ასეთი დამოკიდებულება სანახაობისადმი აიძულებთ პოლიტიკოსებს, იყვნენ სკანდალურები?

– თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს სხვანაირი პოლიტიკის წარმოება არც შეუძლია. ახლებური პოლიტიკის წარმოებას სჭირდება სერიოზული განათლება, ძალიან ბევრი მუშაობის უნარი და სურვილი, ურყევი პრინციპულობა, ახალი პოლიტიკური დროის ნათელი ხედვა და იმ სირთულეებისთვის მზადყოფნა, რომელიც ახალი საქართველოს შენებას აუცილებლად მოჰყვება.

ამ გამოწვევებისთვის კი არსებული პოლიტიკური ელიტები მზად არ არიან. თუმცა, ვფიქრობ, ჩემი თაობა კარდინალურად გარდაქმნის ქართული პოლიტიკის რაობას. ჩვენი თაობის სახით, მოდის სრულიად ახალი სახის ენერგია, რომელიც უდავოდ შეძლებს, იმ გამოწვევებს შეეჭიდოს, რომელთა წარმოშობაც რეალურად გარდაუვლია ახალი სახის საქართველოს შენებისას.

– საერთოდ, განვითარების რა ეტაპზეა საქართველოში პოლიტიკური კულტურა?

– სამწუხაროდ, საშუალოზე ოდნავ ქვევით; ამ შეფასების გაკეთებისთვის საჭირო ოპტიმიზმსაც მხოლოდ ის მაძლევს, რომ დემოკრატიული პროცესი აღინიშნება, რაც თავისთავად კარგია. მაგრამ, თუ შევხედავთ პოლიტიკოსების განცხადებებს და იმასაც, რაზე გვაქვს ჩვენ, მოქალაქეებს, პროტესტი, დავინახავთ, რომ პოლიტიკური თვითშეგნება საკმაოდ დაბალია. ერთი მითი, რომელიც ქართველი საზოგადოების შესახებ ხშირად ისმის, ის არის, რომ ჩვენ „პოლიტიზებული“ საზოგადოება ვართ. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ სინამდვილეში პოლიტიკა მხოლოდ კრიტიკულ მომენტებში გვადარდებს, მაშინ როცა ჩვენივე უყურადღებობის გამო რეჟიმი გადაგვარდა (რაც ყოველთვის გარდაუვალია, როცა მოქალაქეები პოლიტიკურად არ ფხიზლობენ) და აუცილებლად მიგვაჩნია მისი შეცვლა.

„ჩვენ უკვე ოცდამესამე წელია, შევყურებთ საკუთარ თავში აბსოლუტურად დარწმუნებულ მთავრობებს, რომლებიც ტიპურად არავის არ უსმენენ და ქვეყნით სათამაშოსავით ერთობიან“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესი არსებობს, ელექტორალური ჩართულობა უკიდურესად დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურ პროცესს ლეგიტიმაციას საქართველოს ძალიან ცოტა მოქალაქე აძლევს. რაც კიდევ უფრო უარესია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ პოლიტიკა უმრავლესობას ან სავსებით არ ადარდებს, ან ადარდებს, მაგრამ იმედგაცრუებულია და რაღაც ახალს ელის, რაც, მისი აზრით, დღეს არ არსებობს.

საქართველოში არჩევანის თავისუფლება თითქმის არასდროს არ ყოფილა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მუდმივად გვიწევდა ერთი სახის ექსტრემისგან თავის დახსნის მიზნით იმ ერთადერთი არჩევანის გაკეთება, რომელიც იმ დროს იყო. ამას კი არჩევანის თავისუფლება ვერ ეწოდება. არჩევანის თავისუფლება მაშინ იარსებებს, როცა გამოჩნდება ახალი პოლიტიკის მწარმოებელი ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ადამიანებს მისცემს ნამდვილ არჩევანს არსებულ პოლიტიკურ ელიტასა და მათ მიერ წარმოებულ პოლიტიკასა და რაღაც ძალიან ახალს, ცოცხალსა და საინტერესოს შორის. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ სწორედ სიახლე და ახლებური პოლიტიკა გაიმარჯვებს. მოკლედ, ერთი მხრივ, ჩვენ არ ვართ პოლიტიკური საზოგადოება, რადგან პოლიტიკურ საზოგადოებას პოლიტიკური პროცესი, არჩევნებში მონაწილეობა და სოციალური აქტივიზმი მუდმივად უნდა ადარდებდეს და არა მხოლოდ დროდადრო. მეორე მხრივ, ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელსაც სურს უკეთესი სახელმწიფოს წევრობა. ამიტომ, დროა უფრო მეტად გავპოლიტიკურდეთ. ამასობაში, იმედია, რეალურად ახალი პოლიტიკური ძალაც გამოჩნდება, რომელიც მილიონობით ქართველის იმედგაცრუებას ახალ პოლიტიკურ დროდ აქცევს. დღეს დიდი ენერგია და რესურსია მიძინებული და გამოუყენებელი. ეს უნდა შევცვალოთ. ქართულ პოლიტიკაში უნდა დავაბრუნოთ მივიწყებული და მიძინებული ხმები, პოლიტიკას კი უნდა დავუბრუნოთ მნიშვნელობა. მყარად მწამს, რომ ეს იქნება საკვანძო ენერგია ახალი საქართველოს შენების პროცესში.

– დაბოლოს, ახლაც, როგორც წინა წლებში, ისევ დაიწყო საუბარი ქუჩის აქციებსა და ვადამდელ არჩევნებზე? ასეთი რადიკალიზმი რამდენად გვაშორებს ევროპულ პოლიტიკასთან? თუ მიგაჩნიათ, რომ კრიზისი, რომელიც იგივე ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას აყენებს, სახეზეა?

– ქუჩის აქციები, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა და მსგავსი ქმედებები არასერიოზული და სასაცილოა. ეს სწორედ ის არის, რაც ნამდვილი პოლიტიკურობის ხარისხს აკნინებს. ეს ის არის, რაც შეურაცხყოფს ქართველ ელექტორატს. ისევ და ისევ, თუ ვიღაც თვლის, რომ საქართველოს მართვა უკეთ ძალუძთ, დაე, ჩამოყალიბდნენ პარტიებად; თუ პარტიებად უკვე არიან ჩამოყალიბებული, დაე, გააკრიტიკონ ხელისუფლება კონკრეტული მუხლებით და დაე, გააცნონ ქართველ ხალხს თავიანთი ხედვა იმისა, როგორ უნდა იმართებოდეს საქართველო და როგორი უნდა იყოს ის.

არჩევნები შორს აღარ არის. დემოკრატიული პროცესის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანია, ქართველ ხალხს მიეცეს საშუალება, წყნარად და დაფიქრებულად გააკეთოს არჩევნები. ქუჩის პოლიტიკა უნდა დასრულდეს, პოლიტიკამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიიღოს ინსტიტუციური ფორმები და ადგილობრივად, რეგიონალურად და ეროვნულად ცვლილებისა და ქმედების ენერგიად იქცეს, უნიჭო ფუსფუსისა და არაფრისმომცემი ლაყბობის ნაცვლად.

ქართველი ხალხი დაღლილია ამ სახის, ძველებური პოლიტიკით. ვისაც ასე სურს გაგრძელება, დაე, გაგრძელოს, მაგრამ საქართველოში სრულიად ახლებური პოლიტიკის დრო დგება. მომავლის საქართველოს პოლიტიკა ძალიან სხვანაირი იქნება და მას ძალიან განსხვავებული ადამიანები შექმნიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დათო ევგენიძე - „ბერობაზე მიფ

my View

თამარ გონგაძე

„დავდივარ სივრცეს ვანაგვიანებ, მაგრამ სიყვარულს და არც სინანულს არ ვაგვიანებ“, - ეს დათო ევგენიძეა, დინების საწინააღმდეგოდ მცურავი მუსიკოსი. როცა თავისუფალი ხარ და ჩარჩოში ვერ ეტევი, ბუნებრივია, რომ დინების საწინააღმდეგოდ მიდიხარ. 5 მარტს 55 წლის დათო ევგენიძეს კონცერტი აქვს. ხუთი შვილი და ხუთი შვილიშვილი ჰყავს. როგორც ამბობს, 5-იანების პერიოდი უდგას. ეს კონცერტი დაესიზმრა, თავიდან ბოლომდე. ახლა მის განხორციელებაზე ფიქრობს. ლექსებიც ესიზმრება. ზოგი გადმოაქვს ფურცელზე, ზოგისთვის ღამე ადგომა ეზარება. მის პარტიტურებს შავი სამუშაო ვარიანტი არ გააჩნია, პირდაპირ სიზმრიდან მზა პროდუქციას სუფთად იწერს. მე ვიმედოვნებ ამ ინტერვიუდან დათო ევგენიძეზე ახალსაც შეიტყობთ...

„ბრიგოლეთში 16 წლის და, ლია დამეხრჩო ზღვაში. მე 18 წლის ვიყავი. აი, იქ შეიცვალა დათო ევგენიძე. სულ სხვა ადამიანი გავხდი. დღესაც იმ მუსიკას ვწერ, რაც მაშინ გადატრიალებით მოვიდა. მე მგონია, რომ პირველად იქ დავინახე მფარველი ანგელოზი“

ეშმაკი

დათო ევგენიძე: ცხოვრება საჩუქარია. თუ დინებას წაყვები ყველა თავისი კანონით – სიყვარულით, მონანიებით, პატიებით – მაშინ საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვა არ დაგჭირდება. თუ თავისუფალი ხარ, ყველა ვარიანტში დინების საწინააღმდეგოდ მიდიხარ.

ჩვენ ღმერთმა თავის სახედ და ხატად გაგვაჩინა. ცაში ანგელოზების და დემონების ომი იყო. და ანგელოზებმა გაიმარჯვეს. ლუციფერისთვის ერთი ჩამოვარდნილი ანგელოზი უფრო დიდი მიღწევაა, ვიდრე ერთი შეცდენილი ადამიანი. საქართველო მაშინ არის უძლეველი, როდესაც მას ერთი იდეა კრავს. დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალე თუ არ გვყავდა, დიდ ომებს ჩვენი ქვეყანა ვერ იგებდა. ბრძოლებს უმცირესი ჯარით უდიდეს ურდოებთან იგებდა. თითოეულ მებრძოლში თავს იყრიდა ის, რაც ნამდვილად ქართულია. ჩვენი პრობლემა დაქსაქსვაა. პოლიტიკა არ მიყვარს. არასუფთა პროფესიაა. მიზნის მისაღწევად ადამიანისთვის წარმოუდგენელი ნაბიჯი, პოლიტიკოსისთვის მისაღებია. ამიტომ ჩემგან შორს პოლიტიკა. მე ჩემი ქვეყნის მხარეს დავდგები, ოღონდ სიყვარულით.

ვერაფერი მთრგუნავს. ბევრი რამ გადავიტანეთ, ომები, უმუქობა, გაჭირვების წლები... ჩემმა თაობამ ის წლები, როდესაც ყველაზე მეტი რამის გაკეთება შეგიძლია, 25 წელი ასეთ პერიოდში გაატარა. ჩინელებს აქვთ წყევლა, შენი შვილი ცვლილებების დროს დაიბადოსო. ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ფინალი ხომ გახსოვთ, მარმარილოს ქვასთან ამხტარი ბიჭის სტოპკადრი - მე ამისგან გავაკეთებ. ასეთ სტოპკადრში ვართ 25 წელია. მე და რამდენიმე ადამიანი უკანასკნელი მოჰიკანივით დავრჩით. მაგრამ ძალიან ბევრი უნიჭიერესი ადამიანი ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. ის დრო თავის თავში შეიცავდა ომში სიკვდილს, ნარკოტიკით სიკვდილს... მეოცე საუკუნის საბჭოთა პერიოდის საქართველოში უფროსმა თაობამ ქართული კულტურა რომ შექმნა - რობერტ სტურუამ, ძმებმა შენგელაიებმა, ამის საშუალება ჩემს თაობას არ მიეცა. ის ძველი თაობა სახელმწიფო დოტაციაზე იყო. დიდი ფული სჭირდება კინოს და თეატრს. უნიჭიერეს თაობას არ ჰქონდა ამის საშუალება. მათში თვითგანადგურება აქედან დაიწყო. ხელოვნების და სიყვარულის საჩუქრად გასაცემად იყვნენ გაჩენილები და ეს აეკრძალათ.

„ცოტა ლოთი ვარ. მაგრამ როცა საჭიროა, შემიძლია არ დავლიო. ის სიმთვრალე მომწონს, ღვინო, მზის მადლი, ყურძენი რომ ჰქვია“

– თქვენ გაგიმართლათ, თუ არ დანებდით?

– არც ისინი დანებებულან. გეგა კობახიძე იყო პირველი, ვინც საერთოდ გაფრინდა. უბრალოდ, მე რომ გადავრჩი, ეს უბრალოდ, ბედისწერაა. ყველა ის ტრავმა ისევე მაქვს მიღებული, როგორც დანარჩენებს ჩემი თაობიდან. 90-ან წლებში ნარკოტიკი ისეთი რამ იყო, ჩაისავით მოიხმარდი. მუსიკოსი რომ ხარ და ქუჩაში მხედრიონი დაძრწოდა, მათ უნდა გასწორებოდი. ქუჩას სულ ანგარიშს ვუწევდი. თუმცა წამალზე დამოკიდებული არასდროს ვყოფილვარ. მოყვარულის დონეზე ვიყავი. ნარკოტიკი ეშმაკია, რომელიც შენ სხეულში შემოდის. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ეშმაკია.

– და ებრძოდით?

– ბრძოლა არ დამჭირვებია. მარტივად ვთქვი, რომ აღარ მინდა და მორჩა. ათი წლის წინ, ჩემი ვაჟი რომ 15 წლის გახდა, მაშინ ვთქვი, მამას თუ ასეთ მდგომარეობაში დაინახავს, მერე რაღა უნდა ვუთხრა-მეთქი. თვითონ არ მინდოდა. რამდენი ვიცი 60 წლის ნარკომანი. ტყუილია, ვერ ვაგდებ და თავს ვერ ვანებებო, რომ ამბობენ. ერთხელ რომ იტყვი, მორჩა. მე სიგარეტსაც არ ვეწევი, ნელიწადი იქნება. მნეველი არ ვარ. თუ მთვრალი არ ვარ, არ ვეწევი. ისიც ორ ღერს მოვწევ. ცოტა ლოთი ვარ. მაგრამ როცა საჭიროა, შემიძლია არ დავლიო. ის სიმთვრალე მომწონს, ღვინო, მზის მადლი, ყურძენი რომ ჰქვია. ისიც იქამდე ვუშვებ სიმთვრალეს, სანამ გონება დაბინდვამდე მივა. ღვინო კონტაქტში გხსნის და თუ უკვე გონებას კეტავს, სმა უნდა შეწყვიტო. საშინელი შეგრძნებაა, როცა ისე თვრები, რომ წინა დღის ამბები არ გახსოვს. დეგენერატი ხარ, როგორ შეიძლება გუშინ ღამე რა ქენი არ გახსოვდეს.

– ამ დროს წერთ?

– ვწერ, მაგრამ მუსიკას და ლექსებს სიფხიზლეში უფრო კარგად ვნერ, ვიდრე ნასვამ მდგომარეობაში. ნასვამში გრძნობიერება და ემოცია ჭარბობს და ლექსი რაფინირებულ ფორმას კარგავს. შეიძლება ნამთვრალევი როცა ხარ, ბევრი მიგნება გქონდეს, მაგრამ ის ხარისხი არ აქვს. ღმერთი ნიჭს რომ გჩუქნის, მას შვილივით უნდა მოექცე.

„ბრძოლა არ დამჭირვებია. მარტივად ვთქვი, რომ აღარ მინდა და მორჩა. ათი წლის წინ, ჩემი ვაჟი რომ 15 წლის გახდა, მაშინ ვთქვი, მამას თუ ასეთ მდგომარეობაში დაინახავს, მერე რაღა უნდა ვუთხრა-მეთქი“

პატრიოტი

„როგორ შეიძლება ხელოვანი რაღაცას ქმნიდე, და შენი თავი ყველასთან, სამყაროსთან და ღმერთთან არ გააიგივო. საქართველოს სიყვარულით არის, რომ მე დასავლეთში არ გავიკეთე კარიერა. წელინად-ნახევარში უკან მოვდიოდი, ხუთწლიან კონტაქტებს ვაღრვევდი“.

– ჯარიმა?

– არ მაჯარიმებდნენ, ჩემს მდგომარეობას ხედავდნენ. წელინად-ნახევარში ჩემში ჩადებულ ფულს ამოვაღებინებდი და მერე მოვდიოდი. პარიზში ხუთწლიანი ხელშეკრულება მქონდა დადებული, 1997 წელი იყო. ოთხოთახიანი ბინა დამიქირავეს და მანქანა მყავდა. თეატრში კონცერტი გავაკეთე. უცხოეთში ქართველების კონცერტზე უმეტესად ქართველები მოდიან ხოლმე. ამ კონცერტზე აბსოლუტურად ფრანგები მოვიდნენ. ბოლოს აპლოდისმენტებით რომ დაიღალნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ ხოლმე. ნიუ-იორკში „სქაი ლაინ სტუდიოში“ მქონდა ხელშეკრულება. იქიდანაც წამოვედი.

ჩემზე ანტი კარიერისტს არავის ვიცნობ. კარიერისთვის საერთოდ არაფერი მიკეთებია. როგორც კი კარიერა მომიახლოვდება, მე გავრბივარ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისუფლებაა. ეს თავისუფლება მე ღმერთმა მომცა. ვის წინაშეც შეიძლება პასუხი ვაგო ეს მაცხოვარი, ღვთისმშობელი და ჩემი მშობლებია, ღმერთის მაგვარნი. ბევრი ნიჭიერი ადამიანი, ვინც პოლიტიკაში ნასულა, დარწმუნებული ვარ ხელოვნებისთვის წაურთმევიათ. წარმოიდგინეთ მოდილიანი მიტინგზე! ხომ წარმოუდგენელია. არადა, მინდა ჩემს ქვეყანას რაღაცით გვერდზე დავუდგე. ადამიანებს ვერც წარმოუდგენიათ, რა მარტივია ერთმანეთს დაელაპარაკონ და ქვეყანას მიხედონ. სურვილია, ეს უნდა მოუნდეთ. მე მგონი ამაზე არც ფიქრობენ. მტერს ჩვენი შუაზე გაყოფა უნდა. აქ ბევრი მუსიკოსი კარის მუსიკოსი ხდება იმიტომ, რომ სახელმწიფო აფინანსებს. მე ეს არ შემიძლია. ყოველთვის მარტო ვიყავი.

ანგელოზი

– საიდან იღებთ ენერგიას, საიდან იტენებით?

– ძნელი სათქმელია. ენერგია თავიდან იდო უკვე როცა დავიბადე. ანგელოზი ყველას გვყავს, დანახვა უნდა. ხილული ანგელოზი რომ გყავს, ბოროტი უფრო გებრძვის. გიყდება. ადამიანები მფარველ ანგელოზს ვერ გრძნობენ, არ დაუნახავთ. ეს ხომ ნიშნებით ხდება. გაცნობიერებული როცა გაქვს და ხედავ, ბოროტი გებრძვის. ლექსიც მაქვს დაწერილი. „მე მინდა ვიცოდე ჩემი მფარველი ანგელოზის ტელეფონი“... ყველაზე მძაფრად კონცერტის დროს ვგრძნობ ხოლმე მის გვერდით ყოფნას. როიალზე დაკვრისას ჩემ გვედით ზის ხოლმე. მინდა ყველა ქართველს ოთხივე მილიონს დანახული ჰყავდეს თავისი მფარველი ანგელოზი. სურვილი უნდა, რომ დაინახო. ანგელოზი შეიძლება შენ გვერდით მაგიდასთან იჯდეს და ხინკალს ჭამდეს. შენ უნდა მიხვდე, რომ ის ანგელოზია. კონცერტს, რომელსაც 5 მარტს რუსთაველის თეატრში ვატარებ, ჰქვია „რა ვუყოთ, რომ ანგელოზი შემიყვარდა“. ამ კონცერტის კონფეცია ჩვენი არჩევანი. ყველაფერი ჩვენ გვეკუთვნის. უფალმა გაგვაჩინა და

„ჩემზე ანტი კარიერისტს არავის ვიცნობ. კარიერისთვის საერთოდ არაფერი მიკეთებია. როგორც კი კარიერა მომიახლოვდება, მე გავრბივარ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ბერია, უბრალოდ, ღირსი არ ვარ“

„მე მგონია, ღმერთს ყველაზე მეტად მუსიკა უყვარს“

„მე რომ გადავრჩი, ეს, უბრალოდ, ბედისწერაა. ყველა ის ტრავმა ისევე მაქვს მიღებული, როგორც დანარჩენებს ჩემი თაობიდან. 90-ან წლებში ნარკოტიკი ისეთი რამ იყო, ჩაისავით მოიხმარდი. მუსიკოსი რომ ხარ და ქუჩაში მხედრიონი დაძრწოდა, მათ უნდა გასწორებოდი“

EXCLUSIVE



„საყვარელი ქალის ხელი რომ გიჭირავს, დრო ჩერდება და სამოთხეში ხარ“

რაღაცები ჩვენი გადასაწყვეტია. მოსანანიებლად მხოლოდ ეს სიცოცხლე გაქვს მოცემული.

სიმბოლური კონცერტია, ბევრი ნიშნით. მე ეს კონცერტი დამესიზმრა. დილის ექვს საათზე ცოლი გავაღვიძე და ვუთხარი. თავიდან ბოლომდე მაქვს ნანახი. ღამე რომ ვწევარ, ისეთი კარგი ლექსები მომდის, მაგრამ ადგომა მეზარება. ზოგიერთი ლექსი ისეთია, დგები და იწერ. მზა პროდუქტს ვხედავ და იმას ვახორციელებ. ნოტებში შავი არ მაქვს. თეთრად ვწერ, ორიგინალს. რომ დამეკარგოს, სხვა არ მაქვს. მთელი სკივრი მაქვს პარტიტურებით სავსე.

– გაგიბრაზებიათ მფრაველი ანგელოზი?

– მფარველი ანგელოზი არ ბრაზდება, მას სწყინს ხოლმე. ეწყინება და უფრო მაგრად გიდგება გვერდით. სიყვარული საჩუქარია და რანაირად შეიძლება ადამიანებს, რომელთაც ასეთი საჩუქარი გვაქვს, გვძულდეს. მე არავინ არ მძულს. არც არასდროს მძულებია. გავბრაზებულვარ, მაგრამ სამ წუთში გაუვლია და საკუთარ თავზე გავბრაზებულვარ, რატომ გავბრაზდი-მეთქი? რა ფერია? სიყვარულს ცისარტყელის ფერები აქვს. სიყვარული ორ ადამიანს შორის გადებული ცისარტყელაა. კანარის კუნძულებზე ვიყავი. იწვიმა, მოიღრუბლა და ოკეანე ტყვიის გახდა, გაშეშდა. უცებ სამი ცისარტყელა, ალალად, სამი ცისარტყელა გამოჩნდა და მის ქვეშ სამი სურვილის ჩაფიქრებით გავიარე.

ტრაგედია

„გავუოგნებივარ მყინვარს, სადაც ღმერთის შეგრძნებაა. მყინვარი კაცია და სულიერია. ზღვა ადამიანურია. ქალს ჰგავს, დღის განმავლობაში ათასნაირად შეიძლება შეიცვალოს. ზღვა რთული თემაა ჩემთვის. გრიგოლეთში 16 წლის და, ლია დამეხრჩო ზღვაში. მე 18 წლის ვიყავი. აი, იქ შეიცვალა დათო ევგენიძე. სულ სხვა ადამიანი გავხდი. დღესაც იმ მუსიკას ვწერ, რაც მაშინ გადატრიალებით მოვიდა. მე მგონია, რომ პირველად იქ დავინახე მფარველი ანგელოზი. ჩემი მფარველი ანგელოზი ჩემი და არის. ადრე უფრო მესიზმრებოდა, ხილვასავით დამინახავს. ადამიანს ყველა ტვირთის ტარება შეუძლია. ფორმაა სხვადასხვაგვარი, ვინ რას მოიმოქმედებს. ზოგს ანგრევს, ზოგს შემოქმედებას ჩუქნის. ეს პირად არჩევანზეა დამოკიდებული, ამ ენერგიას საით გაუშვებ, გაბორტდები და სამყაროს ვერ აიტან, თუ პირიქით - გაკეთილშობილდები, რომ გახდე დის ისევ ნახვის ღირსი. დის გარდაცვალებამაც განაპირობა, რომ მე საზღვარგარეთ დიდი ხნით წასვლით ვერ ვტოვებდი მშობლებს“.

გაჩერებული ასაკი

„ხუთი შვილი და ხუთი შვილიშვილი მყავს. უმცროსი შვილი ნიკოლოზი რომ გამიჩნდა, მამობას მაშინ მივხვდი. 23 წლის ვიყავი პირველი შვილი რომ გაჩნდა. გრძნობა მქონდა, მაგრამ მამა რომ ვიყავი ვერ აღვიქვამდი. ჩემი შვილიშვილები და ნიკოლოზი თითქმის ტოლები არიან. ახლა ბაბუობას ვერ აღვიქვამ. ეტყობა შინაგანად ასაკს სხვანაირად ვგრძნობ. კარგა ხანია გაჩერებულია ასაკი. ასაკის შეგრძნება ენერგიის ფლობაზე და შინაგან მდგომარეობაზეა. მეგობრებიც სულ ახალგაზრდა მყავს. რატი ამაღლობელი და ლაშა ბუღაძე პატარები იყვნენ რომ აღმოვაჩინე და ჩემთან სახლში სალონური შეკრებები დავიწყეთ“.

სიყვარული

„სიყვარული და შეყვარებულობა სხვადასხვაა. შეიძლება სიგიჟემდე და ტკივილამდე იყო შეყვარებული, მაგრამ მალევე ჩაქრეს. ფითილს მაგრად თუ უკიდია, მალე ქრება. სიყვარული დიდ დროშია განფენილი. კრიზისები არის, მაგრამ გადაგაქვს. შეყვარება ბევრჯერ, სიყვარული ერთხელ მოდის. ნამდვილი სიყვარული ის არის, რომელსაც ბოლომდე გაიტან და იმ ქალის კალთაში მოკვდები. თუ რაიმემ გაჯობა, ესე იგი სიყვარულმა ვერ გაიმარჯვა. სიყვარულს ბოროტი უშლის ხელს. ზუსტად ისე ვერ იტანს ბოროტი სიყვარულს, როგორც ანგელოზებს. როცა გიყვარს, შენც ანგელოზი ხარ. საყვარელი ქალის ხელი რომ გიჭირავს, დრო ჩერდება და სამოთხეში ხარ“.

- ნინოს რა ლექსი მიუძღვენით ბოლოს?

- „დავბრუნდი და
ყველაფერი ამობრუნდა
ამოყირავდა...
დავინახე უშენობა რას ნიშნავდა...
არ ვიცოდი თუ დინება-
ამ ნაპირას გამომრიყავდა...
არვინ მყავდა მე შენს გარდა
და ცის გარდა-
არ ვიცოდი
ანგელოზებს სად მივყავდით-
არ ვიცოდი
ანგელოზი სად მიყავდათ...
ახლა ვხვდები-
აბა ნებას ვინ დამრთავდა შენთან ყოფნის...
რა ვქნა თუ კი ანგელოზი შემიყვარდა...“

- რა ეტაპია თქვენ ურთიერთობაში?

- გვქონდა კრიზისი, გადაიარა. ათი წელია ცოლ-ქმარი ვართ და ერთმანეთს 24 საათი არ დავცილებივართ. პირველ ცოლთან იყო პერიოდი, ოთხი თვე, ექვსი თვე წავსულვარ სადღაც, კანარებზე... ნინოს გარეშე მხოლოდ 4 დღე ვიყავი რომში და თავს ვერ ვპატიობდი. როცა 24 საათი ერთად ხართ და არ გბეზრდება, ეს არის სიყვარული. ათი წლის მერეც ის განცდა რომ გაქვს მისი შეხებისას, რაც ადრე გქონდა, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.

- ყოფილა პერიოდი არ ყოფილხართ შეყვარებული?

- ეგეთი დრო არ მქონია, არ მახსოვს. გატაცებული მაინც ვიყავი. ვერც წარმომიდგენია, ამის გარეშე რა უნდა აკეთო კაცმა. როცა სიყვარული მიდის, ღმერთთან უნდა მიხვიდე. ამ სიყვარულს ის დაგიბრუნებს. ბერად უნდა აღიკვეცო, რომ საერთოდ სიყვარულს არ განუდგე და არ გაბოროტდე. სხვათა შორის, ბერობაზე მიფიქრია, უბრალოდ, ღირსი არ ვარ. ალბათ, ბევრს ვცოდავ და ამიტომ. მაგრამ სინანული მუდმივად მაქვს, რაც მნიშვნელოვანი მგონია. ჩემი თავი ბერად დამინახავს. ბევრეთში არის დედათა მონასტერი. ამ სოფელში შუქი წელს პირველად გაიყვანეს. ბავშვობა იქ ლამფის შუქზე მაქვს გატარებული. იქ წმინდა გიორგის ეკლესიაც არის. ბერებისთვის რომ შემიხედავს, რა ბედნიერები არიან-მეთქი, ხშირად გამიფიქრებია. თვალებში სულ სხვა სიმშვიდე უდგათ.

- მუსიკა რისთვის შექმნა ღმერთმა?

- მე მგონი თავისთვის და ჩვენ მოგვასმენინა. მე მგონია, ღმერთს ყველაზე მეტად მუსიკა უყვარს.

- სიკვდილზე ხშირად ფიქრობთ?

- ჩემი მეგობარია, ჭადრაკს ვთამაშობთ ხოლმე. პარტიები გადაგვიდია. საკმაოდ ლმობიერად მომქცევია. სიკვდილიც ჩვეულებრივი ანგელოზია. თუ დაელაპარაკე, ისიც გაგიგებს, დაგელაპარაკება... ბოლოს ის მოიგებს.

„ყველაზე მძაფრად კონცერტის დროს ვგრძნობ ხოლმე მის გვერდით ყოფნას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკოლაში ბავშვების დასჯის არაადეკვატური მეთოდები

ხათუნა მგალობლიშვილი

მოსწავლეებისთვის „შატალოზე“ წასვლას გარანტირებულად ერთი ხიბლი შეემატა – გაკვეთილებიდან გაპარული ბავშვების უმრავლესობა სკოლიდან ერთკვირიანი გარიცხვით „ისჯება“. ანუ ერთი დღით გაცდენილ გაკვეთილებს აუცილებლად მოჰყვება მინიმუმ ხუთდღიანი იძულებითი არდადეგები. ეს კი უფრო წახალისებას ჰგავს, ვიდრე დასჯას. იმ შემთხვევაში, თუ დროებით გარიცხული ბავშვი სკოლის საათებში რაიმე დანაშაულს ჩაიდენს, პასუხისმგებლობა სკოლას ეკისრება, ყოველ შემთხვევაში ასეა დადგენილი კანონის მიხედვით. რეალობაში კი სკოლიდან დათხოვნილ ბავშვს არავინ აკონტროლებს. მით უფრო, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მშობლები დასაქმებულები არიან და შესაბამისად, სახლში არ იმყოფებიან.

განათლების ყოფილი მინისტრი: „შეიძლება მოხდეს ისე, რომ ბავშვი გათიშონ სასკოლო პროცესიდან, მაგალითად, სამი დღით, ის დარჩეს ქუჩაში მშობლის ყურადღების გარეშე და მოექცეს ქუჩის უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ“

საკანონმდებლო ორგანოში აღნიშნულ პრობლემას საერთოდ არ იცნობენ, პარლამენტის განათლების კომიტეტის ხელმძღვანელს დასჯის ეს მეთოდი და მოსწავლის სპეციალიზებულ სკოლაში გადაყვანის გადაწყვეტილება ერთი და იგივე ჰგონია და მიაჩნია, რომ კანონში ცვლილების შეტანა საჭირო არ არის...

ბოლო პერიოდში სკოლებში დასჯის ყველაზე პოპულარული მეთოდი კი სწორედ მოსწავლის სკოლიდან დროებით გარიცხვა გახდა. მას იყენებენ როგორც „შატალოს“ შემთხვევაში, ასევე სასკოლო წერებში დაბალი ქულების მიღებისას.

მოსწავლის მშობელი: „ბავშვები „შატალოზე“ ნავიდნენ და ამის გამო სკოლის დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება, „დამნაშავეები“ სკოლიდან გაერიცხა მთელი კვირით. სიმართლე გითხრათ, ბავშვები უფრო გახარებულები იყვნენ, ვიდრე დასჯილები, რადგან მასწავლებლების ნებართვითა და მათივე მოთხოვნით ისინი მთელი კვირის განმავლობაში თავისუფლები იყვნენ სწავლისგან“.

დასჯის მიზნით მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის უფლებას, სამწუხაროდ, თავად კანონი იძლევა. „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ აღნიშნულ წესს მეცხრამეტე მუხლის მესამე პუნქტი არეგულირებს: მუხლი 19. დისციპლინა – სკოლის შინაგანაწესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გარდა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევება, სკოლიდან დროებით დათხოვნა და სხვა დისციპლინური სახდელები. მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს. სკოლა ვალდებულია, მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების ან სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში მოსწავლე თავისი მზრუნველობის ქვეშ ჰყავდეს“.

კანონში მითითებულია, რომ დასჯის ეს მეთოდი გონივრულად უნდა იყოს გამოყენებული. რეალობა კი სულ სხვაა. როგორც წესი, სკოლიდან გარიცხვა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდია და საკმაოდ პოპულარული, როგორც ბავშვებში, ასევე მასწავლებლებში. ბავშვებს, როგორც წესი, ყველაზე მეტად სწორედ აღნიშნული მეთოდი ახარებთ. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დასჯაზე მეტად ის უფრო წახალისებაზე მუშაობს, რადგან მოსწავლეებს „შატალოზე“ წასვლის სურვილი უორმაგდებათ, როდესაც ერთკვირიანი „იძულებითი არდადეგები“ ახსენდებათ.

„სკოლა ვალდებულია, მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების ან სკოლიდან დროებით დათხოვნის შემთხვევაში მოსწავლე თავისი მზრუნველობის ქვეშ ჰყავდეს“

განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სკოლის შინაგანაწესი იქმნება სკოლის დირექტორის მიერ და მას სამეურვეო საბჭო ამტკიცებს. წესით, შინაგანაწესი სკოლის დირექციამ მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად უნდა შეიმუშაოს. როგორც ირკვევა, ერთობლივი მუშაობა სკოლისთვის ვალდებულებაა. სკოლამ მშობლების ინტერესების გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს მოსწავლის მხრიდან წესების გადაცდომის შემთხვევაში რა ტიპის სანქციები დაწესდება, იქნება ეს სიტყვიერი, წერილობითი გაფრთხილება, საყვედური თუ, მაგალითად, სკოლიდან გარიცხვა.

მაია გედევანიშვილი, ბავშვთა უფლებების ცენტრის უფროსი:

– რა თქმა უნდა, არასწორი გადაწვეტილებაა, ბავშვის დასჯის მიზნით მისი სკოლიდან დროებით გარიცხვა, რადგან შეიძლება ბავშვმა იმ დროს, როდესაც, წესით, სკოლაში უნდა იყოს, რამე დააშავოს და შემდეგ სკოლის დირექციას მოეკითხოს. გარდა ამისა, ის ბავშვი, რომელიც სკოლიდან გაირიცხება, შეიძლება სახლში სრულიად მარტო აღმოჩნდეს. ესეც, რა თქმა უნდა, საფრთხის შემცველია. როგორც წესი, საფრთხეები ასეთ დროს ბავშვისთვისაც ბევრად მეტია და გარდა ამისა, ირღვევა მოსწავლის განათლების უფლება. არსებობს სხვა მეთოდი, რომლითაც შეიძლება ბავშვს გააგებინო, აუხსნა, რომ ის არასწორად მოიქცა. უნდა დაისაჯოს თუ არა, ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ მთავარია, ბავშვმა გაიგოს, რომ არასწორი საქციელი ჩაიდინა და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, დაიგეგმოს, როგორ დაიძლიოს პრობლემის. სკოლიდან გარიცხვა არ არის დასჯის ერთადერთი და თანაც სწორი გზა, მით უფრო, რომ მთელი კვირის განმავლობაში მოსწავლე აკადემიურ პროცესს ჩამორჩება. დიდი ალბათობაა, რომ გაცდენის შემდეგ მას პრობლემები შეექმნას და დახმარებაც კი დასჭირდეს. ასე რომ, ეს ნამდვილად არ არის გონივრული გადაწყვეტილება.

– აღნიშნული მეთოდი რომელიმე ქვეყნის მოდელიდანაა გადმოღებული?

– ძალიან ეჭვი მეპარება, დასჯის ასეთი მეთოდი იყოს რომელიმე ქვეყანაში. დასჯის ასეთი მეთოდი არღვევს განათლების უფლებას, არ არის უსაფრთხო და მეტიც, სერიოზული საფრთხის შემცველია და გარემოსთვისაც მეტ-ნაკლებად საფრთხის შემცველია. თუ რთული ქცევის ბავშვზე გვაქვს საუბარი და, როგორც წესი, წესრიგს სწორედ ასეთი ბავშვები არღვევენ, შეიძლება ისეთი რამ ჩაიდინონ იმ დროს, როდესაც ისინი, წესით, სკოლაში უნდა იყვნენ, რომ შემდეგ პასუხი სწორედ სკოლას მოეკითხოს.

– მაშინ რა არის ასეთი დასჯის არჩევის ლოგიკა ან რატომ არ ხდება მისი სხვა მეთოდით ჩანაცვლება?

– იცით, რატომ არ ხდება სხვა მეთოდით ჩანაცვლება? ეს ყველაზე მარტივი მეთოდია. ყველაზე ადვილია – თავიდან მოიშორო პრობლემური ბავშვი და ერთი კვირის განმავლობაში მისგან დაისვენო. აღნიშნული გადაწყვეტილება აბსოლუტურად არ არის ორიენტირებული მიზეზებსა და შედეგებზე. აღნიშნული მეთოდი არაფრისმომცემია. ეს არის პრობლემისგან თავის არიდება და მისი არდანახვა. ბუნებრივია, გაცილებით რთულია რთულ ბავშვთან მუშაობა.

– თქვენი სამსახურის მხრიდან თუ ყოფილა რეკომენდაცია, რომ მსგავსი წესები შეცვლილიყო?

– ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით არ გვქონია არანაირი რეკომენდაცია, რადგან ასეთ საკითხზე ნამდვილად არ გვიმუშავია. ჩვენ ვმუშაობთ სკოლაში ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, რადგან გვაქვს ბევრი განცხადება. ჩვენ ვმუშაობთ იმ მიმართულებით, როგორ განცხადებებსაც ვიღებთ.

„განათლების კომიტეტის ხელმძღვანელი: „შეიძლება ისეთი ბავშვია, რომ სხვა აღმზრდელობითი ღონისძიება არ ჭრის და ჩვეულებრივი სკოლიდან სხვა სპეციალიზებულ სკოლაში უნდა გადაიყვანონ“

განათლების ყოფილი მინისტრის, დიმა შაშკინის განცხადებით, სკოლიდან გარიცხვის მეთოდი ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული, მათ შორის ევროპულ ქვეყნებში და ბავშვის დასჯაზე მეტად მშობლის „დასჯას“ ისახავს მიზნად.

დიმიტრი შაშკინი: „ეს ყველაზე არაერთგვაროვანი დასჯის მექანიზმია. სანქციის მთავარი დატვირთვა არის ის, რომ ბავშვი დარჩება სახლში და მშობელი უფრო შეწუხდება და უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს. ანუ სანქციის განმარტება სწორედ ასეთი იყო.

– გამოდის, მიზანი უფრო მშობლის დასჯაა?

– დიახ, ასეა. სანქციის იდეა არის ის, რომ ბავშვი კი არა, მშობელი დაისაჯოს. თუმცა რეალობა აბსოლუტურად სხვაა. უგუნურად და ცალსახად სანქციის გამოყენება, მოდი გავრიცხოთ ბავშვი ერთი კვირით, სერიოზული საფრთხეა და შედეგად უარესი შეიძლება მივიღოთ. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ბავშვი გათიშონ სასკოლო პროცესიდან, მაგალითად, სამი დღით, ის დარჩეს ქუჩაში მშობლის ყურადღების გარეშე და მოექცეს ქუჩის უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ. როდესაც მინისტრობის პერიოდში სკოლების დირექტორებს ვხვდებოდი, ყოველთვის ვითხოვდი, რომ აღნიშნული სანქცია გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლის ჩართვის გარანტია იქნებოდა.

– სკოლა ვალდებულია, გააკონტროლოს ბავშვი, მშობლის ყურადღების ქვეშ არის თუ არა?

– წესით, დირექტორმა უნდა შეატყობინოს მშობელს სანქციის ამოქმედების გარეშე, როგორც მინიმუმ, ან მშობელი უნდა იყოს სკოლაში გამოძახებული, ან დამრიგებელი უნდა მივიდეს სახლში, მშობლებთან. ეს უნდა გაკეთდეს იმ მიზნით, რომ სკოლამ არ აირიდოს ბავშვზე პასუხისმგებლობა, მშობელმაც არ აირიდოს პასუხისმგებლობა სკოლის იმედად და რეალურად ბავშვი არ დარჩეს ქუჩაში.

საქართველოში რეალობა სწორედ ეს არის. „დასჯილი“ ბავშვები, როგორც წესი, უყურადღებოდ რჩებიან. კანონმდებლები კი კანონში ცვლილების შეტანას არც გეგმავენ და მეტიც, ისინი აღნიშნულ პრობლემას არც კი იცნობენ. პარლამენტის განათლების კომიტეტის ხელმძღვანელის, ივანე კილურაძის მტკიცებით, სანქციის გამოყენება სკოლებში თითქმის არასდროს ხდება:

– საკითხს კარგად მოფიქრება და აწონ-დაწონა სჭირდება. მხოლოდ ერთი პარლამენტის წევრის მოსაზრება, ამ შემთხვევაში ჩემი, არ არის საკმარისი. ვფიქრობ, აღნიშნულ მეთოდზე უარის თქმა სწორი არ იქნება, უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე ბავშვს ეხება...

– რატომ მიგაჩნიათ, რომ დასჯის ამ მეთოდის გაუქმება სწორი არ იქნება, მით უფრო, რომ ბავშვები უყურადღებოდ რჩებიან?

– ხომ გითხარით, კარგად მოფიქრება სჭირდება. შეიძლება ისეთი ბავშვია, რომ სხვა აღმზრდელობითი ღონისძიება არ ჭრის და ჩვეულებრივი სკოლიდან სხვა, სპეციალიზებულ სკოლაში უნდა გადაიყვანონ...

– ეს აბსოლუტურად სხვა შემთხვევაა, ჩვენ ვსაუბრობთ დასჯის მიზნით სკოლიდან რამდენიმე დღით გარიცხვაზე...

– მე როგორც ვიცი, დაბალ ქულებზე არ რიცხავენ სკოლიდან, ასეთ შემთხვევაში ბავშვს, საერთოდ, ტოვებენ კლასში და საერთოდ, გარიცხვის მეთოდი ძალიან იშვიათად გამოიყენება. საკანონმდებლო წინადადებით, რომ აღნიშნული მეთოდი გაუქმდეს, არავინ არ შემოსულა პარლამენტში, არც სამინისტრო, არც რომელიმე სკოლა და არც მშობლები. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება არ განიხილება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კაპიტანი ეკა გიგაური რეჟისორ გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ

გიგაური არც მედიას ესაუბრება და არც პროცესებში აქტიურობს

ხათუნა მგალობლიშვილი

ეს უცნაური ისტორიაა. უცებ აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ არასამთავრობოს ჩინით კაპიტანი ხელმძღვანელობს და რომ ეს უბრალო კი არა, როგორც ახლა განმარტავენ, „ბრალიანი“ კაპიტანია. ბრალად კი 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ იმ თანამშრომლებზე პრემიების გაცემა ედება, რომლებმაც აქციის მონაწილეები დაარბიეს.

„განკარგულებაში, რომელიც 2007 წლის 14 ნოემბერს არის გაცემული, ვკითხულობთ: სამსახურებრივი მოვალეობის მაღალ დონეზე შესრულებისთვის ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეები. ამ ადამიანების სახელებისა და გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. თითოეული მათგანი 1000-1000 ლარით დაჯილდოვდა. გიგაურს ამ დროს სამსახურებრივად ამ დაჯილდოების კონტროლი და განაწილება ევალება. ეს არის ის სპეცრაზმი, რომელმაც 7 ნოემბერს საზოგადოება დალეწა. ეს ადამიანი კი დღეს საქართველოში ადამიანის უფლებებს იცავს. ეკა გიგაური „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების გამტარებელი იყო, არის და იქნება. აი, ვინ არის ეკა გიგაური და რა ინტერესები აქვს მას“, – **აცხადებდა ხაინდრავა.**

ამ ბრალდებას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ხელმძღვანელს ეკა გიგაურს რატომღაც რეჟისორად მონათლული გოგა ხაინდრავა უყენებს.

მეტიც, რეჟისორი ხაინდრავა ირწმუნება, რომ კაპიტან გიგაურს ივანე მერაბიშვილმა წოდება ვადაზე ადრე მიანიჭა. „ეს არის ივანე მერაბიშვილის 2007 წლის 13 ნოემბრის ბრძანება, სადაც ვკითხულობთ: შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი საქვეუწყებო დაწესებულება უზრუნველყოფს პოლიციის ერთ-ერთ ლეიტენანტს ეკა სიმონის ასულ გიგაურს ვადაზე ადრე მიენიჭოს წოდება სასაზღვრო პოლიციის კაპიტანი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 7 ნოემბერს დალეწილი ხალხი საავადმყოფოებში წევს და საქართველო ტრავმას იშუშებს“, – **აცხადებს გოგა ხაინდრავა.**

რეჟისორმა დოკუმენტები წარუდგინა ჟურნალისტებს. და რა იყო ეკა გიგაურის რეაქცია, როგორ ფიქრობთ? დიახ, სასამართლოს მიმართა. თუმცა, რატომღაც სარჩელი უცნაურად აქვს შედგენილი. ის ხაინდრავას რატომღაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაში ედავება.

საინტერესოა, რომ თავად ეკამ „პრაიმტაიმთან“ საუბარზე უარი განაცხადა. განმარტება ამ საკითხზე ორგანიზაციის იურისტმა გაკეთა.

ეკა ბოკუჩავა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტი:

– სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მეექვსე მუხლის პირველი პუნქტი გვაძლევს საშუალებას, მივმართოთ სასამართლოს და ცილისწამებისთვის მიყენებული კონკრეტული ზიანისთვის მოვითხოვოთ ანაზღაურება. ეს არის სამართლებრივი ტექნიკის კუთხით გამოყენებული მუხლი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ სასამართლოში წარვადგინოთ სარჩელი. ჩვენ სარჩელი შეგვაქვს იმ ცილისწამებისთვის, რაც ჩვენი მისამართით გაჟღერდა და, ასევე, საქმიანი რეპუტაციის პატივისა და ღირსების შელახვის გამო. მოგეხსენებათ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ცილისწამების მუხლი გაუქმდა უკვე რამდენიმე წელია.

ეკა გიგაურის ბიოგრაფიაში, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზეა განთავსებული, ვკითხულობთ: „ეკა გიგაური მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ძირითადად საგარეო ურთიერთობების კუთხით, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ტრანსპორტის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში. 2008 წლამდე ეკა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე იყო, სადაც იურიდიულ და საერთაშორისო სამსახურებს ხელმძღვანელობდა და უწყების რეფორმირების პროცესის კოორდინაცია ევალებოდა“.

აქ მისი წოდება არ არის ნახსენები. ეკა გიგაური ბადრი ბიწაძის მოადგილე იყო. როგორც ჩანს, მათ უწყება ერთ დროს დატოვეს. მთავარი კითხვა, როგორ აღმოჩნდა პოლკოვნიკი მოგვიანებით არასამთავრობოს პირველი პირი? გიგაურმა, სამწუხაროდ, უარი თქვა ინტერვიუზე.

როგორც ჩანს, ის მედიისთვის ჩაიკეტა. განსაკუთრებით „ალიაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის შემდეგ.

ეკა გიგაური ბადრი ბიწაძის მოადგილე იყო. როგორც ჩანს, მათ უწყება ერთ დროს დატოვეს. მთავარი კითხვა, როგორ აღმოჩნდა პოლკოვნიკი მოგვიანებით არასამთავრობოს პირველი პირი?

გაზეთი „ალია“ გიგაურის მუშაობის პერიოდში, 2005-2006 წლებში გამოცხადებულ ტენდერზე წერს, რომ სატენდერო კომისიას, „ალიას“ ინფორმაციით, სწორედ ეკა გიგაური ხელმძღვანელობდა. ტენდერის ღირებულება 1 მილიონ ლარს შეადგენდა. საქმე ეხებოდა სამხედრო უნიფორმის შეკერვას. როგორც გაზეთს ერთ-ერთი ყოფილი სამხედრო პირი უყვება, ტენდერში მონაწილეობდა რამდენიმე კომპანია, მათ შორის – ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა, თუმცა გამარჯვებულად გიგაურის ახლო ნათესავის, კერძოდ, მისი ძმის, მიხეილ გიგაურის მმართველობის ქვეშ მყოფი ფირმა გამოცხადდა, რომელსაც სამხედრო თვალსაზრისით არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. ასევე, არ ჰქონდა სამკერვალო საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა.

„რომ არ ყოფილიყო ინტერესთა კონფლიქტი, მიხეილ გიგაურმა ხსენებული ფირმა უცნობ პირზე დაარეგისტრირა. გარიგების შემდეგ, სატენდერო პირობების შესრულების მიზნით, ქვემოიჯარედ დაიქირავა ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა, რითაც აშკარად შექმნა ე.წ. „ატკატის“ მიმღები საშუამავლო რგოლი. იმ პერიოდში სასაზღვრო პოლიციას ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე ხელმძღვანელობდა. ბიწაძისთვის გარიგების შესახებ ყველაფერი ცნობილი იყო“, – წერს გაზეთი წყაროს ინფორმაციაზე დაყრდნობით. წყაროსვე ინფორმაციით, 30 ივნისს ბადრი ბიწაძე ეკა გიგაურს დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა, თუმცა, როგორც „ალიას“ გიგაურმა განუცხადა, აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი საქვეუწყებო დაწესებულება უზრუნველყოფს პოლიციის ერთ-ერთ ლეიტენანტს ეკა სიმონის ასულ გიგაურს ვადაზე ადრე მიენიჭოს წოდება სასაზღვრო პოლიციის კაპიტანი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 7 ნოემბერს დალეწილი ხალხი საავადმყოფოებში წევს და საქართველო ტრავმას იშუშებს

„თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ. ტენდერში მონაწილე არც ერთი კომპანია არ არის ჩემს ძმაზე გაფორმებული, ის ბიზნესმენი არასდროს ყოფილა. არ ვიცი, რა ვთქვა. ასეთ ტყუილზე კომენტარს ვერ გავაკეთებ“, – **განაცხადა ეკა გიგაურმა „ალიასთან“ საუბრისას.**

მეტიც, როგორც ჩანს, ეკა გიგაურმა გადაწყვიტა, პროტესტის რადიკალურ ფორმებს მიმართოს და ახლა არც საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღებს მონაწილეობას. მან უკვე განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად ის არც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესში მიღებს მონაწილეობას:

„მთელი სამოქალაქო სექტორის სახელით ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ეს არის ჩვენი და რამდენიმე პარტნიორი ორგანიზაციის გადაწყვეტილება. იმ ვითარებაში, როცა ჩვენს წინააღმდეგ ასეთი კამპანია მიმდინარეობს, ვიფიქრეთ, რომ ყოფილი პრემიერ-ministრის განცხადება შესაძლოა, ყოფილიყო გზავნილი პარლამენტში უმრავლესობისთვისაც, რათა კანდიდატი, რომელსაც ჩვენ წარვადგენდით, არ არჩეულიყო. აქედან გამომდინარე მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ჩვენ არ გვინდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენოთ ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი, რომელმაც შეიძლება დაიკავოს ეს პოზიცია და რომლის წარდგენასაც ჩვენ ნამდვილად ვფიქრობდით“, – **განმარტა ეკა გიგაურმა.**

მისი ეს უცნაური პროტესტი გვაფიქრებინებს, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას სწორედ ეკა გიგაურის კანდიდატურა ჰქონდა შერჩეული პრეზიდენტისთვის წარსადგენად. თუმცა, ახლა კაპიტანს, როგორც ჩანს, მისთვის არასასიამოვნო ბევრი კითხვისთვის მოუწევდა საჯაროდ პასუხის გაცემა, ამიტომაც პროტესტის ფორმას მიმართა. არც მედიას ესაუბრება და არც პროცესებში აქტიურობს.

როგორც ჩანს, მთელი ეს პოპულისტური გამოხტომები, რომელიც არასამთავრობოებმა, განსაკუთრებით მოსმენებთან დაკავშირებით, შემოგვთავაზეს, ისევ მათ გაპიარებას ემსახურებოდა.

სხვათა შორის, ეკა გიგაური თუ ბადრი ბიწაძის კადრია, გიორგი მარგველაშვილი ნინო ბურჯანაძის პარტიაში ფონდს ხელმძღვანელობდა, მაშინაც კი, როცა მას პრეზიდენტად ვირჩევდით... დამთხვევაა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არჩილ ხაბაძის

my View
თამარ გონგაძე

რუბრიკა „მეორე ნახევარში“ ამჯერად „პრაიმტაიმი“ არჩილ ხაბაძის მეუღლეს გაგაცნობთ. მესამე წელია ხაბაძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გახლავთ. პროფესიით ეკონომისტ არჩილს წლების განმავლობაში ბანკების საკრედიტო მენეჯერის თანამდებობა ეკავა. ორი წელი „ბანკი ქართულს“ ბათუმის ფილიალის საკრეტიდო განყოფილების უფროსი გახლდათ, შემდეგი სამი წელი კი მისი დირექტორის თანამდებობაზე იყო. მეუღლე არჩილს ძალიან დადებით პიროვნებად ახასიათებს. რა შეცვალა პოლიტიკამ წყვილის ცხოვრებაში, ამას თამუნა სირაბიძისგან შეიტყობთ.

„პირდაპირ მითხრა, რომ სურვილი ჰქონდა და მზად იყო ჩემთან ერთად ოჯახი შეექმნა. ეს მოხდა გაცნობიდან სულ რაღაც ერთ თვეში. თავიდან უარით გავისტუმრე“

თამუნა სირაბიძე: პროფესიით იურისტი ვარ. სხვადასხვა ორგანიზაციებში სტაჟიორად მიმუშავია, რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ საქმიანობას: 2009 წელს სამოქალაქო რეესტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, გავიმარჯვე და სახელმწოფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბათუმის სამსახურში მთავარ სპეციალისტად ვმუშაობ. პროფესიად იურისტობა იმიტომ ავირჩიე, რომ საკმაოდ პრინციპული ხასიათი მაქვს და როგორც მეუბნებიან, სამართლიანიც ვარ. მაშინ ვფიქრობდი, რომ ჩემი ცოდნით და საქმიანობით ადამიანებს დავეხმარებოდი და წარმატებული იურისტი ვიქნებოდი, მაგრამ ისე აღმოჩნდა, რომ იურისტად მუშაობა არ გამოვიდა და დავრჩი ვიწრო მიმართულებით.

თამუნას მომავალი მეუღლე საერთო მეგობარმა გააცნო. ეს არ იყო ერთი ნახვით შეყვარება, თუმცა სიყვარული მალე ენვია.

„არჩილი საკმაოდ აქტიური და ყურადღებიანი იყო. უყვარდა სიურპრიზების მოწყობა და ჩემი გახარება. ალბათ, არ არსებობენ შეყვარებულები ჩხუბის გარეშე, ჩვენც გვქონია მსგავსი მომენტები. ერთხელ მაგრადაც ვიჩხუბეთ, მაგრამ წყენა მხოლოდ სამ დღეს გაგრძელდა. აი, მაშინ მივხვდი, რომ ძალიან მიყვარდა. ფაქტობრივად, ეს გახდა ჩვენი თვითგამორკვევის მიზეზი და ამის შემდეგ, ძალიან მალე, ნიშნობაც აღვნიშნეთ. პირდაპირ სიყვარული არ აუხსნია, რაღაც თავისთავად მოხდა ყველაფერი. შეყვარებულობის პერიოდი საკმაოდ ხანმოკლე იყო, მხოლოდ 8 თვე. ბათუმში სასეირნო ადგილებს რა გამოლევს და ჩვენც მოვლილი გვქონდა ყველა მშვიდი და სასიამოვნო ადგილი. მაშინაც საკმაოდ დაკავებული იყო - „ქართუ ბანკის“ ბათუმის ფილიალის მმართველად მუშაობდა, მაგრამ ახერხებდა მოეწყო რომანტიკული სადილები, საინტერესო საჩუქრები. მაშინაც გვერდით მედგა და მამხნევებდა. მახსოვს, სამსახურიდანაც დაეთხოვა, რომ თბილისში გამომყოლოდა, როცა ტრენინგები და ტესტირება მქონდა. უყვარდა ყვავილების მორთმევა. ახლა ისე ხშირად ვეღარ ახერხებს, მაგრამ ჩემთვის ეს სრულიად გასაგებია. დაჩოქებები და მსგავსი რომანტიკული მოქმედებები არ ყოფილა, პირდაპირ მითხრა, რომ სურვილი ჰქონდა და მზად იყო ჩემთან ერთად ოჯახი შეექმნა. ეს მოხდა გაცნობიდან სულ რაღაც ერთ თვეში. თავიდან უარით გავისტუმრე, მაგრამ შემდეგ მოხდა ისე, რომ ერთად მივედით ეკლესიაში სულიერ მოძღვართან, დაგვლოცა და მტკიცე ოჯახის შექმნა გვისურვა. ტრადიციული ნიშნობა გვქონდა და შემდეგ ძალიან ლამაზი და დიდი ქორწილი გადაგვიხადეს მშობლებმა. ყველამ და მათ შორის ჩვენც, კარგად მოვილხინეთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე დატვირთული იყო ემოციურად, ყოველი დეტალი ზუსტად მახსოვს, ჯვარი ბათუმში ერთ ლამაზ და პატარა, თამარის სახელობის ეკლესიაში დავიწერეთ. ძალიან მინდოდა ქორწილში ქართული ცეკვა შეგვესრულებინა, მაგრამ არჩილი ვერაფრით დავითანხმე. ვერც „განდაგანა“ ვაცეკვე. აი, აქ კი დავარღვიეთ ტრადიცია.

ქორწინებამდე ერთად გატარებული ყოველი დღე სასიამოვნოდ მახსენდება. დიდი ხნის შეყვარებულებსაც აქვთ ქორწინების შემდეგ შეგუებისა და პიროვნული ახალი თვისებების აღმოჩენების პერიოდი. რა თქმა უნდა, ჩვენც არ ვიყავით ამ მხრივ გამონაკლისი. თუმცა ძალიან მარტივად მოვერგეთ ერთმანეთს და შევეწყვეთ ხასიათით“.

– რითი მოგხიბლათ ბატონმა არჩილმა?

– ძალიან თბილი და მზრუნველი ადამიანია. შემიძლია ვთქვა, რომ დღემდე ძველებურად ყურადღებიანია და ამას გამოხატავს მისი სამსახურის სირთულის და გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად. ყოველთვის მხიბლავს და მხიბლავდა მისი პრინციპულობა, პოზიტიურია ძალიან, სამართლიანი და მიზანდასახულია. არ არის თვალთმაქცი, მლიქვნელი ადამიანი. ის არის, რაც არის და არ მოაქვს თავი სხვა ადამიანად, არასოდეს თამაშობს. ის ძალიან მზრუნველია. ყოველთვის გვერდით მიდგას, ყველა პრობლემის დროს. მისგან ისეთი სიმშვიდე და პოზიტივი მოდის, რომ ყველა სირთულის გადალახვა მარტივდება. ვფიქრობ, სწორედ ერთობლივი მონდომებით, შრომით და ძალისხმევით შევქმენით ძლიერი ოჯახი და შევიძინეთ ის, რაც დღეს გვაბადია.

– რა შეცვალა ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ? როგორი გახდა ურთიერთობა?

– საკმაოდ ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ. გადაფასდა ღირებულებები, წინ წამოვიდა ერთმანეთის პატივისცემა, საკუთარის დათმენა და ოჯახის ინტერესების წინა პლანზე წამონევა დავიწყეთ. ერთი რამ, რის შეცვლაზე გული მწყდება, არის ის, რომ იშვიათად გვიწევს დღის განმავლობაში ერთად ყოფნა. მენატრება მასთან ერთად თუნდაც სასეირნოდ გასვლა, დრო არასოდეს რჩება ჩვენი თეკლას გასასეირნებლად, რომ აღარაფერი ვთქვა მაღაზიაში წასვლაზე და ბევრ მსგავს ბანალურ ერთობლივ ოჯახურ საქმიანობაზე.

– როგორი მეუღლეა ბატონი არჩილი?

– ყურადღებიანი, მზრუნველი. ძალიან აფასებს ოჯახის წევრებს. არ ავიწყდება დღეობები, დღესასწაულები. სამწუხაროდ, ბავშვის დღეობაზეც კი უჭირს დროულად სახლში მოსვლა. მაგალითად, წელს სამსახურში მივაკითხეთ, მაგრამ სულ რამდენიმე წუთით მოიცალა, სტუმარი ჰყავდა. სახლშიც გვიან მოვიდა, მაგრამ ის მაინც მოახერხა, რომ დღის ბოლოს ტორტზე სანთლები ერთად ჩაგვექრო. თეკლამ დაბადებისას ძალიან შეგვაშინა. ძალიან რთული პერიოდი გადავიტანეთ, რადგან ჩვენი თეკლას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. 6 თვის დაიბადა, ერთი ციცქნა - 950 გრამი იყო. ისეთი პატარა და უსუსური იყო, რომ დავინახე,

„დიდი ხნის შეყვარებულებსაც აქვთ ქორწინების შემდეგ შეგუებისა და პიროვნული ახალი თვისებების აღმოჩენების პერიოდი. რა თქმა უნდა, ჩვენც არ ვიყავით ამ მხრივ გამონაკლისი. თუმცა ძალიან მარტივად მოვერგეთ ერთმანეთს და შევეწყვეთ ხასიათით“

„არ გამიძვირო ლუდი“ – მწარმოებლების პროტესტი და გაძვირებული გადასახადი

გიორგი ლაღიძე

ლუდის მწარმოებელი კომპანიები, ფინანსთა სამინისტროს მიერ, ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის გადასახადის გაძვირებას უარყოფითად აფასებენ და აცხადებენ, რომ ამით საფრთხე ექმნება ქართული ინდუსტრიის მომავალ განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას.

როგორც კომპანია „ნატახტარი“-ს, „ზედაზენი“-ს და „კასტელი“-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, აქციზის გადასახადის ზრდით, სახელმწიფოს ფისკალური ეფექტი მინიმალური იქნება და, საბოლოო ჯამში, ეს პროცესები ნეგატიურად აისახება, როგორც კომპანიებზე, ასევე საწარმოში დასაქმებულ პერსონალზე.

კანონპროექტი უკვე მიღებულია და ის მიმდინარე წლის პირველი მარტიდან ამოქმედდება. პროექტის პირველადი ვარიანტი აქციზის გადასახადის ასპროცენტიან ზრდას ითვალისწინებდა, თუმცა საბოლოოდ ის 50 პროცენტით განისაზღვრა.

ფინანსთა სამინისტრო აღნიშნული კანონის მიღებას, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ხსნის, რომლის თანახმად, საქართველოს ეკისრება ვალდებულება და 100 ლიტრ ლუდზე, აქციზის მინიმალური გადასახადი 8.5 ევროს შეადგენს, თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს, თორმეტ ევროპულ ქვეყანას შორის აქციზის ყველაზე მაღალი გადასახადის გადახდა მოუწევს, რაც 100 ლიტრზე 18.5 ევროა.

ლუდის მწარმოებლების განცხადებით, მიღებული კანონპროექტი მხოლოდ ლუდის პროდუქციას შეეხო.

კომპანიების წარმომადგენლები, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას და საკითხის გადახედვას ითხოვენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჟურნალისტებიც კი, რომლებიც ყველაზე კრიტიკულები არიან და თანამდებობის პირების ნეგატიურ მხარეებს სენსაციურად წარმოაჩენენ ხოლმე, არჩილისადმი დადებითად არიან განწყობილნი“

თამუნა სირაბიძე: „ერთხელ მაგრადაც ვიჩხუბეთ, მაგრამ წყენა მხოლოდ სამ დღეს გაგრძელდა. აი, მაშინ მივხვდი, რომ ძალიან მიყვარდა. ფაქტობრივად, ეს გახდა ჩვენი თვითგამორკვევის მიზეზი და ამის შემდეგ, ძალიან მალე, ნიშნობაც აღვნიშნეთ“

EXCLUSIVE

„მენატრება მასთან ერთად თუნდაც სასეირნოდ გასვლა, დრო არასოდეს რჩება ჩვენი თეკლას გასასეირნებლად“

„ყოველთვის მხიბლავს და მხიბლავდა მისი პრინციპულობა, პოზიტიურია ძალიან, სამართლიანი და მიზანდასახულია. არ არის თვალთმაქცი, მლიქვნელი ადამიანი. ის არის, რაც არის და არ მოაქვს თავი სხვა ადამიანად, არასოდეს თამაშობს“

გული შემიღონდა, ტირილი დავიწყე. არჩილმა კი დახედა და თქვა - რა ლამაზი გოგონა გვყავსო. ისე გამამხნევა მისმა ნათქვამმა, ისე დამამშვიდა, რომ შემდეგ მართლაც ყველაფერი კარგად განვითარდა და დღეს, ღვთის წყალობით, გვაქვს ბედნიერება ვიყოთ ჯანმრთელი და ცელქი ბავშვის მშობლები. ყოველი დილა თეკლას ბაღში წასვლისთვის მზადებით იწყება. შეძლებისდაგვარად, ერთად ვსაუზმობთ, მერე მე თეკლა მიმყავს ბაღში, იქიდან მივდივარ სამსახურში. არჩილი ყოველ დილით ჩაგვკოცნის, გაგვაცილებს და შემდეგ მიდის სამსახურში. მამებს გოგონები განსაკუთრებით უყვართ და არჩილისთვისაც თეკლა განსაკუთრებულია. მათი ურთიერთობა მამაჩემის და ჩემს ურთიერთობას მაგონებს. დღის განმავლობაში მამას თუ შეაგვიანდა გადმორეკვა, თეკლა აუცილებლად მარეკინებს და ჰკითხავს - მამა, როდის მოდიხარ სახლშო? იცის, რომ მას უკვე ეძინება, მაგრამ მაინც აქვს მამასთან თამაშის იმედი. განსაკუთრებით უყვართ მამა-შვილს ერთად სადილობა. რაც არ უნდა დანაყრებული იყოს თეკლა, მამას რომ დაინახავს, სუფრასთან გვერდით მიუსკუპდება და ერთად მიირთმევენ.

– ამბობენ, შეყვარებული მამაკაცი ეჭვიანიაო. თქვენ შემთხვევაშიც ასეა?

– რას ამბობთ? არ არის ეჭვიანი. პრინციპში, მაგისთვის დროც არ რჩება და ამაში სამსახურიც ეხმარება, ალბათ. საერთოდ ზომიერია, მე ამას უფრო ყურადღებას დავარქმევდი და არა ეჭვიანობას. არც მე ვარ ეჭვიანი, მაგრამ უკვე მის სამსახურზე ვეჭვიანობ.

– რა შეცვალა პოლიტიკის შემოსვლამ თქვენს ცხოვრებაში?

– არჩილის პოლიტიკაში წასვლის შემდეგ ისე თავისუფლად ვეღარ ვატარებთ დროს, როგორც მანამდე. პოლიტიკოსობა გარკვეულ ჩარჩოებში გაქცევს, ბევრის დათმობა მოგვიწია, მაგრამ ეს ყველაფერი არაფერია იმასთან შედარებით, რომ ამ თანამდებობამ მისი მთელი დრო და ენერგია წაიღო. უკვე მხოლოდ ჩვენი ოჯახის და ახლობლების პრობლემებით და ყოფით აღარ შემოვიფარგლებით. რეგიონის ყველა პრობლემა მისი ტკივილია და მის მოგვარებაზე ზრუნვა არჩილის ვალია. შეიძლება ითქვას, რომ ერთად განვიცდით ყველა მწვავე საკითხს. თითოეული პრობლემა გულთან მიაქვს და მუდმივად ფიქრობს – რა გაკეთოს, რომ ადამიანებს დაეხმაროს. მიკვირს ზოგჯერ, როგორ ახსოვს ყველა დეტალი, თითოეული ადამიანის ისტორია. მაგრამ თავის საქმეს იმდენად პასუხისმგელობით და გულით უდგება, რომ დღეში 5-საათიანი ძილის მიუხედავად, დილით ზღვა ენერგიით იღვიძებს და ახალი შემართებით იწყებს სამუშაო დღეს. ცდილობს რაც შეიძლება მეტი გააკეთოს. იყო პერიოდი, როცა მის მოუცლელობაზე ვწუწუნებდი და ვნერვიულობდი, მაგრამ ეს პერიოდი გადავლახეთ და დღეს, მიჭირს, მაგრამ მესმის მისი მდგომარეობა, ვცდილობ ოჯახის ტვირთი შევუმსუბუქო, მოვაგვარო საოჯახო საქმეები, რომ ოჯახის სახით მას მხარდაჭერა და ძლიერი ზურგი ჰქონდეს.

– მოგაქციათ თუ არა ჩარჩოში მეუღლის თანამდებობამ – რა აკრძალვები დაგეწესათ, თავს რისი გაკეთების უფლებას ვერ აძლევთ?

– ნებისმიერი ჩვენი მოქმედება ლუპის ქვეშ ექცევა და შესაბამისად, ვცდილობ საზოგადოებისთვის მისაღები იყოს ჩემი ყველა ნაბიჯი. ძალიან შევიცვალე-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ უფრო ფრთხილი გავხდი და ყველა დეტალს ვაკვირდები. ვუფრთხილდები საზოგადოების აზრს. თუმცა ისეთივე დავრჩი, როგორიც ვიყავი, სტატუსს თუ არ ჩავთვლით. ვფიქრობ, რომ ყველაფერი იწყება და მთავრდება. გადის დრო და პიროვნებები ტოვებენ თანამდებობებს. ისე არ უნდა მოიქცე, რომ ქუჩაში გასვლა და ადამიანებისთვის თვალებში ჩახედვა შეგრცხვეს.

– ძნელია თანამდებობის პირის ცოლობა? ხელისუფლების კრიტიკის მოსმენა გიწევთ, ალბათ.

– ჯანსაღი კრიტიკა გვაძლიერებს, რადგან სხვა თვალით უყურებ საკუთარ თავს. კრიტიკულ აზრს ვითვალისწინებთ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც კრიტიკა დაუმსახურებელი იყო და ბევრჯერ მიტირია კიდეც - მე ხომ ვიცი, რეალურად რა არის და ამ დროს, ერთი და იგივე მოვლენასა თუ ფაქტს განსხვავებულად ხედავენ. ადამიანს მართლაც აძლიერებს კრიტიკა, მუდმივად ტონუსში ამყოფებს და მეტის გაკეთების სურვილს და ძალას მატებს საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად.

– ბათუმელებს როგორი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ?

– იმდენად დადებითი ენერგია მოდის, იმდენად უშუალოა, რომ ადამიანს თუ ერთხელ მაინც უსაუბრია არჩილთან, არ არსებობს კარგად არ განეწყოს მისადმი. როგორც მეუბნებიან, ჟურნალისტებიც კი, რომლებიც ყველაზე კრიტიკულები არიან და თანამდებობის პირების ნეგატიურ მხარეებს სენსაციურად წარმოაჩენენ ხოლმე, არჩილისადმი დადებითად არიან განწყობილნი.

– დაახასიათეთ მეუღლე.

– რაც არ უნდა ცუდ განწყობაზე იყო, დადებითი ენერგიით დაგმუხტავს. შრომისმოყვარეა, განათლებული, ჭკვიანი, მიზანსწრაფული, ძალიან უშუალო და თავმდაბალი. პატარა ბავშვივით უხარია, როცა სხვას ახარებს, როცა საქმეს მცირედითაც გაუმჯობესებს, ვინმეს პრობლემას მოაგვარებს. შეუძლია ყველა საკითხის გათავისება და გულთან მიტანა. თითოეული მცირე წარმატებაც ბედნიერებას ანიჭებს და შემიძლია ვთქვა, სუნთქავს თითოეული ადამიანის მიმართ გაკეთებული სიკეთით, მოგვარებული საკითხით, გადაჭრილი პრობლემით.

– რაზე დგას თქვენი ოჯახი?

– ჩვენი ოჯახის ძლიერებას წარმოადგენს სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და ერთგულება. ქართული ტრადიციული ღირებულებები კრავს ჩვენს ოჯახს. არჩილი ჩემთვის არის მეგობარი, მეუღლე და შვილის მამა. ის და თეკლა ჩემთვის ყველაზე ძვირფასია და დარწმუნებული ვარ, ისიც ასე ფიქრობს. მიუხედავად მისი დატვირთული გრაფიკისა, ჩვენ ვინარჩუნებთ ოჯახურ სითბოსა და იდილიას. ვცდილობთ, რომ დიდ სიყვარულში გავზარდოთ პატარა თეკლა და მისთვისაც უპირველეს ღირებულებას რწმენა, ადამიანი და სამშობლოს სიყვარული წარმოადგენდეს და რაც მთავარია, არასოდეს შერცხვეს მშობლების მიერ განვლილი ცხოვრების.

„არჩილი ყოველ დილით ჩაგვკოცნის, გაგვაცილებს და შემდეგ მიდის სამსახურში. მამებს გოგონები განსაკუთრებით უყვართ და არჩილისთვისაც თეკლა განსაკუთრებულია. მათი ურთიერთობა მამაჩემის და ჩემს ურთიერთობას მაგონებს“

„შეყვარებულობის პერიოდი საკმაოდ ხანმოკლე იყო, მხოლოდ 8 თვე. ბათუმში სასეირნო ადგილებს რა გამოლევს და ჩვენც მოვლილი გვქონდა ყველა მშვიდი და სასიამოვნო ადგილი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ამერიკის ვიზა 18 ათას დოლარად

მირიან ბოქოლიშვილი

ეს ფაქტი, ალბათ, მაგალითი იქნება მათთვის, ვინც ევროპასა, თუ ამერიკაში გამგზავრების სანაცვლოდ მზადაა, ნებისმიერ ხერხს მიმართოს. არ გაგიკვირდეთ, რომ გამგზავრების სანაცვლოდ დანაშაულებრივ სქემაში აღმოჩნდეთ ჩართული. ამის ნათელი მაგალითია ის ერთობლივი ღონისძიება, რომელიც შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარდა. ვიზების მისაღებად ყალბი დოკუმენტების დამზადების ბრალდებით დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი საკონსულოს მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ასევე, დაკავებულია მისი თანამზრახველი ქალბატონი. 1975 წელს დაბადებული სამსონ ჯ. და 1965 წელს დაბადებული ელზა კ. ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღება-შეძენისა და გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ, თუმცა ორივე მათგანი სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.



როგორ უმზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს საზღვარგარეთ გამგზავრების მსურველებს და რა სქემით მოქმედებდა თაღლითური ჯგუფი?

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ელზა კ. მოქალაქე ოლია შ-ს 18 000 ამერიკული დოლარის სანაცვლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ყალბი ვიზის დამზადებას დაჰპირდა. ელზა კ-მ, თავისი ახლობლის, სამსონ ჯ-ს დახმარებით, ოლია შ-ს ერთ-ერთ ბანკში წინასწარ ჩაარიცხვინა ვიზის მიღებისთვის აუცილებელი აპლიკაციის შესავსებად საჭირო ოფიციალური გადასახადი – 336 ლარი. მან ქალბატონს, ასევე, დაუმზადა ყალბი ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ოლია შ-ს ანაზღაურება 770 ლარს შეადგენდა. გამოძიებამ, ასევე, დაადგინა, რომ სამსონ ჯ-მ, ყალბი ვიზის მისაღებად, მოქალაქე სოფიკო ჩ-ს დაუმზადა ყალბი ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მისი ანაზღაურება 870 ლარს შეადგენდა.

ასევე, დადგინდა, რომ ელზა კ. მოქალაქე იამზე კ-ს პოლონეთის ყალბი ვიზის მიღებაში დახმარებას დაჰპირდა. კერძოდ, ყალბი ოფიციალური დოკუმენტი – ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ დაუმზადა, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული მოქალაქე ერთ-ერთ კერძო კომპანიაში ოპერატორის პოზიციაზე მუშაობდა და მისი ყოველთვიური სარგო თვეში 770 ლარს შეადგენდა. ელზა კ-მ, ასევე, დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი – ცნობა მოქალაქე ქეთევან ღ-ს სამუშაო ადგილის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელს იმავე კერძო კომპანიაში ოპერატორის პოზიცია ეკავა და მისი ყოველთვიური სარგო 950 ლარს შეადგენდა. ელზა კ-მ აღნიშნული ყალბი ცნობები სამსახურის შესახებ პოლონეთის საელჩოში წარსადგენად დაამზადა.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სამსონ ჯ-მ და ელზა კ-მ ცნობებში თავად გააყალბეს ხელმოწერები. სამართალდამცველებმა სამსონ ჯ-ს კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას ყალბი დოკუმენტები ნივთმტკიცებად ამოიღეს, ხოლო ელზა კ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულია 29 000 აშშ დოლარი და 2 000 ევრო. დანაშაულში მხილებული ორივე პირი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

„პრაიმტაიმი“ ამ თემაზე ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატს ესაუბრა.

გიორგი გიუნაშვილი, ელზა კ-ს ადვოკატი:

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აღიარებს ყალბი დოკუმენტის დამზადებას, რომელიც ეხებოდა პიროვნების სამუშაო ადგილს. ანუ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც კონკრეტული პიროვნება თითქოს მუშაობდა მის კომპანიაში. ეს იყო მისი ახლობელი და, უბრალოდ, სთხოვეს დოკუმენტზე ხელმოწერა. სასამართლომ გირაოს სახით გაათავისუფლა.

– თუკი ეს შემთხვევითობა იყო, მაშინ ვის ეკუთვნოდა თანხა, რომელიც გამოძიებამ ამოიღო?

– ეს იყო ოჯახის დანაზოგი. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის დედა არის ავად და საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას. ეს თანხა სწორედ ამ მიზნით ინახებოდა ოჯახში.

მომხდარი დანაშაულის შესახებ განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომაც.

„დიდი მადლობა ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციას, ეს საქმე არის ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც ამერიკისთვის, ისე საქართველოსთვის. ეს ცხადად მიუთითებს ორი ქვეყნის თანამშრომლობის აქტიურობაზე“, – აღნიშნა საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების უფროსმა, ჯეიმს ჰაიმიმ.

მამუკა ჭელიძე, შინაგან საქმეთა სამინისტრო:

„ბრალდებულები 18 ათასი აშშ დოლარის სანაცვლოდ მოქალაქეებს პერიოდულად უმზადებდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და შენგენის ვიზების მისაღებად ყალბ დოკუმენტებს. წინასწარ არიცხვინებდნენ სავიზო აპლიკაციის შესაქმნელად ოფიციალურად გადასახდელს თანხას, რის შემდეგაც უმზადებდნენ ყალბ ცნობებს სამუშაო ადგილისა და ყოველთვიური ანაზღაურების შესახებ. ამ ყველაფერს კი ვიზების მიღების მიზნით წარადგენდნენ აშშ-სა და შენგენის ქვეყნების საელჩოებში“.

„ეს საქმე ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ამერიკისთვის, ისე საქართველოსთვის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრემიერ-მინისტრი არის საქმის კურსში, ასევე, ბატონი კახი კალაძე“

EXCLUSIVE

ლუკა კურტანიძე: „მარტო იურისტებისა და ეკონომისტების არ არის ეს ქვეყანა, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ყველა სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს“

მირიან ბოქოლიშვილი

მალე საქართველოს პარლამენტს კიდევ ერთი სპორტსმენი, ლუკა კურტანიძე შეემატება. ჯერჯერობით, საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი სპორტული შესაძლებლობები მხოლოდ ზვიად ზვიადაურმა აჩვენა, როდესაც სხდომათა დარბაზში ხელჩართული ჩხუბის დროს პირდაპირ მაგიდიდან იფრინა... მოხსნის თუ არა კურტანიძე ზვიადაურის რეკორდს, ეს უკვე მას შემდეგ გაირკვევა, რაც დეპუტატის მანტიას ოფიციალურად მოისხამს, მანამდე კი პარტიის ხელმძღვანელობასთან საბოლოო დეტალები ზუსტდება. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ლუკა კურტანიძის შესვლამ ზოგს ცნობილი ფრაზაც კი გაახსენა – ტატამია, ტატამიი...

შეგახსენებთ, რომ ლუკა კურტანიძის პარლამენტში შესვლის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც დეპუტატი თამაზ ავდალიანი გარდაიცვალა. „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიით ავდალიანის ადგილმონაცვლე სწორედ ლუკა კურტანიძეა.

„პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ინტერვიუს მომავალ დეპუტატ ლუკა კურტანიძესთან.

– თუ გადაწყდა, ოფიციალურად როდის ჩაიბარებთ დეპუტატის მანდატს?

– პირველ რიგში, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან სამძიმარი მინდა გამოვუცხადო თამაზ ავდალიანის ოჯახს. ჩვენ ერთიმეორის იმედად გამოვიარეთ ძალიან რთული დრო. საქართველომ დაკარგა ქვეყნისთვის ძალიან მოსიყვარულე ადამიანი. ბატონი თამაზი იეზიდი გახლდათ, მის დაკრძალვაზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს არის საქართველოს ღირსეული ხალხი. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ამ თემაზე კვლავაც მიდის კონსულტაციები და საბოლოო გადაწყვეტილება მალე იქნება.

– ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას?

– გადაწყვეტილებას იღებს პარტია „ქართული ოცნება“. შევჯერდებით და როგორც საჭირო იქნება, ისე გადაწყდება. ჯერჯერობით სხვა ვარიანტები არ განხილულა.

– უშუალოდ ვისთან გაქვთ საუბარი?

– რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრი არის საქმის კურსში, ასევე, ბატონი კახი კალაძე, ირაკლი კობახიძე, რომელთანაც მქონდა უკვე შეხვედრა. მთელი ჩემი ცხოვრება ვშრომობ და ვიბრძვი ჩემი ქვეყნისთვის. ასევე გავაგრძელებ მომავალში.

– და პარლამენტი ის ადგილია, სადაც შეძლებთ საკუთარი თავის რეალიზებას?

– მე ვიქნები იქ, სადაც ჩემს ქვეყანას დავჭირდება ჩემი გამოცდილებისა და იმ განათლების ფარგლებში, რა განათლებაც მაქვს. რაც არ ვიცი და ჩემს შესაძლებლობას აღემატება, იქნებიან სხვები, რომლებიც ამას გააკეთებენ. ჩვენ ერთმანეთი უნდა შევავსოთ.

– არ ფიქრობთ, რომ საკანონმდებლო ორგანო მაინც სხვა სფეროა და ეს არ არის სპორტსმენებისა და მსახიობების ადგილი?

– ყველაზე დიდი პოლიტიკა არის სამშობლოზე ზრუნვა. აუცილებელი არ არის, მხოლოდ იურისტი, ან ეკონომისტი იყო. პარლამენტში უნდა იყოს ყველა სფეროს წარმომადგენელი, რომელთა ერთობაც შექმნის რეალურად ჯანსაღ სივრცეს ყველა მიმართულებით. მარტო იურისტებისა და ეკონომისტების არ არის ეს ქვეყანა, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ყველა სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს. ერთმანეთთან პაექრობასა და გამოკიდებას, სჯობს კონკრეტულ თემებზე ვისაუბროთ. მე რაც ვიცი და რაც შემიძლია, იმით გავაძლიერებ პარლამენტს, სხვა სხვა მიმართულებით იმუშავებს.

„მე ვიქნები იქ, სადაც ჩემს ქვეყანას დავჭირდება ჩემი გამოცდილებისა და იმ განათლების ფარგლებში, რა განათლებაც მაქვს“

– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე რა აზრის ხართ?

– დღეს რომ ჩვენ თავისუფლად ვსაუბრობთ, ეს სწორედ ბატონი ბიძინას დამსახურებაა. დღეს მის სიტყვას აქვს ძალიან დიდი წონა. მან საკმაოდ მკაფიოდ განმარტა პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნების საკითხი და მეც ვეთანხმები. როდესაც საჭიროდ ჩათვლის და თუ ჩათვლის საერთოდ, მაშინ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას.

– სამართლიანობის აღდგენის პროცესით რამდენად კმაყოფილი ხართ?

– სამართლიანობის აღდგენისთვის პირველ რიგში საზოგადოებამ უნდა იზრუნოს. მხოლოდ ხელისუფლება ვერაფერს შეძლებს. საზოგადოება უნდა გაძლიერდეს იმდენად, რომ ვინც ქართველ ერს უდიდესი ტკივილი მიაყენა, შესაბამისი პასუხი გასცეს. ხელისუფლება მომართულია ამ პროცესისთვის, ის იკვლევს არა მარტო ფაქტებს, არამედ მტკიცებულებებს. შეიძლება ამიტომაც გაჭიანურდა ეს პროცესი.

– დაბოლოს, მინდა გკითხოთ ჭიდაობის ფედერაციის ირგვლივ ატეხილ სკანდალზე, რომელსაც თქვენი პოსტი შეეწირა.. დღევანდელი გადმოსახედიდან როგორ უყურებთ ამ საკითხს?

– ადამიანურად რომ გითხრათ, ის, რაც მოხდა, ძალიან გულდასაწყვეტია, თუმცა მესმის, რომ ემოციებმა იჭარბა. ვეთანხმები ბიჭებს, რომ წლების განმავლობაში ინფრასტრუქტურა მოიშალა, ბევრ სტრატეგიულ ადგილას სპორტული ობიექტები გაიყიდა. როდესაც ხელისუფლება იცვლება, თავისუფლების მოლოდინიც ბევრია, შემდეგ ამას დაემატა პიროვნული წყენები და ზღვარს გადააჭარბა. მე ბევრი რამ გადავიტანე, აფხაზეთის ომი, სამაჩაბლო, მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვა და ცხადია, ამასაც გადავიტან. მე მათ ვაპატიე, შეიძლება შეცდომები იყო, მაგრამ ეს შეცდომები არ ღირდა იმად, რაც მოხდა. როდესაც მე მოვედი, 2300 ლარამდე იყო ფედერაციის ანგარიშზე და დავტოვე ნახევარ მილიონამდე, ჩავატარე არაერთი წარმატებული ჩემპიონატი. რა თქმა უნდა, მოთხოვნა მეტია, მეტი გამოწვევაა. იმედი მაქვს, ისინი ამ გამოწვევებს გაუმკლავდებიან. ფედერაციის ახალ პრეზიდენტს შევთავაზე, რომ კვირაში ერთხელ ცენტრალურ დარბაზში ჩავატარებ ვარჯიშს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელიც მე გადავდგი მათ მიმართ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი



ბექა ონიანი

ნიკოლოზ რაჭველი
და დემნა ჯაფარიძე

ანიტა რაჭველიშვილი

სოზარ სუბარი მეუღლესთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

დათო როსტომაშვილი და გია ჯაჯანიძე

გია ჯაჯანიძე

დათო როსტომაშვილი და გიორგი წერეთელი

paparazzi

თიკა ჯამგუჩია

paparazzi

ნინო ანანიაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აჭარაში „ქართული ოცნება“ იშლება?!

„ავთანდილ ბერიძის 7 მივლინებაზე 2124 ლარი გამოიყო. მიუხედავად იმისა, რომ მედეა ვასაძე ამ ხნის განმავლობაში სულ 5-ჯერ იყო მივლინებაში, ამ მიზნით მისთვის გაცილებით მეტი თანხა – 5878 ლარი გამოიყო: საფრანგეთში მისი 10-დღიანი მივლინება საბჭოს ბიუჯეტს 3853 ლარი დაუჯდა“

მედეა ვასაძემ და ავთანდილ ბერიძემ სამივლინებო ხარჯები ვერ გაიყვეს?

მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას აჭარის უმაღლესი საბჭოს სკანდალურმა დეპუტატმა, მედეა ვასაძემ კოალიცია „ქართული ოცნება“ დატოვა. ვასაძემ, რომელიც უმაღლეს საბჭოში ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობს, საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ ჟურნალისტებს სპეციალურ ბრიფინგზე აცნობა, თუმცა მიზეზების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

გავრცელებული ინფორმაციით კი, აჭარის მმართველ კოალიციაში განხეთქილება მივლინებების გამო მოხდა. ვასაძემ ეს გადაწყვეტილება სწორედ მას შემდეგ მიიღო, რაც მასა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ავთანდილ ბერიძეს შორის ბრიუსელში მივლინებასთან დაკავშირებით უთანხმოება მოხდა.

რატომ დატოვა მედეა ვასაძემ კოალიცია და დაიწყება თუ არა აჭარაში „ქართული ოცნების“ რღვევის პროცესი? ამ კითხვებს თავად ვასაძე რამდენიმე დღეში უპასუხებს. ყოველ შემთხვევაში ასეთი პირობა მისცა ჟურნალისტებს. სანამ უმაღლესი საბჭოს სკანდალური დეპუტატი კოალიციის დატოვების მიზეზებს განმარტავს, ჩვენ თვალი გადავავლეთ მის სამივლინებო ხარჯებს, რომელიც 2013-2014 წლებს მოიცავს.

ერთი წლის განმავლობაში მედეა ვასაძე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 11-ჯერ იყო მივლინებული. უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ორჯერ სტუმრობდა საფრანგეთს, ერთხელ კი – გერმანიას, ერთკვირიანი ვიზიტით. საერთო ჯამში, მედეა ვასაძის მივლინებები აჭარის უმაღლეს საბჭოს ერთი წლის განმავლობაში 12 323 ლარი დაუჯდა.

ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები ყვებიან, რომ ევროპული მივლინებების მოყვარულ მედეა ვასაძეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან სწორედ ამ საკითხზე მოუხდა უთანხმოება. ითქვა, რომ დეპუტატებმა სამივლინებო ხარჯები ვერ გაიყვეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ საბჭოს წევრები და საბჭოში დასაქმებული პირები მხოლოდ 2013 წლის განმავლობაში მივლინებაში 121-ჯერ იმყოფებოდნენ, ჯამში, ამ მიზნით ბიუჯეტიდან 114 704 ლარი დაიხარჯა. მივლინების დანიშნულების ადგილებია თბილისი, ქუთაისი, აჭარის მაღალმთიანეთში არსებული მუნიციპალიტეტები, რაც შეეხება საზღვრებს გარეთ განხორციელებულ მივლინებებს, დანიშნულების ქვეყნები იყო: უკრაინა, ჩეხეთი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, თურქეთი, აზერბაიჯანი, იტალია, ბელგია.

ჯამში, ყველაზე მეტი თანხა – 58 744 ლარი, 2013-2014 წლებში აჭარის უმაღლესმა საბჭომ დეპუტატების საფრანგეთში არაერთგზის მისავლინებლად დახარჯა. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ 14-ჯერ იმყოფებოდა მივლინებაში. ჯამში, ამ მიზნით საბჭოს ბიუჯეტიდან 15 021 ლარი დაიხარჯა. ავთანდილ ბერიძე ორჯერ იმყოფებოდა საფრანგეთში, ასევე, თითო კვირით ავსტრიასა და გერმანიაში.

საბჭოს კიდევ ერთი წევრის ჯემალ ფუტკარაძის თბილისში ერთხელ და საზღვარგარეთ 3-ჯერ მივლინების მიზნით 9127 ლარი დაიხარჯა. დეპუტატი ამავე პერიოდში თურქეთში ორჯერ იმყოფებოდა მივლინებით, პირველ ჯერზე ერთკვირიანი მივლინების უზრუნველსაყოფად მისთვის 1294 ლარი გამოიყო, მეორედ კი – ორდღიანი მივლინებისთვის 1217 ლარი, ასევე, საფრანგეთში მისი ერთკვირიანი მივლინება ბიუჯეტს 6585 ლარი დაუჯდა.

დეპუტატი დავით ბაციკაძე ერთი წლის განმავლობაში სულ 5-ჯერ იყო მივლინებული, ორჯერ საქართველოს ტერიტორიაზე, თითო-თითოჯერ კი უკრაინაში, ჩეხეთსა და საფრანგეთში. ჯამში, მისთვის გამოყოფილი სამივლინებო თანხების რაოდენობამ 8046 ლარი შეადგინა.

სულ, ორჯერ იყო მივლინებული საბჭოს კიდევ ერთი წევრი პეტრე ზამბახიძე. საბჭოს ბიუჯეტს მისი თითო-თითო კვირიანი მივლინება საფრანგეთში 4337 ლარი დაუჯდა.

2014 წლის 1-ლი იანვრიდან 1-ელ მაისამდე საბჭოს წევრებისა და თანამშრომლების მივლინებაზე 32 614 ლარი გამოიყო. აქედან ავთანდილ ბერიძის 7 მივლინებაზე – 2124 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მედეა ვასაძე ამ ხნის განმავლობაში სულ 5-ჯერ იყო მივლინებაში, ამ მიზნით მისთვის გაცილებით მეტი თანხა – 5878 ლარი გამოიყო: საფრანგეთში მისი 10-დღიანი მივლინება საბჭოს ბიუჯეტს 3853 ლარი დაუჯდა. 23-30 მარტს საფრანგეთში, მასთან ერთად, საბჭოს კიდევ ორი წევრი: სვეტლანა კუდბა და პეტრე ზამბახიძე იმყოფებოდნენ. ჯამში, სამივე მათგანისთვის 10 838 ლარი გამოიყო.

როგორც ირკვევა, უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან მედეა ვასაძის მივლინებებზე გაცილებით მეტი თანხა გამოიყოფოდა, ვიდრე საბჭოს თავმჯდომარის მივლინებებზე. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა დაპირისპირების მიზეზიც, რაც საბოლოოდ კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ მედეა ვასაძის წასვლით დასრულდა.

„ქართული ოცნებიდან“ მედეა ვასაძის წასვლის შესახებ ხმები ჯერ კიდევ მაშინ გავრცელდა, როცა მმართველმა გუნდმა საკუთარი რიგებიდან გარიცხა საქართველოს პარლამენტის წევრი, ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე. მაშინ აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრაქცია „ქართული ოცნების“ სამ წევრს პოლიტსაბჭომ დისციპლინური დარღვევის გამო საყვედური გამოუცხადა. ამ სამ წევრ შორის მოხვდა მედეა ვასაძეც.

აჭარაში მმართველი კოალიციის რიგებში ბზარი მას შემდეგ გაჩნდა, რაც უმაღლეს საბჭოში დღის წესრიგში დადგა არჩილ ხაბაძის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი. მაშინ დაპირისპირება იქამდეც მივიდა, რომ თბილისში, კოალიციის ცენტრალურ ოფისში პოლიტსაბჭოს საგანგებო სხდომაც კი გაიმართა. ერთ-ერთი დეპუტატი, ვინც ხაბაძეს ღიად უპირისპირდებოდა, სწორედ მედეა ვასაძე იყო, ამიტომაც არ გამორიცხავენ, რომ ვასაძე სწორედ ხაბაძესთან დაპირისპირებას შეეწირა. მან, უბრალოდ, მოვლენებს დაასწრო და „ქართული ოცნება“ საკუთარი ნებითვე დატოვა.

„საბჭოს წევრები და საბჭოში დასაქმებული პირები მხოლოდ 2013 წლის განმავლობაში მივლინებაში 121-ჯერ იმყოფებოდნენ, ჯამში, ამ მიზნით ბიუჯეტიდან 114 704 ლარი დაიხარჯა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უკონტროლოდ დარჩენილი სიცოცხლისთვის საშიში ნივთები

ხათუნა მგალობლიშვილი

ევროპაში ნებისმიერი სათამაშო, ან ბიჟუტერია, რომელიც კადმიუმს შეიცავს, გაყიდვიდან ამოღებულია. გასაყიდ ნივთებზე მკაცრი კონტროლი უკვე წლებია, მიმდინარეობს და ამით მთავრობები საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეს უფრთხილდებიან. გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, როდესაც ჩინურ ბიჟუტერიასა და სათამაშოებზე კვლევა ჩატარდა. შედეგი კიდევ უფრო მძიმე იყო, ვიდრე ამას ელოდნენ: ზოგიერთ საბავშვო სამკაულში კადმიუმი 90%-ს აღწევდა. ასეთი შემადგენლობის ნივთის გამოყენება მომაკვდინებელ შედეგებს იწვევს.

მადონა კოიძე: „არ არსებობს სამსახური, რომელიც სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერების შემცველ პროდუქტებს გააკონტროლებს და საჭიროების შემთხვევაში მათ გაყიდვას აკრძალავს“

ბიჟუტერიისა და განსაკუთრებით სათამაშოების მწარმოებელმა ორგანიზაციებმა კადმიუმის გამოყენების ათვისება მას შემდეგ დაიწყეს, რაც კანონმა მათ ტყვიის გამოყენება აუკრძალა. პროდუქტის დასამზადებლად ტყვიის აკრძალვა კი უსაფრთხოების მიზნით მოხდა. სურვილი ნამდვილად კეთილშობილური იყო, თუმცა შედეგი უარესი: კადმიუმი თითქმის იგივე ზიანის მომტანია, როგორც ტყვია. მათ შორის განსხვავება ის არის, დღესდღეობით კადმიუმით სათამაშოების წარმოება დაინტერესებულ ორგანიზაციებს ბევრად იაფი უჯდებათ, რადგან ერთი კილო კადმიუმი სამი ამერიკული დოლარი ღირს, ტყვია კი ბევრად აღემატებოდა სამ დოლარს.

კადმიუმი „უაღრესად საშიშ ნივთიერებებში“ რიგით მეორე ადგილს იკავებს და ერთ-ერთ ყველაზე ტოქსიკურ ლითონად ითვლება. მისი ყველაზე საშიში და უარყოფითი თვისება ორგანიზმში დაგროვებაა. სხეულში დაგროვილი კადმიუმის ყველაზე დიდი ოდენობა თირკმლებში ნაწილდება – 30-60%, რიგით მეორე ღვიძლია – 20-25%, კადმიის დანარჩენი „მარაგი“ პანკრეასში, ელენთაში, ძვლებსა და სისხლში ინახება. ყოველდღიურად ადამიანის ორგანიზმიდან 48 გრამი კადმიუმი გამოდის და თან დიდი ოდენობით კალცი გამოაქვს. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ძვლის მტვრევის, დეფორმაციის, თირკმლის ფუნქციის მოშლას, ორგანიზმში დიდი ოდენობით მოხვედრის შემთხვევაში კი გარდაუვალია ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება. კადმიუმის ხსნადი ნაერთების სისხლში მოხვედრით ავადდება ცენტრალური ნერვული სისტემა, ღვიძლი და თირკმლები, ირღვევა ფოსფორ-კალციუმის მიმოცვლა. კადმიუმი განსაკუთრებით აზიანებს ადამიანის რეპროდუქციულ სისტემას. კადმიუმით დაავადებულებს ძირითადად ერთნაირი სიმპტომები აქვთ, რომელიც სხვა დაავადებს ჰგავს და სწორედ ამიტომ მისი დადგენა ძალიან რთულდება. სიმპტომებში ყველაზე ხშირია თავის ტკივილი, გულისრევის შეგრძნება, შემცივნება, სისუსტე, დიარეა, ფილტვების შეშუპება. როგორც ცნობილი ხდება, კადმიუმის მოქმედებით გამოწვეული ფატალური შედეგებიც დაფიქსირებულია. რაც შეეხება ბავშვებს, კადმიუმი მათზე განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს. ევროპელი პედიატრის, ნატალია ვოლრინგემის განცხადებით, კადმიუმის მაღალი შემადგენლობის მქონე სათამაშოებით ხშირი სარგებლობა აუცილებლად გამოიწვევს გონებრივ ჩამორჩენილობასა და ტვინის დაზიანებას.

ლია ადეიშვილი, ტოქსიკოლოგი:

– კადმიუმით მოწამვლის სიმპტომებია ძლიერი სპაზმები კუჭში, ღებინება, ფაღარათი, ყელის სიმშრალე, თავის ტკივილი, შოკი და კომასაც კი იწვევს. ასევე, იწვევს თირკმლების მწვავე უკმარისობას. ასეთი ნიშნების აღნიშვნისას საჭიროა გადაუდებელი დახმარება – კუჭის ამორეცხვა რძით ან ალუმინით. ასეთ დროს ხშირად ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მიერთებაც ხდება.

– როგორ აღწევს ორგანიზმში კადმიუმი?

– როგორც წესი,, კადმიუმი ორგანიზმში პირის ღრუდან შედის და, ასევე, კანზე შეხებით.

სწორედ ამიტომ პედიატრები მშობლებს ურჩევენ, საკუთარი შვილები კადმიუმის შემცველი სათამაშოებისგან სამ წლამდე მაინც დაიცვან, რადგან ბავშვები აღნიშნულ ასაკამდე ყველაფერს გემოს უსინჯავენ... თუმცა ძნელია იმის გარკვევა, რომელი სათამაშო ან ბიჟუტერია შეიცავს სიცოცხლისთვის საშიშ კადმიუმს. მაგალითად, უკრაინაში აღნიშნულ ნივთებზე კვლევას მომხმარებელთა უფლებების დაცვითი ორგანიზაცია ატარებს: „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია ვალდებულია, დაიცვას უფლებები და რეგულარულად აიღოს სათამაშოების, ბიჟუტერიის ნიმუშები და შეამოწმოს მათი შემადგენლობა. მომხმარებელს არ აქვს საშუალება, თავად შეამოწმოს, რისგან შედგება ნივთი, რომლის შეძენაც მას სურს. ასევე, ძნელია, გაარკვიოს, რა ოდენობის კადმიუმს შეიცავს ესა თუ ის ბიჟუტერია, ან სათამაშო, ან დასაშვებია თუ არა ის

კონკრეტული რაოდენობა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, შემოწმდეს ისინი“.

ჩინეთში წარმოებული უხარისხო და სამაგიეროდ დაბალფასიანი პროდუქტები დღეს საქართველოში დიდი ოდენობით შემოდის. მას თავისი და არცთუ ისე ცოტა მომხმარებელი ჰყავს. კადმიუმის საშუალებით ბიჟუტერიასაც და სათამაშოებსაც განსაკუთრებით მკვეთრი და მიმზიდველი ფერები ეძლევა, რაც მსურველის ყურადღებასაც უფრო იქცევს და შეძენის სურვილსაც უძლიერებს.

უკრაინაში მსგავს ნივთებზე კონტროლს სახელმწიფო სტრუქტურა აწარმოებს, საქართველოში კი არც ბიჟუტერია მოწმდება და მით უფრო უკონტროლოა სათამაშოები. მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარის, მადონა კოიძის განცხადებით, საქართველოში ლაბორატორიებიც კი არ არის, სადაც სიცოცხლისთვის საშიში ნივთების გამოკვლევა განხორციელდება. კოიძის განცხადებით, გასაყიდი პროდუქტების ხარისხის კონტროლს სანიტარიული სამსახური ახორციელებდა. მისი გაუქმების შემდეგ კი აღნიშნულ ფუნქციას აღარავინ იღებს საკუთარ თავზე...

მადონა კოიძე, საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე.:

– პარფიუმერიაზე, ჭურჭელზე, ბიჟუტერიაზე და ყველა ისეთ საგანზე, რომელსაც შეეძლო მომხმარებლის ჯანმრთელობა დაეზიანებინა, კონტროლს ახორციელებდა სანიტარიული სამსახური. როდესაც ქვეყანაში სანიტარიული სამსახური გაუქმდა, შეიქმნა სახელმწიფოსგან ერთადერთი რეგულირებადი სამსახური – სურსათის უვნებლობის სააგენტო. ის მხოლოდ და მხოლოდ სურსათს ამოწმებს. შესაბამისად, დანარჩენი პროდუქტები სრულიად უკონტროლოდ არის დარჩენილი. ამის მაგალითია ისიც, რომ საქართველოში რამდენიმე წლის წინათ შემოვიდა სწრაფი შეტყობინების სისტემა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ საქართველოში ჩინეთიდან შემოვიდა ბავშვებისთვის განკუთვნილი ჭურჭელი, რომელიც მოპირკეთებული იყო კადმიუმის შემცველი სხვადასხვა საღებავებით. საკვებთან შეხების დროს ცხიმები კადმიუმს ხსნის, შესაბამისად, რისკი, რომ ასეთი ჭურჭლის გამოყენებით ბევრი ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდებოდა, დიდია. არც ერთი სტრუქტურა არ მოიძებნა საქართველოში, რომელიც შეძლებდა, შეემოწმებინა და სავაჭრო ქსელიდან ამოეღო მსგავსი საფრთხის შემცველი პროდუქტი. ჩვეულებრივად მოხდა მათი რეალიზაცია. როგორ შეიძლება ვისაუბროთ პარფიუმერიაზე, როდესაც ბავშვისთვის განკუთვნილი ჭურჭელიც კი არ მოწმდება.

– კონტროლის ვალდებულება რომელი უწყების პრეროგატივაა?

– სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეხება მხოლოდ საკვების კონტროლი, სხვა სამინისტრო ამას არ აკონტროლებს. საერთოდ, არ არსებობს სამსახური, რომელიც სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერების შემცველ პროდუქტებს გააკონტროლებს და საჭიროების შემთხვევაში მათ გაყიდვას აკრძალავს.

– ვიღაცამ ხომ უნდა გააკონტროლოს, ან აკრძალოს საჭიროების შემთხვევაში?

– სწორედ ამაზეა საუბარი, რომ პრობლემა ის არის, რომ საქართველოში არ არსებობს ასეთი უწყება, რომელიც გააკონტროლებს და საჭიროების შემთხვევაში აკრძალავს კიდეც საშიშ პროდუქტებს. არც ბიჟუტერიაზე, არც კოსმეტიკაზე, არც ბავშვთა სათამაშოებზე არ ხორციელდება არანაირი კონტროლი... არ აქვს მნიშვნელობა საქმე ბავშვს ეხება, ზრდასრულ ადამიანს თუ ხანდაზმულს. საქართველოში ნებისმიერ ადამიანს აქვს ჯანმრთელ გარემოში არსებობის უფლება. როდესაც სახელმწიფო კონტროლი არ ხდება და ნებისმიერი პროდუქტის შემოტანა შესაძლებელია, მერწმუნეთ, ეს საკმაოდ მძიმე შედეგებს მოიტანს, ვიდრე ვინმეს ჰგონია. ამის გარდა, კიდევ უფრო სერიოზული პრობლემა სკოლის წიგნებია. ყველამ ვიცით, რომ ბავშვი წიგნის გადაფურცვლის დროს თითს ასველებს და ისევ პირში იდებს. თუკი საღებავი არ არის სწორად შერჩეული და ტექნოლოგიაც არ არის დაცული, იგივე მძიმე მეტალები, როგორც საკვებიდან, ასევე შეიძლება სწორედ სახელმძღვანელოდან მოხვდეს ბავშვის ორგანიზმში.

– აღმოჩნდა ეს საშიში მეტალი საღებავებში?

– არავის შეუმოწმებია სახელმძღვანელოები, ამას არავინ აკონტროლებს.

– ეს ხომ განათლების პრეროგატივაა?

– განათლების სამინისტრო აკონტროლებს სწავლის ხარისხს და არა წიგნის...

– ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, საკმაოდ ბევრი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება დაეკისრა საქართველოს. თუ გაქვთ ინფორმაცია, არის თუ არა იქ მსგავს პროდუქტებზე კონტროლის დაწესების მოთხოვნა?

– ამას არ სჭირდება არანაირი ხელშეკრულება და არავის მითითება. მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანაში დაცული იყოს მომხმარებლის უფლებები, იყიდებოდეს უვნებელი, ჯანსაღი პროდუქტი, რომელიც მომხმარებლის სიცოცხლეს საფრთხეს არ შეუქმნის. ეს არის ქვეყნის გეზი და ხელისუფლების გადაწყვეტილება. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ხელისუფლება ზრუნავს, მაგრამ ელემენტარული ეკონომიკური გათვლაა, როდესაც უკვე დაავადებულ ადამიანს მკურნალობ, სჯობს, პრევენცია მოახდინო და ადამიანი არ დაავადდეს მომწამვლელი პროდუქტით.

„არ არსებობს სამსახური, რომელიც სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერების შემცველ პროდუქტებს გააკონტროლებს და საჭიროების შემთხვევაში მათ გაყიდვას აკრძალავს“

მადონა კოიძე: „არც ბიჟუტერიაზე, არც კოსმეტიკაზე, არც ბავშვთა სათამაშოებზე არ ხორციელდება კონტროლი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი დათუნაიშვილის ცოლი, ქმრისგა

მაგდა კლდიაშვილი

გიორგი (გიგა) დათუნაიშვილი და დეა ბალიაშვილი უკვე 9 წელია ცოლ-ქმარი არიან. წყვილს ორი პატარა ჰყავს და კიდევ აპირებენ შვილის გაჩენას. მათი შემხედვარე, ადამიანი იფიქრებ, რომ სიყვარული არსად ქრება და ერთად თანაცხოვრების მეცხრე წელს, ერთმანეთი იმაზე მეტად უყვართ, ვიდრე ეს თავიდან იყო. მათ ცხოვრებაშიც იყო რთული პერიოდები, დეამ პირველი ბავშვი დაკარგა და დიდი ხნის შემდეგ ფეხმძიმედ დარჩა. ექიმებმა წყვილს უთხრეს, რომ გოგონა შეეძინებოდათ და ასე ეუბნებოდნენ 8 თვის განმავლობაში, მხოლოდ დეას არ სჯეროდა, რომ მას გოგო ჰყავდა. ბავშვის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე, ექოსკოპიამ მათ ამცნო, რომ ბიჭის მშობლები გახდებ-

„ინსტინქტურად ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მუცლით ბიჭს ვატარებდი, ამიტომ ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი არ ყოფილა, რამდენადაც გიგასთვის“

ოდნენ. ასე დაიბადა ნიკოლოზი, რომელიც დღეს 5 წლისაა და შემდეგ ნუცა, რომელიც დათუნაიშვილების გვარში პირველი გოგონაა. რუბრიკის სტუმარი „სამტრედიას“ ფეხბურთელის, გიგა დათუნაიშვილის ცოლი, დეა ბალიაშვილია.

- როგორ გაიცანით ერთმანეთი?

- დღემდე მახსოვს რიცხვი, როდესაც ერთმანეთი გავიცანით. ეს მოხდა 19 აგვისტოს, ცხვარიჭამიაში, სადაც გიგა შეკრებაზე იმყოფებოდა, მე კი - მეგობრის დაბადების დღეზე. იმ დღის შემდეგ ერთად ვართ, თუმცა თავიდან ვმეგობრობდით. როგორც შემდეგ გამომიტყდა, პირველივე დანახვისას გაუფიქრია, რომ მე ის ქალი ვიყავი, ვის

„ისეთი ქორწილი იყო, როგორზეც, ალბათ, ყველა ქალი ოცნებობს“

გვერდითაც მთელი ცხოვრების გატარება სურდა. (იცინის)

- ქორწილი თუ გქონდათ?

- კი, გვქონდა.

- ისეთი ქორწილი გქონდა, როგორზეც ოცნებობდი?

- არ ვიცი, ბავშვობაში როგორ ქორწილზე ვოცნებობდი, მაგრამ ისეთი ქორწილი იყო, როგორზეც, ალბათ, ყველა ქალი ოცნებობს.

- შენი ქმარი შენი ოცნების მამაკაცია?

- კონკრეტული საოცნებო სტერეოტიპული მამაკაცი ჩემს ოცნებებში არ ყოფილა, მაგრამ გიგა მართლაც რომ საოცნებო ქმარია.

- თქვენს პირველ შვილზე, ნიკოლოზზე, ექიმი რვა თვის განმავლობაში გეუბნებოდათ რომ გოგო გეყოლებოდათ, მხოლოდ დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიგეთ, რომ ბიჭი იყო, შოკი იყო თქვენთვის?

- ინსტინქტურად ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მუცლით ბიჭს ვატარებდი, ამიტომ ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი არ ყოფილა, რამდენადაც გიგასთვის, ოჯახისა და ახლობლებისთვის.

- როგორი ცოლი ხარ?

- ამ კითხვაზე გიგას პასუხი უფრო კომპეტენტური იქნებოდა, თუმცა, ვცდილობ, რომ კარგი ცოლი ვიყო.

- ქმარს ნერვებს ხშირად უშლი?

2014 წელს კომპანია „ნატახტარმა“ 100 მილიონი ლიტრი პროდუქცია აწარმოა და გაყიდა

კომპანია „ნატახტარმა“ 2014 წელს რეკორდული რაოდენობის პროდუქცია აწარმოა და გაყიდა - 100 მილიონ ლიტრზე მეტი, რაც საქართველოს ლუდის ბაზრისთვის უნიკალური მაჩვენებელია. „ნატახტარი“ 2005 წლიდან აწარმოებს ლუდსა და ლიმონათს. 2008 წლიდან მან უკვე მოიპოვა ლუდის ბაზრის 50%-ზე მეტი წილი და დღემდე ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას. 100 მილიონი ლიტრის გაყიდვა კომპანიის მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტიანობამ, სტაბილურმა ხარისხმა და მომხმარებლის ერთგულებამ განაპირობა. ამასთან, ეს უტყუარი დასტურია იმისა, რომ „ნატახტარის“ პროდუქცია უყვარს მომხმარებელს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

2010 წლიდან კომპანიაში დაიწყო გადაიარაღება და საწარმოო სიმძლავრეების ზრდა და თანდათან განახლდა ჩამოსასხმელი ხაზები, აშენდა დამატებითი სახარში განყოფილება, გაიზარდა ლუდის შემნახველი რეზერვუარების რაოდენობა და მოცულობა. დღეისათვის კომპანია წარმადობის კუთხით სრულად აკმაყოფილებს საქართველოს ბაზრის მოთხოვნას წლის ყველაზე ცხელ მონაკვეთშიც კი.

კომპანიის პრიორიტეტია გაითვალისწინოს სურსათის უვნებლობის, ჯანმრთელობისა და თანამშრომელთა კეთილდღეობის საერთაშორისო სტანდარტები. შესაბამისად, ნატახტარი ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელსაც აქვს ყველა არსებული ISO სტანდარტი, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩვენი პროდუქტის გამორჩეულობასა და უნიკალურობას. კომპანია შემდეგ საერთაშორისო სტანდარტების დამადასტურებელი სერტიფიკატების მფლობელია: ISO 9001 (ხარისხის მართვის სისტემა); ISO 22000 (სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა); ISO 17025 (ლაბორატორიის კომპეტენციისა და კალიბრაციის ზოგადი მოთხოვნები); HACCP (რისკის ანალიზი და კრიტიკული წერტილების კონტროლი); ISO 50001 (ენერგიის მართვის სისტემები) და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია OHSAS 18001 (ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა).

კომპანია „ნატახტარი“ ზრუნავს განვითარებაზე ტექნიკური, ტექნოლოგიური და პროფესიული მიმართულებით. ამისთვის ყოველწლიურად მილიონობით დოლარის ინვესტიცია ხორციელდება. კომპანია ამაყობს პროფესიონალთა გუნდით და წარმატებული პროექტებით.

წარმოების მაღალი სტანდარტებისა და ხარისხის სტაბილურობის აღიარებაა 2014 წელს ბორდოში (საფრანგეთში) მიღებული „მონდ სელექშენის“ (Monde Selection) ბრიუსელის ოქროს მედალიც.

2014 წელი კომპანიისთვის წარმატებული იყო. ჩვენ მომხმარებლებს შევთავაზეთ საქართველოში ლიცენზიით წარმოებული - კარგად ნაცნობი ჩეხური ბრენდი „კოზელი“, გერმანული ბრენდი „ჰერენჰოიზერი“ და ასევე გერმანული (ბავარიული), მაგრამ განახლებული „კაიზერი“.

წარმატებულია ლიმონათიც, 35%-ით გაიზარდა ექსპორტის მოცულობა. ლიმონათის ექსპორტი 20 ქვეყანაში ხორციელდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

6 განსხვავებით, ბადრიჯანს „კენწლავს“

„პირველივე დანახვისას გაუფიქრია, რომ მე ის ქალი ვიყავი, ვის გვერდითაც მთელი ცხოვრების გატარება სურდა“

EXCLUSIVE

- მის ნერვებს მაქსიმალურად ვუფრთხილდები, რადგან მისი პროფესიისთვის მყარი ნერვები და ნებისყოფა აუცილებელი პირობაა.

- როგორ შეაყვარა დეამ გიგას თავი?

- ვფიქრობ, ლაღი ხასიათით, პიროვნული თვისებებით, გულწრფელობით და გვერდში დგომით?

- რას თვლის გიგა შენს ყველაზე დიდ ნაკლად?

- სულსწრაფობას და მოუთმენლობას.

- ფეხბურთი გიგას გამო შეგიყვარდა?

- პირველ რიგში, შემიყვარდა მისი საქმე, რომელიც მისთვის ყველაფერია და როცა შენი საყვარელი ადამიანისთვის ეს მნიშვნელოვანია, შენთვისაც საყვარელი და მნიშვნელოვანი ხდება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია და შეიძლება ასეც ითქვას, რომ ფეხბურთში გიგას გაცნობის შემდეგ უფრო მეტად გავერკვიე.

- ნიკოლოზი გიგას ძალიან ჰგავს გარეგნულად, მასაც ფეხბურთელობა სურს?

- პირადად მე, ძალიან მინდა, რომ ნიკა მამის კვალს გაჰყვეს და ამისთვის ყველანაირად გვერდში დავუდგები, მაგრამ მის გადაწყვეტილებაში არ ჩავერევით და პროფესიის არჩევაში სრულ თავისუფლებას მივცემთ.

- როგორი მამაა გიგა?

- მეგობრული, ყურადღებიან, მოსიყვარულე, ძალიან მზრუნველი. ოჯახი მისთვის უმნიშვნელოვანესია, მაგრამ საქმიდან გამომდინარე, ყოველთვის დროის დეფიციტი აქვს, რასაც თავადაც ძალიან განიცდის და ბავშვებიც.

- ბავშვებს რომელი ტუქსავთ და რომლის უფრო ეშინიათ მათ?

- შვილებს ისე არ ვზრდით, რომ ჩვენი ეშინოდეთ. ვცდილობთ, ჰუმანურები და მეგობრულები ვიყოთ. გაბრაზებით, ორივე ვუბრაზდებით. უმეტესად, სიტყვიერად ვცდილობთ ავუხნათ, რა არის კარგი და რა ცუდი. ბავშვებს მშობლების რიდი და პატივისცემა აქვთ.

- როგორი მზარეული ხარ?

- გიგას ძალიან მოსწონს ჩემი გაკეთებული კერძები, ამას ხშირად აღნიშნავს, რაც მეტ სტიმულს მაძლევს. (იცინის) ერთ ინტერვიუში ისიც კი აღნიშნა, ჩემი ცოლი ისეთი მზარეულია, ბადრიჯანს ჰაერში კენწლავსო. (იცინის)

„ARAVIS GAUKVIRDEBA DA EWYINEBA, ROM „VIT JORJIAS“ GAMOVARCHEV, ROMELIC GIGASTVIS PIRVELI GUNDI IYO UMAGLESI LIGASHI DA ES ARA IYO UBRALOD GUNDI, ES IYO ERTI DIDI OJAKHI“

- ყველაზე მეტად რა მოსწონს?

- უყვარს სპაგეტი ნაღებით და ქათმის ხორცით, სალათები, ბლინები არაჟნით...

- კარგი მძღოლი ხარ?

- მგონი კი. კანონმორჩილი და ყურადღებიანი ვარ.

- რაზე ჩხუბობთ შენ და გიგა?

- არ უყვარს ჩემი აქტიურობა facebook-ზე და სხვა სოციალურ ქსელებში. ეს ძირითადად სპორტულ თემებს ეხება, როდესაც რამე ისეთ ვკითხულობ, რომელზეც პროტესტი მიჩნდება, ემოციურად ვპასუხობ-ხოლმე.

- კიდევ აპირებთ შვილების ყოლას?

- ნიკოლოზს ძალიან უნდა პატარა ძმა ჰყავდეს. იმედია, ღმერთის წყალობით, ეს სურვილი აუსრულდება.

- გიგა ახლა „სამტრედიაში“ თამაშობს, თუმცა საინტერესოა, რომელია მისი საყვარელი გუნდი, სადაც კი მას უთამაშია?

- მისთვის ფეხბურთი მხოლოდ შემოსავლის წყარო არ არის. ფეხურთი გიგას მთელი ცხოვრებაა. აქედან გამომდინარე, რომელ კლუბშიც კი უთამაშია, ყველგან ოფლის ბოლო წვეთამდე იხარებოდა. მეც ბოლომდე ვიხარჯებოდი მისი გულშემატკივრობით. ყველა კლუბთან სასიამონო მოგონებები მაქვს. თითოეულმა მათგანმა ბევრი მეგობარი შემძინა, მაგრამ, არავის გაუკვირდება და ეწყინება, რომ „ვიტ ჯორჯიას“ გამოვარჩევ, რომელიც გიგასთვის პირველი გუნდი იყო უმაღლეს ლიგაში და ეს არ იყო უბრალოდ გუნდი, ეს იყო ერთი დიდი ოჯახი, მათთან ერთად გავხდით ჩემპიონები, დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელები და სუპერთასის გამარჯვებულები. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს ქმარსა და მის გუნდს წარმატებები ვუსურვო.

„OJAKHI MISTVIS UMNISHVNELOVANESIA, MAGRAM SAQMIDAN GAMOMDINARE, YOVELTVIS DROIS DEFICITI AQVS, RASAC TAVADAC JALIAN GANICDIS DA BAVSHVEBIC“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ გოგიტა არქანიასთან

EXCLUSIVE

ოთხი ტერაქტის ჩადენისთვის დადანაშაულებული პატიმარი ალაპარაკდა

მარიამ ნადირაძე

თავის დროზე ნაციონალებმა ამ საქმეს „კოჭოიას საქმე შეარქვეს“ იმის ხაზგასასმელად, რომ რუსები საქართველოს ტერიტორიაზე ტერაქტებს „კლიჩკიანი“ ტიპების საშუალებით ახდენდნენ. ამ მიდგომამ დიდხანს იმუშავა და იმ დროს დაკავებული 12 ადამიანის უფლებების დასაცავად არასამთავრობო სექტორს ხმაც არ ამოუღია. ხელისუფლების ცვლის შემდეგ „კოჭოიების“ მფარველობაში ახლებს ადანაშაულებდნენ და ეს უკვე კრებითი სახელი გახდა „ძველბიჭური გაგების“. ალბათ, ამიტომაც, ვინმეს „ოცნება“ ქურდულ სამყაროსთან კავშირში რომ არ ემხილებინა, საქმე კვლავაც თაროზე დარჩა. არადა, პატიმრობაში რჩება შვიდი ადამიანი, რომლებიც ირწმუნებიან, რომ 2010 წელს სექტემბერ-ნოემბერში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ აფეთქებებთან არაფერი აკავშირებთ. მათგან ზოგიერთს აღიარებაც არ აქვს მიცემული, რის გამოც 30-წლიანი პატიმრობა „დაიმსახურეს“...

„პრაიმტაიმმა“ ჩაწერა პატიმარი, რომელიც ამ საქმის მთავარი „გმირია“. ეს არ გახლავთ მერაბ ყოლბაია, მეტსახელად კოჭოია. ეს არის გოგიტა არქანია, რომლის სანათესაოსგან, მეზობლებისგან და ჯარის ამხანაგებისგან შეკრა მაშინდელმა პროკურატურამ დამნაშავეთა წრე. ალბათ, იმიტომ, რომ საქმეს ორგანიზებული სახე მისცემოდა.

დღეს ის პირველად უამბობს საზოგადოებას, რა გადახდა თავს, როგორ და რისთვის გაუსწორდა მას სამეგრელო-ზემო სვანეთის კონტრდაზვერვა, რა დავალებებს იღებდა მეგის ქარდავასგან, რის გაკეთებას აიძულებდა დათა ახალაია და მისგან რა ჩვენების მისაღწევად დაიჭირეს მისი უახლოესი წრე:

– მოგეხსენებათ, რომ ვარ აფხაზეთიდან. ერთ დღეს დამირეკა მეგის ქარდავას მოადგილემ, კოხტა კოდუამ. შევხვდით. მითხრა, გავიგე, პროფესიონალი ხარ, ვიცი, შეგიძლია აფხაზეთში გადასვლა-გადმოსვლა. ჩვენზე იმუშავე, ფულსაც მოგცემთ, მანქანასაც და ყველაფრით იქნები უზრუნველყოფილიო. უარი ვუთხარი, რადგან აფხაზეთში ჩემი მშობლები, ბიძაშვილები ცხოვრობდნენ და მათ საფრთხეს ვერ შევუქმნიდი. 2010 წლის 3 დეკემბერს დამირეკეს, მითხრეს, პოლიციიდან გირეკავთ, გადმოდი ზუგდიდში, სამსახურის თაობაზე გიბარებთო. გზაში დამაკავეს, ნარკოლოგიურში უნდა წაგიყვანოთო. წინააღმდეგობა არ გამიწევია. გზაში სამოქალაქო მანქანა დაგვენია. იქიდან გადმოსულებმა ტომარა ჩამომაცვეს თავზე. მითხრეს, თბილისში ტერაქტები მოხდა და შენ უნდა აღიარო და თანამონაწილეებად ცხადაიები უნდა დაასახელოო. თუ ასე მოიქცევი, 15 წელს მოგისჯიან და 3 წელიწადში გამოხვალო. უარი ვუთხარი. ამასობაში ხაშურში მოვედით. ტყეში შემიყვანეს. იქ დამხვდნენ დათა ახალაია, „მასტერა“, მეგის ქარდავა. იმათაც იგივე მითხრეს. მათაც უარი ვუთხარი. სასტიკად მცემეს. ელექტროშოკიც გამოიყენეს. ორჯერ დავკარგე გონება. თბილისში რომ ჩამომიყვანეს, პოლიციის სამმართველოში, აქაც მცემეს. რაღაც ნემსიც გამიკეთეს. მაინც არ ვაღიარე. ამიტომ სხვა ხერხს მიმართეს – დააკავეს ჩემი ძმა, რძალი, ლელა ხურცილავა და მისი ძმა, გოჩა ხურცილავა, ჩემი მეგობარი ჯონი ნიკოლაძე და მისი მეუღლე, მაია ნიკოლაძე. ამის მერე დაიწყეს ჩემი დაკითხვა მოდულში. მაძალებდნენ ჩვენებაზე ხელის მოწერას. უარი რომ ვთქვი, მაჩვენეს, ჩემი რძალი რომ ჰყავდათ გამოკეტილი, როგორ იტანჯებოდა. მემუქრებოდნენ ჩემი ოჯახის წევრების ლიკვიდაციით. მერე ამიყვანეს სხვა სართულზე. იქაც მცემეს უკვე სხვებმა. ბოლოს და ბოლოს, დავთანხმდი იმ პირობით, რომ ჩემს დაკავებულ ოჯახის წევრებს გაათავისუფლებდნენ. უნდა მომეწერა ხელი იმაზე, რომ მე და კოჭოიამ მოვახდინეთ აფეთქებები ამერიკის საელჩოსთან, ლეიბორისტების ოფისთან, მუხიანში მაღაზიასთან, ტელეკომპანია „იმედთან“ და კიდევ ზუგდიდში. ამ ყველაფერს კი ვაკეთებდით ვიღაც რუსი ოფიცრის, ევგენი ბორისოვისა და ჩემი თანასოფლელი მუხრან ცხადაიას დავალებით. ამის მისაღწევად წამების რა ხერხს აღარ მიმართეს. მორგშიც ჩამკეტეს, მკვდართან ერთად... მაშიშვლებდნენ და ისე მაგდებდნენ მორგში...

– რეალურად არ იცნობდით ბორისოვს?

– ჩემს თვალწინ ამოარჩიეს მისი კანდიდატურა. რამდენიმე რუსი ოფიცრის სურათი ჰქონდათ და მასზე შეაჩერეს არჩევანი. საბოლოოდ მომატყუეს და ჩემ გამო დაკავებული ხალხი აღარ გაათავისუფლეს. იმიზეზებდნენ, სასამართლოში გადათქვამ ამ ჩვენებასო. სასამართლოზე აღიარება მივეცით, მაგრამ უარვყავით ტერაქტებში გოჩა ხურცილავას, დავით ეკუტიასა და სხვების მონაწილეობა. გოჩა ხურცილავა იცით, რატომ მოხვდა ამ საქმეში? იმ დღეს მანქანა გაგვიფუჭდა და გოჩას ვთხოვე წაყვანა. სტუმარი მყავდა და უარი ვერ მითხრა. სხვას რომ წავეყვანეთ, მის ადგილზე ის სხვა იქნებოდა... პროკურორმა ხიზანაიძემ თავის ტკივილი მოიმიზეზა, გადაადებინა სასამართლო. ერთი კვირის განმავლობაში ყოველღამე კუდ-ის თანამშრომლები მოჰყავდათ და გვაწამებდნენ მე და მერაბ ყოლბაიას (კოჭოიას. – მ.ნ.).

– ამტკიცებთ, რომ თქვენ არაფერ შუაში ხართ. რატომ აგირჩიეს მაინცდამაინც თქვენ ამ საქმისთვის?

– ალბათ, იმიტომ, რომ მათ სცენარში ზუსტად ვჯდებოდი – ყოფილი ძალოვანი ვიყავი, აფხაზეთში ხშირად გადავდიოდი და თანაც, რაკი მათი დავალებების შესრულებაზე უარს ვამბობდი, განაწყენებულნი იქნებოდნენ.

– ჩვენი ინფორმაციით, თქვენ მათი რამდენიმე დავალება შესრულებული გაქვთ...

– მაშინ მე ოფიციალურად ვმუშაობდი თავდაცვის სამინისტროში და ეს ჩემი მოვალეობა იყო. ყველა საბრძოლო მოქმედებაში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის გამო ორდენიც მაქვს მიღებული. მერე კი უნდოდათ, რომ შავი საქმე მეკეთებინა. ამაზე ვთქვი უარი. ანალოგიურად განაწყენებულნი იყვნენ მუხრან ცხადაიაზეც, მისგანაც უარი ჰქონდათ მიღებული.

– მახსოვს, მაშინ ვიდეომტკიცებულებაც გამოქვეყნდა, როცა თქვენ ლეიბორისტების ოფისთან ვიდეოკამერამ დაგაფიქსირათ...

– იქ მე დაკავების მერე მიმიყვანეს. ჯერ გამატარეს. მერე მითხრეს, გაიქეცი. მათ ხელში ვიყავი და მაპოზიორეს. ამერიკელების სპეცკურსი მაქვს გავლილი. როგორ გგონიათ, ჯერ კამერას დავაფიქსირებინებდი თავს და მერე დავდებდი ბომბს? ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი, ტანსაცმელს მაინც გამოვიცვლიდი... ამას გარდა, ექსპერტიზის დასკვნები გვაქვს, რომლის მიხედვითაც ამ ჩანაწერში ადამიანის ამოცნობა შეუძლებელია...

– აფეთქებების დღეს თქვენ მართლაც იმყოფებოდით იმ უბნებში, სადაც აფეთქებები მოხდა. ეს დამთხვევა რას მივაწეროთ?

– ამერიკის საელჩოზე რომ მოხდა აფეთქება, იმ დღეს საერთოდ არ ვყოფილვარ თბილისში. აფეთქება ლეიბორისტების ოფისთან და მუხიანში თითქმის ერთდროულად მოხდა. როგორ ვიქნებოდით ერთსა და იმავე დროს იქაც და იქაც...

– რასაც დღეს ჩვენ გვიყვებით, პროკურატურას ახლა მაინც მოუყევით?

– კბილაშვილის სახელზე შევიტანეთ განცხადება. საქმე ქალაქის პროკურატურას დააწერეს, რომელმაც თავის დროზე შეგვითითხნა ეს ისტორია. რა თქმა უნდა, თაროზე შემოდეს ეს განცხადება. ალბათ, იმიტომ, რომ არ ვარ ცნობადი, ჩემი მშობლებიც უბრალო ხალხია, გაჭირვებაში ცხოვრობენ. თუ ჩვენს საქმეს ხელახლა განიხილავს სასამართლო, რომელსაც არასამთავრობოები და ჟურნალისტები დაესწრებიან, ჩვენ დავამტკიცებთ ჩვენს უდანაშაულობას. ეს თუ ასე არ მოხდა, მზად ვარ, პასუხი ვაგო სამუდამო პატიმრობით.

● რის გაკეთებას აიძულებდა დათა ახალაია

● რა დავალებებს აძლევდა მეგის ქარდავა?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ იქნება პრეზიდენტის შვილის ნათლია

გიორგი მარგველაშვილისა და მაკა ჩიჩუას შვილის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია, გავრცელებული ინფორმაცია – კი მწირი. ერთადერთი, რაც საზოგადოებამ პრეზიდენტის ახლად დაბადებულ ბიჭუნაზე გაიგო, ეს არის სქესი, სახელი, წონა და სიგრძე. თეიმურაზ მარგველაშვილი 2 თებერვალს – 3,600 და 51 სანტიმეტრი დაიბადა. ინფორმაცია პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა და ამით დასრულდა ყველაფერი.

მკაცრად არის გასაიდუმლოებული სამშობიარო, სადაც მაკა ჩიჩუამ იმშობიარა. როგორც ოჯახის ახლობლები აცხადებენ, მაკას სურვილია, რომ ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ გავრცელდეს. ერთადერთი, რასაც ახლობლები ამბობენ, არის ის, რომ პატარა ძალიან საყვარელია...

ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, ვინ იქნება თეიმურაზ მარგველაშვილის ნათლია ან ნათლიები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელის მოწერის დროს წყვილის მოწმეები მათივე შვილები იყვნენ, არ არის გამორიცხული, ნათლიებადაც სწორედ ანა მარგველაშვილი და მაშო ჩიჩუა შეარჩიონ ბუნებრივია, სხვა მეგობარ ნათლიებთან ერთად... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ნათლიებზე ინფორმაციებს არ ავრცელებენ...

როგორც ამბობენ, თეიმურაზის დაბადება ერთადერთი სიახლე არ არის პრეზიდენტის ოჯახში. ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციით. გიორგი მარგველაშვილი შესაძლოა, მალე ბაბუაც გახდეს. ინფორმაციას „intermedia“ ავრცელებს: „გიგი და ანა სოციალურ ქსელში ოჯახურ ფოტოებს ხშირად ავრცელებენ. ერთ-ერთ ოჯახურ ფოტოზე პრეზიდენტის ქალიშვილს მეგობარი ფეხმძიმობას ულოცავს“.

ანა მარგველაშვილი ორიოდე თვის წინ გათხოვდა, თავიდან ინფორმაცია არც მისი გათხოვების შესახებ დასტურდებოდა. საბოლოოდ კი, როდესაც ერთ-ერთ ტოქშოუში სტუმრობისას გიორგი მარგველაშვილს ქალიშვილის გაბედნიერება მიულოცეს, მან მილოცვა მიიღო, კითხვებსაც სწორედ მაშინ გაეცა ოფიციალური პასუხი. ანას მეუღლე გიგი ჩიჩუაა, ის რეპერი თიელის ძმაა. გიგი ჩიჩუა 22 წლისაა და, ძმის მსგავსად, ისიც მუსიკოსია. გიგი ჩიჩუა დიჯეია და რამდენიმე ბარში უკრავს.

ანა მარგველაშვილის მეგობრები მის ორსულობას არ ადასტურებენ. თიკა ჯამბურიას განცხადებით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჭორია, რომელიც ინტერნეტსივრცეში გავრცელდა. თუმცა თავდაპირველად პრეზიდენტის ქალიშვილის მეგობრები მის გათხოვებასაც კატეგორიულად უარყოფდნენ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნუკა კვალიაშვილი პროექტის „ერთ

my View

ნინო მჭედლიშვილი

ნუკა კვალიაშვილისთვის „ერთი ერთში“ მესამე მუსიკალური პროექტია იყო, რომელშიც მონაწილეობდა. პროექტის მსვლელობის დროს მომღერალი გაცივდა და ერთი ტურის გამოტოვებაც მოუწია. თუმცა მალევე მოახერხა და ფინალისტთა ოთხეულში მოხვდა. პროექტის გამარჯვებული სალომე ბაკურაძე გახდა, ნუკამ, მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებით, მეოთხე ადგილი დაიმსახურა და ათი ათასი ლარით დასაჩუქრდა.

რა ხდებოდა პროექტის კულისებში და რას აპროტესტებდნენ მონაწილეები, ჩემი რესპონდენტისგან შეიტყობთ.

- ნუკა, ვიცი, რომ კონკურსები არ გიყვარს. ამას ჯერ კიდევ მაშინ ამბობდი, როცა „გოლდენ ტალანტში“ მონაწილეობდი. მის მერე იყო „საქართველოს ვარსკვლავი“ და ახლა „ერთი ერთში“. რატომ მიიღე მონაწილეობა?

- ეს არ იყო სასიმღერო კონკურსი, უფრო არტისტიზმზეა გათვლი და ამიტომაც გადავწყვიტე.

- თუმცა, აქაც იყო მაყურებლის მხარდაჭერა, სმს-ები, რაც ყველაზე მეტად გაწუხებდა კონკურსებში...

- მაწუხებს, იმიტომ, რომ მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც სმს-ებისთვის „ჩალიჩობს“. თავიდანვე რომ მცოდნოდა, რა იყო საჭირო და მთავარი ამ

„მოვითხოვე, ერთი ახლობელი მეც დამისვით ჟიურიში-მეთქი“

კონკურსისთვის, მონაწილეობას არ მივიღებდი.

- რა იყო მთავარი?

- პირდაპირ გეტყვი, როცა ასეთ კონკურსში მონაწილეობ, თვითონ უნდა, უხეშად რომ ვთქვა, იჩალიჩო სმს-ებზე. მე ეს სუფთა თამაში მეგონა, მაგრამ შევცდი. წინა სეზონის კონკურსანტებსაც ვესაუბრე და მივხვდი სადაც მოვხვდი. ამიტომ მალევე ჩავიქნიე ხელი. ერთადერთი, როცა ჩემს გულშემატკივარს ვთხოვე დახმარება, იყო ნაახევარფინალის დღე, რადგან მქონდა ნახევარფინალში მოხვედრის შანსი.

- თითქმის მთელი კონკურსის განმავლობაში გაციებული იყავი...

- ყველაფერი მაშინ დამემართა. ჩემი აზრით, ზამთარში მსგავსი პროექტების ჩატარება დიდი რისკია. ყველას არ აქვს ძლიერი იმუნიტეტი. ვერ გავუფრთხილდი ყელს და დიდხანს გამიგრძელდა ავადმყოფობა. ახლაც ანტიბიოტიკებს ვსვამ. დედაჩემის ტური ყველაზე მაგრად

„თათბირზე პირდაპირ ვთქვი, არ მინდა მაფასებდეს მეეზოვე მაია ან მეზობელი ნაირა-მეთქი“

მეწყინა, ეს ის არ იყო, რაც მინდოდა. ფიზიკურად არ მქონდა ხმა. რეპეტიციებიდან მიშვებდა სისი, ყელი დაასვენეო. ერთი ტური საერთოდ გამოვტოვე, ხმის ამოღებაც არ შეიძლებოდა, ისეთ დღეში ვიყავი. ამ ტურის „წყალობით“ ბოლოდან მორე ადგილზე „ჩამოვვარდი“.

- ნანობ, რომ ამ პროექტში მიიღე მონაწილეობა?

- ვერ ვიტყვი, რომ ვნანობ. ამ პროექტში რაც ვისწავლე, ეს არის თავისუფლება სცენაზე. სცენაზე კომპლექსები მოვიხსენი. ეს ყველაზე მეტად გამომადგება ცხოვრებაში. ასე რომ, სანანებლად ნამდვილად არ მაქვს საქმე, უბრალოდ, საწყენია ის, რომ საქართველოში ყველაფერი მაინც ნაცნობ-მეგობრობით გვარდება. სხვათა შორის, მოვითხოვე, ერთი ახლობელი მეც დამისვით ჟიურიში-მეთქი (იღიმება). ერთი პერიოდი საერთოდ ხელი ჩავიქნიე პროექტზე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ რაც არ უნდა გამეკეთებინა და როგორი მონდომებითაც არ უნდა ვყოფილიყავი, აზრი არ ჰქონდა, არ მიფასდებოდა, ამას მხოლოდ შიგნით კონკურსში ვგულისხმობ, მიფასდებოდა მხოლოდ ხალხისგან. დღესაც სიამოვნებას მანიჭებს, როცა პროექტის „ფეიჯზე“ შევდივარ ან ჩემს „ინბოქსს“ ვხსნი, კომენტარებს ან პირად გზავნილებს ვკითხულობ.

- რომელი კონცერტის მერე ჩაიქნიე ხელი?

- კრისტინა აგილერას სიმღერა რომ ვიმღერე, ამის მერე ჩავიქნიე ხელი. სტიმული დავკარგე. თითქოს ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც საჭიროდ თვლიდნენ რომ მომხდარიყო.

- ვინ თვლიდა, ვის გულისხმობ?

- არ ვიცი, პროექტის მესვეურები. ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ სუფთა რომ არ იყო ეს ყველაფერი, ყველამ იცის, ნუ ეწყინება ნურავის, იყო ახლობლური ურთიერთობების გამოყენება მონაწილეებსა და სტაფს შორის.

- შენ არავის ახლობელი არ იყავი?

- არავის. გამიმართლა და არც ბავშვობის მეგობრები მყოლია კონკურენტებად. ასეც რომ ყოფილიყო, არ ვარ ის ადამიანი, დაქალს ან ძმაკაცს მეგობრობის ხათრით რომ დაუწერს ქულას...

- კონკურსანტებს შორის იგრძნობოდა დაძაბულობა?

- არა, კარგად ვიყავით ერთმანეთში, ყველაზე მეტად ვისთანაც დავმეგობრდი და საერთო ენა გამოვნახე, არის ზურა ჯავახია. არავის სანყენად არ ვამბობ, ალბათ, იმიტომ გავუგეთ ერთმანეთს, რომ ერთნაირად თავისუფლები ვართ, ისეთი ცხოვრება მოსწონს ზურასაც, როგორიც - მე.

- როგორ დაგაბრუნეს პროექტში?

- პროექტიდან არც წავსულვარ, მაგის სიამოვნებას არავის მივანიჭებდი. რადგან დავიწყე, ბოლომდე მივიყვანდი. უბრალოდ, იყო დღეები, როცა ვფიქრობდი, რომ არაფერს მომცემდა ის ათწუთიანი რეპეტიციები ვოკალის პედაგოგთან. რამდენიმე რეპეტიცია გავაცდინე და როდესაც ძალიან დამეტყო რომ აღარ მაინტერესებდა და აღარც ვინდომებდი აღარაფერს, ამის მერე იყო თათბირი. ამ შეხვედრაზე ერთმა მითხრა (არ დავასახელებ მის ვინაობას), ხელი არ უნდა ჩაიქნიო, აქ მთავარი არ არის ქულებიო. მაშინ რა არის მთავარი, ყველამ იცის როგორ ვმღერი, ეს არაერთხელ დამიმტკიცებია მაყურებლისთვის, პირს არ ვაღებ პლიუს ფონოგრამებზე, ცოცხლად ვმღერი. მაშ რა მინდა აქ, თუ ქულებზე არ არის პროექტი-მეთქი, ვიკითხე.

- თავად ყველა შენი გამოსვლა ერთნაირად მოგწონდა?

- არა, რა თქმა უნდა, ძალიან თვითკრიტიკული ვარ, ამას დაემთხვა ჩემი გაციებაც, შესაბამისად, იყო ნომრები, რომლებიც ნაკლებად მომწონდა. ჩემი მთავარი მოთხოვნა იყო, მეოთხე ჟიურის წევრად მოეწვიათ ადამიანი, რომელსაც ესმის მუსიკა. მე არ დავუჯდები დიზაინერს და არ შევუფასებ კოლექციას, ეს ჩემი სფერო არ არის.





- ეს მხოლოდ შენი მოთხოვნა იყო, თუ დანარჩენი კონკურსანტებისაც?

- ყველა ასე ფიქრობდა, ალბათ, მაგრამ ყველაზე მეტი მე ვილაპარაკე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე. თათბირზე პირდაპირ ვთქვი, არ მინდა მაფასებდეს მეეზოვე მაია ან მეზობელი ნაირა-მეთქი. ვოკალისტი ვარ და არ მინდა არავოკალისტი მაფასებდეს. მგონი ბევრს არ ვითხოვდი. მპასუხობდნენ, რომ ჟიურის მეოთხე წევრი არის ხალხის წარმომადგენელი. ხალხის აზრი თუ ასეთი მნიშვნელოვანი იყო, შესულიყვნენ პროექტის ფეისბუქგვერდზე და წაეკითხათ კომენტარები. შეიძლება ჩემი პრობლემაა ის, რომ ზედმეტად მიყვარს სიმართლე, სისუფთავე, მაგრამ ეს მხოლოდ ვიღაცისთვის არის პრობლემა და არა ჩემთვის...

- ვოკალის პედაგოგი ვახსენეთ, სისი სამი, რომლის ვიდეო „ფეისბუქზე“ გაზიარებული ჰქონდა ლიზა ყენიას და კონკურსანტების ნაწილი მის ნამღერს, რბილად რომ ვთქვათ, აკრიტიკებდით...

- ამბობენ, რომ არ არის აუცილებელი ვოკალის პედაგოგი კა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი ერთში“ კულუარებზე ალაპარაკდა

„პროექტიდან არც წავსულვარ, მაგის სიამოვნებას არავის მივანიჭებდი. რადგან დავიწყე, ბოლომდე მივიყვანდი. უბრალოდ, იყო დღეები, როცა ვფიქრობდი, რომ არაფერს მომცემდა ის ათწუთიანი რეპეტიციები ვოკალის პედაგოგთან“

„ის, რასაც სისი მასწავლიდა, ეკამ მასწავლა, როცა 17 წლის ვიყავი. ახლა 22 წლის ვარ. ასე რომ, ახალი ჩემთვის სისის არაფერი მოუცია“

EXCLUSIVE

რგად მღეროდეს. მაშინ ასეთი ვოკალის პედაგოგი არ უნდა ამღერო სცენაზე, რომ კონკურსანტებს არ გაგვიჩნდეს კითხვა, ეს რატომ მაფასებდა მე. ეს მოქმედებს არხის, კონკურსის, კონკურსანტების პრესტიჟზე. ვიტნი ჰიუსტონის სიმღერას მღეროდა სისი. რომ გავიგონე, მეგონა ვიღაც ვიტნის პაროდიას აკეთებდა. მაშინ გამიჩნდა შეკითხვა, რატომ მოვდივარ ყოველდღე აქ. არ ვიცი, ვის რა ჰგონია, მაგრამ ვოკალის გაკვეთილები გვქონდა დღეში 8-10 წუთი. ისეთს არაფერს გვასწავლიდა, რაც არ ვიცოდით. ზოგიერთი მონაწილე არც შედიოდა რეპეტიციაზე. ახლა ვხვდები, რომ სწორადაც იქცეოდნენ.

- სისის გაკვეთილებმა არაფერი მოგცა?

- აბსოლუტურად არაფერი. ის, რასაც სისი მასწავლიდა, ეკამ მასწავლა, როცა 17 წლის ვიყავი. ახლა 22 წლის ვარ. ასე რომ, ახალი ჩემთვის სისის არაფერი მოუცია, გარდა კარგი ურთიერთობისა. ერთადერთი ვინც რაღაც მასწავლა, იყო დუტა სხირტლაძე. მართლა სული და გული ჩადო იმაში, რასაც აკეთებდა. მისი დამსახურებაა, რომ მე სცენაზე დგომის კომპლექსი აღარ მაქვს. დავმეგობრდით მე და დუტა, ძალიან მიყვარს და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

- თქვენი ცინიკური კომენტარები სისის ვიდეოს ქვეშ, რომ ვიტნიმ იმდენი იტრიალა საფლავში, რომ ბოლოს ჭა გათხარა და ა. შ. სისის ყურამდე მივიდა?

- არ ვიცი და სიმართლე გითხრა, არც მაინტერესებს, სისი ყოველთვის გვეუბნებოდა იმას, რასაც ფიქრობდა ჩვენზე. ჩვენ არ ვართ ვიღაც განუვითარებელი ხეპრე და თავჩაღუნული ადამიანები, რომ არ შეგვეძლოს საკუთარი აზრის გამოხატვა.

- შენ მოიგე 10 ათასი ლარი.

- ოღონდ სახელმწიფომ 20 % ჩამოაჭრა. ასე რომ, 8 ათასი ლარი დამერიცხება.

- უკვე გაქვს გათვილილი რაში გამოიყენებ?

- პირველ რიგში ჩემს შვილს, ლუკას მოვუმარაგებ იმას, რაც აკლია: საჭმელი, ტანსაცმელი. თუ მეყოფა, მანქანა მინდა შევიძინო.

- მანქანის მართვა იცი?

- არა, მაგრამ თუ შევიძენ, სტიმული მექნება, რომ მალე ვისწავლო და მართვის მოწმობა ავიღო.

- სამომავლოდ, წასვლას აპირებ საქართველოდან...

- საქართველო ძალიან მიყვარს. არ მიყვარს ის, რომ ადამიანები ქმნიან სიტუაციას, რომ არ გავჩერდე საქართველოში.

- რას გულისხმობ?

- შურით, ბოღმით, კრიტიკით, სხვის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფით ქმნიან ამ სიტუაციას. რატომ გიკეთია ოთხკუთხედი საყურე, თმა რაფრად გაქვს შეღებილი, ფეხზე რატომ არ იცვამ მაღლებს... სამსახური ჭირს დღესდღეობით და ამით ირთობენ თავს....

- უკვე დიდი ხანია გაგიცნო საზოგადოებამ. ამას უნდა მიჩვეულიყავი.

- ამას მივეჩვიე. ვერ მივეჩვევი იმას, რომ ჩემი ნიჭი აქ დაიკარგოს. არ მინდა დამემართოს ის, რაც ეკას და ძალიან ბევრ სხვა ნიჭიერ ადამიანს დაემართა. ხელოვნება არ ფასდება ჩვენს ქვეყანაში, პერსპექტივა ნულია, ახლობლებით გადიან ფონს. საწყენია.

„ვერ მივეჩვევი იმას, რომ ჩემი ნიჭი საქართველოში დაიკარგოს. არ მინდა დამემართოს ის, რაც ეკას და ძალიან ბევრ სხვა ნიჭიერ ადამიანს დაემართა“

„გამიმართლა და არც ბავშვობის მეგობრები მყოლია კონკურენტებად. ასეც რომ ყოფილიყო, არ ვარ ის ადამიანი, დაქალს ან ძმაკაცს მეგობრობის ხათრით რომ დაუნერს ქულას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატები



ირინა იმერლიშვილი, ანა დოლიძე, ევა გოცირიძე, ლადო ჭანტურია – მინიმალური ჩამონათვალი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატებისა. ერთ-ერთ მათგანს პრეზიდენტი 23 თებერვლამდე პარლამენტს წარუდგენს, მანამდე კი, ბუნებრივია, იქნება შიდა მოლაპარაკებები და კონსულტაციები.

ირინა იმერლიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვისი გვარიც გაჟღერდა. როგორც ამბობენ, იმერლიშვილი არის კანდიდატურა, რომელიც როგორც პრეზიდენტისთვის, ასევე მთავრობისთვისაც მისაღებია...

ანა დოლიძის კანდიდატურას ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია უჭერს მხარეს. დოლიძე ამ ეტაპზე ამერიკაში ცხოვრობს.

ლადო ჭანტურია რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი მინისტრის პოსტზეც მოიაზრდებოდა, თუმცა საბოლოოდ მან მოღვაწეობა კვლავ გერმანიაში გააგრძელა, ელჩის რანგში. ამჯერად, როგორც ამბობენ, ლადო ჭანტურიას შანსები დიდია.

ევა გოცირიძე კიდევ ერთი კანდიდატია, რომლის სახელმა და გვარმაც გაიჟღერა და თანაც საფუძვლიანად. გოცირიძე მინდია უგრეხელიძის მეუღლეა და, ადვოკატ მამუკა ნოზაძის განცხადებით, თეა წულუკიანის ახლობელი. შესაბამისად, მისი სახელი და გვარი ხშირად ისმის.

მამუკა ნოზაძე, ადვოკატი: „ევა გოცირიძეს, როგორც ვიცი, ძალიან ბევრი იურისტი ლობირებს და მას დიდი შანსები აქვს. გოცირიძე არის მინდია უგრეხელიძის მეუღლე, რომელსაც სახელისუფლებო წრეებში დიდი გავლენა აქვს. მისი შვილი თეა წულუკიანის დახმარებით საჯარო რეესტრში მაღალ თანამდებობაზეა, წულუკიანს ეთქმის სიტყვა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ალასანიას არ დაუჭირა მხარი და არ გადადგა. რაც შეეხება ლადო ჭანტურიას, ის ერთხელ უკვე იყო ამ პოსტზე, მაგრამ ვერაფრით გამოიჩინა თავი, მის დროს კორუფციას ჰქონდა ადგილი და ბევრი იმ მოსამართლის მიმართ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი დამდგარი კორუფციის გამო, რომლებიც ჭანტურიას დროს მუშაობდნენ“.

რუსეთი სააკაშვილზე ფილმს ელოდება



კინოსთვის ის უცხო არ არის, ჰოლივუდის გმირიც იყო, როცა ენდი გარსიამ 2008 წლის ომზე გადაღებულ ფილმში სააკაშვილი განასახიერა, და სექსუალური გიგანტიც, როცა რუსეთში სააკაშვილი სექსის გიგანტად წარმოაჩინეს. ახლა სააკაშვილის პოლიტიკური და ისტორიული სახის შექმნას გოგა ხაინდრავა შეეცდება. მაგრამ ეს ხმამაღლა ნათქვამია... საერთოდ, გაუგებარია, რატომ მოიხსენიებენ ხაინდრავას რეჟისორად.

თუმცა, ის უკვე „ობრაზშია“ შესული, სათვალე გაიკეთა და მომავალ ფილმზე რუსული ტელეკამერების წინ მსჯელობს:

საპნის ოპერის გადაღებას არ ვაპირებ, ისეთ სერიალს არ გავაკეთებ. რომლის ყურების დროსაც ქალები სამზარეულოში ტირიან. მე სერიოზული ფილმის გადაღებას ვაპირებ. მინდა გავაანალიზო, როგორ მივედით იქამდე, რომ ქვეყნის სათავეში ეს შიზოფრენიკი, ბოროტი შიზოფრენიკი აღმოჩნდა, – ამბობს ჭკვიანური გამომეტყველებით ხაინდრავა.

რუსეთის მედიამ 200-სერიანი ფილმი სააკაშვილზე დიდი ამბით დააანონსა. ამბობენ, რომ ელოდებიან...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მაესტროს“ წასულ ჟურნალისტები უბრუნდებიან

ჯერ იყო და „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები გაეხვივნენ შარში თავიანთი „ემოციური, სოლიდარული გაუგებრობით“ და ახლა ჯერი ჟურნალისტებზე მიდგა.

პროტესტის ნიშნად „მაესტროდან“ წასულ ჟურნალისტთა შორის ხატია ქვათაძე და ნინო თოლორდავაც აღმოჩნდნენ. თუმცა, დანარჩენებისგან განსხვავებით, ემოციურმა და საპროტესტო ტალღამ მათ მალევე გადაუარა და დღეს ისინი კვლავ იმავე არხის თანამშრომელთა რიგებში ირიცხებიან.

ხატია ქვათაძე თავის გადაწყვეტილებას „მაესტროში“ შვიდწლიანი მუშაობის სტაჟით ხსნის: „ამ ტელევიზიაში ჩემთვის ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები იშლება, დაბრუნების გადაწყვეტილებაც ამის გამო მივიღე“.

რაც შეეხება თოლორდავას, „მაესტროს“ დატოვებას მან ემოციური გადაწყვეტილება უწოდა. როგორც ჩანს, ემოციების გავლასთან ერთად, შეთავაზებების ნაკლებობამაც მიაღებინა უკან დაბრუნების გადაწყვეტილება: „მიხარია, რომ, მიუხედავად ემოციური გადაწყვეტილებისა და ამდენი ვნებათაღელვისა, კვლავ მაქვს შანსი, „მაესტროს“ ეთერიდან ისევ გითხრათ გამარჯობა და ყოველი დღე თქვენთან ერთად გავატარო“...

თუმცა, ორი ჟურნალისტის დაბრუნება „მაესტროს“ პრობლემას არ წყვეტს. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, თანამშრომლების ნაწილს ჯერ ნოემბრის ხელფასიც არ აუღია.

სოციალურ ქსელებში ახალი ინიციატივა გაჩნდა

ლამბერსექსუალი მამაკაცები ცდილობენ, მოდასთან ერთად პოლიტიკაც „მოიგონ“. ამიტომაც, ისინი პარტიას ქმნიან და უნდათ, სხვებიც ჩართონ ამ წამოწყებაში. „ფეისბუკზე“ უკვე ჯგუფიც შეიქმნა. ამ იდეის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ:

„ლამბერები დახვეწილი და ვაჟკაცური გარეგნობით გამოირჩევიან, ასეთი ხალხით დაკომპლექტებული პარტიის ჩამოყალიბება სიახლეს შეიტანს ერთფეროვან პოლიტიკურ გარემოში.

ვერც ნაცები და ვერც ქოცები ვერ დაიკვეხნიან ვაჟკაცური და მიმზიდველი ფეისებით, რაღაცნაირი უმარილო „სასტავია“.

ამიტომ, ვისაც გინდათ, ნამდვილი ვაჟკაცური ტიპების ყურება და არა ამ „ჩმორიკების“, ხმა მოგვეცით შემდეგ არჩევნებზე. ჩვენ ინტელექტიც ლამბერსექსუალური გვაქვს.

როცა სათავეში მოვალთ, განახებთ, როგორ უნდა ქვეყნის მართვა.

ჩვენ გადაგარჩენთ“.

აი, ასეთია გზავნილი.

ლამბერსექსუალი მამაკაცები ვერტიკალში მომრავლდნენ. მოდას პირველად ფეხი აუწყო ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ და წვერიც სასწრაფო წესით მოუშვა... ისე, უხდება კიდეც. მას სხვებმაც მიჰბაძეს.

ეკონომიკის ახალი მინისტრი უკრაინელი იქნება

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მალე უკრაინელი მინისტრი ეყოლება. როგორც ამბობენ, სერგეი ტერეხინი საქართველოში ეკონომიკის სფეროს ჩაიბარებს და, შესაბამისად, კვირიკაშვილის ჩამნაცვლებელიც გახდება.

ცვლილებაზე, ბუნებრივია, ჯერ ხმამაღლა არავინ საუბრობს, ინფორმაციას არც არავინ ადასტურებს, თუმცა ფაქტია, რომ გასულ კვირას ვიცე-პრემიერი კახი კალაძე უკრაინაში სწორედ ეკონომიკის მინისტრთან, კვირიკაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

რაც შეეხება სერგეი ტერეხინს, ის ეკონომიკის მინისტრი იყო იულია ტიმოშენკოს პრემიერობისა და ლეონიდ კუჩმას პრეზიდენტობის დროს და არის ექვსი მოწვევის უმაღლესი რადას დეპუტატი. სერგეი ტერეხინი პარტია „ჩვენი უკრაინას“ წევრიც გახლდათ. განათლება უკრაინაში აქვს მიღებული, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის განხრით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ილია ბეროშვილისა და „კურიერის“ ნა

my View
თამარ გონგაძე

„კაცი, რომელიც ბევრს ლაპარაკობს“ ცოლს გაეყარაო, მითხრეს. ილია ბეროშვილისა და დღის „კურიერის“ ახალი წამყვანის, ნელი აგირბას ხუთ წლინახევრიანი ურთიერთობა გაზაფხულზე ცალ-ცალკე ცხოვრებით დასრულდა. წყვილს ორი ქალიშვილი ჰყავს, 5 წლის სესილი და წლინახევრის ევა. ეს ის პერიოდია, როდესაც ილია პოპულარული გახდა, სულ „ჯეოსელის“ სარეკლამო რგოლებში იყო, დიდი დოზით გამოჩნდა. ამბობდნენ, ამ ბიჭს პოპულარობა უცებ თავში აუვარდაო. ახალი სახე მაყურებლისთვის საინტერესო გახდა. ქარიზმატულმა მოლაპარაკე ბიჭმა უცებ მიიქცია ყურადღება. ვისაც დუტა „ყელში“ ჰყავდა, ილიას გამოჩენით გაიხარა. და ამ დატვირთვას ოჯახის დანგრევა მოჰყვა. „კვამლი უცეცხლოდ არ არისო, ამობობენ. ეს გაზაფხულზე არ დაწყებულა, გაცილებით ადრე დაიწყო, მოწმიფდა და ასეთი შედეგი მიიღო. მე და ნელი რვა თვის წინ დავშორდით. ეს ის თემაა, რომელზეც ბევრს ვერ ვლაპარაკობ“,- მითხრა რესპონდენტმა და ჩვენ დავიწყეთ.

თავში ავარდნა

პოპულარობა მოსწონს, წლის ვარსკვლავის ნომინაციაში პრიზიც აიღო. „სასიამოვნოა ასეთი პრიზი. არ მჯერა პოპულარობას დამღლელს რომ უწოდებენ. პოზა აქვთ“.

მითი იმის შესახებ, რომ ილიამ ბევრი ენა იცის, დაამსხვრია. ფლობს ქართულს, რუსულს, ინგლისურსა და ჩერქეზულს. „ვინც ენა არ იცის, შემიძლია, 15 ენის ცოდნაში დავაჯერო“.

მსახიობობა და ფეხბურთელობა უნდოდა. მყესების ტრავმამ, შვიდწლიანი თამაშის შემდეგ, ფეხბურთს გამოამშვიდობა“. „ვით ჯორჯიაში“ თამაშობდა.

„ჩემი ხასიათიდან გამომდინარე გარკვეულ წრეში იმ პერიოდშიც ვსარგებლობდი პოპულარობით. ამის პატარ-პატარა „ასკოლკები“ იყო. სადაც ვარ, იმ საზოგადოების სული ვარ, ყურადღება მიყვარს. პოპულარობისას ამ ყურადღებას კიდევ უფრო გრძნობ. ჯერ იმდენად და იმდენი ხნის პოპულარული არ ვარ, რომ მის უკუქცევით მოვლენებზე და მინუსებზე ვისაუბრო. რა მინუსებიც მქონდა, იგივე მაქვს ახლა.

- თავში აუვარდაო, თქვენზე ითქვა.

- არა მგონია, რომ მე თავში ისე ამივარდა. შეიძლება თავში ავარდნის ნიშნები გამომეპარა, მაგრამ ეს გარდაუვალია. ყველას ემართება. ჩუტყვავილასავით არის, უნდა მოიხადო. რიტმს რომ იცვლი და მით უმეტეს, თუ ეს ცვლილება კარდინალურია, შიგნით მინი გამოცდები მოჰყვება ხოლმე. ყოფილა პერიოდი მეტად მძაფრი შიდა გამოცდები მქონია ხოლმე. ჩემს ადგილას ბევრს ძალიან აუვარდებოდა თავში. სნობურ რაღაცებს დაიწყებდა, გარკვეულ „ტუსოვკებზე“ არ იკადრებდა მისვლას. შეიძლება ვიღაც ჩემს ადგილას ბევრად ღირსეულიც ყოფილიყო. თავში ავარდნაც პირობითი რამეა, გააჩნია რას ეძახიან. საქართველოში თავში ავარდნა სასაცილოა. არ ვთვლი, რომ თავში ასავარდნი რაიმე შევქმენი. არც 70-იანი წლების როკ ენ როლის „სთარი“ ვარ და არც 2 ათასიანების ჰიპ-ჰოპის მეფე. ვცდილობ, ჩემს თავში რაღაც „ნიტრო“ დავინახო. შეიძლება საკუთარი თავისთვის მეტად მიმიცია უფლება, მაგალითად, ამდენს ვშრომობ, ვიხარჯები და ეს მეკუთვნის-მეთქი. დარჩენილი ცოტა დრო გინდა შენი სიამოვნებისთვის გაატარო. თავიდან გიხარია და ეს გეტყობა. მერე ეჩვევი და ალაგებ.

ბოჰემა

„ადრე ბოჰემურად ვცხოვრობდი. 90-იანი წლებიდან გამოყოლილი ბოჰემა იყო და მე ამაში ახალი ტიპი ვიყავი. გადაბმულად ვსვამდი. ფეხბურთს ტრავმის გამო შევეშვი, ამან სტრესი გამოიწვია. გუნდში გიჟი და გადარეული ვჩანდი. ფეხბურთს რომ შევეშვი ისეთი ადამიანები გავიცანი, ვისთან ერთადაც მუსიკის მოსმენა დავიწყე, წიგნებზე ვლაპარაკობდით. ჩემნაირი გიჟები ვიპოვე და ამან ამაფორიაქა. ჩემს გუნდელებს ფორმანის „ამადეუსზე“ ვერ დაველაპარაკებოდი. მოკლედ, ესეც კარდინალური ცვლილება იყო. და უფრო მეტი, ვიდრე ახლა მაქვს. არაფერს ვნანობ. ეს შეცდომები და ცვლილებები რომ არ ყოფილიყო, ასეთად ვერ ჩამოვყალიბდებოდი. არ ვამბობ, რომ ბოლო ინსტანციაზე ვარ, მაგრამ ამ ეტაპზე ასე ვარ. ყოველთვის შეიძლება ადამიანი უკეთესი გახდე და საკუთარ თავზე იმუშაო.

- „სთარი“ ხარ?

- „სთარი“ და საქართველო ერთმანეთს ლამის გამორიცხავს. ჩემთვის სესილია თაყაიშვილზე, იპოლიტე ხვიჩიაზე, კახი კავსაძეზე, ნანი ბრაგვაძეზე, ირაკლი ჩარკვიანზე და კიდევ ძველი სკოლის ბევრ ადამიანზე მეტი ვარსკვლავი ვინ არის? „სთარობა“ შინაგანი მდგომარეობაა, ენერგეტიკულად იგრძნობა.

- როგორ გგონიათ, რამდენ ხანს გაგყვებათ სახელი „კაცი, რომელიც სულ ლაპარაკობს“? ჯერ საკუთარ გვარზე მეტად ამ ფრაზით გცნობენ.

- თუ ისევ გამოვჩნდები „ჯეოსელის“ კლიპებში, ეს სახელი კიდევ უფრო მეტ ხანს გამყვება. ჩემზეა დამოკიდებული. ერთია, რომ რაღაც „გაგივარდება“, მაგრამ მერე შენარჩუნებაა ძნელი. მე ექსპერიმენტებში ვარ. ჯერ მასალა ვარ, რომლისგანაც ვიღაც რაღაცას შექმნის.

სტრესი

- და პროფესიით ვინ ხართ?

- კავკასიოლოგი ვარ. სანამ ამ ყველაფერს დავიწყებდი, ჩემს პროფესიასთან აქტიური შეხება მქონდა. დედა ჩერქეზია - თამარ უჯუხუ (პაპა შამილმა საქართველოს ისტორიის სიყვარულით მეფე თამარის სახელი დაარქვა). მეც ჩერქეზთა გენოციდის აღიარებაში აქტიურად ვმონაწილეობდი. დაწყებით კლასებში ჩერქეზეთში ვსწავლობდი. ფეხბურთი ნალჩიკის „სპარტაკშიც“ ვითამაშე. ვიცი ენა. იქ რომ ჩავიდე, ერთ კვირაში სრულყოფილად მეცოდინება. მე და დედა ქართულად ვლაპარაკობთ.

- როგორი მოსწავლე იყავი?

- თბილისში მეექვსე გიმნაზიაში ვსწავლობდი და სპორტის გამო ორ-ოსანი ვიყავი, მაგრამ არა ხულიგანი. თავისუფალ თემებში ვიღებდი კარგ ნიშნებს. ჯერ ჭადრაკს ვთამაშობდი და ფეხბურთზე მერე შევედი. 14 წლისამ დავიწყე თამაში და 18 წლის უკვე „ვით ჯორჯიაში“ ვთამაშობდი. 3 ათასი ლარი მქონდა ხელფასი, რაც დღევანდელ ათი ათას ლარს უდრის.

- რა იყიდე პირველი ხელფასით?

- მამამ მითხრა, ვალი მაქვს 500 ლარიო. მეც დახმარება გადავწყვიტე. თითო თამაშის პრემია იყო 500 ლარი. ბუღალტერს ვთხოვე ხუთ ლარიანებად მომეცი-მეთქი. მეტი ეფექტი რომ მოეხდინა, სახლში მივედი თუ არა, ფული მაგიდაზე დავყარე. ცხოვრება უცნაურია. იმ პერიოდში როგორ ვცხოვრობდი იცით, სახლში - ფეხები ტაშტში, აქეთ მარწყვი მედგა, აქეთ - ბალი და ფეხბურთს რომ უყურებ. მამა თხოვნით რომ მოდის, შვილო, ერთი წუთით საინფორმაციოზე გადავრთავო. ოჯახის ბურჯი ვიყავი და ვიფერებდი. ტრავმა რომ მივიღე, აღარც მარწყვი იყო, აღარც ბალი და უკვე იქით ვითხოვდი, შეიძლება ფეხბურთზე გადავრთო-მეთქი? ტრავმამ დამსტრესა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ფეხბურთელი ვიქნებოდი. მერე ნელ-ნელა გადავეწყე. მშობლებთან არასამთავრობო ორგანიზაციაში ვიყავი. „პირველ არხზე“ დილის წამყვანი გახლდით. ერთი წელი მიმტანად ვიმუშავე და მომწონს, რომ არ „გამიტყდა“.

ნელი და შვილები

მომავალი მეუღლე ტელევიზიაში გაიცნო. ნელი პირველი ქორწინების დანგრევით გამოწვეულ იარებს იშუშებდა. ილიას მისი ყურადღების მიქცევა უნდოდა. თავის მოწონება სცადა.

„როგორც ნელი ამბობს, ვერც მამჩნევდა. ჩემი ეგოცენტრიკულობიდან გამომდინარე ვერ ვხდებოდი, რატომ ვერ მამჩნევდა. ხან რას ვაკეთებდი, ხან - რას. ერთხელ დავილაპარაკეთ და საბოლოოდ დავაინტერესე. მაღალ მატერიებზე ვლაპარაკობდით და უცებ მითხრა, იშვიათია ასე რომ ვინმემ გამიგოსო. და წავიდა და წავიდა“.

ილია ორივე ქალიშვილის დაბადებას დაესწრო. მეორე ქალიშვილის შენარჩუნების საკითხი რომ დადგა, ცოლს ბოლომდე გვერდით დაუდგა და იბძოლა.

„მამობამ ყურადღებიანი გამხადა. შევიცვალე, რაღაც საკითხებში ნაკლებად ეგოისტი გავხვდი. გადაფასებები ხშირად ხდება ამ დროს. იცი, რომ ეს პატარა ადამიანები უანგაროდ, უპირობოდ გიყვარს. ეს ისეთი შეგრძნებაა, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ბავშვის მიმართ თუ გექნება“.

- შეგიძლიათ ენით გადმოსცეთ ის შეგრძნება, რაც შვილების ამქვეყნად მოვლინებისას დაგეუფლებათ?

- ამას ენით ვერ გადმოსცემ, რო-

„მამობამ ყურადღებიანი გამხადა. შევიცვალე, რაღაც საკითხებში ნაკლებად ეგოისტი გავხვდი. გადაფასებები ხშირად ხდება ამ დროს. იცი, რომ ეს პატარა ადამიანები უანგაროდ, უპირობოდ გიყვარს“

„კაპოტზე ჯონჯოლის და არყის მიღებას, მშობიარობაზე დასწრება ვარჩიე. როგორ შეიძლება ადამიანს, რომელიც გიყვარს, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში გვერდით არ ჰყავდე?“

„ბოჰემურად ვცხოვრობდი. 90-იანი წლებიდან გამოყოლილი ბოჰემა იყო და მე ამაში ახალი ტიპი ვიყავი. გადაბმულად ვსვამდი. არაფერს ვნანობ. ეს შეცდომები და ცვლილებები რომ არ ყოფილიყო, ასეთად ვერ ჩამოვყალიბდებოდი“

„დღეს მე და ნელი ვმეგობრობთ. ვერ ვიტყვი, რომ ეს ადვილია. ორივეს რაციონალურად გვესმის, რომ შვილებისთვის მშობლების ნორმალური ურთიერთობა მნიშვნელოვანია. ნელი კარგი ადამიანია, არც მე ვარ ბოროტი და გამოგვდის ურთიერთობა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

„მძიმე გრაფიკი დამეწყო - დიდი ყურადღება, დაინტერესება, ერთი ტელევიზია, მეორე ტელევიზია, კონტრაქტები... არც მე და არც ნელი არ ვიყავით იმ დონეზე ძლიერები, რომ ერთმანეთისთვის მხარი დაგვეჭირა“

„დაშორების მერე სტრესული და დეპრესიული პერიოდი მქონდა, დარდის გასაქარვებლად ვსვამდი“

გორც იმას, რატომ გიყვარს შვილი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს „დისქავერიზე“ სამყაროს შექმნაზე ფილმს ვუყურებდი. მივხვდი, რომ ამ დროს ქალისთვის მნიშვნელოვანია მეუღლის დასწრება. ენერგეტიკულად ეხმარები. ადრეულ ასაკშივე უახლოვდება შვილს მამაც. სხვა მისტიკაა. ამიტომ კაპოტზე ჯონჯოლის და არყის მიღებას, მშობიარობაზე დასწრება ვარჩიე. როგორ შეიძლება ადამიანს, რომელიც გიყვარს, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში გვერდით არ ჰყავდე? ეს მომენტი რატომ უნდა გამოტოვო?!

- და რა მოხდა ხუთწლიანი თანაცხოვრებისა და ასეთი სიყვარულის მერე?

- ყველა ოჯახში დგება კრიზისული პერიოდი. ჩემი ცხოვრების რიტმის კარდინალური ცვლილებაც იყო მიზეზი. მანამდე არასამთავრობო ორგანიზაციაში რომ ვმუშაობდი, მშვიდი გრაფიკი მქონდა, მეტწილად სახლში ვიყავი. მეორე შვილზე ტოქსიკური ორსულობა ჰქონდა, იწვა და მე სახლში ვიყავი, საჭმელებს ვაკეთებდი, ვეხმარებოდი. სამმა ექიმმა გვითხრა, ბავშვი ვერ გადარჩებაო. ექიმ გვიჩვენა ბავშვი ცოცხალი იყო. ექიმებს არ ვენდეთ და არ დავნებდით. ღმერთის დახმარებით გაჩნდა ევაც. ორივეს მძიმე გრაფიკი გვქონდა. რთული რეჟიმი რომ დამეწყო, მთელი დღე გარეთ ყოფნა მიწევდა, თან ამ სფეროში გამოუცდელი ვიყავი. დიდი ყურადღება, დაინტერესება, ერთი ტელევიზია, მეორე ტელევიზია, კონტრაქტები... ეს ხომ საქართველოა, უპროდიუსეროდ, იურისტის გარეშე ყველაფრის კეთება გიწევს და დაკავებული ვიყავი. მერე ღამე ბავშვების დაძინება და... არც მე და არც ნელი არ ვიყავით იმ დონეზე ძლიერები, რომ ერთმანეთისთვის მხარი დაგვეჭირა. ამ დატვირთვის გამო ხან მე ვიყავი სუსტად, ხან - ის. დაძაბულ რიტმი იყო მთავარი მიზეზი.

- და სკანდალის გარეშე დაშორდით?

- რაღაც იყო... ჩემმა ცოლმა „ფეისბუქზე“ სტატუსიც დაწერა. მტკივნეულია განშორება. ქაოტური იყო ბევრი რამ. თუმცა უსიამოვნო დაშორების მიუხედავად ვმეგობრობთ. დაშორების მერე სტრესული და დეპრესიული პერიოდი მქონდა, თუმცა საქმე იმის დროს არ მაძლევდა, რომ ბოლომდე მოვდუნებულიყავი. დარდის გასაქარვებლად ვსვამდი. ვფიქრობდი, როგორ მოვეშვა ამდენი საქმის მერე-მეთქი. ეს სასმელიც დოსკომფორტს მიმატებდა. ოთხი თვეა წვეთი არ დამილევია. მივხვდი, ვარჯიშით თუ გავქაჩავდი იმ ტემპს, რაშიც ახლა ვცხოვრობ. დღეს ვმეგობრობთ მე და ნელი. ვერ ვიტყვი, რომ ეს ადვილია. ორივეს რაციონალურად გვესმის, რომ შვილებისთვის სიყვარული და მშობლების ნორმალური ურთიერთობა მნიშვნელოვანია. ნელი კარგი ადამიანია, არც მე ვარ ბოროტი და გამოგვდის ურთიერთობა.

„არა მგონია, რომ მე თავში ისე ამივარდა. შეიძლება თავში ავარდნის ნიშნები გამომეპარა, მაგრამ ეს გარდაუვალია. ყველას ემართება. ჩუტყვავილასავით არის, უნდა მოიხადო“

- შერიგება?

- შერიგების პერსპექტივა და დაშორების პერსპექტივა ყოველთვის არის. წინასწარ პროგნოზირება რთულია, არ მჯერა.

- მასზე, როგორც წამყვანზე, რას იტყვით?

- მაგარი წამყვანია. ასეთი პროფესიონალი იშვიათად შემხვედრია. იურისტია, მაგრამ ჟურნალისტური ეთიკა გადასარევად აქვს გამჯდარი. ზუსტი აზროვნება აქვს. არგუმენტირებული საუბარი აქვს. მასზე, როგორც ნამყვანზე, ადამიანები მუდამ პოზიტიურად საუბრობენ.

დუტაზე

ათთვიანი თანამშრომლობის შემდეგ დროებით „ჯეოსელთან“ აღარ თანამშრომლობს. ილო დუტას შვილიც ეგონათ.

„105 მიყვარდა და მეორე შენ-მეთქი, პირველად რომ ვნახე დუტას ეს ვუთხარი. ისე ველაპარაკე, ალბათ, იგრძნო, რომ ბებერია. მე მის ადგილას ეჭვიანობის მომენტი მექნებოდა. ათი წელია სახეხარ და ამ დროს ქუჩიდან ვილაც მოვიდა და სახე გახდა. მე რომ მივედი, დუტას გარეშე გადიოდა „ჯეოსელის“ რეკლამები. მე, დუტა და ვაკაჭი ვმეგობრობთ. ვხალისობთ. სხვანაირად ნიჭიერი კაცია. წლები გაუძლო ამ სიხშირის პოპულარობას, ადვილი არ არის. 20 კვადრატულ მეტრში პერფორმანსს დგამს. შოუმენობაზე ღადაობით აკეთებს შოუს“.

„ორ ვარსკვლავზე“

„მიკროფონი ორჯერ მაქვს აღებული, ძალიან მთვრალზე კარაოკე მიმღერია. მხოლოდ საშხაპეში მიმღერია. დიდად არ მინდოდა ამ პროექტში მონაწილეობა. წინა სეზონს არ აღვუფრთოვანებივარ. აქ ყველა მონაწილე კარგად არის შერჩეული. კარგად მიმიღეს. შინაურული გარემოა. მერე აზარტში რომ შევა, არ ვიცი რა იქნება. ბევრს დავუმეგობრდი. ძალიან სასიამოვნოა ნუცასთან ურთიერთობა. მგონია, რომ ნუცასთან ერთად ნამღერი კადრები სამომავლოდ გამომადგება. ოდესმე ვიტყვი, ნუცა ბუზალაძესთან ერთად მაქვს ნამღერი-მეთქი.

- თბილისში ყველა მაგარი ნაშა უნდა ეცემოდეს ილია ბეროშვილზეო, თეონა კონტრიძემ ჩვეული სტილის რეპლიკა ისროლა.

- რომ გითხრათ, ამ შეფასების მერე მაგარი ნაშების რიგი დამიდგა „ფეისბუქზე“-მეთქი, მოგატყუებთ. სასიამოვნო შეფასება იყო. თვითონ კონტრიძის დაცემა უფრო სასიამოვნო იქნებოდა... საინტერესო და მაგარი ქალია.

- რას იტყვი ბოლოს?

- მინდა შოუების მაგნატებსა და „ტელევიზიონშიკებს“ მივმართო. მე ვარ ქუჩიდან მოსული ტიპი. აიღონ ეს მაგალითი. სელექცია გაამძაფრონ. ბევრ არხზე ქასტინგზე მივსულვარ და როგორც უნიჭო უკან გამოვუშვივარ. მოაწყონ ქასთინგები და აიყვანონ ქუჩიდან მისული ტიპები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სარიტუალო ორანჟერეა წყვილებისთვის - ბოტანიკური ბაღი მეტად ფუნქციური გახდება

მზეკო ჟვანია

„ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, გასაახლებელია მცენარეების დიდი ნაწილი, ყველა მცენარე ბერდება და ახლით ჩანაცვლება სჭირდება, ჩვენ ეს სამუშაოები უკვე დავიწყეთ“

EXCLUSIVE

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, წავკისის ხეობაში, სოლოლაკის ქედზე განფენილი საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ოთხ საუკუნეს ითვლის. ალბათ, ცოტამ თუ იცის, რომ ეს ბაღი სამეფო საკუთრება იყო და სამეფო ბაღს უწოდებდნენ. დაახლოებით ორი საუკუნის წინ ბაღში სამკურნალო მცენარეების მოყვანა დაიწყეს და ხალხური მედიცინით დაინტერესებული პირები საბაღო სამუშაოებში მონაწილეობდნენ, შედეგად კი სამკურნალო მცენარეების მოყვანა დაიწყეს. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სამეფო ბაღს სააფთიაქო ბაღი დაერქვა. ამ ყველაფერმა კი კავკასიისა და მსოფლიო ბოტანიკური ბაღების, სხვადასხვა კუთხის მეცნიერების დაინტერესება გამოიწვია. გეტყვით იმასაც, რომ ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბებასა და საქართველოში ბოტანიკის გაძლიერებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბაღის პირველ დირექტორს, როლოვს, რომელიც გერმანელი ტყვე გახლდათ. რაც შეეხება ბაღის ფართობს, ტერიტორია 128 ჰექტარი იყო, თუმცა წითელი ხაზების გავლების შემდეგ შემცირდა და ამჟამად ბაღის ფართობი 98-100 ჰექტარია. ალბათ, ყველამ კარგად იცით, რომ ბოტანიკურ ბაღში სამეცნიერო კუთხით განსხვავებული მიმართულებებია. ბაღის ენდემურ ნაკვეთზე საქართველოსა და კავკასიის ის იშვიათი სახეობები ხარობს, რომელთა დიდი ნაწილიც საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი და საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ადგილას მოიპოვება.

იმისთვის, რომ მკითხველმა უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღოს ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე სამუშაოებზე, დასახულ გეგმებსა და უფრო კარგად გაიცნოს ბაღის ახალი დირექტორი, „პრაიმტაიმი“ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ნინო გოცაძეს ესაუბრა, რომელიც სულ ოთხი თვეა, რაც ბოტანიკური ბაღის დირექტორის თანამდებობას იკავებს.

ნინო გოცაძე:

„მოგეხსენებათ, მეცნიერებას, ბოტანიკას და ბიოლოგიას ნაკლები ყურადღება ექცევა ქვეყანაში და ბოტანიკური ბაღიც რატომღაც უყურადღებოდ იყო დარჩენილი. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, გასახლებელია მცენარეების დიდი ნაწილი, ყველა მცენარე ბერდება და ახლით ჩანაცვლება სჭირდება, ჩვენ ეს სამუშაოები უკვე დავიწყეთ. ნერგები, რომლებიც ადგილზე არ მოგვეპოვება შევიძენთ, რაც გვექნება გადავიტანთ ერთი ადგილიდან მეორეზე. ინფრასტრუქტურასაც დიდი ყურადღება სჭირდება. თუ გაივლით და დაათვალიერებთ, ნახავთ, რომ გზები საშინლად არის გაფუჭებული, არ არის კანალიზაციის სისტემა, არც საპირფარეშოებია, რაც არამხოლოდ თანამშრომლებს, ვიზიტორებსაც დისკომფორტს უქმნის. ჩვენ უკვე დავიწყეთ ინფრასტრუქტურული სამუშაოები, იგება ასფალტი, იმ ადგილებში სადაც ხალხი ინტენსიურად მოძრაობს ბილიკებს ვანესრიგებთ. ვცდილობთ ყველაფერი მაქსიმალურად სწრაფად გავაკეთოთ, თუმცა ძალიან ბევრი ბიუროკრატიული საფრთხეა, რომელიც დროში გვაფერხებს. ბაღში იმდენად ბევრი სამუშაოებია შესასრულებელი, რომ ბიუჯეტი არ არის საკმარისი. მოგიყვანთ მსოფლოს სხვა ბოტანიკური ბაღების მაგალითს, რომლებსაც რამდენიმე ათეული მილიონი აქვთ დაფინანსება, საკუთარი შემოსავლები კი კიდევ უფრო მეტი. მათ იმის ფუფფუნება აქვთ, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე გააკეთონ. სამწუხაროდ, ჩვენ ამის საშუალება არ გაგვაჩნია, მაგრამ მწირი ბიუჯეტის ფარგლებში შევეცდებით შეძლებისდაგვარად მოვაგვაროთ პრობლემები. ამას სწრაფად ვერ მოვახერხებთ, რადგან ყველაფრის გაკეთებას დიდი დრო სჭირდება და ნელნელა ყველაფერი მოგვარდება.

- ამ ეტაპზე კონკრეტულად რა სამუშაოები ტარდება?

- ახლა კანალიზაციის სისტემას ვაწესრიგებთ, დაწყებულია საპირფარეშოების პრობლემების მოგვარება. სარწყავი სისტემის გაყვანილობა თითქმის ბოლომდეა მისული და სასმელი წყლის პრობლემაც ძალიან მალე მოგვარდება. ბოტანიკურ ბაღამდე მოსასვლელ გზის ნაწილზე ასფალტი უკვე დაგებულია. რაც შეეხება ბილიკებს ამ დროისთვისაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ზოგან მოიკირწყლება და ხრეშის საფარი დაიგება, იმის მიხედვით, როგორც ბაღის სპეციფიკა მოითხოვს, ყველგან ასფალტს ვერ დავაგებთ, ველური ბუნებაა და არ შეიძლება. გარდა ამისა, გვინდა აღვადგინოთ ბასეინები, სადაც ბიჭუნას და ქალის ქანდაკებები იყო, საუკუნის ან უფრო მეტის, რომელიც ფიზიკურად აღარ არსებობს. სურვილი გვაქვს გავაკეთოთ ვარდების ნაკვეთი, რომელიც საჩვენებელი იქნება, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ვარდების ქვეყანაა, სწორი არ იქნება, რომ ბოტანიკურ ბაღში ვარდები არ იყოს. ძალიან ვემზადებით 1 მაისისთვის. გვინდა, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღის 170 წლის იუბილე გავაკეთოთ. იმედია, იმ დროისთვის ვარდებიც აყვავდებიან.

„შევეცდებით ყველა სამუშაოების ჩატარება ზაფხულამდე დასრულდეს, ყველანაირად ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე გავაკეთოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული“

- რა გეგმები და პროექტები გაქვთ?

- გვაქვს კონკრეტული პროექტები, რომლებზეც ამ ეტაპზე ვმუშაობთ. ერთ-ერთი პროექტი არის ის, რომ გვინდა სარიტუალო ორანჟერეა გავაკეთოთ. ამისთვის ფართობი გამოყოფილი და გასუფთავებულია, ძალიან სასიამოვნო ინტერიერი ექნება სარიტუალო ორანჟერეას. ბევრი წყვილი გვყავს სტუმრად, რომლებიც კითხულობენ შეიძლება თუ არა ქორწილები ჩატარდეს. მინდა მათ ვუთხრა, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებლობა ექნებათ მოვიდნენ და ხელი აქ მოაწერონ. მეორე მიმდინარე პროექტი, ბავშვებისთვის საშაბათო სკოლის მოწყობაა. იქნება პატარა სასათბურე მეურნეობაა გამოყოფილი, დაახლოებით 200 კვ.მ, სადაც სკოლის ბავშვები დარგავენ, დათესავენ, მოიყვანენ ბოსტნეულს და ამასობაში ბოტანიკას, მინასთან მუშაობას, ბუნების სიყვარულსა და მცენარეების მოვლასაც ისწავლიან. ნებისმიერი სკოლის მოსწავლისთვის და მსურველისთვის იქნება შესაძლებელი, მოვიდნენ და გაკვეთილებს დაესწრონ.

- კონკრეტულად ფარმაციის კურსის სტუდენტებთან ან მოსწავლეებთან თუ ხდება კომუნიკაცია?

- ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტები ჩვენთან მუშაობენ. თეორიულ კურსს უნივერსიტეტში გადიან, პრაქტიკას კი აქ. მათთან ასეთი თანამშრომლობის მემორანდუმი გვაქვს და ნებისმიერ ინსტიტუტს თუ ექნება სურვილი და ის მიმართულებები, რითიც ჩვენ შეგვიძლია რომ დავეხმაროთ და მხარში დავუდგეთ, მზად ვართ თანამშრომლობისთვის. სხვათა შორის, მატო საბუნებისმეტყველო კუთხით არა, სამხატვრო აკადემიის სტუუდენტებსაც ვეხმარებით თავიანთი ფანტაზიები გაშალონ და ხატონ. ვუქმნით სამუშაო გარემოს.

- ისევ ორანჟერეას დავუბრუნდეთ, როგორც ვიცი არსებულის გარდა კიდევ ერთის მოწყობა იგეგმება...

- ორანჟერეას, რომელიც წელან ვახსენე, მხოლოდ სარიტუალო დატვირთვა არ ექნება. ნებისმიერ მსურველს შეეძლება შევიდეს და დაათვალიეროს იქაურობა. გარდა ამისა, კიდევ ერთი, ფრანგული ორანჟერეის აღდგენა გვინდა, მხოლოდ თეთრი კარკასია შემორჩენილი. ამის პროექტიც ახლა მზადების პროცესშია, უნდა აღვადგინოთ ზუსტად ისეთი ფორმით, როგორი ფორმითაც როლოვის დროს გაკეთდა. გვინდა ძველი იერი დავუბრუნოთ. გარდა ამისა, სამომავლოდ, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ გავაკეთოთ ლექცია-სემინარები, საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტების გარდა ნებისმიერი დაინტერესებული მსურველისთვის. ეს მარტო ბოტანიკაზე არ იქნება, ეს საბუნებისმეტყველო გაკვეთილები, სემინარები, კონფერენციები და სხვადასხვა სახალისო, შემეცნებითი შეჯიბრი იქნება.

- უცხოელებთან გაცვლითი პროგრამების ჩატარება იგეგმება?

- როგორც მოგახსენეთ, ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ბოტანიკურ ბაღებთან და ისინი ყოველთვის ძალიან კეთილგანწყობილები არიან ჩვენს მიმართ. ხშირად გვთავაზობენ თავიანთ პროგრამებს. ისევე, როგორც ჩვენ, მათაც უნდათ დაინტერესებულ პირებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაცვლითი პროგრამები ჩავატაროთ. ანალოგიურად ჩვენც ვთავაზობთ კავკასიის ფლორით დაინტერესებულები, ჩამოვიდნენ და აღნიშნულ პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა. მსგავსი ტიპის თანამშრომლობა გერმანიასთან, ინგლისთან, ნიუ-იორკის ბაღთან ძალიან ინტენსიურად ხდება, ასევე მჭიდრო კავშირებია აზერბაიჯანთან და სომხეთთან. ეს ყველაფერი არც თუ ისე ხშირი ფუფფუნებაა, რომ ყოველწლიურად ხდებოდეს, მაგრამ 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც ვახერხებთ ამ პროგრამის განხორციელებას. პიროებებსაც თვითონ გვთავაზობენ.

- ტურისტებთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

- რაც შეეხება ტურიზმს, ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან დაბალი დაინტერესების დონეა საქართველოში. უფრო მეტიც, თბილისის მაცხოვრებლების დიდმა ნაწილმა არც კი იცის ბოტანიკური ბაღი სადმე თუ არსებობს. წლის მანძილზე მილიონი ტურისტი გაივლის მეიდანზე და აბანოებთან, ბოტანიკურ ბაღში კი მათი 10% არ შემოდის. არც ერთ ტურისტულ მარშრუტში არ არის ბოტანიკური ბაღი ჩასმული და ამაზე ვმუშაობთ, მაგრამ არის პრობლემა, რომ როდესაც ტურისტს ეპატიჟები, მას სერვისიც უნდა შესთავაზო და ჯერჯერობით ეს სერვისი არ არის ისეთ დონეზე, როგორიც გვინდა რომ იყოს. მოლაპარაკებები მიდის, რომ ტურისტებისთვის ელექტრომობილები ჩამოვიყვანოთ, რადგან ამხელა ტერიტორიის ფეხით შემოვლა, უბრალოდ, შეუძლებელია, ელექტრომობილით კი გაცილებით იოლი და მოსახერხებელი იქნება. გარდა ამისა, ვამზადებთ ველობილიკებს, შეძენილია ველოსიპედები, ამის საშუალებით ნებისმიერი ადამიანი ჯანმრთელობასაც გაიუმჯობესებს და ბაღსაც დაათვალიერებს. ერთსაც გეტყვით, შემოსასვლელში ნახავდით ახალ შენობას, ვიზიტორთა სახლია. შენობა 3 წლის წინაა აშენებული და მერიის მფლობელობაშია. ველოდებით, რომ ბოტანიკურ ბაღს გადმოსცენ. იქ კაფეტერია უნდა გაკეთებულიყო და ჩვენც იგივე დატვირთვას მივცემთ, უხერხულია, რომ ამხელა ტერიტორიაზე არც წყალია, არც ყავა და არც ნაყინი. ამიტომ, დამსვენებელს გვინდა შესაბამისი ადგილი შევთავაზოთ, რაც ვიზიტორების ზრდასაც გამოიწვევს.

- როგორ ფიქრობთ, დაახლოებით როდისთვის განახორციელებთ გეგმებს?

- შევეცდებით ყველა სამუშაოების ჩატარება ზაფხულამდე დასრულდეს, ყველანაირად ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე გავაკეთოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ეს „მინდა“ მარტო ჩვენს სურვილზე არ არის. ზაფხულამდე ელექტრომობილები, ველობილიკები, ვიზიტორთა სახლი და კაფეტერია დასრულდება. თუ ზაფხულამდე მოესწრო ორანჟერეასაც გავაკეთებთ. ჯერ უნდა შევუთანხმდეთ იუსტიციის სამინისტროს, რომ ამ მომსახურეობისთვის ნება დაგვრთონ, თუმცა ორანჟერეის მოწყობას ეს ფუნქციის დამატება ხელს არ უშლის. მანამდე პარტერის განახლებაც გვაქვს დაგეგმილი, ბაღის გაფერადება პირველ მაისამდე უნდა მოვასწროთ, რომ იუბილეს განსაკუთრებულად შევხვდეთ.

- ამ ეტაპზე კონკრეტულად რომელი პრობლემები მოითხოვს აუცილებელ მოგვარებას?

- გზის პრობლემა გვაქვს, რთულია იმ აღმართზე ამოსვლა. პარკირების პრობლემა უნდა მოიხსნას, გვინდა პარკინგი მირზაშაფიდან მოვაწყოთ. ძალიან ხშირად ყოფილა პრობლემა, მანქანით რომ ამოდიან ვერ აჩერებენ და უკან ბრუნდებიან. აბანოებთან პატარა მოედანია და ისიც მოსახლეობას ეკუთვნის, თუმცა სულ მალე ამ უხერხულობასაც მოვხსნით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მძიმე პრობლემა გვირაბია, რომელიც ასათიანის ქუჩიდან ამოდის და პირდაპირ ბაღის ხიდთან გამოდის. ეს გვირაბი ბაღში შემოსვლას აიოლებს. 600-მეტრიანი გვირაბია, რომელიც ახლა დაკეტილია და თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის. მოსახლეობის და პირადად ჩემი ძალიან დიდი დაინტერესებაა, რომ ეს გვირაბი გაიხსნას, ერთი იმიტომ, რომ გაცილებით მოსახერხებელია გვირაბიდან ბაღში შემოსვლა. თავისუფლების მოედნიდან ადამიანი უპრობლემოდ შემოვა. გარდა ამისა, დამთვალიერებლების რაოდენობა, რაც გვირაბი დაიკეტა 2/3-ით შემცირდა. გვირაბის თემის განხილვა თავდაცვის სამინისტროსთანაც და მერიასთანაც მიმდინარეობს, ვისაც ეკუთვნის ეს საკითხები. რაღაც აქვთ თავისი ობიექტი, არ ვიცი რა არის შიგნით. რამდენად დაგვითმობენ ამ გვირაბს არ ვიცი, მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული, თუმცა ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს გვირაბი გაიხსნას.

- როცა გვირაბი ფუნქციონირებდა რა დატვირთვა ჰქონდა, რა იყო გვირაბის დაკეტვის მიზეზი?

- დაახლოებით 10-15 წლის წინ ღამის ბარი იყო და რამდენიმე წელი ფუნქციონირებდა, მერე, რამდენადაც ვიცი, იმ ბარში მკვლელობა მოხდა და ამის შემდეგ დაიკეტა გვირაბი. როცა დაიკეტა უკვე ეს დატვირთვა აღარ ჰქონდა და ბაღს ვინღა მისცემდა. დაახლოებით 2005 წელს გვირაბი თავდაცვის სამინისტროს გადაეცა.

- თუ თავდაცვის სამინისტრომ და მერიამ გვირაბი ბოტანიკურ ბაღს გადასცა, რა ფუნქციებს შეითავსებს?

- ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. შესაძლებელია მოეწყოს პავილიონები, შეიძლება თბილისის სხვადასხვა ხედების სურათები გამოიფინოს, თვალსაჩინოებისთვის ბევრი რამის მოწყობაა შესაძლებელი, რაც ტურისტს დააინტერესებს, ქართული ტანსაცმელი, ქართული იარაღები და ა.შ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სისტემური ცვლილებები პედაგოგთა EXCLUSIVE განვითარებისა და მოტივაციის ამაღლებისთვის

მზეკო ჟვანია

განათლების სისტემაში ცვლილებების ახალი ეტაპი იწყება. სიახლე პედაგოგებს უკავშირდებათ, რომლებიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალ სქემაში ჩაერთვებიან და არამხოლოდ სტატუსის, შემოსავლის გაზრდასაც შეძლებენ.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მარეგულირებელ დოკუმენტებზე მუდმივმოქმედმა სახელმწიფო კომისიამ მუშაობა ცოტა ხნის წინ დაასრულა და 20 თებერვლამდე ის დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობას წარედგინება.

სქემის მიხედვით, განისაზღვრა მასწავლებლის პროფესიული განვითარების სხვადასხვა ეტაპების საფეხურები, რაც მიბმულია პედაგოგთა შრომით ანაზღაურებასთან. ეს ფაქტორი კი, მასწავლებელს მოტივაციას გაუზრდის პროფესიულად განვითარდეს, პრაქტიკოსის საფეხურიდან, ყველა საფეხურის გავლით, უმაღლეს - მენტორის საფეხურამდე ავიდეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცვლილებების თანახმად, მასწავლებლის შეფასება და განვითარების საფეხურების განსაზღვრა, ძირითადად სკოლაში მოხდება, რაც სკოლის პასუხისმგებლობას, ავტორიტეტს გაზრდის და შეფასების იმ კომპონენტს დანერგავს, რომელსაც სკოლა წლების განმავლობაში მოკლებული იყო.

19 წევრისაგან შემდგარი სპეციალური მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის წევრები თსუ-სა და ილიას უნივერსიტეტებიდან, განათლების თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, თვითმმართველობიდან, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან და პროფესიული კავშირებიდან არიან. კომისიაში შედიან პედაგოგები, დირექტორები და განათლების ექსპერტები.

„ამ მიზნით, შევიმუშავეთ ასეთი მეთოდი - ბაკალავრის პროგრამაშივე, ჩაშენებული იქნება სამაგისტრო პროგრამა. ანუ, 5 წლის შემდეგ სტუდენტი მაგისტრთან გათანაბრებულ ხარისხსაც მიიღეს. ეს მისთვის მნიშვნელოვანი იქნება დროის, თუ ეკონომიური თვალსაზრისით. პარალელურად, უმაღლესი სასწავლებლები, პედაგოგის პროფესიის დაუფლების მსურველ სტუდენტებს, სასურველ შიდაპრაქტიკას შესთავაზებენ - მათ, პრაქტიკულად, მიეცემათ საშუალება, უნივერსიტეტშივე გახდნენ „პრაქტიკოსი მასწავლებლები“

თსუ-ს პროფესორი, ქეთი ჭკუასელი, რომელიც კომისიის შემადგენლობაშია, აცხადებს, რომ წარმომადგენლობითი კომისია მუშაობის ეფექტურობას ნიშნავს. მისი თქმით, პედაგოგების პარალელურად, კომისიამ იმსჯელა იმაზეც, როგორ გაზარდონ მოსწავლეებში სურვილი და მოტივაცია, რომ მასწავლებლის პროფესიას დაეუფლონ: „ამ მიზნით, შევიმუშავეთ ასეთი მეთოდი - ბაკალავრის პროგრამაშივე, ჩაშენებული იქნება სამაგისტრო პროგრამა. ანუ, 5 წლის შემდეგ სტუდენტი მაგისტრთან გათანაბრებულ ხარისხსაც მიიღეს. ეს მისთვის მნიშვნელოვანი იქნება დროის, თუ ეკონომიური თვალსაზრისით. პარალელურად, უმაღლესი სასწავლებლები, პედაგოგის პროფესიის დაუფლების მსურველ სტუდენტებს, სასურველ შიდაპრაქტიკას შესთავაზებენ - მათ, პრაქტიკულად, მიეცემათ საშუალება, უნივერსიტეტშივე გახდნენ „პრაქტიკოსი მასწავლებლები“.

ასევე კომისიის წევრი, თსუ-ს რექტორის მოადგილე სოსო სალუქვაძე მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ მკაცრად განისაზღვროს მოდელი, ვის შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია მასწავლებლობაზე და როგორ უნდა მოხდეს პედაგოგის დაწინაურება: „კარგია, რომ გამოკვეთილად, დეტალურად იქნება გაწერილი, როგორ გაიზრდება მასწავლებლის ანაზღაურება. რაც შეიძლება ნაკლები კითხვა უნდა დარჩეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პედაგოგებისთვის გასაგები იყოს რა მოეთხოვებათ, რა გზით უნდა იარონ, რომ ქვედა საფეხურიდან მაღალ საფეხურს მიაღწიონ. მასწავლებლებს პერიოდულად დააკვირდებიან, შეაფასებენ, გადაამზადებენ. მათ ყველა პირობა შეექმნებათ, კვალიფიკაცია აიმაღლონ და განვითარდნენ“.

სპეციალური კომისიის შექმნა პოზიტიური მოვლენაა პროფკავშირების ხელმძღვანელ მაია კობახიძისთვის. მის მუშაობაში თავისუფალი პროფკავშირების ჩართვა კი, მისი თქმით, მასწავლებლებს მეტ გარანტიებს უქმნის, რომ ცვლილებები, მათი პროფესიული ინტერესების დაცვის მიზნით გატარდება.

„კომისიის წევრებს შორის მწვავე დისკუსია გაიმართა იმაზე, მკაცრი მოთხოვნები უნდა დაწესდეს პედაგოგებისთვის თუ, როგორც ჩვენ ვითხოვდით, მასწავლებლებს ყველანაირი ხელშეწყობა ჰქონდეთ, რომ რეალურად შეძლონ კვალიფიკაციის ამაღლება. მინისტრიც მასწავლებლების ინტერესებზე იყო ორიენტირებული. საბოლოოდ, 9 ნორმატიული აქტი დავხვეწეთ“, - აცხადებს კობახიძე, რომლის განმარტებით, ცვლილების თანახმად, გარეშეფასება არ შეეხებათ პრაქტიკოს პედაგოგებს. მათზე არანაკლებ 2 შიდა განმავითარებელი დაკვირვება მოხდება. ანუ, მათ, გაკვეთილის წარმართვის პროცესში, სკოლის დამკვირვებელთა ჯგუფი, 4 წლის განმავლობაში, არანაკლებ 2-ჯერ დააკვირდება.

„პრიორიტეტი იმავე სკოლის იმ მოქმედ პედაგოგებს მიენიჭებათ, ვინც სრული საათობრივი დატვირთვით არ მუშაობს და მხოლოდ ასეთი მასწავლებლის არარსებობის შემთხვევაში გამოცხადდება ღია კონკურსი“

ხაზგასასმელია ისიც, რომ დოქტორის ხარისხის მქონე მოქმედ პედაგოგს, უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება, სტაჟის მიუხედავად, მთავარია, რომ ის სკოლაში მუშაობდეს. ანუ, თუ აქამდე ასეთ პედაგოგს, სკოლაში მუშაობის ბოლო სამი წლის სტაჟი უნდა ჰქონოდა, უფროსი პედაგოგის სტატუსის მისაღებად, ახლა აქცენტი გაკეთდება მასწავლებლის კვალიფიკაციაზე, რამდენად მაღალი დონის განათლება აქვს მას მიღებული, საგნის რამდენად სიღრმისეული ცოდნა აქვს. ხოლო, თუ ეს პედაგოგი პარალელურად სერტიფიცირებულიცაა, მას წამყვანი მასწავლებლის სტატუსს მიანიჭებენ.

„კომისიის წევრებს შორის მწვავე დისკუსია გაიმართა იმაზე, მკაცრი მოთხოვნები უნდა დაწესდეს პედაგოგებისთვის თუ, როგორც ჩვენ ვითხოვდით, მასწავლებლებს ყველანაირი ხელშეწყობა ჰქონდეთ, რომ რეალურად შეძლონ კვალიფიკაციის ამაღლება. მინისტრიც მასწავლებლების ინტერესებზე იყო ორიენტირებული. საბოლოოდ, 9 ნორმატიული აქტი დავხვეწეთ“

მაია კობახიძის განმარტებით, შეიცვალა საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის ვადები: „პრაქტიკოს მასწავლებელს, საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლელად დაუწესდა არანაკლებ 4 წელი. ეს მათ პროფესიულ უფლებებს აუმჯობესებს და შესაძლებლობას ქმნის, სავალდებულო აქტივობები მშვიდად განახორციელონ. ასევე, შევთანხმდით, რომ 2015-16 წელი გამოცხადდეს პილოტირების წლად. აქედან გამომდინარე, ყველა მასწავლებლისთვის, საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლის ვადა გაიზარდოს ერთი წლით. განისაზღვრა პედაგოგის მიღების კონკურსის წესიც. აქამდე თუ ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში სკოლა უმეტესად კონკურსს აცხადებდა, ამიერიდან, 2 ტიპის - შიდა და გარე კონკურსი ჩატარდება. ჯერ, პრიორიტეტი იმავე სკოლის იმ მოქმედ პედაგოგებს მიენიჭებათ, ვინც სრული საათობრივი დატვირთვით არ მუშაობს და მხოლოდ ასეთი მასწავლებლის არარსებობის შემთხვევაში გამოცხადდება ღია კონკურსი“, - აცხადებს კობახიძე. მისივე თქმით, მინისტრის გადაწყვეტილებით, აღმოჩენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, კომისია 2015 წლის 1 სექტემბრიდან დაწყებულ პილოტირების პროცესშიც აქტიურად ჩაერთვება.

კომისიის კიდევ ერთი წევრისთვის, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორისთვის, განათლების სკოლის ხელმძღვანელ სოფიკო ლობჟანიძისთვისაც ყველა ცვლილება, რომელიც ტარდება, უმნიშვნელოვანესია, რადგან ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ჯამში, სქემის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია: „აქამდე, რეფორმები ხდებოდა ცალკეულ სფეროებში. დღეს კი, საქმე სისტემურ ცვლილებასთან გვაქვს. ეს სისტემური ხედვაა, რომელიც მოიაზრებს ყველაფერს: მასწავლებელთა მომზადებიდან დაწყებული, კარიერაში შესვლით გაგრძელებული და პროფესიული განვითარებით დასრულებული. ამ ფონზე, ვფიქრობ, ეს ცვლილებები, ნამდვილად გამოიღებს სასურველ შედეგს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოფია სებისკვერაძის

my View
ნინო მჭედლიშვილი

ადამიანის ცხოვრება არის მცდელობა გათავისუფლდე კომპლექსებისგან, რომელიც აგკიდეს, ფიქრობს 32 წლის მსახიობი, სოფია სებისკვერაძე. თავიდან რომ დაეწყო ცხოვრება, ნაკლებს იფიქრებდა იმაზე, თუ რას იტყვის ხალხი: მეზობლები, ნათესავები, ახლობლები. კომპექსები მასაც აქვს, მაგრამ ამაზე საჯაროდ არ საუბრობს. დღეს მარტოა და არც ეს აწუხებს. ამბობს, რომ ბედნიერება მხოლოდ საყვარელ მამაკაცში არ არის.

„სკოლის ბანკეტზე დიდი ტყავის ბათინკებით, ტყავის შარვლით, გაკოჭილი პერანგით და გაშლილი თმით წავედი“

„ეტყობა დაღლილი ვიყავი საქორწინო ბეჭდითა და ხელმოწერით. ესეც რომ არ ყოფილიყო, როგორ უნდა მეთქვა გიორგისთვის ცოლად მომიყვანე-მეთქი“

- 11-12 წლის ვიყავი სარკის წინ გაპრანჭვა რომ დავიწყე. მაშინდელი შეგრძნება, რომ ქალი ვარ, არ მახსოვს, მაგრამ ყურადღებას ვაქცევდი, ჩაცმას, თმას.

- დედას ქუსლიან ფეხსაცმელებსაც იპარავდი?

- ეს უფრო ადრეულ ასაკში იყო, ოღონდ ბებოს გარდერობი უფრო მიყვარდა. კლასიკური ჩანთები, სამოსი ინახებოდა ბებოს გარდერობში. პატარა და გამხდარი ქალი იყო ბებიაჩემი, მის სამოსს უფრო ვირგებდი. მაკიაჟით უფრო გვიან დავინტერესდი. უბრალოდ, მახსოვს, რომ „პომადებს“ ვჭამდი. თმას და წამწამებს ჩუმად ვიჭრიდი.

- მშობლების დაუკითხავად ცვლილებები შეგიტანია საკუთარ გარეგნობაში?

- პირველ კურსზე ვიყავი, თმა რომ შევიღებე სხვადასხვაფრად, ერთდროულად მქონდა მწვანე, ლურჯი და ვარდისფერი. ასე შუქნიშნისფერებში გამოვცხადდი ლექციებზე. ჩემ დანახვაზე რეჟისორს კინაღამ გული ნაუვიდა.

- ოჯახში არ შეიცხადეს შენი თმის ფერები?

- არა, დიდი ვიყავი უკვე. ჩემი მშობლები ჩემს უცნაურ გამოხტომებს მიჩვეულები იყვნენ. სკოლის ბანკეტზე დიდი ტყავის ბათინკებით, ტყავის შარვლით, გაკოჭილი პერანგით და გაშლილი თმით წავედი. ყველა გოგო გაპრანჭული იყო, მე ასე გიჟურად გამოვიყურებოდი. არავის გაჰკვირვებია. ის უფრო გაუკვირდებოდათ, გაპრანჭული რომ მივსულიყავი. არ ვიყავი არასდროს პრანჭია. ხშირად უთქვამთ ჩემთვის, რა პრანჭია ხარ, ლაპარაკის დროსაც კი იპრანჭებიო. შეიძლება საუბრის მანერა მაქვს ასეთი, მაგრამ პრანჭია გოგო არასდროს ვყოფილვარ, არც ახლა ვარ. ბიჭი რომ მომწონებია, უფრო სულელურად მოვქცეულვარ მასთან, ვიდრე რეალურად ვიქცევი ხოლმე. თუმცა არ მიყვარს თამაში. არასდროს ვაჩვენებ თავს ადამიანებს სხვანაირს. ზოგჯერ უთქვამთ, გვეგონა საყვარელ გოგოს თამაშობდი, მაგრამ მართლა ასეთი ყოფილხარო.

- სოფია, როცა მამაკაცთან ურთიერთობ, გირჩევნია მართო ის?

- არა. არ მიყვარს ვინმეს რომ ვმართავ, თუნდაც არ იყოს ეს მამაკაცი და იყოს უბრალოდ მეგობარი. არ ვიცი ეს კარგია თუ ცუდი.

- თვითონ ადვილად იმართები?

- ძალიან ადვილად. მაგრამ თუ ადამიანი ზედმეტს აკეთებს, იყენებს ჩემს ხასიათს, ამას ვხედავ. ერთი ცუდი ჩვევა მაქვს, როცა ასეთ ადამიანებს ვხედები, ვაძლევ საშუალებას ბოლომდე გამოავლინონ თავისი ცუდი ჩვევები, ხასიათი, მაინტერესებს სადამდე მივა, სადამდე შეტოპავს.

- რისთვის, რომ შეიძულო?

- არა, არ ვიცი ადამიანების შეძულება. უბრალოდ, მერე ვაგრძნობინებ, რომ მასთან მეგობრულად ვეღარ ვიქნები და დისტანციას დავიჭერ. არ მიყვარს ჩხუბი, დაძაბულობა. ალბათ, ამის ხარჯზე ხდება ის, რომ ურთიერთობაში ხშირად გულნატკენი ვრჩები.

- ქალებს ხშირად გვაქვს არასრულფასოვნების კომპლექსი, ჩაიხედავ სარკეში და ხვდები, რომ არ ხარ ისეთი ლამაზი, როგორიც გინდა რომ იყო. მსგავსი კომპლექსი თუ გქონია ცხოვრების რომელიმე ეტაპზე?

- ბავშვობაში არ მომწონდა ჩემი თვალების გამომეტყველება. ხშირად ვამოწმებდი სარკეში, როგორიც მინდოდა ისეთი არ იყო. რაც უფრო ვიზრდები უფრო მომწონს. არ ვიცი მივეჩვიე თუ მართლა შევიცვალე, მაგრამ ახლა, სარკეში რომ ვიყურები, იქიდან ვინც მიყურებს, უფრო ჩემიანი გახდა.

„ჩემი ქმარი ჩემზე პატარა რომ იყო, მაშინ გავიგე, როცა ფეხმძიმედ ვიყავი. დამიმალა“

- შინაგნად თავისუფალია სოფია?

- ბოლომდე თავისუფალი არავინაა, მაგრამ ახლა როგორც ვარ, მომწონს.

- კომპექსები გაქვს?

- რა თქმა უნდა, მაგრამ კომლექსებზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. არც მე ვიქნები გამონაკლისი.

- ფობიები გაქვს?

- ჯოკონდასი მეშინოდა. მის სურათს რომ ვხედავდი, თვალს ვერ ვუსწორებდი. დავძლიე ეს შიში. ახლა ვმეგობრობთ მე და ჯოკონდა (იცინის).

- შენი თავისუფალი ხასიათის გამო მშობლებთან კონფლიქტი გქონია?

- ნებისმიერ ურთიერთობაში დამთმობი ვარ. კამათიც იშვიათად მომდის. თუ ვკამათობ, სასტიკ ფორმაში. გარდატეხის პერიოდში მქონდა ჩემეული, უცნაური თვისებები, მაგრამ არასდროს მიშლიდნენ. არ მიშლიდნენ იმას, რომ ერთი პერიოდი ძალიან ბევრი რკინებით, მეტალებით დავდიოდი, დაგლეჯილი შარვლით, ბულავკებით. იმ პერიოდში მძიმე როკს ვუსმენდი. დედა ამბობდა, გაუვლისო. მართლაც გამიარა. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში ვცხოვრობდი, სადაც უფრო მეტად უყვართ ლაპარაკი, ფიქრობენ იმაზე, რას იტყვიან მეზობლები, ნათესავები, ამიტანეს. შეიძლება არ მოსწონდათ, მაგრამ არ მეჩხუბებოდნენ ამის გამო. მქონდა პერიოდი, როცა საერთოდ არ ვლაპარაკობდი. ვკითხულობდი, მუსიკას ვუსმენდი, მაგრამ არ ვლაპარაკობდი, არ ვმეგობრობდი გოგოებთან. ბავშვობის ორი მეგობარი დავკარგე, ამანაც შეუწყო ხელი ჩემ ჩაკეტილობას. ერთი დაკარგული იყო და გარდაცვლილი იპოვეს, მეორეს სიმსივნე ჰქონდა. ეს ორი ტრაგედია ძალიან ცუდად აისახა ჩემზე, არც მინდოდა გახედვა ქუთაისისკენ.

- პირველი სიყვარული...

- ჩემი პირველი სიყვარული იყო მაიკლ ჯექსონი. იმ პერიოდში ასეთი

არარეალური გმირები მიყვარდა, ლიტერატურულიც. გადარეული ვიყავი რასკოლნიკოვზე, კობეინზე. 14 წლის ვიყავი, როცა ჩემი ყოფილი მეუღლე გავიცანი. 19 წლის ვხდებოდი, ოჯახი რომ შევქმენით, თვითონ 17-ის იყო. ერთად გავიზარდეთ. ჩემი ქმარი ჩემზე პატარა რომ იყო, მაშინ გავიგე, როცა ფეხმძიმედ ვიყავი. დამიმალა. მეგონა ჩემზე ერთი წლით დიდი იყო.

- როგორ გაიცანით ერთმანეთი?

- ჩემთან სახლში, ჩემი ძმის მეგობარს მოჰყვა. შეგვიყვარდა ერთმანეთი. გავიპარეთ. 5 წელი ვიცხოვრეთ ერთად.

- დაშორების მიზეზი შეიძლება გკითხო?

- არა, არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი. გავიზარდეთ უბრალოდ. მივხვდით, რომ სხვადასხვა ადამიანები ვართ, სხვადასხვა ინტერესები, ღირებულებები გვაქვს... ამ ქორწინებიდან მყვას მარი, რომელიც ახლა 12 წლის არის.

- შემდეგ შენს ცხოვრებაში გამოჩნდა რეჟისორი, გიორგი ლიფონავა...

- გიორგი სერიალის, „მესამე თაობა“ გადაღებების დროს გავიცანი. ამ სერიალის ქასთინგზე მივედი. იქ შევხვდით პირველად ერთმანეთს.

- მაშინ გიორგის ოჯახი ჰყავდა?

- არა, როგორც ვიცი, რაღაც კონფლიქტი ჰქონდათ. ჩემი და გიორგის ურთიერთობა რომ დაიწყო, ცოლ-ქმარი ერთად აღარ იყვნენ. 5 წელი ვიყავით ერთად.

- ქართველი ქალების უმეტესობა ასეთი ურთიერთობების დროს მნიშვნელობას ანიჭებს საქორწინო ბეჭედს, ხელმოწერილ ქაღალდს, არასდროს გიკითხავს გიორგისთვის, რა ერქვა თქვენს ურთიერთობას?

- არა. ეტყობა დაღლილი ვიყავი საქორწინო ბეჭდითა და ხელმოწერით. ესეც რომ არ ყოფილიყო, როგორ უნდა მეთქვა გიორგისთვის ცოლად მომიყვანე-მეთქი. სულ მიკვირს, როგორ ეუბნებიან კაცს ასეთ რამეს ქალები. თავმოყვარეობის საკითხია, თუ უნდა თვითონ უნდა გითხრას. ეს ისეთი რამ არის, ერთდროულად უნდა მიხვიდეთ ამ გადაწყვეტილებამდე. როგორც ჩანს, ორივე დაღლილი ვიყავით ოჯახური ვალდებულებებით და ერთად დავისვენეთ.

- რატომ დამთავრდა თქვენი ურთიერთობა?

- არ ვიცი, ამას ვერ ავხსნი, არაფერი მომხდარა, ურთიერთობის ზენიტში დავიშალეთ. ჩამოვედით ბერლინიდან, სადაც ფანტასტიკურად ვგრძნობდით თავს ერთად და დავშორდით. ყველაფერს აქვს დასასრული. ერთმანეთისთვის არაფერი დაგვიშავებია. ლამაზად მახსენდება ის 5 წელი.

- თვლი, რომ ოჯახური ურთიერთობები აფუჭებს ყველაფერს?

- კი. ძალიან რთულია ოჯახური თანაცხოვრება. პარტნიორიც უნდა გიწყობდეს ხელს, რომ ურთიერთობა ვალდებულებებში, ყოველდღიურ პრობლემებში არ გადაიზარდოს. სიმართლე გითხრათ, არც მიფიქრია, რომ მე და გიორგის ბოლოს ერთად უნდა გვეცხოვრა.

- პირველი ოჯახის შენარჩუნებას ეცადე?

- ვეცადე. არ მინდოდა ოჯახის დანგრევა, პატარა ვიყავი. მერე, რომ გავიზარდე, მივხვდი, რომ ადამიანის ცხოვრება ის კი არ არის, რას იტყვის ხალხი, არამედ ის, როცა კარგად ხარ, ბედნიერი ხარ.

- საკმაოდ თამამ ფოტოებს აქვეყნებ შენს „ფეისბუქგვერდზე“. ესეც შენი თავისუფალი ხასიათის მაჩვენებელია?

- თუ იმ ფოტოებს გულისხმობთ, საცვლების ამარა რომ ვარ, ეს იყო გადაღება, ინტერნეტჟურნალისთვის, რუბრიკას ერქვა, საცვლები. შესაბამისად, გადავიღე ფოტოები საცვლებში. ვფიქრობ, იმ ფოტოებში ბევრიც მაცვია. ყველას გვაქვს ზღვის სანაპიროზე საცურაო კოსტიუმში გადაღებული ფოტოები. შიშველი არც ერთ ფოტოში არ ვარ.

- ქართველ მსახიობ ქალებს ეროტიკული სცენების თამაში უჭირთ, შენთვისაც რთულია მსგავსი როლი?

- ერთადერთი ეროტიკული სცენა მქონდა „ჭამა და სექსში“ და ისე გადავიღეთ ეს სცენა, პარტნიორს არ კი შე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიურად პირადი

EXCLUSIVE

„გიორგის ვეკითხებოდი, სექსის დროს ამდენი უნდა მეცვას-მეთქი“

ვხებივარ. მეცვა კოლჰოტი, ქვედა საცვალი და ბიუსტჰალტერი. გიორგის ვეკითხებოდი კიდეც, სექსის დროს ამდენი უნდა მეცვას-მეთქი. გეცვას, კადრში მაინც არ გამოჩნდებაო, მითხრა.

- ხომ არ დაგინდო გიორგიმ?

- არ ვიცი, შეიძლება დამინდო კიდეც (იღიმება).

- უღალატიათ შენთვის?

- გააჩნია რას დავარქმევთ ღალატს?

- შენთვის რა არის ღალატი?

- ტყუილი, როცა გატყუებენ, გასულელებენ, გვერდში არ გიდგებიან.

- პირდაპირი მნიშვნელობით თუ უღალატია მამაკაცს შენთვის?

- ეს ისეთი თემაა, რომელზეც ხმამაღლა არ საუბრობენ, მაგრამ ამ თემით ნამდვილად არ ვარ გულნატკენი.

- ეჭვიანი ხარ?

- ბოლო დროს გავხდი, მაგრამ ჩემი ბრალი არ იყო, ასე მგონია, საბაბი მქონდა. თუმცა ხელჩასაჭიდიც არაფერი ყოფილა. გული მტკენია ზოგჯერ გიორგისთან ურთიერთობის დროს, მაგრამ კონკრეტიკა არ მინდა. არ უყვარს როცა მასზე ვლაპარაკობ.

- მის ტელეფონში „ჩამძვრალხარ“?

- არასდროს. თუმცა ერთხელ „ფეისბუქი“ დარჩა ჩართული და ჩავიჭყიტე. დავმშვიდდი.

- დღეს ბედნიერი ხარ?

- ადამიანი უმადურია. გგონია, რომ არ ხარ ბედნიერი და მერე უკან რომ მოიხედავ, იტყვი, ბედნიერი ვყოფილვარო. დღეს ვაცნობიერებ, რომ ბედნიერი ვარ. ვარ ჯანმრთელი, მყავს დედა, მამა, ძმა, შვილი და ვაკეთებ იმ საქმეს, რაც მიყვარს.

- საყვარელი ადამიანი გვერდით?

- აი, რა არის ქალის მინუსი, მხოლოდ საყვარელ მამაკაცში ეძებენ ბედნიერებას. საყვარელი ადამიანი

„ზოგჯერ, გული მტკენია გიორგისთან ურთიერთობის დროს, მაგრამ კონკრეტიკა არ მინდა. არ უყვარს როცა მასზე ვლაპარაკობ“

არის ბედნიერების შემადგენელი ნაწილი. თითოეულ დღეში, შენი თავის რეალიზებაში უნდა იპოვო ბედნიერება. შეიძლება ცხოვრების სხვა ეტაპზე სხვანაირად ვიფიქრო, მაგრამ ახლა ასე ვფიქრობ, ბედნიერება მხოლოდ საყვარელ მამაკაცში არ არის.

„აი, რა არის ქალის მინუსი, მხოლოდ საყვარელ მამაკაცში ეძებენ ბედნიერებას. საყვარელი ადამიანი არის ბედნიერების შემადგენელი ნაწილი. თითოეულ დღეში, შენი თავის რეალიზებაში უნდა იპოვო ბედნიერება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი დარასელია - ქართული ფეხბურთის პრობლემის მოგვარება მწვრთნელებიდან უნდა დაიწყოს

მაგდა კლდიაშვილი

„ისეთი ფეხბურთელები მოვიყვანე, რომელთაც „ტორპედოში“ ჰქონდათ ნათამაშები და სურვილი ჰქონდათ ჩემს გუნდში თამაშის. შევარჩიე ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ სიტუაციაში გამოადგებიან გუნდს“

EXCLUSIVE

გიორგი დარასელიამ საფეხბურთო კარიერა ქუთაისის „ტორპედოში“ დაიწყო და ახლა იმერულ გუნდს, მრავალი წლის შემდეგ, მთავარი მწვრთნელის რანგში დაუბრუნდა. რატომ ჩამოდიოდა საქართველოში სამუშაოდ მცირე ვადით და რა გეგმები აქვს მას ქუთაისში. დარასელია პირველია, რომელიც ამბობს, რომ ქართული ფეხბურთის პრობლემების მოგვარება არა ბავშვთა ფეხბურთიდან, არამედ მწვრთნელებიდან უნდა დაიწყოს, რადგან მხოლოდ კვალიფიციური კადრები შეძლებენ მომავალი თაობის აღზრდას. გიორგი დარასელია და მისი გუნდი ახლა ანტალიაში, კერძოდ კი ბელეკში იმყოფება შეკრებაზე. ეს ინტერვიუც სწორედ თურქეთში ჩაიწერა.

- საქართველოში სამუშაოდ მესამედ დაბრუნდით, თუმცა მანამდე მხოლოდ მცირე დროით იყავით, ახლა გრძელვადიანი გეგმები გაქვთ?

- მართალი რომ გითხრათ, გრძელი ვადით არც მე მიფიქრია საქართველოში დარჩენა. პირველი სიტუაციიდან დავიწყოთ - გორში სიტუაციიდან გამომდინარე მომიწია ჩამოსვლა, მეგობრების თხოვნით, მათ სჭირდებოდათ ჩემი დახმარება. იგივე განმეორდა ზუგდიდშიც. რაც შეეხება ქუთაისს, ჯერჯერობით, მოკლე გეგმებით დავიწყე და ვნახოთ, როგორ გაგრძელდება.

- როგორია ეს მოკლე გეგმა?

- ქუთაისი ჩემთვის უცხო ქალაქი არ არის. ყველამ კარგად იცის, რომ ჩემი, როგორც ფეხბურთელის კარიერა „ტორპედოდან“ დაიწყო, იგივე მინდა მწვრთნელის რანგშიც.

- თქვენს წინამორბედს გუნდში ძალიან ბევრი ფეხბურთელი ჰყავდა დარეგისტრირებული, რომლის დიდ ნაწილს თამაში არც კი უწევდა, როგორ მოხდა გაწმენდა და იმ ფეხბურთელების შერჩევა, რომელიც თქვენ გჭირდებათ?

- ჩემს წინამორბედს თავისი გეგმები და შეხედულებები ჰქონდა ფეხბურთში. რაც შეეხება ფეხბურთელებს, ყველა, ვინც წავიდა, მათ მოკლევადიანი კონტრაქტები ჰქონდათ და ჩემი მოსვლის შემდეგ არ გამოუხატავთ პრეტენზია და არც სურვილი, რომ აქ უნდოდათ თამაში. „ტორპედოში“ დამხვდნენ ადგილობრივი მოთამაშეები. რაც შეეხება შერჩევას, პირველ რიგში, ისეთი ფეხბურთელები მოვიყვანე, რომელთაც „ტორპედოში“ ჰქონდათ ნათამაშები და სურვილი ჰქონდათ ჩემს გუნდში თამაშის. შევარჩიე ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ სიტუაციაში გამოადგებიან გუნდს.

- ქუთაისელი გულშემატკივარი ემოციურობით გამოირჩევა, რამდენიმე მწვრთნელი მათთან კონფლიქტსაც შეეწირა. თქვენ როგორ აპირებთ მათთან ურთიერთობას, თქვენი ქუთაისელობის ფაქტორი იქონიებს გავლენას?

- მნიშვნელობა არ აქვს მწვრთნელი ქუთაისელი იქნება, ქუთაისში ნათამაშები თუ ნაცხოვრები. გულშემატკივარი იმიტომ მოდის სტადიონზე, რომ ისინი კმაყოფილები დარჩნენ გუნდის თამაშით და საერთოდ, ქომაგი მაშინ არის კმაყოფილი და მარტო ქუთაისში არა, როდესაც მათი გუნდი მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის. არავის მოსწონს, როდესაც მისი გუნდი ქულას ებღაუჭება ან აგებს.

- თუმცა ქუთაისში არ უყვართ ჩასულები, განსაკუთრებით თბილისელები...

- რა მნიშვნელობა აქვს ქუთაისელი იქნები, თბილისელი თუ სხვა ქვეყნიდან ჩამოსული. მთავარია, გუნდი ჯანმრთელი ფეხბურთელებით იყოს დაკომპლექტებული. ქუთაისის „ტორპედოშიც“ მითამაშია და თბილისის „დინამოშიც“, მაგრამ არ გვიგრძნია, რომ სხვა ქალაქიდან ვიყავით ჩასულები. მთავარია საქმე გავაკეთოთ, ერთი საქმე, წარმატებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

- „დილადან“ „ტორპედომდე“ ქართული ფეხბურთი რომ შევაფასოთ, დონემ მოიმატა თუ დაიკლო?

- გორის „დილა“ 2011 წლიდან მოყოლებული ისეთ კლუბად ჩამოყალიბდა, რომ ყოველ წელს ფიქრობენ წარმატების მიღწევაზე, იქნება ეს ჩემიონატი, თასი თუ მეორე ადგილი, რომ ევროპაზე გავიდნენ. როდის იყო, რომ გორი ევროსაგზურებისთვის იბრძოდა? ახლა პირველ-მეორე ადგილებზე აქვს პრეტენზია. იქ ისეა ანყობილი სისტემა, რომ შეუძლიათ კარგი ფეხბურთელების დამატება და წარმატებაზე ფიქრი.

- კონკრეტულ კლუბზე არ მაქვს საუბარი, ზოგადად ქართული ფეხბურთის დონეზე გეკითხებით...

- ჯერჯერობით, ქართული ფეხბურთის დონე ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ისრაელში ვცხოვრობ და ისრაელზე ვისაუბრებ. ვიცი, იქ რა დონეზეა ფეხბურთი და ჩვენთან რა ხდება. დანყებული ბავშვთა ფეხბურთით, როდესაც იქ ბავშვი მიდის საფეხბურთო სკოლაში, იციან, რომ 100-დან 10% დიდ გუნდში მოხვდება. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც, ისე უნდა ავარჩიოთ ფეხბურთელები, რომ რაც შეიძლება მეტი წავიდეს შემდეგ დიდ ფეხბურთში. უნდა ვასწავლოთ ბავშვებს სწორი თამაში, სწორი ფეხბურთი.

„ქომაგი მაშინ არის კმაყოფილი და მარტო ქუთაისში არა, როდესაც მათი გუნდი მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის. არავის მოსწონს, როდესაც მისი გუნდი ქულას ებღაუჭება ან აგებს“

- ანუ თქვენც ფიქრობთ, რომ პრობლემების მოგვარება ბავშვთა ფეხბურთიდან უნდა დაიწყოს?

- უნდა დაიწყოს მწვრთნელებიდან. ბავშვთა ფეხბურთი რომ განვითარდეს, მწვრთნელები უნდა გვყავდეს ისეთი, რომ მათ ფეხბურთი ასწავლონ, გზაზე დააყენონ. 16-16 წლის ბიჭი რომ მოვა გუნდში, მას ვეღარაფერს ასწავლი. ისრაელში, ბავშვთა ფეხბურთთანაც მაქვს შეხება, ყოველდღე ვუყურებ როგორ ემზადებიან, რა პირობებში არიან, თუმცა იქაც შეიძლება წელი ისე გავიდეს, რომ დიდ გუნდში არცერთი ფეხბურთელი არ მოხვდეს, მაგრამ ზოგჯერ 5-6 მაგარი ბიჭი მოდის. მწვრთნელებმა უნდა ვისწავლოთ, ჩემი თავიდან დავიწყებ, ისე არ არის, რომ მე ვიცი და სხვამ არა. ერთად უნდა გავაკეთოთ საქმე, რომელიც ქართულ ფეხბურთს წარმატების მიღწევაში დაეხმარება. ქუთაისს ჰყავს დუბლები, ჭაბუკები, თუ იქნება დრო და საშუალება, მათაც უნდა მივაქციო ყურადღება.

- რადგან საშუალებაზე საუბრობთ, რამდენია საჭირო იმისთვის, რომ ნორმალური პირობები შეუქმნა გუნდს?

- ამ თანხას მე ვერ დავასახელებ, რადგან ჩემს კომპეტენციაში არ შედის ფინანსები, მაგრამ ახლა რა დაფინანსებაც არის, ცოტას თუ მოუმატებენ, ურიგო არ იქნება, ნორმალურ პირობებში რომ გყავდეს გუნდი. ყოველ წელს მესმოდა, რომ გუნდები უცხოურ შეკრებაზე ვერ მიდიოდნენ, ახლა უმაღლესი ლიგის 16 გუნდიდან, 12 შეკრებას თურქეთში გადის. როდის ყოფილა, რომ რამდენიმე გუნდს ერთ მინდორზე ევარჯიშოს?

- აქ ხუმრობენ კიდეც, ანტალიაში ხომ არ ჩავატაროთ ჩემპიონატი ბარემო...

- ეს სახუმარო არ არის. ეს რომ ხდება, სასიხარულოა, ბევრი გუნდი, რომელიც მალე სეზონს დაიწყებს საქართველოში, ერთად ვარჯიშობს.

- მოსამზადებელი პერიოდი როგორ მიდის, კმაყოფილი ხართ?

- სამ იანვარს შეიკრიბეთ. იქიდან მოყოლებული ვემზადებოდით ანტალიური შეკრებისთვის. 29-ში ჩამოვედით თურქეთში. ვიცოდით, რა თამაშები გვექნებოდა, რომელ გუნდებს შევხვდებოდით, ამიტომ ვცდილობდით, მეტი დატვირთვა მიგვეცა ფეხბურთელებისთვის. ზოგიერთი გუნდი ამხანაგურ თამაშებს თამაშობს და დატვირთვები არ არის. ჩვენ - პირიქით. ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, მეტი ფიზიკური მომზადება, რომ დარჩენილ სათამაშო პერიოდში გამოგვადგეს.

- ფიზიკური მომზადების გარდა, მნიშვნელოვანი არაა ტესტ-მატჩები?

- რა თქმა უნდა. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, ისეთ მეტოქეებთან გვეთამაშა, რომ ჩვენი პლუსები და მინუსები გამოჩენილიყო. ვიცოდით, ვისთან გვექნებოდა თამაში. მთავარია, რომ დავინახოთ, დადებითი და უარყოფითი მხარეები.

- დაინახეთ ეს მხარეები?

- უარყოფითს სულ დაინახავ ადამიანი. ამის პრობლემა არ არის, პირიქით, უნდა დაგვენახა დადებითი და ეს ყველაფერი გამოჩნდა აქ, მარტო ჩვენი არა, ქართული კლუბების ზოგადად.

- არ დააკონკრეტებთ?

- არა, იმიტომ, რომ შემდეგ გამოგვადგება ჩემპიონატში ეს დადებითი და უარყოფითი.

- კონკრეტული მიზანი რა დაისახეთ „ტორპედოში“?

- მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ და ავინიოთ სატურნირო ცხრილში. ახლა მეცამეტე ადგილზე ვიმყოფებით და ეს „ტორპედოს“ არ ეკადრება. არ შეიძლება ის გუნდები, რომლებიც ევროსარბიელზე გამოდიოდნენ, ცხრილის ამ ნაწილში იმყოფებოდნენ. პირველ ადგილზეც რომ ვიყო, ვერ ვიტყოდი, რომ პირველ ადგილზე ყოფნაა მიზანი. შედეგები უნდა გამოვასწოროთ და ნელ-ნელა წინ წავიწიოთ.

- რა არის მწვრთნელი გიორგი დარასელიას ყველაზე ძლიერი და სუსტი მხარე?

- პირველ რიგში, ყველაზე დიდ ყურადღებას დისციპლინას ვაქცევ. ამის გარეშე არ შეიძლება. ეს ელემენტარულია, მით უმეტეს, რომ ქართველებს ძალიან გვიჭირს დისციპლინაში. ამის გარეშე შორს ვერ წავალთ. რაც შეეხება უარყოფითს, ბევრია, არ დავკონკრეტდები, თუმცა წლებთან ერთად გამოცდილებაც მოდის, 4-5 წლის წინ თუ უფრო მეტ შეცდომას ვუშვებდი, ახლა ასე აღარაა. ისრაელში მასწავლეს, რომ ჯერ დავფიქრდე და შემდეგ მივიღო გადაწყვეტილება.

„ისრაელში მასწავლეს, რომ ჯერ დავფიქრდე და შემდეგ მივიღო გადაწყვეტილება“

„რაც შეეხება ქუთაისს, ჯერჯერობით, მოკლე გეგმებით დავიწყე და ვნახოთ, როგორ გაგრძელდება“

„ისე უნდა ავარჩიოთ ფეხბურთელები, რომ რაც შეიძლება მეტი წავიდეს შემდეგ დიდ ფეხბურთში. უნდა ვასწავლოთ ბავშვებს სწორი თამაში, სწორი ფეხბურთი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით ჩაგელიშვილი - ფეხბურთელისთვის ნაკრებში თამაში სახელიცაა და დიდი რეკლამაც

მაგდა კლდიაშვილი

დავით ჩაგელიშვილი უკვე მეოთხე წელია რაც ყაზახეთში თამაშობს. ამჟამად მისი გუნდი თურქეთში, ბელეკში იმყოფება შეკრებაზე. ბევრი უცხოური გუნდისგან განსხვავებით, „კიზილჟარში“ მის გარდა კიდევ სამი ქართველია. ერთი ფიზმომზადების სპეციალისტი, ორი კი მუსლიმანი მესხი. სასიამოვნოა იმის მოსმენა, როგორ საუბრობენ ეს ადამიანები ქართულად, როგორ იხსენებენ ისტორიულ წარსულს და როგორ უყვართ ქართველები. ერთი შეხედვითაც მიხვდები, როგორ უყვართ 28 წლის ფორვარდი გუნდელებს. დავით ჩაგელიშვილთან ინტერვიუ ანტალიაში შედგა, რატომ არჩია ყაზახეთი და იქ არსებული მაღალი ხელფასები მითია თუ რეალობა, ამაზე ინტერვიუდან შეიტყობთ.

- რატომ გადაწყვიტე ყაზახეთში სათამაშოდ წასვლა, რატომ სხვაგან არა?

- უკვე მეოთხე წელია აქ ვარ. სხვა ქვეყნებთან შედარებით, უკეთესი შემოთავაზება ჰქონდათ ყაზახებს.

- ფინანსური თუ სპორტული?

- ფინანსურიც და სპორტულიც. ამიტომ გადავწყვიტე ყაზახეთში ჩემი კარიერის გაგრძელება. ჯერჯერობით, კმაყოფილი ვარ.

- თავდამსხმელი ხარ, თუმცა მაინცდამაინც დიდი შედეგიანობით არ ყოფილხარ გამორჩეული, რითი მოაწონე თავი ყაზახებს?

- ცოტაც არ გამაქვს. სეზონზე, ყველაზე მცირე 7 გოლი გავიტანე უმაღლეს ლიგაში, ახლაც - 10 ბურთი. შევეცდები უფრო მეტი გავიტანო. რაც შეეხება დატოვებას, არ ვიცი, ალბათ, მოვწონვარ.

- 4 წელია ყაზახეთში ხარ, ამ ხნის განმავლობაში ყაზახური ფეხბურთი განვითარდა?

- რა თქმა უნდა, წინ წავიდა, აქ უფრო და უფრო ვითარდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

- მაგალითად - საქართველოში?

- ფინანსური პირობები არ ვიცი, ვის როგორი ანაზღაურება აქვს, მაგრამ ინფრასტრუქტურას რაც შეეხება, მოედნები აშკარად გამოსწორდა. ტალანტებიც ბევრი ჰყავს ჩვენს ქვეყანას. უბრალოდ, ყველა ცდილობს წავიდეს საქართველოდან და კარიერა უცხოეთში გააგრძელოს, რადგან არ მივდივართ წინ. პროგრესს მაინ გაიგებ, როდესაც შედეგი გექნება, რომელიმე პრესტიჟულ ტურნირზე ითამაშებ. ცოტა ხნის წინ გვქონდა საჩხერის „ჩიხურასთან“ თამაში, რომელსაც ევროტურნირზე წარმატების მისაღწევად ძალიან ცოტა დააკლდა. პერსპექტიული გუნდია, კარგი ბავშვები ჰყავს.

- „ჩიხურამ“ ითამაშა კარგად თუ თქვენ ვერ აჩვენეთ თქვენი თამაში?

- შეკრებაზე ვერ გაიგებ, ვინ ძლიერია და ვინ სუსტი. ზოგი მეორე შემადგენლობით თამაშობს, ზოგს დილა-საღამოს აქვს სპარინგები. მთავარი მწვრთნელი დატვირთვას აძლევს ფეხბურთელებს და ამოწმებს, ვის როგორ შეუძლია გაძლება. შეკრებაზე ემზადები იმისთვის, რომ შემდეგ მთელი სეზონი ითამაშო. მარტო ფიზიკურ მომზადებაზე არაა ლაპარაკი, ფსიქოლოგიური მომენტიცაა.

- „კიზილჟარს“ სამი 20-დღიანი თურქული შეკრება აქვს დაგეგმილი, აქედან ერთი ახლა მიმდინარეობს. ფსიქოლოგიურად არაა რთული ამ დატვირთვებს გაუძლო?

- რა თქმა უნდა. ამიტომაც არის, რომ ყოველი 20 დღის შემდეგ სახლში გვიშვებენ, რომ განვიტვირთოთ, თორემ შეეძლოთ გადაებათ და სამი თვე აქ ვყოფილიყავით. თუმცა, გეტყვით, რომ ძალიან ძნელია ამხელა პერიოდის გაძლება.

- ყაზახეთში როგორ აღმოჩნდი, ეს ქვეყანაა შენი კარიერის მაქსიმუმი?

- არა, შევეცდები, რომ უფრო და უფრო მოვუმატო. ყაზახეთში აგენტების დახმარებით მოვხვდი, რომელთაც საერთო ნაცნობი ჰყავდათ იქ. როგორც ყველა ნორმალური ფეხბურთელი, მეც სინჯებზე ვავედი, დამიტოვეს და ასე მოვიკიდე ფეხი სინჯებზე. ვცდილობ, რომ ჩემი შესაძლებლობები უფრო და უფრო გავაუმჯობესო. მაქსიმუმი არაა და დარწმუნებული ვარ, რომ ბევრად მეტი შემიძლია, თუმცა ხდება ისე, რომ ხშირად ფეხბურთელს არ უმართლებს. ფეხბურთში მარტო მონდომება და სირბილი არ არის მთავარი. აუცილებელია, გაგიმართლოს.

- სინჯებზე სიარული თავმოყვარეობას არ ულახავს ფეხბურთელს?

- თუ შენ თავში დარწმუნებული ხარ, სჯობს, სინჯო. მე ვიყავი დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში, წავედი ყაზახეთში და დავრჩი. ამის შემდეგ მეორე გუნდიც გამოვიცვალე და იქაც იგივე სიტუაცია იყო. სინებზე წავედი და დაიტოვეს. აგენტი თუ გუნდს გიკეთებს, სინჯებზე უნდა წახვიდე. არიან აგენტები, რომლებიც პირდაპირ გიკეთებენ გუნდს. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი მენეჯერები არ არიან, ამიტომ არის ქართული ფეხბურთი ასეთ დღეში და მოთამაშეები იჩაგრებიან.

- არჩევანის გაკეთება ყაზახეთსა და რა ქვეყნებს შორის მოგიხდა?

- დაინტერესება იყო ფინეთიდან, ლატვია, ესტონეთიდანაც, მაგრამ ყაზახეთი გადავწყვიტე, რადგან კარგი ხელფასი კარგი შემომთავაზეს. იყო ყაზახეთი, ფინეთი, ლატვია, ესტონეთიც იყო, გადავწყვიტე ყაზახეთში, იმიტომ რომ კარგი ხელფასი შემომთავაზეს.

- ამბობენ, რომ ყაზახეთში ძალიან მაღალი ხელფასებია, ეს მითია თუ რეალობა?

- მითები არ არის შექმნილი, კარგი ანაზღაურებაა მართლაც, ამიტომ არის, რომ ყაზახური ფეხბურთი პროგრესირებს, ლეგიონერები ჩამოჰყავთ, თუმცა ლიმიტია დაწესებული და საკუთარი რესურსით ცდილობენ წარმატების მიღწევას. ჩემს გუნდს რაც შეეხება, მთლიანად ახალი შემადგენლობაა, რამდენიმე ფეხბურთელის გარდა, ახალი მწვრთნელი მოიყვანეს და მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა და ვნახოთ, რა გამოგვივა.

- არ გაგიჭირდა ყაზახეთში ცხოვრება, როგორ შეეგუე იქაურობას?

- მართალი გითხრათ, არ გამჭირვებია საერთოდ. პირველი ორი თვე მიჩვევის პერიოდი იყო. ძალიან თბილი და მეგობრული ხალხია. ენის პრობლემა არ მქონია სხვა ლეგიონერებისგან განსხვავებით. ორი თვე გამიჭირდა, იმიტომ, რომ ჩემი უსაყვარლესი გულშემატკივრისგან, ჩემი ოჯახისგან შორს ვიყავი და ჩემს ყველა გამარჯვებას მათ ვუძღვნი და ვიცი, როგორც მე მიხარია გამარჯვება, ჩემზე არანაკლებად უხარია მამაჩემს და ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს, ჩემი წარმატება. ორი თვის შემდეგ მივეჩვიე, მაგრამ ყოველდღე ვგრძნობ მათი და ჩემი საყვარელი ადამიანების გვერდში დგომას.

- ნაკრების ახალმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ სად თამაშობს, მთავარია კონკრეტული მომენტისთვის მზად იყოს, შენ გაქვს გამოძახების იმედი?

- პირადად ვიცნობ კახა ცხადაძეს და დარწმუნებული ვარ, რომ ნაკრებში საქმე უკეთესობისკენ წავა. ვეცდები, თავი ჯერ ჩემპიონატში გამოვიჩინო და ნაკრებში შანსი თუ მომეცემა, იმაზე კარგი არაფერია ფეხბურთელისთვის, თავის ქვეყანას რომ გამოადგება და ეხმარება, როგორც შეუძლია.

- სანაკრებო კარიერა რომ გქონოდა, როგორ გგონია, დღეს უკეთს გუნდში იქნებოდი?

- ნაკრებში თამაში სახელიცაა და დიდი რეკლამაც ფეხბურთელისთვის. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. თუ ნაკრებში გაქვს ნათამაშები, ორმაგად უწევს ფეხბურთელს ფასს.

„იმაზე კარგი არაფერია ფეხბურთელისთვის, თავის ქვეყანას რომ გამოადგება და ეხმარება, როგორც შეუძლია“

„თუ შენ თავში დარწმუნებული ხარ, სჯობს, სინჯო. მე ვიყავი დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში, წავედი ყაზახეთში და დავრჩი“

„ორი თვე გამიჭირდა, იმიტომ, რომ ჩემი უსაყვარლესი გულშემატკივრისგან, ჩემი ოჯახისგან შორს ვიყავი და ჩემს ყველა გამარჯვებას მათ ვუძღვნი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N5 (306) ორშაბათი, 9 თებერვალი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge

exclusive

სოფია სებისკვერაძის ექსკლუზიურად პირადი

„ზოგჯერ, გული მტკენია გიორგისთან ურთიერთობის დროს, მაგრამ კონკრეტიკა არ მინდა. არ უყვარს როცა მასზე ვლაპარაკობ“

არჩილ ხაბაძის მეორე ნახევარი

თამუნა სირაბიძე: „ერთხელ მაგრადაც ვიჩხუბეთ, მაგრამ წყენა მხოლოდ სამ დღეს გაგრძელდა. აი, მაშინ მივხვდი, რომ ძალიან მიყვარდა. ფაქტობრივად, ეს გახდა ჩვენი თვითგამორკვევის მიზეზი და ამის შემდეგ ძალიან მალე ნიშნობაც აღვნიშნეთ“

exclusive

გიორგი დათუნაიშვილის ცოლი, ქმრისგან განსხვავებით, ბადრიჯანს „კენწლავს“

„პირველივე დანახვისას გაუფიქრია, რომ მე ის ქალი ვიყავი, ვის გვერდითაც მთელი ცხოვრების გატარება სურდა“

exclusive

ილია ბეროშვილისა და „კურიერის“ წამყვანის დანგრეული ოჯახის ისტორია exclusive

„დაშორების მერე სტრესული და დეპრესიული პერიოდი მქონდა, დარდის გასაქარვებლად ვსვამდი“

დათო ევგენიძე - „ბერობაზე მიფიქრია, უბრალოდ, ღირსი არ ვარ“ exclusive

გელა ჩარკვიანის ცხოვრებისეული გამოცდილება exclusive

ნუკა კვალიაშვილი პროექტის „ერთი ერთში“ კულუარებზე exclusive ალაპარაკდა

„სუფთა თამაში მეგონა, მაგრამ შევცდი“

ISSN 1987-7404
9 771987 740005
შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება